ფაჩრაძე
ავადიოვიღი

210-859
3

საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში

I

ეროვნული
ბიბლიოთეკა

З. АВАЛОВЪ.

Независимость Грузіи

въ международной политикѣ

1

Восп

PARIS
1924

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ
ავალიშვილი

საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში

K 210₃-859

I

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგონებანი. ნარკვევები.

857
858
859
860

თბილისი — 1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

63.3 (2 Г)
ა 297

საქართველოს ისტორიის საგანძური

წიგნი II

საქართველოსთვის აღსრულებულთა
ხსოვნას
ახალთ საიმედოდ

MORTUIS PRO GEORGIA
IN MEMORIAM
JUNIORIBUS
IN SPEM

გამოცემა მოამზადა გურამ მამულიამ

© საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი, 1990.
კოოპერატივი „ნიამორი“.

ა $\frac{80105}{М—605—(37)—90}$

ეროვნული
ბიბლიოთეკა

POST-SCRIPTUM-ი წინასიტყვაობის მაგიერ

„მე ვისურვებდი, რომ საქართველოს დაჰბრუნებოდეს ძველი ძლიერება; არ დასჭირვებოდეს უცხო ქვეყნების დახმარება; და სავსებით დამოუკიდებელი იყოს მშვიდობისას და ომიანობის ჟამსაც...

მაგრამ რახან დროთა მდინარებით, ანდა ბედის ტრიალით, ეგებ ორივეს გამოც, ისე დავუძლურდით, რომ სხვებს უნდა დავემორჩილოთ, მე ყველაზე გონივრულად მიმაჩნია, იმათ ნებას დავყვეთ, ვინც უფრო ზომიერია და სამართლიანი, და ვინც არასდროს ღალატობს თავისი მოკავშირეების მეგობრობას“...

ეს სიტყვები გუშინ არ უთქვამთ. მაგრამ შეეძლოთ ჩვენს დროშიც ეთქვათ; ეგებ ასი წლის წინათაც; და ყოველთვისაც ივარგებდა სათქმელად, როცა კი საქართველო იძულებული იყო პოლიტიკური კავშირის არჩევანი მოეხდინა ხალხთა ბედ-იღბლის განმგებელ რომელიმე მეზობელ იმპერიებს შორის.

ზემოთ მოხმობილი სარწმუნო ტირადა ამოღებულია იმ სიტყვიდან, რომელსაც ადრებიზანტიელი ისტორიკოსი ათქმევინებს ორატორ აიეტს, „წარჩინებულ კაცს... ვისაც სძულდა ყველაფერი რომაული და მუდამ სპარსელებისაკენ მიუწევდა გული“. ხოლო წარმოითქვა ეს სიტყვები (სადაც საქართველო ჩასმულია ლაზიკა-კოლხეთის, უფრო ზუსტად, კოლხეთის სახელმწიფოს, ანუ რეს-პუბლიკის ნაცვლად), 554 წელს ქრისტეს აქეთ, სახალხო კრებაზე, რომელიც სადღაც მთის ორწოხებში საიდუმლოდ განსჯიდა იმა დღეთა პოლიტიკურ სატკივარს: მაშინ ერთ-ერთი დრამატული მომენტი უდგა იმდროინდელ ამიერკავკასიას, სადაც მის გამო და მისსავე მიწა-წყალზე გაჩაღებული იყო ბრძოლა სპარსელთა და რომაელთა, ანუ ბიზანტიელთა შორის, და აბ ომში არც მკვიდრი ხალხები იყვნენ უტყვ მოწმეებად.

აიეტის სიტყვებში განსაცვიფრებლად მოკლედ და ნათლად არის გამოხატული იმის დასაბუთება, რასაც დღეს ჰქვია პოლიტიკური ორიენტაცია — საქართველოსი თუ რომელიმე ეგრეთწოდებული პატარა ხალხისა, რომელიც კი ანალოგიურ ვითარებაში იცავს თავის დამოუკიდებლობას ძლევამოსილ იმპერიათა მძლავრობისაგან.*

VI საუკუნის შუახანებში კავკასიის ხალხები იდგნენ ორიდან ერთის — აღმოსავლეთ რომის იმპერიის მოძალების ანდა ირანელი სასანიდების რეაქციის არჩევანის წინაშე. მაგრამ თუ უკანაც მიიხედავდნენ, იმ ეპოქის მოღვაწეებს შეიძლება მოჰგონებოდათ ორიენტაციის შეცვლის არაერთი შემთხვევა, რაც კი წარსულში მომხდარა. განა ჯეროვნად არჩეული მიმართულება არ იყო ერთობა და მოკავშირეობა ძლიერ და სასურველად შორეულ რომთან, რაც ალბათ, ჯერ კიდევ ცოცხლად ახსოვდათ, და რასაც აქამდე გვიდასტურებს ლაპიდარული წარწერა ანგორის განთქმულ მონუმენტზე (Monumentum Ancyranum), რომელიც ავგუსტუსის საქმეთა შესახებ მოგვითხრობს (Index rerum gestarum divi Augusti: თავიანთი რწმუნებულების პირით იბერიელების, ალბანელების მეფეებმა... გამოითხოვეს რომაელი ხალხის მეგობრობა), რომ არაფერი ვთქვათ მცხეთაში აღმართულ ვესპასიანეს ცნობილ წარწერაზე!

წინა საუკუნეებში კი, პომპეუსთა და ლუკულუსთა ხანაში, იმ დროს, როცა რესპუბლიკა ებრძოდა მითრიდატე ევპატორ პონტელს, ეგებ „ნაკლებ ცხენზე“ ითამაშა კავკასიამ და ეგებ არასწორი „ორიენტაციის“ გამო იზარალა კიდეც; შორეთისკენ, საუკუნეთა სიღრმისკენ შეეძლო მიექცია თვალი VI საუკუნის კოლხეთ-ლაზიკის, ანდა იბერიის პატრიოტს და ბევრი რამ მოჰგონებოდა. მაგრამ მან არ იცოდა, რა ელოდა წინ, რას უმზადებდა კარზე მომდგარი მყობადი: არ უწყოდა არც ბრძოლად აღმდგარ ისლამის და ასევე შეურიგებელ ქრისტიანულ სამყაროს შორის მოქცეულ კავკასიის სა-

---

* შდრ. დედნისეული სიტყვები, რომლებიც მიეწერება აიეტს: Agatiae Historiarum III.9. გვ. 156, 1823 წლის გამოც., Corpus scriptorum historiae Byzantinae. რუსული თარგმანი ტექსტში მოცემულია კრებულის მიხედვით: ლაზიკა და იბერია (კ. განი, ანტიკური მწერლების ცნობები კავკასიის შესახებ, ნაწილი II, ტფილისი, 1890), მაგრამ ოდნავ გაშალაშინებულია ჩემს მიერ. კ. განს ბერძნული დედნის კოლხიკე პოლიტეია არასწორად აქვს გადმოცემული, როგორც „კოლხთა სამეფო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკუნოვანი შეჭირვება, არც ბედი აქაური ქვეყნებისა, რომლებიც გრდემლად უნდა დასდებოდნენ გამუდმებული შემოსევების ურის ცემას; არც შემდგომი საუკუნეების ორომტრიალი, რომელსაც საქართველო ხალიფების ბაღდადისა და ძოწეულოვანთა გვარის კონსტანტინოპოლის შემდეგ მიჰყავდა სპარსული აღორძინების ისპაჰანშიც, ამურატების სტამბოლშიც, „ჩუმ“ ხელმწიფეთა მოსკოვშიც; ხოლო ჩვენს დროში, რომანოვების პეტერბურგის იმპერიასთან საუკუნოვანი კავშირის შემდგომ, ჯერ 1918 წ. ბერლინის გზას გაუყენა, 1919-ში — ლონდონისას, ხოლო 1921 წ. კვლავ დაუმორჩილა მოსკოვის ძალაუფლებას, ამჯერად ლენინის მოსკოვისას.

მაშინ VI საუკუნეში, არც იმის წინასწარმეტყველება შეეძლოთ, რომ უნდა აღსრულებულიყო ოცნება საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა, ოცნება, რომელიც აიეტს ხიბლავდა წარსულში. მართლაც, დადგა დრო, როცა ხალხის ჯაფის, მმართველების კეთილგონიერების, ეროვნული ენერგიის ძალისხმევის მადლით, მართებულად შეფასებული და ბრძნულად გამოყენებული სასიკეთო გარეგითარებით, საქართველოს აღარ სჭირდებოდა „ორიენტაციის“ არჩევა, მას დაუდგა ბრძოლასა და შრომაში თავისუფალი ცხოვრების ხანა: დავით აღმაშენებლიდან თამარ მეფემდე (XI—XIII სს.), თითქმის იმ დროის მანძილზე, რაც, იბნ-ხალდუნის სიტყვით, სჭირდება სახელმწიფოების აყვავებას, საქართველოც ეწია დიადი ეპოქების სიხარულსა და ნაყოფიერების ამოფეთქვას. მეცნიერთა და მწერალთა ახალი თაობების მზრუნველმა ხელმა თანდათან გადააცალა წარსულის მიტოვებულ ფურცლებს დავიწყების ფერფლი; და ეს წარსული, თითქოს ფრესკას საუკუნეების ჭვარტლი გადააცალესო, ახელილი თვალების წინაშე გაბრწყინდა ფერთა მთელი სიუხვით. იწყება აღდგენა ძველი ტრადიციისა, რომელიც ყოველთვის იყო კულტურისა და ჰუმანურობის ტრადიცია.

ამასთან კავშირში და ამ პერსპექტივის მოხმობით ფუჭი და ამაო იქნებოდა საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხთა თანამედროვე პოლიტიკურ მოძრაობაში დაგვენახა გარეგანი ვითარების, პატივმოყვარეობისა და ინტრიგების შემთხვევითი ნაყოფი. ცხადია, რომ ესაა ნორჩი ყლორტი ძველი ხისა, რომელსაც ფესვები ღრმადა აქვს გადგმული მიწაში.

ეს ფესვები რომ ვახსენე და წამით უკან მიხედვა შევთავაზე მკითხველს, როდი ვაპირებ იგი ჩვენი დღეების პოლიტიკურ საკითხებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვარიდო. წინამდებარე წიგნი მკითხველის ყურადღებას შეაჩერებს
რამდენიმე ძაფზე ცხოვრებისეულ ურთიერთობათა იმ უსასრულოდ
რთული ქსოვილისა, რომელსაც ისტორია, ეს მოუღლელი ფეიქარი,
თვალწინ გადაგვიფენს ხოლმე. და თუკი ჩემი მონათხრობისათვის იმ
მოვლენებისა და შთაბეჭდილებების შესახებ, რომლებიც 1918-
1921 წწ. უკავშირდებიან, უპრიანი იყო ორიოდე სიტყვა წარგვემ-
ძღვარებინა შორეული, თუმც არც ისე შორეული, წარსულის შესახებ,
მაშ, როგორ არ დავურთოთ თუნდაც მოკლე ბოლოსიტყვაობა ამ
ნაამბობს, რომელიც მთავრდება საქართველოსათვის ისეთი მნიშ-
ვნელოვანი მოვლენით, როგორიც იყო 1921 წელს კომუნისტების
შემოჭრის შედეგად საბჭოთა ხელისუფლების დამყარება?

ეს მით უფრო საგანგებოდ მიგვაბრუნებს განცდილი ისტორიის
იმ მონაკვეთისკენ, რომელიც ამ წიგნშია მონიშნული.

1918-1921 წლების ევროპის საერთაშორისო პოლიტიკაში საქარ-
თველოს დამოუკიდებლობის საკითხის ეპოპეას რომ მოხაზავდა,
ავტორი ცოტას ლაპარაკობდა, ან თითქმის არ შეხებია თვით საქარ-
თველოს შინა ისტორიას ამ წლების მანძილზე. ყოველთვის ხდე-
ბოდა მისი შინა მდგომარეობის რაღაც პოსტულირება, თანაც
დადებით კილოზე, რაც დაკავშირებული იყო ახალგაზრდა ცხო-
ველმოქმედი დემოკრატიის თანდათანობით თვითდამკვიდრებასთან.

ამგვარი, ყოვლად ზოგადი შეფასება არც თუ ისე ღალატობდა სი-
ნამდვილეს: ტყუილად როდი მიაღწია ამ ქვეყანამ, ბალტიის რესპუბ-
ლიკებთან ერთად, დამოუკიდებლობას იმ სახელმწიფოთა წარმომად-
გენლების დაკვირვებისა და ცნობების საფუძველზე, რომლითაც
ვერ ვიტყვით, რომ ერთთავად და ძლიერ ეხატებოდათ საქართველო
გულზე.

მაგრამ, რადგან 1921 წელს საქართველოს წარმომადგენლობითი
დემოკრატია საბჭოთა პოლიტიკის დარტყმებმა, ბევრისთვის მოუ-
ლოდნელად, უსწრაფესად და ძირფესვიანად დაანგრია, აუცილებე-
ლია ზოგი შესწორების შეტანა 1918-1921 წლების ქართული დემო-
კრატიის ზემოთ მოტანილ შეფასებაში.

ამ შესწორებამ ამავე დროს უნდა განგვიმარტოს, საცნაურყოს,
თუ რატომ გაიოლდა საქართველოში საბჭოების გამარჯვება. არაა
აუცილებელი აქ ვილაპარაკოთ საგარეო პოლიტიკის შეცდომებზე:
ისინი ნაჩვენებია ამ წიგნში. ეს შეცდომები კი არსებითად წარმოდ-
გებოდა ისევ და ისევ მარქსიზმის დოქტრინორული მოძალებით,

სახელმწიფოებრივი ხელოვნების წესების დარღვევით, რაც დიდ ზიანს აყენებდა საქართველოს შინაგან საქმეებსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მთავრობა ამ ქვეყნის ბელადებს გააზრებული ჰქონდათ როგორც დემოკრატიული მთავრობა — საბჭოთა წყობილებისაგან განხვავებით.

სინამდვილეში კი საქართველო ჯერ სრულიადაც ვერ აკმაყოფილებდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის მოთხოვნებს. ამ დემოკრატიის გარეგნული ფორმებით აქ იფარგლებოდა საქართველოს სოც.-დემ. პარტიის დიქტატურა.

ეს არ იქნებოდა უბედურება, რევოლუციურ ეპოქაში სასარგებლოც კი უნდა ყოფილიყო, რადგან პირველ ხანებში მთავრობას მკვიდრ დასაყრდენს შეუქმნიდა კარგად ორგანიზებული გავლენიანი პარტიის სახით. მაგრამ, გარემოების კვალობაზე, საკმაოდ მტკიცე სახელმწიფოებრივი ძალაუფლების განხორციელებას ახლდა პარტიული დოქტრინისაკენ უზომო გადახრა, სახელმწიფოებრივი ხელოვნების დაუწერელი, ინტუიციით მისახვედრი, მაგრამ უცილობელი წესების მეტისმეტი დარღვევები.

ამასთან, საქართველოს მთავრობის ამგვარი ხასიათი თანდათანობით კი არ სუსტდებოდა, არამედ უფრო და უფრო ღრმავდებოდა. 1917 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულმა კონგრესმა თითქოს წარმოსახა სახალხო ერთიანობის სურათი და ქვეყანას შეჰპირდა ეროვნული პოლიტიკის გატარება. 1921 წლის დამდეგს კი საქართველოს თავისი მთავრობისა და დამფუძნებელი კრების სახით ჰყავდა პარტიული ორგანიზაციის კრეატურა, რომელნიც სახელმწიფოებრივ საქმეებში გამოუცდელი დოქტრინორობით დაუღალავად და სიჯიუტით დღენიადაგ ამცრობდნენ მაინცადამაინც თავისივე არსებობისა და მომავლის საფუძველს.

საქართველოს მთავრობა გზის დასასრულს ისეთ ვიწრო ლავგარდანზე აღმოჩნდა, რომ მისი ძირს გადაძახება ერთი წკიპურტით გახდა შესაძლებელი.

ეს შემთხვევით როდი ხდებოდა. რევოლუციიდან გამოსული საქართველოს მთავრობა უფრო მეტად მაინც სოციალური დემაგოგიის მთავრობა იყო, ვიდრე დემოკრატიული და ეროვნული პოლიტიკის ორგანო. მას მართებდა, და ადვილიც იყო, რომ სწორედ ასეთ ორგანოდ ქცეულიყო, მაგრამ ეს არ მოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემამულეთათვის ანგარიშის გასწორება იყო არსებითად ამ მთავრობის მთავარი მისწრაფება.

აგრარული რეფორმის შთაგონების წყარო იყო გლეხობის რეალური მოთხოვნილებაც და რუსეთის რევოლუციის დამთრგუნველი მაგალითი და გავლენა; მოქმედებდნენ ასევე დემაგოგიური რევოლუციური კონკურენციის ხერხები და საშუალებანი. ეს რეფორმა გარდუვალი იყო; მაგრამ იგი განხორციელდა ისეთი ფორმებით, რომლებიც ოდნავადაც არ იაზრებდა სოფლის მეურნეობის პირობებს, მომავლის მოთხოვნილებებს და ისეთი უაღრესად დიფერენცირებული ერის ხასიათს, როგორნიც ქართველები არიან.

შეგნებულად გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდნენ მოსახლეობის მრავალრიცხოვანი ჯგუფების მნიშვნელოვან, შედარებით განათლებულ და აუცილებელ ნაწილს*.

იმავდროულად კი გლეხობის სასარგებლოდ ადრინდელ მესაკუთრეთაგან კონფისკებული მიწის გასხვისების შემდგომ, გლეხთა მასაში ძალაუნებურად ძლიერდებოდა მისთვის ისედაც ჩვეული გულგრილობა პოლიტიკური წყობის საკითხებისადმი, სუსტდებოდა წინააღმდეგობის ყოველგვარი ინსტიქტი გარედან შემოჭრილი ძალის მიმართ, რადგანაც არ ელოდნენ, რომ იგი რაიმე საშიშროებას შეუქმნიდა უკვე ჩატარებულ მიწის რეფორმას.

მოკლედ, საქართველოს აგრარული პოლიტიკა არც ევროპისა და მისი სამოქალაქო კოდექსებისაკენ იყო გადახრილი და არც დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს უბამდა მხარს. სულმოკლეობისა და მიუხვედრებლობის გამო, ყოველყამს მოსალოდნელი შემოჭრის საპასუხოდ, საერთოდ არც მოუწადინებიათ შეიარაღებული ძალების ორგანიზება (თუნდაც 1918 წლიდან კომუნი-

---

* აქ არ ვგულისხმობთ იმ შედარებით მცირერიცხოვან პირებს — ბელადებისა და რაინდების შთამომავლებს, რომელთაც თავისი პოლიტიკური არარაობისა და სულიერი გაღატაკების ფასად ზღვეს ხალხური ტრადიციების უარყოფა; ლაპარაკი მიწის მესაკუთრეთა იმ ფართო ფენაზე, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მიწასა და ხალხთან; მათ შორის იყვნენ საშუალო და წვრილი მესაკუთრენი, რომლებიც ქართული დემოკრატიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელნი და სასარგებლო თანამშრომელნი იქნებოდნენ, თუკი ეს დემოკრატია მოისურვებდა სახელმწიფოებრივად აეწყო თავისი არსებობა.

სტების მაგალითისამებრ); ამასაც საქართველოს მთავრობის ძირითადი დოქტრინა განაპირობებდა — კლასობრივი ბრძოლისა და ძალისმიერი სოციალური გადანაწილების დოქტრინა, და სწორედ ამან შეუშალა ხელი მას ეროვნულ მთავრობად გარდაქცევაში.

აგრარულმა რეფორმამ ერთნი გააღატაკა და დაამცრო, ხოლო სხვებს ისე მიაკუთვნა მიწა, რომ მათთვის რაიმე სერიოზული ფინანსური გადასახადი ან სავალდებულო სამხედრო სამსახური არ დაუკისრებია. ამის გამო უაღრესად გაჭირდა პატარა არმიის შექმნაც კი — იმ ქვეყანაში, სადაც მრავლად ჰყავდათ მწყობრის ოფიცრები, და — იმ ხალხში, რომელსაც საუკუნეების მანძილზე მხედრული სიქველით მოეხვეჭა სახელი.

როდესაც საქართველო საბჭოთა რუსეთთან შეტაკებამდე მიიყვანეს, რუსეთის არცთუ დიდი ძალებისათვის თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რათა შეტევაზე წამოსულ წითელ არმიას „შეიარაღებული ხალხი" კი არ დახვედროდა, არამედ პარტიული ბელადების ჯგუფი, სახელმწიფო ხელისუფლების ექსპლუატაციის მონაწილე ფართო თანასაზოგადოება და მათთან ერთად ერთგული მიურიდების მცირე რაზმი.

მთელი ეს ასაბია სულ იოლად გადაისროლეს შავ ზღვაში.

საქართველოში სამხედრო ორგანიზაცია საფუძველშივე რომ არ არსებობდა — აი, სწორედ ამ შინაური ვითარების კარგმა ცოდნამ უკარნახა მოსკოვის მთავრობას, „ბოლო მოეღო საქართველოსთვის", როგორც კი საამისოდ ხელსაყრელი საგარეო ვითარება შეიქმნა (რაც მოთხრობილია ამ წიგნში).

ამასთან ერთად, დიდი სარგებლობა ნახეს იმ უდიდესი ცდუნებისაგან, რომლითაც, კლასობრივი ბრძოლის, მიწების ჩამორთმევის და სხვ. საბჭოური ლოზუნგების სახით, დაჟინებით და გამუდმებით უწამლავდნენ გონებას საქართველოს „მშრომელ მასებს" — ს.-დ. მთავრობის კლიენტებსა თუ ცრუ ბურჯებს. სწორედ ასე ზრდიდნენ მასებს საქართველოში. რაღა გავლენა უნდა ჰქონოდა მაშინ თბილისელი მედავითნეების მთელ ამ სქოლასტიკურ შენიშვნებს, თავისებურ ახსნა-კომენტარებს, თუკი მათივე დეკიზები მკაფიოდ იხატებოდა შემოჭრილი ჯარების ბაირაღებზე, ხოლო გულში ჩამჯდარი რუსეთის ძლევამოსილების პრესტიჟი იმ წითელი დროშით იმოსებოდა, რომელსაც ჯერ კიდევ გუშინ შეჰხაროდნენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელ მომენტში ქვეყანა-ერის დაპირისპირება შემოჭრილ უცხოელთა წინააღმდეგ, საერთაშორისო სოციალისტური კონგრესების ყარგონიდან უეცრად პატრიოტიზმისა და ეროვნული ეგზალტაციის ენაზე გადასვლა — დაგვიანებული და უიმედო იყო. 1918 წლიდან ამ მხრივ რომ თუნდაც საშუალო სახელმწიფოებრივი მზრუნველობა გამოეჩინათ, სულაც არ იქნებოდა საჭირო ეს ანაზდეული და ესოდენ ფუჭი და უსარგებლო მოწოდებანი...

ჰოდა, მოხდა კიდეც ის, რაც გარდაუვალი და საბედისწერო იყო: ქართული დემოკრატია დაემხო სწორედ იმ მომენტში, როცა იგი, თვითკმაყოფილი და თავდაჯერებული, შემოჯდა თავის პარტიული გამორჩეულობის დიდად მოწონებულ ლავგარდანზე, და, 1921-ის იანვარში, საქართველოს დამოუკიდებლობის სრული საერთაშორისო აღიარების შემდეგ, ელოდა უფრო სრულად და არხეინად დამტკბარიყო თავისი, ბევრ რამეში ფასეული, შრომის ნაყოფით. აი, სწორედ ამ მომენტში-მეთქი, სულ იოლად გადაუშვეს ძირს.

ღირს განა, დავუმატოთ, თუ როგორ უწყობდა ამას ხელს სრული უუნარობა იმისა, რომ მეზობლებთან სადავო საკითხების მოგვარების, მათთან ჯეროვანი კავშირის განხორციელების ტემპი შეეთანხმებინათ ისტორიის გამალებული რიტმისთვის? ანდა ესეც დავუმატოთ: სამწლიანი, ბევრ რამეში წარმატებული, საგარეო პოლიტიკის შემდეგ საქართველო ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ იგი აღმოჩნდა სრულიად იზოლირებული და მოსკოვისა და ანგორის მუდმივი დარტყმის მუქარის ქვეშ? ანდა იმაზეც შევჩერდეთ, თუ როგორ გამოიყენა ერთიცა და მეორეც მოსკოვმა და თავის წარმატებას კავკასიაში ხელი შეუწყო ამიერკავკასიის რესპუბლიკების საკავშირო გაერთიანების პროგრამით — როცა ამ რესპუბლიკებს ძალით თავს მოახვია ის, რაც მათ არ ისურვეს თვითვე გაეკეთებინათ თავისუფლებისა და დემოკრატიის გზაზე? ანდა გავიხსენოთ თურქეთთან ის გამიჯვნა, მოსკოვის მთავრობამ რომ განახორციელა, და რომელიც უმძიმეს პირობებს ითვალისწინებდა განსაკუთრებით სომხეთისათვის (ყარრის დათმობა) და, აგრეთვე, საქართველოსთვისაც; გამიჯვნა, რომელიც მაინც საკითხის გადაწყვეტა იყო და კმაყოფილება მოჰგვარა მრავალ ადამიანს, ვისაც კი ეწადა მშვიდად ემუშავნა რევოლუციის შემდეგ შეკრეჭილ და მოპოვებულ მიწაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ საკმარისია ამ მთავარი ხაზების მონიშვნა, რათა დავუბრუნდეთ ისტორიული ჭვრეტის სტილს და ვთქვათ, რომ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატია, რომელიც ს.-დ.-ის დიქტატურის, ე. ი. მემარჯვენე ფრთის მარქსიზმის, ფორმა იყო, წარმოადგენდა საქართველოში საბჭოთა დიქტატურის გამარჯვების მოსამზადებელ პერიოდს. სოციალური პოლიტიკის მთელი შინაარსითა და თავისი სულისკვეთებით ეს დემოკრატია, თუმც მის წიაღში აშკარად იღვიძებდა ხალხის შეგნება, სინამდვილეში მოსკოვისკენ იყო მიმართული და არა ევროპისკენ. და ამით იქმნებოდა ის ძირეული წინააღმდეგობა მისსავე საგარეო პოლიტიკის იმ ევროპულ ორიენტაციასთან, რომელსაც საქართველო დაბეჯითებით მიჰყვებოდა 1920 წ. გაზაფხულამდე.

როდესაც 1921 წ. თებერვალ-მარტის მძიმე დღეებში საქართველო მაგიდაზე დააწვინეს და ნაცადმა დასტაქარმა, საბჭოთა ხელისუფლებამ, სასტიკი ოპერაცია ჩაუტარა, ამ ქირურგმა იცოდა, რომ პაციენტი ქლოროფორმით დაბანგა და საოპერაციოდ მოამზადა საქართველოს ს.-დ.-ის ასევე გამოცდილმა, თუმც ნაკლებ კადნიერმა ხელმა.

ის, რაც პოლიტიკურად და სუბიექტურად იყო ბრძოლა და გადატრიალებად აღიქმებოდა, ისტორიულად და ობიექტურად აღმოჩნდა შრომის მარტივ განაწილებად და ფაზათა მონაცვლეობად.

სულ ესაა, სამწუხაროა ფრიად, მაგრამ ასეთი პოლიტიკური პასაჟები მაინცდამაინც მნიშვნელოვნად როდი ჩანს იმ ეპოქაში, როცა მილიონობით საღ-სალამათ, ჯან-ღონით აღსავსე ადამიანებს ისე ხოცავდნენ, თითქოს არაფერი მომხდარაო!

კაცობრიობის ისტორია ჟამიდან ჟამზე გიჟური როკვის ფორმებით წარმოგვიდგება. საქმე ისაა, რომ გარეგნულად ბოდვითი ფორმების, მოვლენების უსწრაფეს გაელვებათა მიღმა დავინახოთ ძირითადი თემები, გამოვარჩიოთ ნიადაგ განმეორებადი მკვიდრი ძაფები.

ხალხთა მისწრაფება თავისუფლებისაკენ, შემოქმედებითი, დაშოუკიდებელი არსებობისაკენ ეროვნული კოლექტივების იდუმალი ერთობის წიაღშია და იგია ერთ-ერთი ასეთი თემა, ერთ-ერთი ის ძაფი, რომლის გაწყვეტა მოჩვენებითია ხოლმე.

საქართველოს და მისი მეზობელი კავკასიელი ხალხების დამოუკიდებლობა, მიუხედავად 1920-21 წლების მოვლენებისა, სრულიადაც არაა უბრალო ეპიზოდი გუშინდელი დღისა, რომელიც უმალ

ხდება განვლილი ისტორიის კუთვნილება; პირიქით — ეს დამკვიდრებულ დებლობა არის და დარჩება ჩვენი დღეებისა და ახლო მომავლის ცოცხალ თემად. ამიტომაც ამ წიგნისთვის უცხოა ის განწყობილება, რომელიც გამოხატულია ცნობილ თქმაში: Victrix causa diis placuit, sed victa Catoni.

და თუ აქ არაფერს ვუმატებთ იმის შესახებ, რა პირობებში და რა ცვლილებათა თანხლებით მიდის ახლა საქართველოს ცხოვრება, ცხოვრება ქვეყნისა, რომელსაც თავს მოახვიეს საბჭოთა კავშირის სხვა სახელმწიფოებთან გაერთიანება; როგორ სახეს იღებს კავკასიაში პოლიტიკური და სამეურნეო განვითარება მთელი იმ მდგომარეობის გავლენით, რაც რუსეთის რევოლუციამ წარმოქმნა; და სინამდვილეში როგორ აეწყობა ურთიერთობა კავკასიის ხალხებს შორის მას შემდეგ, რაც 1921 წ. ყარსის ზავით თურქეთს არგუნეს მნიშვნელოვანი ტერიტორიები; — აი, ამათ გამო არაფერს ვუმატებთ-მეთქი — და იმიტომ, რომ უკვე ჩვენს წინაშეა ისტორიული ქსოვილის ახალი რთული ნაჭერი, რომელიც ჯერ არ გამოსულა ფეიქრის ხელიდან, და მისი განსჯაც ნაადრევი იქნება.

საქართველოც, სომხეთიცა და აზერბაიჯანიც არსებობენ; ყოველის მომსწორებელმა ბორბალმა, რომელმაც მათ გადაუარა, ვერ აღგავა ისინი პირისაგან მიწისა. მათი ისტორია არ წყდება 1921 წელს; იგი გრძელდება ახალ ვითარებაში.

წინამდებარე წიგნისათვის, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ავტორისეულ ცდას და უშუალო განცდებზეა აგებული, საკმარისია ასეთი ზოგადი შენიშვნები; 1921 წლიდან ჩვენი რესპუბლიკების პოლიტიკურ ბედზე ავტორს შეეძლო ელაპარაკა მხოლოდ ცნობისმოყვარე მკითხველივით, რომელმაც ბევრი რამ არ იცის.

მაშ ასე — განგრძობა და არა შეწყვეტა. და არავინ უნდა ჩაებღაუჭოს წარსულს. აწმყოში ბევრად მეტი რეალობაა, ხოლო მომავალში — მიმზიდველობა.

რაც შეეხება იმ მრავალთ, რომელთა რიცხვს ავტორი თავის თავსაც აკუთვნებს და ვინც პოლიტიკურ აშლილობაში დაზარალდნენ, (მაინც იმ ხალხზე ბევრად უფრო ნაკლებ, ომში მახვილით რომ მოისრნენ, ანდა სამოქალაქო შეტაკებებში ეწამნენ!), ისინი პირად ჭრილობებს არად აგდებენ და არც ადრიან იმ საქმის ბედს,

რომელსაც ემსახურებოდნენ; მათ ისღა დარჩენიათ, რომ მოიგონონ სიტყვები გონიერი კაცისა, რომელსაც თავისი და მათი სათქმელიც ასე დაუწერია: „si l'evenement me bat, s'il favorise le party que j'ay refusé, il n'y a remede; je ne m'en prens pas à moy; j'accuse ma fortune, non pas mon ouvrage; cela ne s'appelle pas repentir".*

(Montaigne. Essais. Livre III, chap. II).

პარიზი, 1924-ის სექტემბერი

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ნაგულისხმევი იყო, რომ წინამდებარე თხზულება შევსებულიყო მეორე ტომით; მასში შევიდოდა ავტორის მიერ დაწერილი ნოტები და მემორანდუმები, რომლებიც მოიცავენ მთელ პერიოდს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან, ვიდრე დიდი სახელწიფოების მიერ მის იურიდიულ აღიარებამდე (1918-1921); ისინი სხვადასხვა ხელმოწერით იგზავნებოდნენ ევროპის დედაქალაქებში; ერთად თავმოყრილი ეს დოკუმენტები ერთგვარი მცირე კრებულიც იქნებოდა საქართველოს და კავკასიის უახლესი ისტორიის მასალებისა, და, ამავე დროს, რახან ერთი კაცის შედგენილია, აზრისა და სტილის რაღაც ერთიანობასაც წარმოგვიდგენდა. ფრანგულ ნაწერთა ამ კრებულისათვის, წინასიტყვაობისა და კომენტარების სახით ნავარაუდევი იყო კავკასიის პოლიტიკის რამდენიმე ძირითადი საკითხის მოკლე მიმოხილვა, მაგრამ ამ განზრახვაზე უარის თქმა მოგვიხდა, რაც დიდი შვება იქნება მკითხველისათვის და უფრო მეტადაკი — ავტორისათვის.

ალბათ, ზედმეტი არაა იმის ახსნაც, თუ რატომ გამოდის თავისი არსით ქართული და კავკასიური წიგნი რუსულად: ავტორი გულისხმობდა, რომ ევროპაში მიმოფანტული კავკასიის შვილებისათვის და კავკასიასთან დაკავშირებული რუსებისთვის — ე. ი. მკითხველთა შესაძლო წრისათვის, ყველაზე მეტად გასაგები საერთო ენა რუსულია.

წინამდებარე თხზულება (წინასიტყვაობითურთ) სტამბას ჩაჰბარდა საქართველოში მომხდარი აჯანყების (1924-ის სექტ.) ცნობის მიღებამდე.

---

* „თუკი რაიმე მოვლენა მჯობნის, თუ იგი მხარს უჭერს ჩემს მიერ უარყოფილ არჩევანს, და ამას აღარაფერი ეშველება; ამის გამო ჩემს თავს არ ვყვედრი; ბრალს ვდებ ჩემს ბედს და არა ჩემს ნამოქმედარს; ამას მონანიება არა ჰქვია". (მონტენი, ცდანი, წიგნი III, თავი II).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასრულდა მათი ამბავი
ვითა სიზმარი ღამისა

რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვამ საქართველოში რუსეთის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე იჩინა თავი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

საქართველოს რუსეთთან შეერთების პირობები არანორმალური იყო; თავის დროზე (1801 წელს და შემდეგ) იგი არცთუ ისე უმტკივნეულოდ განხორციელდა*.

მიუხედავად რუსიფიკატორული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ენერგიისა და გარეგნული წარმატებისა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსათვის სავსებით შეუძლებელი იყო თავისი ეროვნული ცხოვრების მოგვარება, რუსეთთან სრული შ ე რ წ ყ მ ა, შ ე ზ რ დ ა მაინც არ მომხდარა.

რუსული კულტურის ნაწილობრივ დამანგრეველი, სხვა მხრივ კი სასიკეთო გავლენა, აქ ყოველ შემთხვევაში, ღრმა და მრავალმხრივი იყო; საქართველოს პოლიტიკური ლოიალობა რუსეთის იმპერიის მიმართ კი თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე — მყარი და ურყევი; და მაინც საქართველოს რუსიფიკაცია ყოველგვარი ს ა კ უ თ ა რ ი ს, ეროვნულის უარყოფის მხრივ ისევე ვერ განხორციელდა, როგორც „უცხოტომელთა“ განაპირა მხარეებში. სიმართლე რომ ითქვას, თვით პროგრამა რუსიფიკაციისა მეტყველებდა მხოლოდ სახელმწიფოებრივ შემოქმედებითს სიღატაკეზე, „იმპერიის მშენებლობის“ ცხოველმყოფელი წყაროების დაშრობაზე თვით რუსეთის სახელმწიფოებრივ ცენტრში**.

---

* იხ. ამის თაობაზე ზ. ავალოვი, საქართველოს შეერთება რუსეთთან, მე-2 გამოც., 1906 (რუსულ ენაზე). არსებობს კიდევ ნ. დუბროვინის ძველი წიგნი და ხელთუფლიშვილის მცირე კარგი გამოკვლევა (მოსკოვის იურიდიულ უწყებაში 1890-იანი წწ.) და ა. შ., მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ სრულად არ არის დამუშავებული.

** ომისა და რევოლუციის წინ საქართველოს ეროვნული საკითხის შესახებ ზოგადი ნარკვევი დავწერე კრებულისათვის: „ეროვნული მოძრაობის ფორმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღა თქმა უნდა, მარტოოდენ 1917 წლის რევოლუცია იძლეოდა სერიოზულ შესაძლებლობას წამოჭრილიყო საქართველოს საკითხი როგორც საჯარო სამართლის საკითხი რუსეთში. მაგრამ მხოლოდ ბოლშევიკურმა გადატრიალებამ და დიდი ომის პოლიტიკურმა კონიუნქტურამ 1918 წლის ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ გახადა შესაძლებელი — აუცილებელიც კი — ამ საკითხის საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აზრით და უკვე საერთაშორისო სამართლის ნიადაგზე გადაწყვეტა (ბევრისთვის მოულოდნელად).

საქართველოს საკითხის განვითარების საკუთრივ ამ საერთაშორისო სტადიას (1918—1921 წ.წ.) ეხება აქ მოყვანილი ფაქტები, დაკვირვებანი და მოგონებები. მაგრამ სიცხადისათვის უნდა დავიწყო ზოგიერთი ადრეული ეპიზოდებიდან — (უპირატესად 1917 წ.) — პოლიტიკური მნიშვნელობისა თუ უბრალოდ ყოფითი მომენტიდან, თუმცა მათ ყოველთვის უშუალო კავშირი ექნებათ ამ წიგნის მთავარ, წმინდა პოლიტიკურ თემასთან.

ევროპასა და რუსეთში", რომელიც გამოვიდა 1909 წ. (სპბ. „ობშჩესტვენნაია პოლზა"). მეორე ჩემი ეტიუდი კავკასიის პოლიტიკის პრობლემების შესახებ დაბეჭდილი იყო პ. ბ. სტრუვეს „რუსსკაია მისლ"-ში (1911 წ.). შესაძლოა ამ შრომებში გაშუქებულია ის ფესვები, რომელთაც 1918 წლის რამდენადმე სათბურის ატმოსფეროში უკავშირდება ესოდენ სწრაფი აღმოცენება საქართველოს დამოუკიდებლობის ხისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი I

რუსეთთან ერთად!

1.

როცა პეტროგრადში იფეთქა თებერვლის რევოლუციამ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როცა დაიწყო რომანოვების სახელმწიფოს ნგრევა და დაშლა, საქართველოში არავის (მცირე გამონაკლისის გარდა) გაუფიქრებია და უთქვამს: „დადგა დრო რუსეთის უღლის გადაგდებისო". თუმცა ესმოდათ, რომ დგებოდა ტრადიციული სამხედრო-პოლიტიკური დიქტატურის მეშვეობით მთელი კავკასიის მართვის აღსასრული; იმპერატორთა ხელისუფლებასთან ერთად ეცემოდა რუსების ასწლოვანი ბატონობის დროს შემუშავებული კავკასიის პროკონსულობა. კავკასიის ხალხების სახელმწიფოებრივი თვითმმართველობა — ჯერ კიდევ გუშინ მიუწვდომელი ოცნება — მოულოდნელად გადაწყვეტილ, უცილობელ საქმედ იქცა.

მაგრამ დროებითი მთავრობა (პირველი შემადგენლობა) არ აპირებდა უარის თქმას კავკასიაში რუსული სამფლობელოებისა თუ რუსეთის სხვა რომელიმე ისტორიული მემკვიდრეობის ნაწილზე; პირიქით, იგი წინააღმდეგი არ იყო გაეზარდა ეს მემკვიდრეობა. მეორე მხრივ, საქართველო, არც სხვა რომელიმე ნაწილი კავკასიისა, არც კი ფიქრობდა რუსეთის იმპერიისაგან გამოყოფას (იმპერატორები აღარ იყვნენ, იმპერია, ასე ფიქრობდნენ, კვლავ არსებობდა). ეგონათ, რომ რევოლუცია ყველას მისცემდა შესაძლებლობას გაერთიანებულიყვნენ ამჯერად ყველასათვის სასიამოვნო და ხელსაყრელ საწყისებზე. როგორც ჩანს, ამ გრძნობით აგზავნიდა დროებითი მთავრობაც თბილისში „ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს" (რომელზეც ქვემოთ ვიტყვით რამდენიმე სიტყვას).

რუსეთთან ერთიანობის აზრით უნდა იქნეს გაგებული ის განცხადებები საქართველოს დამოუკიდებლობაზე, რომლებიც კეთდებოდა 1917 წლის მარტიდან საქართველოშიც და მის საზღვრებს გარეთაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება ამ განცხადებებს არც ჰქონოდათ პირდაპირი პოლიტიკული დანიშნულება, მაგრამ მათში ნათლად ჩანდა, როგორ ბუნებრივად მიმდინარეობდა საზოგადოებრივი აზრის პოლიტიკური კრისტალიზაცია თვით საქართველოში და მთელ რუსეთში გაფანტულ ქართულ კოლონიებში. ამ კრისტალიზაციის ღერძი სწორედ დამოუკიდებელი საქართველოს იდეა იყო, ე. ი. საქართველოში საკუთარი სახელმწიფოებრივი მართლწესრიგის შექმნა. ოღონდ საქართველო უნდა დარჩენილიყო საერთო რუსულ სახელმწიფოებრივ კავშირში.

ამ აზრზე დამყარებული რეზოლუცია ერთხმად მიიღო ჯერ კიდევ 1917 წ. მარტს პეტერბურგში მცხოვრები ქართველების საერთო კრებამ, სადაც შთაგონებული სიტყვა წარმოთქვა თბილისის უნივერსიტეტის მომავალმა მესაძირკვლემ, ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა ი. ჯავახიშვილმა. მის ბაგეთაგან უეცრად რაღაც ახლებურად ამეტყველდა საქართველოს ათასწლოვანი პოლიტიკური ტრადიცია*.

K 210-859

მაგრამ რევოლუციის ეპოქის პირველ თვეებში საქართველოში ყველაზე დარაზმული და მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტია (სოც.-დემ.) რაღაც გაურბოდა ამ საერთო სახალხო, ესოდენ ბუნებრივი და მარტივი მისწრაფებებისა და იმედების საერთო ნაკადს. ქართველი სოციალ-დემოკრატები ყოველთვის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემადგენლობაში იყვნენ. საქართველოში ისინი სასტიკად და, უმეტეს წილად, თვითონ ასე ეგონათ, წარმატებით ებრძოდნენ საქართველოს ავტონომიის მომხრეებს „ცენტრალიზმის“ დასაცავად.

ასეთ პოზიციას ინარჩუნებდნენ ისინი, ბუნებრივია, დროებითი მთავრობის დროსაც, სანამ რუსეთის „მენშევიზმს“, რომლის პოლიტიკური მიმდევრები და მეპაიეებიც სოც.-დემ.-ბი იყვნენ, გავლენა ჰქონდა რევოლუციის ხელმძღვანელობაში. ამ დროს ისინი მაინცადამაინც არ იწონებდნენ საქართველოსა და რუსეთის სხვა განაპირა ქვეყნების „დამოუკიდებლობის“ ლოზუნგის წარმატებას.

ყველაფერ ამას ჰქონდა თავისი მიზეზები და ახსნა, რომელთა აქ მოყვანა, ალბათ, უადგილოა; მხოლოდ განსამარტავად მოჰყვა სიტყვას, რომ დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა ქართულ საზოგადოებაში რევოლუციის პირველი დღეებიდანვე გამომჟღავნდა-

---

* მე პატივი მქონდა ამ კრების თავმჯდომარე ვყოფილიყავი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთქი. მაგრამ სწორედ ოქტომბრის (საბჭოთა) გადატრიალებისა და ამით გამოწვეული ქართველი სოციალ-დემოკრატების ქართული ეროვნული პროგრამის პოზიციაზე გადასვლის შემდეგ, რომელიც გამაგრებული იყო ამიერკავკასიის (დროებით: „დამფუძნებელ კრებამდე!“) სეპარატიზმით, ქართველი ხალხის მისწრაფებების „კრისტალიზაციამ“ მიაღწია საწადელ სისრულეს.

ეს მიღწევა მჭიდროდაა დაკავშირებული 1917 წლის ნოემბრის საქართველოს ეროვნულ კონგრესთან თბილისში, სადაც გამოვლინდა ნამდვილი, თუ გნებავთ, „საღმრთო“ ერთობა ქართველი ხალხის ყველა კლასისა და ჯგუფისა.*

2.

მაგრამ არავის უფიქრია რუსეთთან სახელმწიფოებრივი კავშირის გაწყვეტა; ისევე როგორც არ უფიქრიათ ამაზე ესტონეთში, ლატვიასა, ლიტვასა და რუსეთის განაპირა მხარეებში. საქართველო ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, სხვებთან ფეხშეწყობილი მიდიოდა.

მე მით უფრო მეადვილებოდა ამის განსჯა, რომ 1917 წ. (ისევე როგორც ადრე, 1905-1906 წწ.) მონაწილეობას ვიღებდი განაპირა მხარეების იმ მოღვაწეთა პეტერბურგის თათბირებში, რომლებიც იმპერიის ფედერაციულ გარდაქმნას ემხრობოდნენ. თათბირის დავალებით (იგი, ჩვეულებრივ, იკრიბებოდა ესტონეთის ერთ-ერთი საკრედიტო საზოგადოების შენობაში ბოლშაია კონიუშენნაიას ქუჩაზე) ამ წყობილების ზოგიერთი ძირითადი დებულების სქემატური პროექტიც კი შევადგინე. პროექტის განხილვის მონაწილეთაგან ზოგის კვალიც აღარ ჩანს, სხვანი კი დამოუკიდებელ რესპუბლიკათა სახელმწიფო მოღვაწენი გახდნენ, როგორც, მაგ., პიიპი, შემდეგ — ესტონეთის პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი.

1917 წლის თათბირები, თავის მხრივ, იყო 1905-6 წლების თათბირების პირდაპირი გაგრძელება, განსაკუთრებით „ავტონომისტების“ კონფერენციისა, რომელიც მოიწვიეს 1905 წ. ს.-პეტერბურგში,

---

* ამ შემთხვევაში ერთნი, სრულიად ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, დიდად აფასებდნენ ეროვნული გაერთიანების ფაქტს, როგორც აუცილებელ საფუძველს სახელმწიფოებრივ ფორმათა შექმნისათვის. მეორენი კი, უმთავრესად ცდილობდნენ განემტკიცებინათ და დაეცვათ საქართველოს ფარგლებში ან მთელს ამიერკავკასიაში ის, რასაც უწოდებდნენ „რევოლუციის მონაპოვარს“. სინამდვილეში ორივე ეს საგანი მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული ერთმანეთთან.

ლესგაფტის კურსების შენობაში. კონფერენციას თავმჯდომარეობდა ცნობილი ლინგვისტი პროფ. ბოდუენ დე-კურტენე და დამთავრდა რუსეთის განაპირა მხარეების ავტონომიურად მოწყობის იმ რეზოლუციის მიღებით, რომელიც ბიუროს დავალებით ჩემს მიერ იყო შედგენილი*.

თათბირი, რომელმაც ეს კონფერენცია მოიწვია, მოგვიანებით, 1906 წ. ცდილობდა შეექმნა ავტონომისტთა ცალკე კავშირი პირველ სახელმწიფო სათათბიროში. „თათბირმა" ამ ერესით მოწამლულ სახელმწიფო სათათბიროს წევრებს მიღება მოუწყო აწ განსვენებული, ყველასაგან პატივცემული ესტონელი მოღვაწის დოქტორ გელლატის ბინაზე. პირველ სახელმწიფო სათათბიროსთან მართლაც შეიქმნა „ავტონომისტთა კავშირი" (მისი თავმჯდომარე იყო ა. ი. ლედნიცკი, მდივანი — ვ. ლ. გელოვანი), მაგრამ ვერ მოასწრო რაიმეთი თავის გამოჩენა.

მაგრამ მე სრულიადაც არ ვაპირებ 1917 წ. რევოლუციის წინამორბედი წლების ავტონომიისა და ფედერაციის ლოზუნგების ისტორიის წერას. რუსეთში ბევრმა, ვინც ადრე ამ იდეებს დანაშაულად, ან, უკეთეს შემთხვევაში, უაზრობად ან ახირებად მაინც მიიჩნევდა, 1917-20 წწ. შემდეგ შეითვისა ისინი. სამწუხაროდ, მათი შემოქცევის დროისათვის უკვე აღარ არსებობდა რუსეთის იმპერიის ფედერაციული გარდაქმნის მთავარი წანამძღვარი — უკვე აღარ არსებობდა ეს იმპერია. ახალ პირობებში კი, ე. ი. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ — ავტონომიის ლოზუნგი თითქმის ავტომატურად იცვლებოდა დამოუკიდებლობის ლოზუნგად. ასე იყო, კერძოდ, საქართველოში, და მთლიანად ამიერკავკასიაში, რომ არაფერი ვთქვათ, სხვა განაპირა მხარეებზე.

მაგრამ დავუბრუნდეთ დროებითი მთავრობის ეპოქას.

3.

1917 წ. მარტის დასაწყისში (ჯერ კიდევ ძველი სტილით) ერთხელ მე ტელეფონით გამომიძახეს იუსტიციის სამინისტროში ა. თ. კერენსკისთან. „ოღონდ, ღვთის გულისათვის, დიდხანს ნუ დარჩე-

---

* რამდენიმე ხნით ადრე, იმავე 1905 წელს, მე დავბეჭდე ეტიუდი — „საოლქო სეიმები. ფედერალიზმი" კრებულში — „კონსტიტუციური სახელმწიფო", რომელიც გამოსცეს ი. ვ. გესენმა და ა. ი. კამინკამ ს.-პბ.-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით“ — მეველრებოდნენ დერეფანში ახალგაზრდა მინისტრზე მზრუნველი ქალები, — „დაიქანცა და უნდა ისაუზმოსო“. მართლაც, კერენსკი მეტად გადაქანცული ჩანდა (მიზეზიც ჰქონდა). „ჩვენ გადავწყვიტეთ, დაიწყო მან გადატრიალების პირველ საბრძოლო დღეებში საბოლოოდ ჩახლეჩილი ხმით, — ამიერკავკასიის სათავეში დავაყენოთ კომიტეტი, რომელშიც შევლენ სახელმწიფო სათათბიროს წევრები. მე ვთხოვ, აგრეთვე, პერევერზოვს* გაჰყვეს მათ. ჩვენ გვინდა თქვენი შეყვანაც ამ კომიტეტში. თანახმა ხართ? თუ თქვენი აზრით — გულწრფელად მითხარით — უკეთესი იქნებოდა ამ კომიტეტის წევრად კიტა აბაშიძე** გაგვეხადა?“

ა. თ. კერენსკის ახლო ურთიერთობა ჰქონდა 1915 წ. კავკასიის ფრონტზე დაღუპულ სათათბიროს წევრთან ვ. ლ. გელოვანთან და ზოგიერთ სხვა ქართველ მოღვაწეებთან, და, ამდენად, იცნობდა კავკასიის პოლიტიკურ მიმდინარეობებსა და საკითხებს.

მე მხარი დავუჭირე კიტა აბაშიძის კანდიდატურას. კერენსკი ცოტას ყოყმანობდა, მაგრამ მალე დამეთანხმა, რომ ეს არჩევანი სასურველი იყო (დროებითმა მთავრობამაც ასე გადაწყვიტა ეს საკითხი). მე გამოვემშვიდობე მომავალ დიქტატორს.

არსებითად „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი“ იყო რუსეთის დროებითი მთავრობის დელეგაცია, რომელსაც უნდა ემართა ამიერკავკასია. დროებითმა მთავრობამვე გადაულოცა მას როგორც თავისი უფლებამოსილება, ისე თავისი სისუსტეც. ძალიან მალე კავკასიაში, რუსეთის მაგალითისამებრ, დაარსდა რევოლუციური ორგანიზაციები: მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები და სხვ. მათი „ძალმომრეობის“ თუ სხვა მიზეზთა წყალობით ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი ნამდვილად ვერასოდეს გახ-

---

* ცნობილი ნაფიცი ვექილი, შემდეგ, აგრეთვე, თვითონ იყო იუსტიციის მინისტრი (დროებით მთავრობაში).

** კიტა (ნათლობის სახელი — ივანე) აბაშიძე, თვალსაჩინო ქართველი ლიტერატორი, სოც.-ფედ. პარტიის ერთი ხელმძღვანელთაგანი, გარდაიცვალა 1917 წელს ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის წევრის თანამდებობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და „პეტროგრადიდან დანიშნულ ამიერკავკასიის მთავრობად“, რაც საც იგი არსებითად წარმოადგენდა.*

დროებით მთავრობას საიმისო დროც კი არ ჰქონდა, რომ უფრო საფუძვლიანად ეფიქრა კავკასიისა და რუსეთის ურთიერთდამოკიდებულებაზე.

დროებითი მთავრობა ფიქრობდა, რომ თბილისში განსაკუთრებული კომიტეტის („ოზაკომის“)** გაგზავნით მან შექმნა ამიერკავკასიაში მისთვის სასურველი დროებითი ორგანო. იყო რაიმე სამომავლო გეგმა? არ ვიცი. ინერციით თუ დამყაყებული ჩვეულების ძალით, „კავკასიის“ საქმეები განსახილველად „შედიოდა“, „დაქვემდებარებისდა მიხედვით“, ცენტრალურ უწყებებსა და დაწესებულებებში. ზოგიერთ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს იხილავდა დროებითი მთავრობა; მაგალითად, ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, მოგვიანებით — ამიერკავკასიაში საერობო დაწესებულებების შემოღება***.

თებერვლის რევოლუციის მიერ შექმნილ პირობებში კავკასიის მართვის ორგანიზაციის უმთავრეს საკითხში დაკმაყოფილდნენ, როგორც ითქვა, ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შექმნით.

როგორც ჩანს, ზოგიერთს მიაჩნდა, რომ „ოზაკომი“ საკმაოდ ვერ უზრუნველყოფდა ამიერკავკასიის კავშირს რუსეთთან, მის მთავრობის ცენტრთან პეტროგრადში და, გარდა ამისა, სასურველი იყო ისევ (როგორც რევოლუციამდე) სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის უმაღლესი მმართველობის გაერთიანება (რომლებიც „ოზაკომ“-ის სისტემით გაიყო).

---

* თავმჯდომარე იყო სახელმწიფო სათათბიროს წევრი ხარლამოვი (კ.-დ.), წევრები: ა. ჩხენკელი, ი. აბაშიძე, მ. პაპაჯანოვი და მ. ჯაფაროვი, საკუთრივ რუსეთის ხელმძღვანელობით ქართულ-სომხურ-თათრული ერთობის ხატი. მაგრამ ეს „სიმბოლიზმი“, ვგონებ, კომიტეტის ერთადერთი ღირსება იყო.

** ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (შემოკლებული აღნიშვნა რუსულად).

*** მე არ შევეხები ამ ორ საკითხს, თუმცა 1917 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში მათს განხილვაზე მიწვეული ვიყავი პეტროგრადში.

ამ მიზნით ორი კავკასიის სათავეში, ფიქრობდნენ, დაენიშნათ განსაკუთრებული უმაღლესი კომისარი. ამგვარად, ახალი ფორმით აღდგენილი მეფისნაცვალობა, მგონი, უნდა ჩაებარებინათ გოლოვინისათვის, II სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი თავმჯდომარისათვის, რომელიც იმხანად იმპერატორის კარის სამინისტროს კომისარი იყო.

გეგმა გაურკვეველი და ბუნდოვანი ჩანდა, მაგრამ მასზე უკვე ილაპარაკეს გოლოვინთან ჩატარებულ ერთ კერძო თათბირზე (ზამთრის სასახლეში), სადაც მეც ვიყავი მიწვეული, როგორც „მცოდნე პირი“.

მეორე თათბირი ამ საკითხზე შედგა, უფრო მცირერიცხოვან წრეში და გოლოვინის გარეშე, ვ. დ. ნაბოკოვთან, რომელიც, როგორც დროებითი მთავრობის საქმეთა მმართველი, ფორმალურად უზრუნველყოფდა მის კავშირს კავკასიასთან. ამ თათბირს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. მოცემულ მომენტში ყველაფერი ეს იყო ილუზიები და ოცნებები იმ ეპოქისა, რომლის დასასრული ახლოვდებოდა.

ამიერკავკასიის უფრო ავტორიტეტული (ყველაფერი შედარებითია!) დროებითი მთავრობა შეიქმნა მოგვიანებით — ქვემოდან, სახელდობრ, რევოლუციური წარმოშობის ადგილობრივი ორგანიზაციების გაერთიანებით (რომლებიც დამფუძნებელი კრების ერთგულნი დარჩნენ და არ ცნეს საბჭოების ხელისუფლება) — „ამიერკავკასიის კომისარიატის“ სახელწოდებით (1917 წ. ნოემბერში). ამის შემდეგ ფორმალური გამოყოფა რუსეთისაგან და ცალკე ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაარსება მხოლოდ საგარეო პირობებზე იყო დამოკიდებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი II

ქართული კომიტეტი პეტროგრადში

4.

1917 წლის ბოლოსა და 1918 წ. დასაწყისში მე გახლდით პეტროგრადის ქართული კოლონიის „ეროვნული კომიტეტის" წევრი. რევოლუციის შემდეგ ყოფილი იმპერიის ფარგლებში ასეთი კომიტეტები სოკოებივით მომრავლდნენ ყველგან, პოლონეთიდან დაწყებული წყნარ ოკეანემდე, სადაც კი ქართული ჯიშის მცირე ჯგუფიც კი არსებობდა. ასეთი ორგანიზაციები აღმოცენდნენ ერთდროულად, თავისთავად, როგორც დადასტურება ქართული ეროვნული მოძრაობის ცხოველმყოფელობის და ბუნებრიობისა.

პატრონის ნებართვით პეტროგრადის კომიტეტს ფურშტატის ქუჩაზე გრაფინია პანინას ცალკე სახლი ეჭირა.

მისი ჩვეულებრივი ფუნქციები — არა სახლის, არამედ კომიტეტისა — საკონსულო (მნიშვნელოვანი რამაა, როცა რთულდება პიროვნებისა და ქონების დაცვა) და სასურსათო (სასარგებლოა, როცა პური იშვიათობა ხდება) ხასიათისა იყო. აქ, კომიტეტში, გროვდებოდა მწირი ცნობები საქართველოდან. აქ უბრალოდ იკრიბებოდნენ, როგორც კლუბში, სამასლაათოდ — ხშირად ჭიქა ჩაიზე — დრო ქმნიდა ამის მოთხოვნილებას. განსაკუთრებულ შემთხვევებში იმართებოდა ქართული კოლონიის საერთო კრება*.

ამ ორგანიზაციის პრაქტიკული სარგებლიანობა ეჭვს არ იწვევდა; არაერთხელ კომიტეტს საბჭოთა პოლიციის ხელიდან დაუხსნია უდანაშაულოდ დაპატიმრებული პირები; არაერთხელ დაუნაყრებია

---

* საბჭოთა ხელისუფლება პირველ ხანებში საკმაო მოთმინებით ეპყრობოდა ამ ეროვნულ კომიტეტებს. შემდეგ, ტერორის გაძლიერებასთან ერთად, დაიწყო სხვადასხვაგვარი შევიწროება. თავმჯდომარედ თავიდან იყო ა. ქორქია, შემდეგ ა. ჩერქეზოვი, „ს.-პეტერბურგის უწყებათა" რედაქციის წევრი დიდი ხნის მანძილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი „მეურვეობის ქვეშ მყოფნი“ სხვადასხვა შელავათით, მფლელ-ბული საკვებით. მისი წყალობით ერთხანს მრავალი დღე ვკვებულ-ბოდით... ხბოს ტვინით. შემდეგ იყო „წიწიბურას დღეები“ და ა. შ.

ვშიშობ, რომ ჩვენს პოლიტიკურ ამოცანას — ხელი შეგვეწყო, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო პეტროგრადიდან და პეტროგრადში, ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი „მშენებლობისათვის“ (რომელმაც, როგორც ცნობილია, 1917 წ. 25 ოქტომბრის საბჭოური გადატრიალება არ ცნო) — ნაკლებად ვასრულებდით, ვიდრე ამ მოკრძალებულ, „ობივატელურ“ სამუშაოს ჩვენი კოლონიის საჭიროებისათვის. გამართული კავშირი თბილისთან არ არსებობდა. რუსეთისა და ამიერკავკასიის ისტორიული გზები აშკარად იყრებოდა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიცოდით ამიერკავკასიაში ფაქტიურად დამოუკიდებელი ხელისუფლების („კომისარიატის“) შექმნისა და 1917 წ. ნოემბერს თბილისში ქართული ნაციონალური კონგრესის მიერ სახალხოდ მიღებული პროგრამის შესახებ; რაც მთავარია, ვიცოდით, როგორ შეჭირვებული იყო ამიერკავკასია რუსეთ-თურქეთის ყოფილი ფრონტის არასახარბიელო მემკვიდრეობით, ხოლო ამ ფრონტის სიმძიმე არმიების დაშლის შემდეგ ახლა სამხარეო და ნაციონალურ ორგანიზაციებს უნდა ეტვირთათ. მაგრამ პეტერბურგიდან რაიმე სარგებლობის მოტანა ამ მხრივ ძნელი იქნებოდა.

5.

პეტროგრადისა და მოსკოვის ქართულ, განსაკუთრებით კი სომხურ, წრეებში გავრცელებული იყო გაზვიადებული და არეული წარმოდგენები კავკასიური წარმოშობის იმ მეომრების რაოდენობის შესახებ, რომლებიც განთავისუფლდნენ რუსეთის ფრონტებზე სამსახურისაგან და მოისწრაფოდნენ უკან, სამშობლოსაკენ — ვითომცდა „იქ“ ამ მკვიდრი სამშობლოს გარეშე მტერთაგან დასაცავად.

მაგონდება ერთხელ „სმოლნიში“ მისვლა სომხური კომიტეტის რწმუნებულ გენერალ ლ. ტიგრანოვთან ერთად. ჩვენ მიგვიღო პირმა, რომელზეც „ყველაფერი იყო დამოკიდებული“—ა. ენუქიძემ. იგი „დახმარებას დაგვპირდა“ ევროპულ ფრონტებზე განთავისუფლებული ქართველებისა და სომხების სამშობლოში მალე დაბრუნების საქმეში; შემწეობა აღგვითქვა აგრეთვე კავკასიის ფრონტისათ-

ვის უკიდურესად აუცილებელი სამხედრო აღჭურვილობის სხვადასხვა საგნების მიღებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ არც ამ ჩვენს ნაბიჯებს, არც მოცემულ დაპირებებს, ცხადია, არ მოუხდენიათ რაიმე გავლენა მოვლენათა მსვლელობაზე. საბჭოთა მთავრობის ერთადერთი „გავლენის სფერო“ ამ მომენტში იყო უკვე შემზადებული ზავი რუსეთსა და გერმანიის კოალიციას შორის და აქ ამ მთავრობის მუშაობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიერკავკასია კი ფაქტიურად საკუთარ თავს იყო მინდობილი.

„საქართველო და სომხეთი რომ გაერთიანდნენ, ისე როგორც საჭიროა, — მეუბნებოდა სმოლნიდან მომავალ გზაზე ტიგრანოვი (ყოფილი გენერალური შტაბის ოფიცერი), — ისინი ახლაც კი შეძლებდნენ თურქების დამარცხებას და მომავალში შეუვალი ბასტიონის, მათი დამოუკიდებლობის საყრდენის შექმნას. გაიხსენეთ რუკა“ და ა. შ.

ვაი, რომ საქართველოცა და სომხეთიც ბოლო დრომდე რჩებოდნენ მხოლოდ „გეოგრაფიულ გამოსახულებად“; დროებითი მთავრობა ეწინააღმდეგებოდა ნაციონალური ფორმირებების შექმნას; და კიდევ საკითხავია, შესაძლებელი იყო თუ არა მათი შექმნა ასე მოკლე დროში და ისეთი რაოდენობით, როგორიც სჭირდებოდათ. ფაქტი იყო მხოლოდ ის, რომ ფრონტიდან წასული, დაშლილი რუსული არმიის ადგილს ვერავინ დაიჭერდა! თუმცა აღარ შევჩერდები არც იმ ფაქტებზე, არც სხვადასხვა „კომიტეტებისა“ და „ყრილობების“, პიროვნებების ცდებზე გაეერთიანებიათ, კერძოდ, ქართული სამხედრო ელემენტები რუსეთში და გაეგზავნათ იგი საქართველოში. გარემოს გავლენებსა და „მიმდინარე მომენტებს“ (უაზრო, მაგრამ მოარული რუსული პოლიტიკური ჟარგონული გამოთქმა კავკასიაში) დაქვემდებარებული ეს ორგანიზაციები გაიტაცა აგრარულმა საკითხებმაც, პარტიის პროგრამებით დავამაც და ამიტომ ვერაფერი გააკეთეს საქართველოსა თუ კავკასიის სამხედრო ძალის გაზრდისათვის.

6.

მერყეობის დღეებში, რაც წინ უძღოდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ხელმოწერას (იანვარი-მარტი 1918 წ.), პეტერბურგში

შიშიანობა სუფევდა. ზოგჯერ დღე-დღეზეც კი ელოდებოდნენ გერ-მანელი ჯარისკაცებისაგან სატახტო ქალაქის დაკავებას. ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა გრძნობებს გამოხატავდნენ, მაგრამ „ობივატელი“, ვფიქრობ, ნევის პროსპექტზე „პრუსიული კასკის“ გამოჩენის წინააღმდეგ არც იქნებოდა. გერმანული წესრიგის სასწაულმოქმედი ძალისა მაშინ ბევრს სჯეროდა; და სხვებზე არა-ნაკლებ მათ, ვისაც განსაკუთრებულად სძულდათ გერმანელები 1914-15 წწ.-ში.

ისეთი მდგომარეობა იქმნებოდა, რომ „ეროვნულ“ თემებს უნდა ეფიქრათ იმაზე, თუ როგორ მოქცეულიყვნენ გერმანელთა შემოს-ვლის შემთხვევაში. საქართველოს კომიტეტს, სომხების კომიტეტთან ერთად, თათბირიც კი ჰქონდა ამის თაობაზე. იმსჯელეს სხვადასხვა ფორმალურ საკითხებზე, მაგრამ მათ პრაქტიკული მნიშვნელობა არ მისცემიათ, რადგან გერმანელები პეტროგრადში არ შემოსუ-ლან*.

დაახლოებით ამავე დროს — პეტროგრადში ბეჭდვითი სიტყვა ჯერ კიდევ საკმაოდ თავისუფალი იყო — მე, პროფ. ბ. ე. ნოლდეს თხოვნით, ჟურნალ „საერთაშორისო პოლიტიკისათვის“ („მეჟდუ-ნაროდნაია პოლიტიკა“) დავწერე სტატია** ბრესტ-ლიტოვსკის იმ დადგენილებების გამო, რომელნიც კავკასიას შეეხებოდნენ.

ამიერკავკასიის კომისარიატისა და საბჭოთა მთავრობის სრული გათიშვა მოხდა დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ (1918 წ. 11 იანვარს). უტყუარი ცნობები 1918 წლის დასაწყისში თბილისის ამბების შესახებ ჩვენ პეტროგრადში არ გაგვაჩნდა. მაგრამ, რადგან ვიცოდით ქართველებისა და სომხების აზრი — უფრო მეტად მათი

---

* ერთ დროს ბოლშევიკებს ისე ეჭირათ თავი, თითქოს, საჭიროების შემ-თხვევაში, მზად იყვნენ გერმანელებისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ. ამიტომ ოფიცრების ერთმა ჯგუფმა დაიწყო მოხალისე „ივერიელთა“ პოლკის შედგენა (ამ მიზნისათვის მაშინ შეიძლებოდა საბჭოთა მთავრობიდან ავანსის მიღება). ამ წამოწყებას შედეგი არ მოჰყოლია და ჯერ კიდევ შეუქმნელი პოლკი უნდა დაშლილიყო. მის შემადგენლობას (მგონია, რამდენიმე ათეული კაცი იყო) ნება დაერთო „დაბრუნებულიყო“ კავკასიაში ცალკე ეშელონად. საქართველოს კომი-ტეტი ამ წამოწყებას თვლიდა მოუფიქრებელ ნაბიჯად და აშკარად უარყოფითად ეკიდებოდა. მოულოდნელ და ტრაგიკულ დასასრულზე გიამბობთ ქვემოთ.

** ბათუმი და ყარსი. სხვადასხვა სტატიებში ჟურნალმა გადმოსცა სრული შინაარსი და შეფასება ბრესტ-ლიტოვსკის ტრაქტატის აზრისა და შედეგებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობები — ჩემს სტატიაში შემეძლო საკმარისი საფუძვლიანობით მეთქვა, თუ როგორ შეხვდებოდნენ საქართველოსა და სომხეთში თურქებისათვის ბათუმისა და ყარსის დათმობას. მე დაბეჯითებით გამოვთქვი აზრი, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება გარდუვალად გამოიწვევს ამიერკავკასიის თურქეთთან, აგრეთვე სხვა ქვეყნებთან ახალ მოლაპარაკებას და ბიძგს მისცემს რუსეთისაგან ამ მხარის ფორმალურ, სრულ გამოყოფას-მეთქი. ასეც მოხდა სინამდვილეში*. წერილის დასკვნით ნაწილში დამატებული იყო, რომ თუ ასეთი გადაწყვეტილება საერთაშორისო მდგომარეობის შედეგია, შესაძლებელია, იგი მხოლოდ დროებითი აღმოჩნდეს: „შეიძლება გზამ ამიერკავკასიის შთანთქმიდან (რუსეთის მიერ) რუსეთთან მყარ ფედერაციულ კავშირამდე გაიაროს რუსეთიდან გამოყოფაზე", — ვწერდი მე.

ამ სტრიქონების დაწერიდან ეს-ესაა ხუთი წელი გავიდა და აი, საქართველომ და მთელმა ამიერკავკასიამ, რომელნიც, მართლაც, გამოეყვნენ რუსეთს და დაიმკვიდრეს დამოუკიდებლობა, უკვე განიცადეს საბჭოთა ჯარების თავდასხმა (1920-21 წ წ.), 1923 წლის დასაწყისში კი ფორმალურად აღადგინეს კავშირი რუსეთთან. ამ კავშირს ფედერაციული ეწოდება, იქნება კი იგი მყარი?

ამგვარად, 1918 წლის დასაწყისის ჩემი წინასწარმეტყველება, სამწუხაროდ, აღსრულდა 1922-23 წლებში. მე კი ამ ხნის მანძილზე წილად მხვდა მეღვაწა იმისათვის, რომ იგი... არ აღსრულებულიყო; ყოველ შემთხვევაში, არც ასეთი ფორმით, და არც ასეთი პირობებით!

ძნელი იყო პეტროგრადში მშვიდად ჯდომა იმ დროს, როცა საქართველო და მთელი კავკასია იძულებული იყო გაერკვია და წარემართა თავისი პოლიტიკა. საქართველო მკვდრეთით დგებოდა. მსურდა, იქ ვყოფილიყავი და საკუთარი თვალით მენახა ყველაფერი, რაც ხდებოდა.

პეტროგრადში იმ თვეებში** მე მაკავებდა მხოლოდ სამუშაო

---

* ოღონდ მე არ მოველოდი, რომ ამიერკავკასიის სეიმს აზრად მოუვიდოდა თურქეთთან „საომარი მდგომარეობის" აღდგენა!

** 1917 წ. მე ვიყავი 1-ლი (ადმინისტრაციული) დეპარტამენტის სენატორი. ოდესღაც დიდი პეტრეს საამაყო ქმნილება, მმართველი სენატი გაუქმდა 1917 წ. 1 დეკემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „ოგნი“-ში, რომელსაც ფართო ამოცანები ჰქონდა დასახული 1917 წლიდან, როცა გამომცემლობის საქმიანი ხელმძღვანელობა ნ. ბ. გლაზბერგს გადაეცა. მე საგანგებო მეურვეობას ვუწევდი წიგნების სერიას — „ცოდნის წრე“, სადაც 1917-18 წწ. დაიბეჭდა პეტროგრადის საუკეთესო სამეცნიერო-სალიტერატურო ძალების მრავალი შრომა. დავასახელებ აკადემიკოსებსა და პროფესორებს: ზელინსკი, როსტოვცევი, ბარტოლდი, კარსავინი, პრესნიაკოვი, ფარმაკოვსკი და სხვ.

პოლიტიკური ატმოსფერო, როგორც ჩანს, ამ მოღვაწეობისათვის შესაფერისი არ იყო. იმ დროს, როცა სულ უფრო აშკარა ხდებოდა დამფუძნებელი კრების სისუსტე, მწიფდებოდა სამოქალაქო ომის სასტიკი მოვლენები, ჩვენ „ოგნის“ საბჭოს მორიგ სხდომაზე ე. ა. ლიაცკის თავმჯდომარეობით კ. ა. სომოვის „მარკიზას წიგნის“ თუ ა. ნ. ბენუას „რუსეთის ხელოვნების ისტორიის“ ხელმეორედ გამოცემაზე და სახელმძღვანელოთა ბეჭდვის ორგანიზაციის საქმეზე ვთათბირობდით. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, „არადროულობა“ თუ „არათანადროულობა“ აქ მხოლოდ მოჩვენებითი იყო...

თბილისში მაინც უნდა გავმგზავრებულიყავი და ზაფხულისათვის უკანვე გამოვბრუნებულიყავი, რომ გამეგრძელებინა ჩემი სალიტერატურო-საგამომცემლო საქმიანობა. თბილისში კი გავემგზავრე, მაგრამ „წმ. პეტრეს ქალაქსა შინა“ დაბრუნება აღარ მეწერა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი III

სანიტარული მატარებელი №133

7.

1918 წ. გაზაფხულზე სარკინიგზო მიმოსვლა რუსეთის სატახტო ქალაქებსა და კავკასიას შორის არც ისე მოწესრიგებული იყო. არსებითად, მარტოხელა, უბარგო, საჭირო საბუთებით აღჭურვილსა და საშუალო ბედის მქონე მგზავრს შეეძლო ჰქონოდა რაღაც იმედი, რომ დანიშნულების ადგილს მიაღწევდა. სადღაც, დონისა თუ ყუბანის ოლქში, წარმოებდა საომარი მოქმედებანი ბოლშევიკებსა და „კორნილოველებს“ შორის. ზუსტი ცნობების უქონლობისა და მოვლენათა ცვალებადობის პირობებში ყველაფერი ეს ბინდით მოცული იყო და არ გაშინებდა.

მაგრამ მარტო მგზავრობა, როცა ჩემს თავსა და ბედს ვიქნებოდი მინდობილი, არ მეწერა. ქართული ნაციონალური კომიტეტი იძულებული გახდა ეზრუნა ადამიანთა მთელი ჯგუფების „სამშობლოში ევაკუაციაზე“; ისინი მიისწრაფოდნენ თბილისისაკენ, ბაქოსაკენ და ა. შ. სხვადასხვა საბაბით ნამდვილ „ქვეშევრდომთა“ გარდა, „ევაკუირებულთა“ ჯგუფში მიღებას თხოულობდა მრავალი ცალკეული პირი, ფრიად სხვადასხვა ჯურის ხალხი, რომელთაც უნდა დახმარებოდნენ.

ასე დადგა თბილისში იმ მოქალაქეთა გაგზავნის საკითხი, რომელნიც კომიტეტის მეურვეობის არეში აღმოჩნდნენ და „სამშობლოში დაბრუნება“ საგანგებო მატარებლით სურდათ. სმოლნის ხელისუფალთაგან მიიღეს პრინციპული თანხმობა, მაგრამ მატარებელი ვერ მოგვცეს. თუმცა გვითხრეს: ეძებეთ შესაფერისი „შემადგენლობა“ და თუ სადმე აღმოაჩენთ, მოიყვანეთ აქ და თქვენს განკარგულებაში გადმოგცემთო. ასეც მოვიქეცით. გავიგეთ რა, რომ იაროსლავლში შეფერხდა და უქმად დგას ქალაქ ბაქოს სახსრებით აღჭურვილი

სანიტარული მატარებელი, კომიტეტმა იაროსლავლში გაგზავნა მარჯვე „მიმწოლი“, რომელმაც, ერთ მშვენიერ დღეს, მოიყვანა ეს მატარებელი და დააყენა პეტროგრადის რკინიგზის კვანძის ერთ-ერთ მიყრუებულ ლიანდაგზე.

ამასობაში მოვიდა ფორმალური ნებართვა „სანიტარული მატარებელი № 133-ის“ გაგზავნის შესახებ პეტროგრადი-ბაქო-თბილისის რეისით, თუკი კომიტეტის პასუხისმგებლობით მას უკანვე დააბრუნებდნენ: შედგა სიები მგზავრთა გვარებისა მათი ავადმყოფობების ჩვენებით (ამას ითვალისწინებდა სანიტარული მატარებლის დანიშნულება).

28 მარტს, ჩვენდა გასაკვირად, ბოლოს და ბოლოს დავიძარით ადგილიდან — ფინეთის ვაგზლიდან. ბოლო წუთამდე სულ გვეშინოდა, რომ რომელიმე უწყება, დაწესებულება, ან გავლენიანი პირი მოისურვებდა ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი, განგების მიერ ბოძებული მატარებლის წართმევას.

დონის-როსტოვამდე გზაში ერთი კვირა დავყავით. საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა უკაცრიელი სადგურები. უკვე ბევრგან თავისი კვალი დაეტოვებინა მიშვებულობას, რკინიგზები ნახევარი სიცოცხლით ცხოვრობდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ იგრძნობოდა ძველი წესრიგის ინერცია. შეფერხებებიც იყო, ბოლოს და ბოლოს ყველგან თავს ვიძვრენდით. ვიკვებებოდით საკუთარი მარაგიდან; სამხრეთში კიდევ შეიძლებოდა რაიმეს ყიდვა; რამდენიმე ტყვე ავსტრიელ-უნგრელი, რომლებიც მატარებლის მომსახურებისათვის იყვნენ გამწესებულნი, ძლიერ გამოგვადგნენ.

როსტოვში ორ დღე-ღამემდე დავყოვნდით. აქ წაგვაროვეს ვაგონების ნაწილი იმის მომიზეზებით — და არცთუ უსაფუძვლოდ — რომ მგზავრებით საკმაოდ დატვირთული არაა. წინ იგრძნობოდა სამოქალაქო ომი. თვით როსტოვში არ იყო სიმშვიდე. ვაგზლის მიდამოებს პანიკა მოიცავდა ხოლმე. აყენებდნენ და ხსნიდნენ გუშაგებს, გამოჩნდებოდნენ ხოლმე ტყვიამფრქვევები, და ძნელი გასარჩევი იყო, ვინ ამშვიდებდა, ვის ამშვიდებდნენ, ვინ იყო სეირის მაყურებელი და ვის ჰქონდა ძალაუფლება. მოკლედ საშინელება იყო. მატარებლის „მოსახლეობამ“, რომელიც აქამდე საკმაოდ უზრუნველი და სიცოცხლით სავსე იყო, საგრძნობლად მოიწყინა.

არც ვიცოდით, ისე ვუახლოვდებოდით სამოქალაქო ომის ნამდვილ თეატრს. სადგურ კავკაზსკაიაზე გვითხრეს, რომ წინ ველარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგვიშვებდნენ. ვცადეთ მოლაპარაკება ადგილობრივ საბჭოთა ხელ-
მძღვანელობასთან, მაგრამ უშედეგოდ. ხაზით ველაპარაკეთ ეკა-
ტერინოდარს, ვიმოწმებდით სმოლნის, ჩვენს საბუთებს, მაგრამ
წარმატებას ვერ მივაღწიეთ. როგორც გამოირკვა, ეკატერინოდარის
რაიონში* მოხალისეებთან საომარი მოქმედების გამო, ჩვენი სანი-
ტარული მატარებელი (რომელსაც ჰყავდა თავისი შტატი და აღჭურ-
ვილი იყო) ნამდვილი განძი იყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის.
ამიტომ პეტროგრადიდან მისთვის მიცემული განსაკუთრებული და-
ნიშნულების მიუხედავად, გადაწყდა მატარებლის ჩამორთმევა. ძა-
ლიან განაწყენებულები ვიყავით, მაგრამ შეპასუხება არ შეგვეძლო.
სიმართლე უნდა ითქვას, ამ განკარგულებას სავსებით ამართლებდა
მაშინდელი საშინელი დღეების გარემოებები. დაჭრილები იყვნენ,
და სამართლიანობა მოითხოვდა, დაგვეთმო მათთვის ჩვენი მატარე-
ბელი. ჩვენ კი, სანაცვლოდ, გვიბოძეს რამდენიმე თბილანა ვაგონი.
რა თქმა უნდა, მთელი ჩვენი ბარგი გაჩხრიკეს. ერთი სიტყვით, მო-
გვაყენეს ყველა უსიამოვნება, რაც ასე უეცრად და ასე სამარცხვი-
ნოდ შემოვიდა რუსულ ყოფაში რევოლუციის შემდეგ.

ბოლოს ჩვენ მაინც გაგვამგზავრეს იმ მატარებლის შემდეგ,
რომლის შემადგენლობაში, როგორც ეს სადგურ კავკაზსკაიაზე გა-
მოირკვა, იყო ერთი ვაგონი „ივერიელთა“ დაშლილი პოლკის ეშე-
ლონით. ამ „ივერიელთა“ პოლკის შესახებ ზემოთ ორიოდე სიტყვით
მოგახსენეთ**.

მღელვარება ისე დიდი იყო, რომ დრო არ გვქონდა, სათანადოდ
დაგვეფასებინა გაღატაკებული, გაძვალტყავებული შიდა რუსეთი-
დან ნოყიერ, პურითა და სხვა დოვლათით მდიდარ ყუბანის ველებ-
ზე გადასვლა.

8.

შეურაცხყოფა არ მოუყენებიათ, მაგრამ გაჭირვებით გავიარეთ
სადგური ტიხორეცკაია. თვით სადგურ არმავირის წინ (ეს იყო 1918
წ. 7-8 აპრილს) დიდი ხნით გაგვაჩერეს; სადგურის ბაქნიდან მო-

---

* 28 მარტს ეკატერინოდარი დაიკავეს მოხალისეებმა. 29-ში იგი ისევ დაიბრუნეს ბოლშევიკებმა. ღამით 30-დან 31 მარტს ეკატერინოდართან მოკლეს გენერალი კორნილოვი, მაგრამ ჩვენ ამ ფაქტზე მაშინ დანამდვილებით არაფერი ვიცოდით.

** იხ. გვ. 26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანდა უამრავი ხალხით გარშემორტყმული მეორე მატარებელი. ... ხდებოდა იქ, ვერ გაარკვევდი.

როცა, ბოლოს და ბოლოს, გზა განთავისუფლდა და ჩვენი მატარებელი მიუახლოვდა სადგურს, აფორიაქებული ბრბო ის იყო იშლებოდა. აქ ბევრი იყო, როგორც წინათ ეძახდნენ მათ, „საზოგადოების ნაძირალა“ — ის ჩამოხეული, ჩამოკონკილი, უსიამოვნო შესახედაობის ხალხი, რომლითაც ყოველთვის სავსე იყო ყუბანის ოლქის რკინიგზის ცენტრები; სჭარბობდნენ აშკარად თავგზააბნეული ჯარისკაცების მთელი ბრბოები, მტრული გამომეტყველებით; უფრო ნაკლებად იყვნენ — კაზაკები, მკვიდრი ყუბანელები, რომლებიც დაბნეულად გამოიყურებოდნენ. რაღაც ცუდ ამბავს გვიგრძნობდა გული.

ჩვენს მატარებელს სასწრაფოდ გარს შემოერტყნენ და გვიბრძანეს, არ გამოვსულიყავით ვაგონებიდან. თბილანას კარებიდან გვესმოდა ლაპარაკის ნაწყვეტები; გავიგეთ, რომ წინა მატარებელში აღმოუჩენიათ იარაღი და „ოქროსეპოლეტებიანი“, „ბეჭედებიანი“ „კორნილოველები“.

განმაცვიფრა ერთმა მოხუცმა გლეხის ქალმა, რომელიც განსაკუთრებით ჩასციებოდა ამ „ოქროს ეპოლეტებსა“ და „ბეჭედებს“. აი, ამისათვის მათ უეჭველად დახვრეტენო — ამბობდა იგი. მისი აზრით, ეს გარდუვალი იყო. აბა, როგორ, „კადეტები“ ხომ „კორნილოველები“ არიან — განმარტავდა ვიღაც ახლომდგომი. როგორ არ თქვას კაცმა: sancta simplicitas! მაგრამ ასეთი სიწმინდისაგან ღმერთმა დაიფაროს ყველა ჩვენგანი.

ჩვენ მოვხვდით სამოქალაქო ომისა თუ მის შედეგად წარმოშობილ შემთხვევით განუკითხაობათა ერთ-ერთ ადგილობრივ ფოკუსში: ჩრდილოეთიდან ჩამოსული ყოველი თავისუფალი მოქალაქე აქ „კორნილოვშჩინაში“ ეჭვმიტანილი იყო.

ჩვენი მატარებლის გასაჩხრეკად მოვიდნენ ახალგაზრდა კაცები — ერთნი ჩაუქობის პრეტენზიით, მეორეთ — მიამიტ სახეებზე დამნაშავის გამომეტყველება აღბეჭდოდათ, — მათთან ერთად სამხედროების რაზმები, რომელთაც ჯერ კიდევ შერჩენოდათ ყოფილი დისციპლინის ნაკვალევი. ჩვენს შორის იყვნენ საკმაოდ შეძლებული ადამიანები, რომელთაც თან ჰქონდათ მრავალი ძვირფასი ნივთი. ისინი შიშით თრთოდნენ იმის მოლოდინში, რომ წაართმევდნენ ყველაფერს, „ცხვირსახოცსაც არ დაუტოვებდნენ“ (ასეთი ხმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადიოდა). სინამდვილეში, არავისთვის თითქმის არაფერი წაურ-თმევიათ. რევოლვერებს კი, რა თქმა უნდა, გამოვეთხოვეთ, მაგრამ ჩვენს თბილანებს ისევ გუშაგები ეყენა და არ ვიცოდით, გარშემო რა ხდებოდა.

უდავო იყო, რომ აქ, არმავირში გველოდა ტერორი, შეიძლება შემთხვევითიც, „ირეგულარული", მაგრამ მით უფრო საშიში. როგორ დაგვეხსნა თავი? ა. მ. ხოშტარიასთან* მოთათბირების შემდეგ სწრაფად მოვსინჯეთ ნიადაგი. მას კარგად ახსოვდა, რომ მის ერთ-ერთ ნაცნობს არმავირში, ჩვენს თანამემამულეს ჟ-ს, რაღაც თანამდებობა ეჭირა, შეეძლო დაგვხმარებოდა. მაგრამ როგორ მოგვეძებნა იგი? ძალიან უბრალოდ. „აქ არის ბუფეტი, — შევთავაზე მე, — მისი პატრონი და მსახური, ალბათ, ქართველები არიან. გავგზავნოთ „ნარზანზე", მოგვიტანს ლაქია, უთუოდ მოხერხებული და „შეგნებული", იგი ერთ წუთში მონახავს თქვენს მხსნელს". გამვლელი რკინიგზელი დაგვთანხმდა მცირე გასამრჯელოს საფასურად გამოეგზავნა მინერალური წყალი და აი, რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენს ჭიქებში ქაფი ჩადგა. ამასობაში ხოშტარიამ მოასწრო ეთქვა ყველაფერი, რაც საჭირო იყო. ბუფეტის ყმაწვილკაცმა ყველაფერი სწრაფად გაიაზრა და პასუხიც უკვე მზად ჰქონდა.

გვერდით მდგომმა გუშაგმა, შავმიწა მხარის გლეხუჭამ დაიღრიალა: „აქ აკრძალულია თქვენებურად ლაპარაკი" — ალბათ არც კი ესმოდა, რომ წარმოთქვამდა მთელ სახელმწიფოებრივ პროგრამას! ბუფეტის ყმაწვილმა შეუღრინა: „რა, არ გესმის, ახლა თავისუფლებაა, ყველას შეუძლია ილაპარაკოს თავის ენაზე!" (ესეც პროგრამაა!), და განრისხებული სახით უკანვე გაიქცა.

ერთი საათის შემდეგ, ბაქნის ბოლოს გამოჩნდა და ჩაგვიარა, ვითომც ჩვენთვის სრულიად უცხო კაცმა, უბნის რკინიგზის მილიციის უფროსმა: სწორედ ეს იყო ჟ.

ღამე ვაგონებში გავატარეთ, გუშაგები თავს გვადგნენ. დილით ცხელი წყალი დაგვირიგეს, მოგვიანებით კი გამოგვიცხადეს საპატიმროში წაგიყვანთო. შეიქნა ერთი არეულობა, ჩოჩქოლი, გაისმა ქალების მოთქმა. მაშინ აგვიხსნეს: მთლად საპატიმროში კი არა, საგანგებო კომისიაშიო, იქიდანო კი... დავეწყვეთ რიგებად, გარშე-

---

* ჩრდილო სპარსეთის კონცესიების ცნობილი მესაკუთრე, საქმის კაცი, დიდი შოთავე, „ამერიკული ყაიდის".

მო შემოგვერტყნენ ჯარისკაცები და გავწიეთ მთელი არმავირის გავლით კომისიისაკენ. ქუჩებში ხალხი ისე გვიყურებდა, როგორც ცხენ წირულებს. ვიყავით, ვგონებ, 50—60 კაცი და დაკითხვა გაჭიანურდა. კომისიის წევრები, ახალგაზრდა ცრუ-სამხედრო იერის მამაკაცები ჩვენს ახსნა-განმარტებებს შედარებით მოწყალებით ისმენდნენ. ჟ-მ უკვე მიიღო ზომები და „წარმოებაში“ მონაწილეობდა... წარმომადგენელიც ადგილობრივი ქართული კომიტეტისა. ყველაფერი სავსებით ლიბერალურად მიდიოდა. დაკითხვა დამთავრდა და გამოგვიცხადეს, რომ თავისუფალი ვიყავით. ამას რალა სჯობდა? თავი მოწაფე ბალღები გვეგონა. ჩვენი თანამგზავრების დიდი ნაწილი მაინც გაემგზავრა იმავე დღეს არმავირიდან ტუაფსეში — მათი არჩევანი კარგი ბედის გამოდგა. უმცირესობა (10-12) არმავირში დავრჩით. ღამე არმავირელმა ქართველებმა შეგვიკედლეს. მე და ს. კედიას წილად გვერგო გვესარგებლა არმავირში აქციზის ხაზით მომსახურე ჩვენი თანამემამულის სტუმართმოყვარეობით, რომელიც პოლიტიკაში ეროვნულ-დემოკრატების თანამოაზრე იყო: იგი აღფრთოვანებული იყო პატივით — ღამე გაეთენებიებინა ამ პარტიის გამოჩენილი ლიდერისთვის — კედიასათვის, ამით კი მეც პატივნაცემი დავრჩი.

ნაადრევი გამოდგა სიხარული: მეორე დილით ქართულ კომიტეტში გვაცნობეს, რომ არმავირში ჩვენი ჩამოსვლის დღეს დაპატიმრებულ ოფიცრებსა და სხვებს (დაახლოებით 40-მდე კაცს) ბრალად ედებოდათ მოხალისეთა ორგანიზაციის წევრობა, და მათ ჯარისკაცთა მიტინგზე გაასამართლებენო. არმავირი მთლიანად ამ ჯარისკაცთა ხელშია (კავკასიის ფრონტიდან დაბრუნებულების). ისინი არც კაზაკების ხელისუფლებასა და არც რეგულარულ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს არ ემორჩილებიანო.

როგორც ამბობდნენ, დაკავებისას ამ სამხედროებს იარაღი აღმოუჩინეს, ძირითადად შაშხანები, რომლებიც ვაგონს ყოფილა აკრული და ფიქრობდნენ, რომ ისინი ეკუთვნოდა რამდენიმე მთიელს, რომლებიც „ევრეის პოლკში“ ჩარიცხულიყვნენ და თერგის ოლქში ბრუნდებოდნენ. ბეჭდებიცა და სხვა საკანცელარიო ნივთებიც ამ პოლკის კუთვნილება იყო. რაც შეეხება ოფიცრებს, მათი ნაწილი სამსახურებრივი საქმეების გამო ბრუნდებოდა თბილისში, მაგალითად, ისინი, ვინც პეტროგრადში გამგზავრებულიყო კავკასიის ფრონ-

ტისათვის ჯავშნოსანი მანქანების გამოსაგზავნად. სხვები ბრუნდებოდნენ შინ, ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპატიმრებულთ შორის სამხედრო ვაგონში შემთხვევით მოხვედრილი ხალხიც იყო. მაგალითად, ორი სტუდენტი, რომლებიც სულაც სადგურ კავკაზსკაიასთან გადასხდნენ ჩვენი მატარებლიდან ოფიცრებთან ბანქოს სათამაშოდ. ყველა მათგანს, უკლებლივ 39 კაცს, ჯარისკაცთა მიტინგმა იმავე დღეს სიკვდილი მიუსაჯა. მიუხედავად ქართული კომიტეტისა (მისჯილთა შორის 13 ქართველი იყო) და სხვა ორგანიზაციების ყოველგვარი ცდისა დაეხსნათ ისინი. სასჯელი იქვე მოიყვანეს სისრულეში, ტყვიამფრქვევით და იმ სისასტიკით, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ განცვიფრებას იწვევდა, დღეს კი აღარავის აკვირვებს.

თითქოს მთელი არმავირი გაისუსა: თავაშვებული, ჯაჭვაყრილი მხეცი ყველას ემუქრებოდა. მით უმეტეს, რომ არმავირი მდიდარი სავაჭრო ადგილი იყო.

ჩვენ, დადუმებულნი, დათრგუნვილნი, ქართული კომიტეტის შენობაში ვისხედით; უეცრად კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა მოირბინა და გვაცნობა: თქვენ გეძებენო — ჯარისკაცები ღრიალებენ გუშინდელ შემწყნარებლობაზე, აშკარა „კორნილოველები" გაათავისუფლესო. ისინი აპირებენ თვითონ გაგისწორდნენო. დაბოლოს, კომიტეტსაც საშიშროება ემუქრება, რადგან ჩვენც ეჭვქვეშ ვართ. ერთი სიტყვით, თავს უნდა უშველოთ, არმავირს სასწრაფოდ უნდა გაეცალოთო.

ჟ-ს ნაცნობობისა და მოხერხებულობის წყალობით, ჩვენ სასასწრაფოდ განვახორციელეთ ასეთი გეგმა: თბილანას, სადაც ჩვენი ბარგიცაა, სადგურის ხაზებზე უდარაჯებენ ჟ-ს მილიციელები; ჩვენ კი, როგორც შებინდდება, თითო-ოროლა, რომ ყურადღება არ მივიქციოთ, გავემართებით სადგურისაკენ. ნაშუალამევს ჩამოდგება მატარებელი ტიხორეცკაიადან და იმავე ღამეს აიღებს გეზს მინერალნიე ვოდისაკენ (ეს უკანასკნელი მატარებელია, რადგან მეორე დღიდან, სათბობის უქონლობის გამო, მოძრაობა წყდება). ამ მატარებელს უკანასკნელ მომენტში მიაბამენ ჩვენს ყრუდ ჩაკეტილ თბილანას, ვითომ საბარგო ვაგონიაო, — ასე დავაღწევთ თავს არმავირს.

რაგორც კი შესაღამოვდა, ჩვენ სხვადასხვა გზებით გავემართეთ სადგურისაკენ, შევძვერით ჩვენს ვაგონში, დავსხედით ბარგზე და

ლოდინი დავიწყეთ. დაბნელდა. „ყოველი შემთხვევისათვის“ ზვიადთან დაჯდა ჟ-ს ნდობით აღჭურვილი პირი — თოფიანი მილიციელი. მეორე გარეთ იდგა „სამეთვალყურეოდ“. ჩვენ სადღაც გადაგვაადგილეს; შემდეგ ყველაფერი დადუმდა. ვისხედით სიბნელეში; ვჩურჩულებდით. მილიციელმა მონოტონურად გულგრილად დაიწყო 39-ის სიკვდილით დასჯის ამბის მოყოლა, რასაც თვითონ შესწრებოდა ამ დილით. „ჯარისკაცებთან ვერაფერს გააწყობ; მორჩა და გათავდა. აი, თქვენც გეძებენ, ეტყობა. მალე, ალბათ, აქაც მოვლენ, მატარებელთან... მაგრამ არა მგონია, მოგნახონ“... „კაპიტანმა კი არ ისურვა მიწის თხრა, ჰოდა იდაყვი კონდახით გადაუმტვრიეს“... კვლავ უბრუნდება ჩვენი მცველი თავის შეწყვეტილ ამბავს.

დგება შემზარავი, უფორმო მდუმარება. მოგვიანებით იწყება თხრობა იმისა, რომ „აი, გასულ კვირას მოწყალების დას ტყვიამფრქვევი უპოვეს: არტილერისტი გვერდით ედგა — მოუქნია ხმალი, ჩაუჩეხა მთელი მხარი. ის კი, ვითომ არაფერიაო, გზას განაგრძობს. ახლა მეორემ მოუქნია ხმალი და დასცხო მეორე ხელზე“... და ა. შ. ჩვენი დარაჯი ისე გულგრილად გვიამბობდა ამ ამბებს, თითქოს ლაპარაკი იყო ყველაზე ყოველდღიურ გარემოებებზე. თუმცა ეს იყო კიდეც „ყოველდღიური გარემოებანი“. გაისმა ვიღაცის ქვითინი, რომელიც მალევე მიწყდა — „საბარგო ვაგონი“ მდუმარე უნდა იყოს.

ხანგრძლივი სიჩუმე. მოგვიანებით — მოულოდნელი სტვენა — მეორეჯერაც — მოახლოვებული მატარებლის გრუხუნი, და შემდეგ, სადგურის ჩვეულებრივი გუგუნი, თუმცა მალე — დახშული. ისევ რაღაც ფუსფუსი, სადგურის ხმამაღალი ხმები. „ეტყობა, თქვენ გეძებენ“, — გვიჩურჩულა დარაჯმა.

ისმოდა მომანევრე ორთქმავლების მოძრაობა. ბიძგი, და ჩვენ საითკენღაც დაგვძრეს. გადაგვიყვანეს სხვა ხაზზე, რაღაცას მიგვაბეს. მალე ჟ-ს ხმა შევიცანით, რომელიც აქვე ვიღაც მილიციელს ელაპარაკებოდა. შემდეგ ჩვენმა დარაჯმა გამოსწია ვაგონის კარი და უხმაუროდ გაძვრა სიბნელეში; კვლავ სტვენა — და მატარებელი დაიძრა არმავირიდან, სადაც 39 წამებული ადამიანი თავისივე ხელით გათხრილ ორმოში ჩაყარეს.

9.

სადგურ მინერალნიე ვოდიში რომ ჩავედით, გავიგეთ, მოძრაობა სადაცაა შეწყდება და საეჭვოა ვლადიკავკაზამდე ჩააღწიოთო. იძუ-

ლებული გავხდით დავრჩენილიყავით და „საკურორტო ჯგუფის“ საზღვრებში შეგვერჩია ადგილსამყოფელი. დავბინავდით პიატიგორსკში — საბარგო ვაგონი მკვეთრად შევცვალეთ პირველი კლასის სასტუმრო „ბრისტოლის“ კომფორტით. ამ დროს, ე. ი. 1918 წ. აპრილის შუა რიცხვებში, პიატიგორსკში და ამ რაიონის სხვა დასახლებებში შედარებით სიმშვიდე სუფევდა. საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობა აქ ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო და ეგუებოდა საბჭოთა ხელისუფლების ცნობას. ჩამოსულები ნაკლებად იყვნენ და ყველაფერში სიუხვე იგრძნობოდა.

პიატიგორსკში ჩვენამდე მოაღწია ხმებმა ტრაპიზონის კონფერენციის შეწყვეტის, ყარსის და ბათუმის დაცემის და ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის ფორმალურად გამოცხადების შესახებ. გულმა კიდევ უფრო გაგვიწია თბილისისაკენ, ამ დროს კი იძულებული ვიყავით უქმად გვევლო, გვესუნთქა მკურნავი ჰაერი და დავლოდებოდით გასამგზავრებლად მოხერხებულ შემთხვევას.

მე კინაღამ დროგით გავემგზავრე ვლადიკავკაზისაკენ, გზატკეცილით გაზაფხულზე მგზავრობა მაცდუნებელიც კი არის, მაგრამ ქართული კომიტეტის წევრებმა (ასეთი რევოლუციური წარმოშობის კომიტეტები-საკონსულოები, ყველა აქაურ კურორტზე იყო) გადამათქმევინეს: „მოგკლავენ და გაგძარცვავენო გზაში აუცილებლად“. ესეც თქვენი, ვამბობდი ჩემთვის, pax rossica, რომლის მნიშვნელობაზეც კავკასიაში მე ერთხელ ვწერდი „რუსსკაია მისლ“-ის ფურცლებზე.

როგორც იქნა, დასასრულს მიაღწია ჩვენი მოგზაურობის ამ მოულოდნელმა პაუზამ. პიატიგორსკული ნაყროვანებისა და კეთილდღეობის პირობებში (მოგვიანებით აქაც ყველაფერი ძირფესვიანად გაანადგურა ორფეხა კალიის შემოსევამ), ზოგიერთმა ჩვენთაგანმა წონაშიც მოიმატა; აშკარად შემთხვევით და აშკარად დროებით რომ მოხვდნენ ძველებურ, მათთვის ჩვეულ გარემოში, ისინი ამ წარმავალსა და წუთიერს გულარხეინად მუდმივად რაცხდნენ: ძველებურ ოპტიმიზმსა და თვითდაჯერებას უნერგავდა მათ კვლავ გახსენებული აბაზანა და კარგად მორთმეული საუზმე! მაგრამ ხომ არაა მიამიტური ოპტიმიზმის ეს სიცხოველე ეგრეთწოდებული „ბურჟუაზიული“, ანუ ადამიანთა ფხიანობაზე დამოკიდებული ყოველგვარი წყობილების, ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი IV

კავკასიაში

10.

როგორც კი აღდგა მოძრაობა, ძველებურად საბარგო ვაგონით გავაგრძელეთ მგზავრობა; ისევ გვჩხრეკდნენ, ისევ ვაძლევდით ახსნა-განმარტებებს სხვადასხვა „ფრენჩიან“ ახალგაზრდა მამაკაცებს — ომის დროს მეტისმეტად მომრავლებულ იმ ჯურის ხალხს, რომელსაც არმია და ნახევრადსამხედრო ორგანიზაციები (საერობო, საქალაქო კავშირები, წითელი ჯვრის დაწესებულებანი და ა. შ.) მკვებავ კულტურად მოვლენოდა; მათ ბუნებრივი და აუცილებელი გამოყენება პოვეს რევოლუციაში; ვხვდებოდით რუსეთისაკენ გამობრუნებულ სამხედრო ეშელონებს და ისევ ვრწმუნდებოდით, რომ 1914-18 წლების ომი, უცხო და გაუგებარი ხალხისათვის, რუსეთის მხრივ უდიდესი, სისხლიანი შეცდომა იყო... აქ განსაკუთრებით გეცემოდათ თვალში, რომ იმპერიის ხელოვნური წონასწორობა ირღვეოდა და მისი შემადგენელი ცალკეული ცოცხალი ძალები თუ შემთხვევითი ნაყარნუყარი ახლა ვლინდებოდა თავისი პიროვნულობისა და სიცოცხლისუნარიანობის კვალობით: აი, კაზაკობა; აი, მთიელები; აი, ქალაქის პროლეტარიატი; აი, იმპერიის ყოფილი ჯარი, რომელიც შეიარაღებული მაწანწალების ბრბოებად ქცეულიყო და ა. შ.

გეგონებოდათ, ბუნების ძალებიც კი ვერ დარჩენილიყვნენ ამ საყოველთაო გადანაწილების უტყვ მოწმეებად, რომ მილიონების ძალისხმევითა და ადამიანთა გადანაცვლების შედეგად ყველგან შერყეულიყო სახელმწიფო სამფლობელოების ძველი საზღვრები და რაღაც ახალი „გენერალური გამიჯვნა“ დაწყებულიყო; თითქოს ეს მთაგრეხილიც უბრუნდებოდა თავის პირველადს გეოგრაფიულ საზრისს — ყოფილიყო ქვის საზარ მიჯნად, თვალუწვდენელი რუ-

სეთის ტრამალის პირას ჩამოშვებულ კედლად, რათა ამ ნაკვეთზე მიეცა ფორმა და დაედო ზღვარი უფორმოსა და უსაზღვროსა ვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიკავკაზში მცირე ხანს შევყოვნდით. ქართული კოლონია, რომელმაც ჩვენ არმავირში დაღუპულებს მიგვათვალა პანაშვიდის გადახდასაც გვიპირებდა, რომელსაც, ყველა შანსი გვქონდა, ჩვენც დავსწრებოდით; მაგრამ ცოცხლები რომ გვნახეს, პანაშვიდის მაგიერ სადღესასწაულო სადილი გაგვიმართეს. პირადად მე გამოვეყავი ჩემს თანამგზავრებს, თბილისისაკენ მიბრუნებულ ავტომანქანაში ადგილი დავიგულვე და იქითკენ გავეშურე.

ვლადიკავკაზში ჩვენ შევხვდით ამიერკავკასიის მთავრობის აგენტებს. რომლებიც მარცვლეულის შესასყიდად ჩამოსულიყვნენ. მათგან უფრო დაწვრილებით შევიტყვეთ, როგორ გამოცხადდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, როგორ შეიქმნა მთავრობა ა. ი. ჩხენკელის თავმჯდომარეობით, და ისიც გვითხრეს, რომ უახლოეს დღეებში ნავარაუდევი იყო ბათუმში მოლაპარაკების განახლება თურქებთან, რომელიც უნაყოფო გამოდგა ტრაპიზონში.

გარემოებათა გამო აუცილებელი გახდა, ამიერკავკასია, რუსეთისაგან გამოცალკევებულად, საერთაშორისო პოლიტიკაში გამოსულიყო. უაღრესად მაინტერესებდა ამ გამოსვლის პირობები და მიზნები; სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას მომავალ მუშაობაში. ვლადიკავკაზთან ჩემი თანამგზავრი ა-ძე, რომელიც ახლო კავშირში იყო ქართველი ს.-დ.-ის (მენშევიკების) ბელადებთან, მარწმუნებდა, რომ ამიერკავკასიის მთავრობა აუცილებლად მოინდომებს ჩემი სამსახურით სარგებლობას და სიტყვა მხოლოდ თქვენზეაო.

ვლადიკავკაზის განაპირას, მალაკნების დასახლებაში, საყარაულოს გადავეყარეთ. კბილებამდე შეიარაღებულმა წვეროსნებმა, რომელთაც ხელში რკინის წკეპლები ეჭირათ (ტომრების გასასინჯად), ჩვენი ბარგი განსაკუთრებული სიმხეცის გარეშე გაჩხრიკეს (საერთოდ, მალაკნების ეს საყარაულო ითვლება ყველაზე სასტიკად), და ჩვენ გავიქროლეთ საქართველოს სამხედრო გზის იმ მონაკვეთზე, რომელსაც მეთვალყურეობას მთიელი ინგუშები უწევდნენ. თუმცალა აქედან თბილისამდე შეუფერხებლად და შეუჩერებლივ ვიმგზავრეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ყოველთვის, მთების სიდიადესთან შედარებით, სასაცილოდ და წვრილმანად ჩანს განხეთქილება ადამიანთა შორის, მათი მისწრაფება ერთმანეთის განადგურებისა და ტანჯვისა; თოვლი არასოდეს ყოფილა ასე მშვენიერი და სპეტაკი მაღლა, მთებზე, განსაკუთრებით მიუდგომელნი ჩანდნენ სალი კლდეები მათ ქვემოთ; ხოლო მომიჯნავე ხეობების მკვიდრნი კი, რომელნიც აქა-იქ შემოგვხვდნენ, ისე შორს იყვნენ იმისაგან, რაც ჩვენ რუსეთში დავტოვეთ, სამაგიეროდ, ასე ვფიქრობდით, რა ახლოს არიან იმ მარადიულ ურთიერთკავშირთან, ადამიანსა და ბუნებას შორის რომ არსებობს.

საქართველოს სამხედრო გზა უკაცრიელი იყო. უღელტეხილები ის-ის იყო იწმინდებოდა თოვლისაგან. არც გარემოება იძლეოდა საშუალებას მოენახულებინათ ეს ადგილები იმ ათასობით კოსტრომელ და მოჟაისკელ „ვალოდიებსა“ და „შუროჩკებს“, რომლებიც წინა წლებში თავის მოვალეობად რაცხდნენ აღებეჭდათ თავიანთი სახელები ქვებსა, კლდეებსა და კედლებზე, და ამით საცნაურყოფდნენ ადამიანი-მღილის მისწრაფებას ამ ლაქებით თავი შეგვახსენოს იქ, სადაც შთაგონება პრომეთეს დიადი ტანჯვის ღირსეულ არეს ეძიებს.

„თამარ დედოფლის ციხესთან“ მაგონდება ნ. ი. მარის გაოცება, რატომ გარდაქმნა ლერმონტოვმა დიდებული, საქართველოს ისტორიაში ხატად ქცეული თამარი სიძვის დიაცად, რომელიც შემთხვევით საყვარლებს დარიალის კლდიდან ყრიდაო. თუმცა, მე მგონია, ეს უფრო სახალისო საკითხავია... შუროჩკებისა და ვალოდიებისთვის.

ჩვენი ავტომობილი სუსტი გამოდგა. ფასანაურში მოგვიწია ღამისთევა, სადაც ყველა „ვაკანსია“ დაეკავებინათ სომხურ ოჯახებს, რომლებიც თურქების შემოსვლის შიშით თბილისს გასცლოდნენ. მსახვრელი ურო აღმართულიყო ამიერკავკასიის თავზე, და ვაი, სუსტებს, მოუწყობელთ! მეორე დილით — გზა ანანურისაკენ, მცხეთისაკენ. ყველას ახსოვს პეიზაჟი მთაგრეხილის ამ მხარეს — აქოჩრილი ტყეებით დაფარული მთებისა და მთისწინეთის ნაზი სიგლუვე, მინდვრების სილბო, ყვავილების ფერადოვნება, ჩანჩქერების მუსიკა. და ამ სურნელებაში ანანურის კოშკები და ეკლესია ღაღადებენ ძველი საქართველოს, რაინდების, გულუბრყვილო რწმენისა და გულუბრყვილო წეს-ჩვეულების დროების ამბავს.

დუშეთის სიახლოვეს საკვირველი შეხვედრა გველოდა: გაუთავებელი ქარავანი თეთრჩარდახიანი ოთხ-ოთხ ცხენიანი „ფურგონებისა"; ისინი დატვირთულია ყველანაირი ბარგი-ბარხანით და ქონებით, რომელზეც სხედან ბავშვები, ქალები, მოხუცები. მამაკაცები გვერდით მოჰყვებიან, მოდენიან ძროხებს, ცხენებს. ასობით ასეთი ფურგონი მიემართება ჩრდილოეთისაკენ. ესენი არიან ყარსის ოლქიდან ყუბანისკენ დაძრული მალაკნები. ალალბედზე კი არ მიდიან, მათ გაგზავნილ თავგზიან კაცებს წინასწარ შეუგულებიათ იქაური მიწები. ძლიერი ტომია, ახალ ადგილზე გადასვლით მხოლოდ მოიგებენ. ყარსის ოლქში, 1914 წლიდან მოკიდებული, ომის თეატრის სიახლოვის გამო, ძალიან გაუჭირდათ. რუსული ჯარების წასვლის შემდეგ ხელი ჩაიქნიეს უკვე ათვისებულ მიწებზე და გადაწყვიტეს გადასახლება, რადგან რუსეთის სამხედრო სვებედნიერობის სიმყარის რწმენა ჯერ კიდევ მაშინ დაკარგეს, როცა 1914 წ. დეკემბერში სარაყამიშზე თურქების ღირსსახსოვარი შემოტევის დროს, პურძარილით რომ მიეგებნენ მათ სადგურ ნოვო-სელიმთან.

რევოლუციის შემდეგ დაწყებული რუს ახალმოსახლეთა ამიერკავკასიიდან უკან, რუსეთში დაბრუნება, ესოდენ მნიშვნელოვანი და სტიქიური, ხომ არ მოასწავებს რუსეთის მთავრობის იმ კოლონიზაციური პოლიტიკის დასასრულს, რომელიც ენერგიულად ხორციელდებოდა XX საუკუნეში და რომლის უკიდურესი გამოვლინებაც ომის დროს იყო „ევფრატის კაზაკობის" (სომხური საკითხის გადაწყვეტის რუსული ვარიანტის) შექმნის პროექტი. ყოველ შემთხვევაში, ამიერკავკასიის ხალხების თავისუფალ განვითარებას ასეთი პოლიტიკა, ალბათ, ვერ შეუთავსდება.

12.

მაგრამ... ჩვენ უკვე თბილისში ჩამოვსულვართ. მზიანი დღე იყო, თბილი; ჟრიამული ქუჩებში, ხალხის აშკარად სიცოცხლით სავსე, მშვიდი განწყობილება მკვეთრად განსხვავდებოდა ყველაფერ იმისაგან, რასაც შევეჩვიეთ უკანასკნელი დროის რუსეთში: თავი ვიგრძენით არა მარტო სხვა კლიმატურ პირობებში, არამედ სხვა გარემოშიც. რა თქმა უნდა, რევოლუცია აქაც აკეთებდა თავის საქმეს: მაგრამ სხვა გზას მისდევს და გამოვლინების ფორმაც განსხვავებულია.

საერთორუსული რევოლუციის გამხრწნელ ძალას აქ დახვდა მის

შიერვე განთავისუფლებული და წაქეზებული ხალხების მისწრაფებანი ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრებისაკენ; ეს იყო 1917-18 წწ. კავკასიაში შედარებით თავშეკავებული, შედარებით ზომიერი რევოლუციური პროცესის ერთ-ერთი მიზეზი.

ასეთი იყო ის ზოგადი შთაბეჭდილება, რომელიც თბილისში შემექმნა 1917 წ. შემოდგომაზე და ახლა, 1918 წ. გაზაფხულზე, მე არ მქონდა დრო გამელრმავებინა ეს შთაბეჭდილება: სულ რამდენიმე დღე გავატარე ამ თბილისში — 9 აპრილიდან თავისუფალი ამიერკავკასიის დედაქალაქში.

დამოუკიდებელი ამიერკავკასია! ვერ ვიტყვით, რომ ეს ფორმალური გასვლა რუსეთის იმპერიიდან მიღწეული იქნა თავდავიწყებული ეროვნული სწრაფვით. არა, ეს იყო გამოწვეული პრაქტიკული აუცილებლობით — ხელი მოეწერათ ზავზე, — თავის ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე, და იმ ფაქტით, რომ 25 ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალება არ ცნო ამიერკავკასიამ.

ამ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი არცნობით ამიერკავკასია აშკარად გამოეთიშა ცენტრალიზებული რუსული სახელმწიფოებრიობისა და საზოგადოებრიობის ჩარჩოებს.

1917 წლის 15 ნოემბერს (ძვ. სტ.) შექმნილი ამიერკავკასიის კომისარიატი (თავმჯდომარე ე. ბ. გეგეჭკორი) რევოლუციური და ეროვნული ორგანიზაციების კოალიციას წარმოადგენდა და, ფაქტიურად, ამიერკავკასიის პირველი დამოუკიდებელი მთავრობა იყო. ეს მთავრობა მიზნად ისახავდა დამფუძნებელი კრების (სრულიად რუსეთის) არჩევნების მოწყობასა და კავკასიის ფრონტის დახმარებას 1918 წ. იანვარში.

1918 წ. იანვარში, დამფუძნებელი კრების ფიასკოს შემდეგ რუსეთისა და ამიერკავკასიის სასიცოცხლო კავშირს მხოლოდ ომისა და ზავის საკითხი წარმოადგენდა. ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა ეს კავშირი გაწყვიტა. ამიერკავკასიის მთავრობა თავისი ინტერესების დაცვას შეეცადა თურქეთთან პირდაპირი მოლაპარაკებით (1918 წ. თებერვალ-მარტის ტრაპიზონის კონფერენცია) და სამხედრო დაცვის გზით („ამიერკავკასიის დემოკრატია" „თურქული იმპერიალიზმის" წინააღმდეგ). ტრაპიზონის დიპლომატიურმა მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო, ხოლო სამხედრო დაცვის ცდა, ძალზე მალე და ძალზე სამარცხვინოდ, დამთავრდა ყარსისა და ბათუმის დაკარგვით (1 აპრილს). იძულებული იყვნენ, მართლაც, მოეწერათ ზავზე ხელი და

ამ მიზნით ემზადებოდნენ ახალი კონფერენციისათვის, რომელიც ამჯერად ბათუმში უნდა ჩატარებულიყო. ვინაიდან ზავზე ხელის მოწერაზე ამიერკავკასია უნდა გამოსულიყო როგორც უფლებამოსილი მხარე, ამიტომ იძულებული გახდნენ ამ სამწუხარო საჭიროების გამო, საჯაროდ გამოეცხადებინათ მისი დამოუკიდებლობა, რაც გააკეთეს კიდეც. იმავდროულად შეიქმნა ახალი მთავრობა ი. ჩხენკელის თავმჯდომარეობით, რომელიც ტრაპიზონში ამიერკავკასიის მთავარი დელეგატი იყო. ეროვნული ჯგუფების კოალიციისაგან შექმნილი ეს მთავრობა, რომელსაც ყოველგვარი კავშირი ჰქონდა გაწყვეტილი რუსეთთან, მიზნად ისახავდა ამიერკავკასიის ომიდან გამოყვანას.

...თურქებს ეჭირათ არა მარტო ბათუმი, არამედ ოზურგეთიც, ახალციხეც და აბასთუმანიც; სხვაგვარად რომ ვთქვათ, თბილისსა და ქუთაისს სამხედრო დაპყრობის უშუალო საფრთხე ემუქრებოდა. სომხური პროვინციების ნაწილი უკვე დაკავებული იყო, ზოგი ცოტა ხნით ადრე დაეკავებინათ. თბილისის სომხობას განსაკუთრებით უნდა შინებოდა თურქების შემოსვლისა: მრავალნი უკვე ჩრდილოეთისაკენ მიეშურებოდნენ. ასეთებს სამხედრო გზაზე ვხვდებოდით კიდეც.

... ამგვარი მდგომარეობის მიუხედავად, როცა 1918 წ. 27 აპრილს ჩვენი მანქანა სახაზინო თეატრთან გაჩერდა, ვიმეორებ, უდარდელი და სიცოცხლით სავსე მომეჩვენა თბილისის ქუჩებში გამოსული ხალხი.

„დაგვეხმარეთ“ — „მზად ვარ გემსახუროთ, რითაც შემიძლია“ — ფაქტიურად ასე გამოიყურებოდა ჩემი მარტივი დიალოგი ჩხენკელთან (ამიერკავკასიის მთავრობის მეთაურთან) და ნ. ჟორდანიასთან, რომელიც მთავრობაში არ შედიოდა, მაგრამ სამხარეო პოლიტიკური ორგანიზაციების (საბჭოების) მთავარი სულისჩამდგმელი იყო და ეყრდნობოდა მის ხელმძღვანელობაში მყოფ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

ჩხენკელის თავმჯდომარეობით მუშაობას შეუდგა ამიერკავკასიის კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისია. შემომთავაზეს ამ კომისიაში შესვლა. არ მეჭაშნიკა. „კომისიისა და საერთოდ ამიერკავკასიის არსებობის საკითხი გადაწყდება ბათუმში. იქ ხომ არ გამოგადგებოდით“? გადაწყდა ჩემი წასვლა ბათუმში.

საკონსტიტუციო კომისიის ერთ კრებაზე (4 მაისს) მაინც მოშინდა დასწრება. იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა საერთო საკითხზე: რის საფუძველზე უნდა აშენდეს ამიერკავკასიის ფედერაცია? (ახალი სახელმწიფო უკვე ოფიციალურად იწოდებოდა ფედერაციულ რესპუბლიკად).

სხვადასხვა აზრი გამოითქვა. ზოგიერთ იქ დამსწრე მუსულმანს მიაჩნდა, რომ ამიერკავკასიის სამივე ნაწილთაგანს უნდა მიეღო უფლება ეწარმოებია დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა.

ბაქო ბოლშევიკების ხელში იყო, თურქები კი უკვე აზერბაიჯანს იყვნენ მომდგარნი: ჩვენი თათრებისათვის სასურველი „საგარეო პოლიტიკა" (ბაქოს განთავისუფლება) შეიძლება სულაც არ მოსწონებოდათ სომხებს და ა. შ. ყოველივე ეს სრულიად ნათელი იყო: უცნაურად გამოიყურებოდა მხოლოდ სავსებით განსხვავებულ მისწრაფებათა ნაჩქარევი გაერთიანება „კავკასიის ფედერაციის" დროშით ანდა „ამიერკავკასიის დემოკრატიის" სახელწოდებით.

არა, უდავოა, 1918 წ. მაისში ამიერკავკასიის კონსტიტუციის შემუშავებაზე ზრუნვის დრო არ იყო.

მაგრამ ძალები მოზღვაოდნენ, ისინი სამოქმედოდ იწევდნენ, რევოლუციური ლოზუნგები სასწაულმოქმედ თილისმად აღიქმებოდა.

ადგილობრივმა დემოკრატიამ დიდი ხანია, რაც დაისაკუთრა ყოფილი მეფისნაცვლის სასახლე. მათთან საცხოვრებლად იყოფდნენ კავკასიის ფრონტის დაწესებულებები, რომლებიც ინერციით განაგრძობდნენ უსიცოცხლო არსებობას. იმ მომენტიდან (1917 წ. ნოემბერი), რაც ეგრეთწოდებულმა წითელმა გვარდიამ ჯუღელის მეთაურობით ხელში ჩაიგდო არსენალი, ქალაქი დაცული იყო ფრონტიდან რუსეთში მიმავალი ეშელონების ძალადობისაგან და წესრიგიც, საერთოდ, ასატანი იყო.

ერთი სიტყვით, თურქეთის საშიშროება რომ არა, ამიერკავკასია, ალბათ, გაუმკლავდებოდა თავის საშინაო სიძნელეებს: მის ნაკრებ მთავრობაში, ეროვნულ საბჭოებში, სეიმში საკმაოდ სრულად აისახებოდა ამიერკავკასიის მოსახლეობის მოთხოვნები და გრძნობები, და აქ რესპუბლიკური ფედერაციის შენობის რთული საორგანიზაციო სამუშაო, თუ ღვთის შეწევნა იქნებოდა, შეიძლებოდა კიდეც დაწყებულიყო.

მაგრამ... ბათუმში უნდა გავმგზავრებულიყავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი V

ბათუმში თურქებთან

13.

1918 წ. ბათუმის კონფერენციის თვითმხილველის შთაბეჭდილებებს სასურველია წარვუმძღვაროთ ორიოდე სიტყვა იმ მოვლენებსა და გარემოებებზე, რომელთაც გამოიწვიეს კავკასიის ხალხების პირველი დიპლომატიური შეხება ევროპის სახელმწიფოებთან — ისტორიულად და პოლიტიკურად მთელი ძალა ევროპის ხელში იყო, თუმცა უმთავრესად მოლაპარაკება მიმდინარეობდა თურქეთთან.*

1917 წ., როცა შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი, ეჭვს არ იწვევდა რუსეთ-თურქეთის ფრონტზე თურქეთის წინააღმდეგ ომის გაგრძელების შეუძლებლობა და გადაწყდა ამ სახელმწიფოსთან დაზავება. ზავის პირობები შეიმუშავა ფრონტის რუსულმა სამხედრო ხელმძღვანელობამ, რომელსაც გარეგნული სახე კიდევ ჰქონდა შენარჩუნებული (სამწუხაროდ, მხოლოდ გარეგნული სახე!). ზავს ხელი მოაწერეს 1917 წ. 5 (18) დეკემბერს ერზინჯანში. ერთდროულად მეომარ მხარეთა შორის დადგინდა სადემარკაციო ხაზი აზიის თურქეთის ფარგლებში, შავი ზღვიდან ვანის ტბამდე.

ცოტა მოგვიანებით, თურქეთის მთავრობის თაოსნობით წამოიჭრა საკითხი ამიერკავკასიასთან საზავო მოლაპარაკების შესახებ (1918 წ. იანვრის დასაწყისი ძვ. სტ.).

კომისარიატისათვის უცნობი იყო დამფუძნებელი კრების ბედი, იგი აგრეთვე ელოდებოდა დასკვნას თუნდაც სამხრეთ რუსეთში

---

* შემდეგისათვის იხ. საქართველოს მთავრობის გამოცემა: **Документы и матерьялы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис. 1919 г.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოებრივი (არასაბჭოური) წარმონაქმნებისაგან, — თუ რო-გორ მოქცეულიყო, და გარკვეულ პასუხს ვერ იძლეოდა თურქეთის წინადადებაზე.

ამ მერყეობაში, რომელიც გამოწვეული იყო არა მარტო რთული მდგომარეობით, არამედ „იმპერიული“ ლოიალობის გრძნობითაც, აგრეთვე ჯერ კიდევ ცოცხალი აზრით რუსეთის რევოლუციის და დემოკრატიის ერთიანობის შესახებ, — ძვირფასი დრო იკარგებოდა; ფრონტი საბოლოოდ იშლებოდა; „სადემარკაციო ხაზი“, რომელიც ამ მხრიდან დაუცველი იყო, უკვე აღარ ზღუდავდა თურქებს; და იმ ძალადობის საბაბით, რომელიც სომხურმა სამხედრო ნაწილებმა მუსულმანური მოსახლეობის მიმართ ჩაიდინეს, თურქებმა 1918 წ. იანვრის ბოლოს, დაიწყეს შეტევა რუსეთ-თურქების საზღვრის მიმართულებით.

მხოლოდ ამიერკავკასიის სეიმის მოწვევის (1918 წ. 10 თებერვალი) შემდეგ, ისიც გაჭიანურებით, მიიღეს გადაწყვეტილება: დამოუკიდებლად აწარმოონ მოლაპარაკება თურქეთთან ზავის შესახებ, მოლაპარაკებისათვის აირჩიონ ტრაპიზონი, რომელიც მაშინ კავკასიის ჯარებს ეკავათ. მოლაპარაკების დროს ეცადონ შეინარჩუნონ 1914 წლის სახელმწიფო საზღვრები და მოითხოვონ სომხეთის ავტონომია „თურქეთის სახელმწიფოებრიობის ფარგლებში“ (16 თებერვალი ძვ. სტ.). ეს იმ დროს, როცა კავკასიის ფრონტი ყველგან იშლებოდა ძირმომპალი შენობასავით.

ვერ მოასწრეს თბილისში ამ გადაწყვეტილებაზე შეჩერება, რომ 17 თებერვალს დეპეშით მოვიდა კარახანის ცნობა საბჭოების გადაწყვეტილების შესახებ — ხელი მოეწერათ ბრესტ-ლიტოვსკის ზავისათვის და ამ აქტით ყარსის, ბათუმისა და არდაგანის ოლქები დაეთმოთ თურქეთისათვის. ე. ი. ძირფესვიანად შეეცვალათ კავკასიაში 1914 წ. საზღვრები თურქეთის სასარგებლოდ. სეიმის მიერ დასახული ზავის საფუძვლები აშკარად უტოპიურ ხასიათს იღებდა.

თურქეთმა, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ მოითხოვა სრული დაცლა მისთვის გადაცემული ტერიტორიისა, რომელსაც ფაქტიურად უკვე უახლოვდებოდა თურქეთის ჯარი (25 თებერვალი ძვ. სტ.); ამიერკავკასიის მთავრობამ ჯერ კიდევ მანამდე (17 თებერვალი) განაცხადა პროტესტი ამიერკავკასიის პროვინციების დათმობის გამო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც „ამიერკავკასიის გაუგებლად და მისი დასტურის გარეშე დადებული აქტით“ მოხდაო*.

საკვირველია, მაგრამ ტრაპიზონის კონფერენცია მაინც შედგა. თურქები, რომელთაც რუსეთისაგან მიიღეს სამი სანჯაყი და ისწრაფოდნენ მათს დაუფლებას, როგორც ჩანს, წინააღმდეგი არ იყვნენ, ეს შენაძენი ამიერკავკასიის ბეჭდითაც დაედასტურებინათ.

რაც შეეხება ამიერკავკასიის დელეგაციას, მას, როგორც ჩანს, მაინც ჰქონდა იმედი, რომ დასახულ მიზნებს მიაღწევდა, — ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ პოლიტიკური მდგომარეობის შეცვლისა და ფაქტიურად ფრონტის დაშლის მიუხედავად: ამჯერად ტრაპიზონიც კვლავ თურქების გახდა.

ტრაპიზონის კონფერენციას, რომელიც 27 თებერვალს (ძვ. სტ.) დაიწყო და 1 აპრილს (ძვ. სტ.) დამთავრდა ამიერკავკასიის დელეგაციის უკან, თბილისში გამოწვევით,— შემდეგი დიპლომატიური შედეგები მოჰყვა: ამიერკავკასიას, თურქების ულტიმატუმური მოთხოვნის თანახმად, უნდა ეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება საქართველოსა და სომხეთისათვის მეტად მძიმე პირობებით, რომელსაც მოცემულ მომენტში ისინი თავს ვერ დააღწევდნენ. საბოლოო ზავი ამიერკავკასიას უნდა დაედო არა მარტო თურქეთთან, არამედ მის მოკავშირეებთანაც (გერმანიასთან, ავსტრია-უნგრეთთან და ბულგარეთთან); ამისათვის კი წინასწარ უნდა გამოცხადებულიყო ამიერკავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. შეთანხმებაც კი მოხდა, თუმცა კერძო ხასიათისა. რომ კონფერენციის მუშაობაში მხოლოდ შესვენება ეწყობოდა — მიუხედავად ამიერკავკასიის დელეგაციის გაწვევისა.

ასე ტრაპიზონში სჯიდნენ; თბილისში კი აშკარა ეგზალტაციაში მყოფმა სეიმმა აუცილებლად მიიჩნია ომის გაგრძელება მას მერე, რაც მოისმინა წერეთლის მტკიცება — „ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებს ჩვენ ვერ დავეთანხმებით, მას ხალხის მასები

---

* თავის დროზე, დიდი დაგვიანებით, ამიერკავკასიის მთავრობას გადასცეს მოწვევა, მონაწილეობა მიეღო ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაში. ეს წინადადება, როგორც ჩანს, პრაქტიკულად არ განუხილავთ, რადგან შემდეგ მიიღეს ცნობა, რომ ბრესტ-ლიტოვსკში მოლაპარაკება შეწყდაო. ამ დროს ამიერკავკასიის მთავრობა უკვე მზად იყო დამოუკიდებლად დაეწყო ზავზე მოლაპარაკება თურქეთთან და საერთოდ ოთხთა კავშირის სახელმწიფოებთან.

არ მიიღებენო“, და გეგეჭკორის განცხადების შემდეგ — „ამასამად მთავრობას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა გადაწყვეტილება, გარდა თურქეთთან ომისაო“.* სწორედ ამის საფუძველზე იქნა გამოწვეული დელეგაცია ტრაპიზონიდან (31 მარტს ძვ. სტ.). ერთი სიტყვით, გადაწყდა — ბედი ეცადათ ომში, თუმც საიმედო ჯარები არ ჰყავდათ, ხოლო სეიმის მუსულმანებმა პირდაპირ განაცხადეს: „ამ ომში აქტიური მონაწილეობის მიღება არ შეგვიძლია და ამიტომ აქტიური პასუხისმგებლობაც გვეხსნებაო“.

ამ პირობებში რევოლუციური რიტორიკა, საპარლამენტო სიტყვები, მიმართვები ხალხისადმი, სხვადასხვა ორგანიზაციების მოწოდებები — „ყველანი ფრონტზე!“ და სხვ. ერთობლივ იმავე როლს ასრულებდა, რასაც ჩინეთის ძველ ომებში გველეშაპისა და სხვა საფრთხობელების გამოსახულებები.

გაურკვევლობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

სწორედ იმ დღეს, როცა ენთუზიაზმითა და პათოსით აღსავსე სეიმის კრების დასასრულს ნ. ჟორდანიამ განაცხადა — „ჩვენ ოფიციალურად გავდივართ ომის ასპარეზზეო“, თურქები — სავსებით „ოფიციალურად“ — შემოვიდნენ ბათუმში. ერთდროულად ისინი მიიწევდნენ ყარსისაკენ, რომელიც 12 აპრილს (ძვ. სტ.) დაიკავეს.

აშკარა იყო, რომ „სამხედრო“ ხაზით კარგი არაფერი გამოდიოდა, და გადაწყდა, ისევ „დიპლომატიურ“ ხაზს მიწოლოდნენ.

9 აპრილს გამოცხადდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა; და მაშინვე დაადგინეს, მიეღოთ ზომები სასწრაფოდ ზავის დადებისათვის. ე. გეგეჭკორის მთავრობა გადადგა, რაც გარდუვალი და თანმიმდევრული იყო. იგი შეიცვალა ა. ი. ჩხენკელის მიერ შექმნილი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის პირველი (თუმცა ერთადერთი) კაბინეტით.

10 აპრილს ამიერკავკასიის სარდლობამ გასცა ბრძანება საომარ მოქმედებათა შეჩერების შესახებ; ასეთივე ბრძანებით უპასუხეს თურქებმა, მაგრამ იჩქარეს — არ დაელოდნენ რუსების მიერ ყარსის სრულ და მეთოდურ ევაკუაციას, სახაზინო ქონების გატანას და

---

* საინტერესოა ამიერკავკასიის სეიმში რევოლუციური ომის დასაცავად (31 მარტს, ძვ. სტ.) ყოველივე ნათქვამს შევადაროთ ლენინის უბრალო მოსაზრება, რომელიც თითქმის ასეთსავე ვითარებაში ლაპარაკობდა ამგვარი ომის წინააღმდეგ (28 თებერვალს ცენტრ. კომ-ში): „ომისათვის საჭიროა ჯარი, ჯარი არა გვყავს. მაშასადამე, უნდა მივიღოთ პირობები“ და ა. შ.

შემდეგ მათთვის ციხის გადაცემას. თურქებმა სასწრაფოდ დაიკავეს სიმაგრე 12 აპრილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ თურქეთის მთავარსარდალს ისღა დარჩენოდა, რომ შეეტყობინებინა თბილისში... ოთომანთა მთავრობა ცნობს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას და, თბილისის სურვილის თანახმად, მემდგომი მოლაპარაკების ადგილად ბათუმს ნიშნავსო (1918 წ. 15 (28) აპრილს).

თურქებმა უკვე დაიკავეს ბრესტ-ლიტოვსკში მათი წილხვედრი პროვინციები; ამავე დროს დადასტურდა, რომ მოუწყობელ და შერყეულ ამიერკავკასიას არ შეეძლო სრულიად უბრალო სამხედრო ოპერაციების ჩატარებაც კი.

აი, ასეთ პირობებში იკრიბებოდა ბათუმის კონფერენცია.

14.

ამბობენ, როცა ტრაპიზონში მოსალაპარაკებლად გაგზავნილი ამიერკავკასიის დელეგაცია ნაპირზე გადავიდა დამხმარე კრეისერ „კაროლ კარლოსიდან“ (ეს იყო 1918 წ. 27 თებერვალს ძვ. სტ.), ვიღაც თურქმა თქვაო: თუ ეს მომლაპარაკებელი მხარის მთელი მოსახლეობაა, მაშინ ცოტანი არიან, თუ მხოლოდ დელეგაციაა — ძალიან ბევრნიო.*

ბათუმში გასაგზავნად შედგენილ დელეგაციაში 45 კაცი შედიოდა — მეტისმეტად დიდი ციფრია, მაგრამ გამართლებაც ჰქონდა; სხვა მიზეზთა გარდა, იგი აიხსნება ამიერკავკასიის საგანგებო პოლიტიკური პირობებით — მისი ხელისუფლების ნაკრები ხასიათით, პოლიტიკურ შესაკრებთა სხვადასხვაობით, რომლებიც ერთმანეთს არ ენდობოდნენ.

დელეგატი სულ ექვსი იყო: ჩხენკელი და ნიკოლაძე — საქართველოდან, გაჯინსკი და რასულ-ზადე — აზერბაიჯანიდან, კაჩაზნუნი და ხატისიანი — სომხეთიდან. მათ გარდა იყვნენ მრჩევლები, უწყებათა წარმომადგენლები, „ეროვნული მდივნები“, ე. ი. ქართული, სომხური და მუსულმანური ეროვნული საბჭოების მდივნები, სამხედრო მისია ორი გენერლითა და სამი პოლკოვნიკით და ა. შ.

---

* ჯერ კიდევ სომხეთის მეფე ტიგრანს მიაწერდნენ ამ ნათქვამს: „თუ ესენი ელჩები არიან — ბევრია, თუ მტერი — ცოტაო“ (ლუკულუსის მცირე არმიის დანახვაზე).

ყოველივე ეს იმპროვიზაციად გამოიყურებოდა: საქმისა ... მეთოდურად მომზადებისათვის არც დრო იყო და არც სიმშვიდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამგზავრება გადაწყვეტილი იყო 5 მაისს, საგანგებო მატარებლით, სადაც ბევრი ისეთი პირიც მოკალათდა, ვინც პირად საქმეზე მიემგზავრებოდა თურქების მიერ დაკავებულ ბათუმში. ძნელი იყო სადგურზე მოხვედრა, თუ ავტომობილი არ გყავდა. უფრო ძნელი იყო მატარებლის დაძვრა სადგურიდან; როგორც იქნა, იგი დაიძრა გვიან ღამით.

დილით ადრე ყვირილაში ვიყავით. როგორ არ შეასხა ხოტბა გაზაფხულზე ზემო იმერეთის საგულდაგულოდ დამუშავებული მინდვრების მშვენიერებას! თეთრი ეკლესიები ჩანს სოფლებში; მწვანე ხეობებში აქა-იქ კოშკების ნანგრევებია — მდიდარია საქართველო რომანტიკული პეიზაჟებით!

ეს ერთ-ერთი ნუგეშია მისი სიღარიბისა. სხვები ამ ნუგეშს კარგა ხნის წინათვე შემოსავალსაც მიუმატებდნენ.

გურიის ლანდშაფტის სილბოს (უკვე გურიაში ვართ) ვერ ეგუებოდა აზრი, რომ აქვე ახლოს სანგრები და ოსმალთა პოზიციებია.

სუფსაში ისევ გაჩერება: ქართული ნაწილის საპატიო ყარაული. ქვეითები, არტილერისტები და კავალერისტები; ყველანი ქვეითად არიან მწყობრში, უიარაღოდ.

ჩხენკელმა, სამხედრო პირების თანხლებით, ზლაზვნით ჩაუარა მათ რიგებს; სიტყვას ამბობს — ოფიცრების, ნებით განწესებულთა თვალებში თითქოს ნაპერწკალი აკიაფდა, ჯარისკაცები კი შეუვალნი არიან.

საპასუხო ყიჟინა არ ისმის.

რუხ ფარაჯებს შორის ვხვდები ერთ თბილისელ ადვოკატს — მოხალისეს. ბევრი ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ დაეცა ბათუმი, ჩოლოქის საქმეზე, სადაც როგორც ირწმუნებიან, საგრძნობლად დაზარალდნენ თურქები (უკვე ბათუმის აღების შემდეგ);* ოზურგე-

---

* სწორედ აქ, ჩოლოქზე, თავ. ი. მ. ანდრონიკოვის წინამძღოლობით 1854 წ. რუსის ჯარმა სასტიკად დაამარცხა თურქები. ამ საქმეში „დიდებით შეიმოსნენ“, როგორც წინათ ამბობდნენ, ქართული მილიცია და კერძოდ, თავადაზნაურობის ცხენოსანი რაზმი. 1878 წ. ბერლინის კონგრესზე, რუსეთ-ოსმალეთის საზღვრებზე მსჯელობისას, ზოგი ვინმე ერთმანეთში ურევდა ამ ჩოლოქს უფრო ცნობილ და უფრო სამხრეთით მდებარე ჭოროხთან.

თის ოპერაციის უმართებულო შეჩერებაზე, „სწორედ მაშინ, ოზურგეთი ისევ ჩვენს ხელში გადმოდიოდა“ და ა. შ.

ამ გაზაფხულზე, სწორედ გურიის გლეხობამ დიდად იზარალა იმის გამო, რომ სეიმმა იოლად და წინდაუხედავად გადაწყვიტა ომის განახლება.

ფორმალურად თურქები თითქოს ბრძოლით შევიდნენ ბათუმში, სინამდვილეში კი — წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

მომავალ მოლაპარაკებაში მთელი ჩვენი საქმე გააფუჭა ამ ნაადრევმა, რაც მთავარია, უაზრო ძალთა მოსინჯვამ.

სურათს ავსებს ყარსი და მისი დაცვა სომხების მიერ.

... ჩვენი მატარებლის თავზე თეთრი დროშა ფრიალებს. აი, თურქების სანგრები, იქით კი მათი ჯარების განლაგებაა. დაკორძებული, მოუქნელი ჯარისკაცები, დრაგომიროვის „რუხი საქონელი“... და, შეიძლება, „წმინდაც“?

ჩავდივართ ბათუმში და ვბინავდებით Hotel Oriental-ში, სანაპიროზე, საზღვაო საბაჟოს გვერდით.

15.

ერთი თვეც არ გასულა იმ დღეებიდან, რაც სეიმში მხურვალე სიტყვები წარმოითქმებოდა: ბათუმი ან სიკვდილი! უბათუმოდ ჩვენი სიცოცხლე არ ღირს! — და, აი, დამოუკიდებელი ამიერკავკასიის დელეგატებიც აღმოჩნდნენ ბათუმში, მაგრამ არა როგორც საკუთარ სახლში, არამედ თურქების სტუმრად (1918 წ. 6 მაისი).

სეიმში დეპუტატები არ აჭარბებდნენ ამიერკავკასიისა და განსაკუთრებით, საქართველოსთვის ბათუმის მნიშვნელობის შეფასებისას, იგი მართლაც დიდი და საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ ბათუმისა და ყარსის, როგორც რუსეთის იმპერიის უზარმაზარი სამხედრო-სასაზღვრო მოწყობილობის ნაწილის დაცვა გათვალისწინებული იყო ამ იმპერიისვე დიდი ძალებით. ცნობილი გარემოებების პირობებში, ისინი შეიძლებოდა ქცეულიყვნენ (და, შეიძლება, იქცნენ კიდეც ოდესმე) კავკასიისა ან ამიერკავკასიის გეგმაზომიერი სამხედრო მოწყობილობის ელემენტად. მაგრამ ეს ვერ მოხდებოდა უცბად, 1917 და 1918 წლების მიჯნაზე, როცა ყველაფერი ინგრეოდა.

ერთი სიტყვით, შეუძლებელი გახდა საზღვრების დაცვა თურქების შემოჭრისაგან. თუმცა, ადვილი დასანახი იყო, რომ მაგალი-

თად, ბათუმის დაკავება მტრის მიერ ვერ ჩაითვლებოდა საბ[illegible]ეს დამოკიდებული იყო ომის საერთო შედეგზე. მაშასადამე, თურქეთთან, არსებითად, უნდა შევთანხმებულიყავით მხოლოდ რაღაც modus vivendi-ზე, ძირითადად ამიერკავკასიასთან ბათუმის ეკონომიკური კავშირის უზრუნველყოფის თაობაზე. მაგრამ საქართველოში საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი უკიდურესად ნერვიული იყო; მაგალითად, სოციალ-დემოკრატები, რომელთაც თავისი ძირითადი ძრევლი ჰყავდათ ბათუმში, ვერ ურიგდებოდნენ იმას, რაც მათ — ნაადრევად და გადაჭარბებით — მიაჩნდათ სასიკვდილო დარტყმად საქართველოსათვის. შიშს გამოთქვამდნენ აგრეთვე, რომ ეს დანაკარგი საზიანო იქნებოდა რევოლუციისა და დემოკრატიის საქმისათვის.

გასაგებია, რომ სომხები სასოწარკვეთილი იყვნენ: თურქების ყარსში დაბრუნება საფრთხეს უქმნიდა მთელი სომხეთის მომავალს, თითქოს ასე კარგად დაცულ რუსული სომხეთის პროვინციებსაც ელოდა უშუალო და სასიკვდილო განსაცდელი. აშკარა იყო, რომ სომხები ქართველებზე მეტად გულდამძიმებული ჩამოვიდნენ ბათუმში.

სხვა მდგომარეობაში იყვნენ აზერბაიჯანელები. ისინი თურქებს უკვე როგორც თვისტომთ ისე უყურებდნენ, რომელთაც შეეძლოთ მრავალმხრივ დახმარებოდნენ მათ. ამიტომაც არაფერი სჭირდათ საიმისო, რომ ტრაგიკულად შეეხედათ ბათუმის მომავალი მოლაპარაკებისათვის.

ამ ესოდენ განსხვავებული მოტივების, შეფასებების, შიშის, მისწრაფებების საფუძველზე უნდა შემუშავებულიყო ამიერკავკასიის საერთო პოლიტიკა!

წარმოვიდგინოთ თურქების გრძნობებიც ბათუმის დაკავებისას. ისინი, თითქოს, ბრუნდებოდნენ აქ, 40-წლიანი განშორების შემდეგ. და თუმცა, რაც აქ 1918 წელს დახვდათ, ნაკლებად ჰგავდა 1878 წელს მათ მიერ დატოვებულ ბათუმს, ბრესტ-ლიტოვსკში მათთვის დათმობილ პროვინციებს (სანჯაყებს) ისინი აღიქვამდნენ თავისებურ თურქულ ელზას-ლოტარინგიად, რომელიც, კუთვნილებისამებრ, მათვე დაუბრუნდა*. ამ განსაკუთრებულ გრძნობას დაემატა რაღაც

---

* ამ ტერიტორიებიდან, რომელნიც სისხლხორცეულად არიან დაკავშირებული საქართველოსა და სომხეთის ისტორიასთან, ძველი ქრისტიანული კულტურა თანდათანობით, საუკუნეების განმავლობაში იდევნებოდა იხლამის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ზოგადი რამ: დიდი ხანია თურქეთი მიეჩვია პროვინციების დაკარგვასა და ქალაქების დათმობას. მას შემდეგ, რაც სულთნების ძლიერებამ იკლო, პირველი შემთხვევა გახლდათ, როცა თურქეთის ჯარმა დაიკავა საკმაოდ ცნობილი და მნიშვნელოვანი ქალაქი და ეს წარმატება სტამბოლის პატივმოყვარეობაზე მოქმედებდა. ეს მაინც რაღაც ნუგეში იყო ბაღდადისა (1917 წ. მარტში) და იერუსალიმის (1917 წ. დეკემბერში) დაკარგვის შემდეგ!

აი, რატომ უბრწყინავდათ სახეები თურქ ოფიცრებსა და მოხელეებს ბათუმში 1918 წლის გაზაფხულზე, რატომ ხასხასებდნენ წითელი ლეინის თურქული ბაირაღები ყველა საზოგადოებრივ და სახაზინო შენობებზე!

ამ კონფერენციაზე თურქეთის მთავარი დელეგატი იყო იუსტიციისა და (დროებით) საგარეო საქმეთა მინისტრი ხალილ-ბეი, „ერთობისა და პროგრესის“ ჯგუფის თვალსაჩინო წარმომადგენელი (მოგვიანებით — კონსტანტინოპოლის პარლამენტის თავმჯდომარე), აპოპლექსიური წყობისა და თურქებისათვის დამახასიათებელი ცრუ-ფრანგული პეწის მქონე კაცი. ბათუმშივე იმყოფებოდა ამ დროს კავკასიის ფრონტის თურქი მთავარსარდალი ვეჰიბ-ფაშაც, მხარბეჭიანი, თვალსისხლიანი, საომარი ველიდან უბრძოლველად წასულ ჯარებზე იოლად მოპოვებულ გამარჯვებათა გმირი. ჩვენ დროს ჩამოვიდა კონსტანტინოპოლიდან იახტით საზღვაო მინისტრი ჯემალ-ფაშაც, ცნობილი ტრიუმვირატის წევრი (თალაათი-ენვერ-ჯემალი)*, წარმოსადეგი და თვალსაჩინო ფიგურა. ჩვენს ჩამოსვლამდე ენვერ-ფაშა ბათუმში ყოფილიყო, დიდი ზარ-ზეიმით შეხვედროდნენ და როგორც ამბობენ, არც სულ ხელცარიელი დაბრუნებულა უკან.

განსაკუთრებულ ინტერესს მაინც გერმანიის დელეგაცია იწვევდა. მტრული განწყობა გერმანიისადმი მოსახლეობაში არ იყო და არც უნდა ყოფილიყო. გერმანელებში ხედავდნენ ევროპული კულტურის, ევროპული ცოდნისა და უნარის რიგიან წარმომადგენლებს, ბრწყინვალე მეომრებს, რომელთაც დაიპყრეს ბალტიკა, პოლონეთი, უკრაინა, რუმინეთი. გერმანია ბათუმში ალიკაპი იყო თურქეთისათვის და ეს იყო მთავარი. ასეთი იყო, ყოველ შემთხვევაში, ამიერკავკასიის ქრისტიანული მოსახლეობის ინსტიქტი. საღვთო სიძულვილი გერმანელებისადმი, „სლავოფილური“ თუ სხვა მოტივით, ვგონებ,

---

* ჯემალ-ფაშა მოკლეს თბილისში 1922 წ., ავღანეთიდან დაბრუნების დროს.

თვით რუს ხალხშიც არ იყო გამჯდარი და, მით უმეტეს, არ იქნებოდა ის ქართველებსა, სომხებსა და მაჰმადიანებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის იმპერიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იყო ბავარიის სამსახურის გენერალ-მაიორი ფონ-ლოსოვი*, რომელიც უმაღლეს სარდლობას წარმოადგენდა თურქულ მთავრობაში. თავისი უბრალოებითა და რაინდობით მან ძალიან მალე საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა. დელეგაციის შემადგენლობიდან დავასახელებ გრაფ შულენბურგს, რომელიც ომამდე გერმანიის გენერალური კონსული იყო თბილისში**, და ო. ფონ-ვეზენდონკს***, უაღრესად განათლებულ და ჯერ კიდევ ახალგაზრდა დიპლომატს, ახლო აღმოსავლეთის სპეციალისტს; იგი იყო რიხარდ ვაგნერის მეგობრისა და მეცენატის მატილდა ვეზენდონკის შვილიშვილი, ცნობილი ჰელმჰოლცის ნათლული — თუმცა ყველაფერი ეს ჩვენს ყურადღებას **აშორებს ბათუმს.**

ამიერკავკასიას, უფრო ზუსტად, ამიერკავკასიის სამ ერს ფრიად განსხვავებული წარმომადგენლები ჰყავდათ. ა. ი. ჩხენკელმა, ამიერკავკასიის მთავრობის მეთაურმა, ჯერ კიდევ ვითარცა სათათბიროს (მე-4) წევრმა, თავი გამოიჩინა საგარეო პოლიტიკის საკითხებისადმი დიდი სიყვარულით. იგი, ჩვეულებრივ, ამ საკითხზე გამოდიოდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით. თავისი პარტიის წევრთაგან ჩხენკელი სხვებზე მეტს ფიქრობდა ეროვნულ საკითხზე და საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე; იგი საქართველოს ავტონომიას მაშინაც იცავდა, როცა ეს ქართველ სოც.-დემოკრატებს შორის ცუდ ტონად მიაჩნდათ. მის მკვიდრ პატრიოტიზმს ფესვები ჰქონდა ქართული სამღვდელოების საუკეთესო ნაწილის ღრმა ეროვნულ ტრადიციებში, რომლის გარემოდანაც ჩხენკელი გამოვიდა. ამავე დროს მისი თავგამოდება და ლოიალობა ყველაფერში, რაც მთელი ამიერკავკასიის ინტერესებს ეხებოდა, არავისში იწვევდა ეჭვს.

მეორე ქართველი დელეგატი ნ. ი. ნიკოლაძე მსუბუქად ატარებ-

---

* პრესაში გენ. ფ.-ლოსოვის სახელი ხშირად იხსენიებოდა ბავარია-გერმანიის შინაურ არეულობასთან დაკავშირებით 1923 წ. ბოლოს (ჰიტლერისა და ლიუდენდორფის საქმე და სხვ.); იგი საიმპერიო შეიარაღებულ ძალებს განაგებდა ბავარიაში.

** ახლა (1923 წ.) გერმანიის ელჩია თეირანში.

*** 1923 წ. გერმანიის გენერალური კონსული თბილისში.

და თავისი 75 წლის ტვირთს. რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც იგი ჭაბუკური გატაცებით ეთათბირებოდა გერცენს — როგორ გაეწნა სილა რუსეთის მაშინდელი ჟანდარმთა შეფისათვის! ანდა თუნდაც იმ დროიდან, როცა მან, თბილისის „ობზორის“ რედაქტორმა, ისეთი განგაში ატეხა მთელს რუსეთში თავისი ლიტერატურული პროცესით, რომ თვით ანატოლი ლერუა-ბოლიეც კი დაწვრილებით გადმოსცემს ამ ამბავს თავის „Empire des Tsars“-ში! (მაგრამ ეს ხომ მაინც „წარღვნამდელი“ ამბებია!). მისი უშრეტი მეხსიერება, თურქულ-კავკასიური ურთიერთობების ცოდნა, საუბრის ბრწყინვალე ნიჭი, ცეცხლი თვალებში, თეთრ წვერთან და წარმოსადეგ გარეგნობასთან ერთად — მეტად საჭიროსა და სასარგებლოს ხდიდა მის ყოფნას ბათუმში.

მთავარი სომეხი დელეგატი იყო ა. ი. ხატისიანი, განათლებით ექიმი, საქართველოში მცხოვრები სომეხთაგანი, ერთ დროს თბილისის ქალაქისთავი; persona gratissima ვორონცოვების დროს მეფისნაცვლის სასახლეში, ტიპიური და მომქმედი წარმომადგენელი იმ სომხური მიმდინარეობისა, რომელიც იცავდა და აფართოებდა სომხების მიერ დაკავებულ პოზიციებს მთელს კავკასიაში და რუსეთის დახმარებით იმედოვნებდა თურქეთის სომხეთის შექმნასაც. ეს იყო გამოცდილი, მრავლისმხილველი, სიცოცხლით სავსე, წითელლოყება მოღვაწე*.

დანარჩენი სამი იმ დროისათვის ამიერკავკასიის პოლიტიკის საქმეებში შედარებით ნაკლებად ცნობილი იყო, თუმცა ყველანი მოწოდებული იყვნენ მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინათ თავისი ხალხის ბედის გადაწყვეტაში. რ. კაჩაზნუნი მალე სომხეთის მთავრობის მეთაური გახდა. მანამდე ამიერკავკასიის მთავრობაში იგი ითვლებოდა „სახელმწიფოებრივი შეწყალების მინისტრად“. ხატისიანისა და კაჩაზნუნის მსგავსად, მ. გაჯინსკი (კაჩაზნუნივით ისიც ინჟინერი იყო) შედიოდა ჩხენკელის მიერ შექმნილ მთავრობაში; მას მინდობილი ჰქონდა ვაჭრობისა და მრეწველობის პორტფელი**.

---

* მოგვიანებით ხატისოვი სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის მეთაური იყო.

** თუმცა პორტფელების მთელ ამ განაწილებას სერიოზული მნიშვნელობა არ ჰქონია, ანუ მათი განაწილების იქით საქმე აღარც წასულა ამიერკავკასიის მთავრობის მალე გაქრობის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე აზერბაიჯანელმა დელეგატმა რასულ-ზადემ თავი ეროვნული-იჩინა სეიმში. სახელი მან გაითქვა სპარსეთში, სადაც მუშაობდა თეირანის პრესაში სპარსეთის განახლების მოღვაწეებთან ერთად. მშვენივრად იცოდა სპარსულიცა და თურქულიც, და საკუთარი მაგალითით გვიჩვენებდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და ფართო შეიძლება გახდეს პოლიტიკური კავშირები აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიისა, როცა ის პოლიტიკურად განვითარდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი VI

ბათუმის კონფერენცია

16.

ახლა გადავალ თვით კონფერენციაზე, რომლის გარეგნული მატიანე შეიძლება ძალიან მოკლე იყოს: შედგა მხოლოდ ერთი სხდომა, 11 მაისს, ბათუმის კლუბის შენობაში.

ხალილ-ბეიმ წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა (თურქულად) — და ახსენა „თავისუფლების მშვენიერი ვარსკვლავი", რომელიც ამობრწყინდაო კავკასიის თავზე, თურქების სურვილია დაამყაროს კეთილმეზობლური ურთიერთობა და ა. შ. ორხან-ბეიმ (იგი თურქების მდივანი იყო ბრესტ-ლიტოვსკში) წაიკითხა ამ სიტყვის ფრანგული თარგმანი.

შემდეგ იმსჯელეს, დაეშვათ თუ არა კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენელი ჰაიდარ-ბეი ბამატი.

მთიელ მოღვაწეებს მნიშვნელოვანი კავშირები ჰქონდათ თურქეთთან. გამოაცხადეს თუ არა თავისი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, მათ სასწრაფოდ მოინდომეს დიპლომატიური თუ სხვაგვარი მხარდაჭერის მოპოვება კონსტანტინოპოლში. იქვე იმყოფებოდა მათი მთავრობის თავმჯდომარე აბდულ-მეჯიდ-ბეი ჩერმოევი, წარმოშობით ჩაჩანი, ყოფილი „კონვოელი" და სახელგანთქმული „კავკასიის ველური დივიზიის" ოფიცერი*, ამავე დროს საქმის კაცი (ძალიან დაინტერესებული იყო გროზნოს ნავთობით). კონსტანტინოპოლიდან, თურქებთან ერთად, ბათუმის კონფერენციაზე მთიელი დელეგატებიც რომ ჩამოვიდნენ, ამას ვეჰიბ-ფაშა იტყობინებოდა ჯერ კიდევ იმ დეპეშაში, რომლითაც თურქეთის მიერ

---

* აქედან ჩანს, როგორ მწარედ ცდებოდა ვ. როზანოვი, როდესაც წერდა, რომ ყველა ომის, აჯანყების, შამილისა და სხვ. შემდეგ კავკასიის მთიელებმა დაამთავრეს თავისი ისტორია... მისი იმპერატორის უდიდებულესობის პირადი რაზმის („კონვოი") სამსახურში-ო!

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის აღიარება (15 ნოემბერს ძვ. სტ.) გვამცნო. საერთოკავკასიურ ფედერაციაში მთიელთა რესპუბლიკის შესაძლებელ შემოსვლას ყველანი ძალიან თანავუგრძნობდით, და ჰ. ბ. ბამატის კონფერენციაში მონაწილეობის წინააღმდეგ, ცხადია, არავინ გამოსულა*.

საქმეს არც კი შევდგომოდით, როცა მაშინვე გამოიკვეთა ძირითადი წინააღმდეგობა ამიერკავკასიისა და თურქეთის დელეგაციებს შორის — მოლაპარაკების საფუძვლად ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადების შესახებ. ჩხენკელმა გაიმეორა უკვე ტრაპიზონში (უკანასკნელ მომენტში) შეტანილი განცხადება, ამიერკავკასია სავსებით ეთანხმება ამ ხელშეკრულებასო, და გამოთქვა სურვილი — მისი ტექსტი ყოფილიყო მოლაპარაკების ერთადერთი საფუძველი, რათა ამიერკავკასია იძულებული არ გახდეს, გარდა ხელშეკრულებაში აღნიშნულისა, სხვა ტერიტორიებიც დაუთმოს თურქეთსო. ხალილ-ბეიმ მხედველობაში მიიღო ეს განცხადება, მაგრამ აღნიშნა, დიპლომატიური მოლაპარაკებები შეწყდა, საომარი მოქმედება ამიერკავკასიასა და თურქეთს შორის განახლებულია, ე. ი. მიუთითა ახალ ფაქტზე, რომელთა გამო თურქეთი არ არის თანახმა, მომავალი მოლაპარაკების ერთადერთ საფუძვლად ჩათვალოს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, და იტოვებს უფლებას, წამოაყენოს ახალი მოთხოვნებიო. ამიტომ ხალილ-ბეიმ წინადადება შემოიტანა, მოლაპარაკების საფუძველი გამხდარიყო თურქების მიერ უკვე მომზადებული საზავო ხელშეკრულების ტექსტი, რომელიც მან მაშინვე წარმოადგინა კიდეც.

გერმანიის წარმომადგენელი დაკმაყოფილდა იმით, რომ ცნობად მიიღო თურქეთსა და ამიერკავკასიას შორის არსებული უთანხმოება**.

---

* რწმუნებების შემმოწმებელ კომისიაში შედიოდნენ: გრაფი შულენბურგი, თურქების იურისკონსულტი ნუსრეტ-ბეი, თვითონ ბამატი და მე (ამიერკავკასიის დელეგაციიდან).

** ამავე სხდომაზე ამიერკავკასიის დელეგაციამ, სხვათა შორის პირველად, ოფიციალურად მიიღო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ტექსტი. აქამდე, მე ყოველ შემთხვევაში, მქონდა ტექსტი, გამოცემული დონის როსტოვში „მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერ ინტერნაციონალისტთა პარტიის ზატემენიცის ორგანიზაციის“ მიერ და დაბეჭდილი მუშათა და მოსამსახურეთა ამხანაგობის — „ობნოვლენიე“-ს სტამბაში.

ბოლოს ჩვენმა დელეგაციამ განაცხადა თანხმობა... გასცნობოდა თურქეთის პროექტს. ამით კონფერენციის სხდომა დაიხურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

17.

თურქეთის პროექტი ზემოხსენებული დოკუმენტისა — „ხელშეკრულება ზავისა და მეგობრობისა ოთომანთა საიმპერატორო მთავრობასა და ამიერკავკასიის კონფედერაციულ რესპუბლიკას შორის“—შედგებოდა 12 მუხლისა და სამი დანართისაგან (დროებითი წესები ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ; სასაზღვრო ადგილებში ურთიერთობისათვის განსაკუთრებული შეღავათების შესახებ; ხელშეკრულების განმარტებებში უთანხმოების თავიდან აცილების წესის შესახებ).

დაბოლოს, ძირითადის დამატებითი ხელშეკრულება ეხებოდა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული იყო მოცემულ მომენტში თურქეთის წმინდა სამხედრო ინტერესებთან.

რასაკვირველია, ყველაზე შთამბეჭდავი იყო თურქეთის ახალი ტერიტორიული მოთხოვნები. პროექტში აღნიშნული საზღვრები ნიშნავდა საქართველოდან იმ ძველი (მოგვიანებით ისლამიზირებული) ოლქების ჩამოცილებას, რომლებიც რუსეთმა შეიძინა 1828 წ. ადრიანოპოლის ზავით და მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ყოფილ თბილისის გუბერნიასთან: ლაპარაკი იყო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებზე (უკანასკნელზე, სადაც შემდეგ, XIX საუკუნიდან, სომეხი ლტოლვილები დაასახლეს, პრეტენზიას აცხადებდა სომხეთი).

სომხეთისათვის ახალი საზღვარი უდრიდა მის თითქმის სრულ განადგურებას. ალექსანდროპოლი და უმეტესი ნაწილი ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის მაზრებისა, ე. ი., ასე ვთქვათ უმთავრესი სომხური ნაწილი სომხეთისა, რკინიგზის ხაზის — ყარსი-ალექსანდროპოლი და ალექსანდროპოლი-სპარსეთის საზღვარი — ჩათვლით, გადადიოდა თურქეთის ხელში.

ამ პირობებში თურქეთი უზრუნველყოფდა არათუ მთელი ამიერკავკასიის პოლიტიკურ კონტროლს, არამედ მჭიდრო ტერიტორიულ შეხებას აზერბაიჯანთან და სპარსეთთან (ე. ი. სპარსეთის აზერბაიჯანთან) — სხვა სიტყვებით, ქვეყნებთან, რომლებიც დასახლებული იყო თურქებისავე მოდგმისა და თურქულენოვანი ხალხით.

შემდეგ თურქეთის პროექტის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდ-
მოთხოვნები, რომლებიც მიზნად ისახავდა ჩრდილო სპარსეთში
ინგლისელების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების უზრუნველყო-
ფას. უმთავრესად იგულისხმებოდა ამ ამოცანისთვის ამიერკავკა-
სიის რკინიგზისა და აგრეთვე ბაქოს პორტის გამოყენებაც (კასპიის
ზღვაზე მოსალოდნელი ოპერაციებისათვის).

ყოველ შემთხვევაში, საკითხი დასმული იყო სრულიად გარკვე-
ულად. ყველასათვის გასაგები იყო, რომ თურქები თავის მოთხოვ-
ნების რამდენადმე არსებითს შეკვეცას არ აპირებდნენ: ძალით მათ
ვერ დავუპირისპირდებოდით; ხოლო ამ პირობების მიღება ძირს
გამოუთხრიდა ამიერკავკასიას, როგორც სამი ხალხის კავშირს, რად-
გან ახალი „გამიჯვნის" შემდეგ სომხეთისაგან თითქმის აღარაფერი
დარჩებოდა.

18.

1918 წლის გაზაფხულის პირობებში, ბათუმისა და ყარსის და-
უფლების შემდეგ, თურქები რომ ახალციხესა და ალექსანდროპოლ-
საც მოისურვებდნენ, ბევრი ჩვენგანისათვის სრულიადაც არ იყო
მოულოდნელი.

საკითხავი იყო, ახლა როგორღა მოვქცეულიყავით?

თურქების წინააღმდეგ თუ რაიმე დახმარების მიღება შეიძლე-
ბოდა, ეს იქნებოდა მხოლოდ დიპლომატიური შეწევნა; და მისი
მოცემა მხოლოდ გერმანელებს შეეძლოთ. დახმარება ინგლისელე-
ბისა და ფრანგებისაგან, რომელთა მხარეზეც, მთელ რუსეთთან
ერთად, ჩვენმა ხალხებმა 1914 წლიდან ზიდეს ომის სიმძიმე, ფიქ-
რადაც არავის მოსვლია: ჩრდილო სპარსეთში მყოფი ინგლისელები-
საგან გვთიშავდა დიდი მანძილიც, ბოლშევიკური ზღუდეც ბაქოში
და, საერთოდ, მათთან ურთიერთობის დამყარების შეუძლებლობა.

პირადად მე ტერიტორიული საკითხები იმდენად მნიშვნელოვნად
არც მიმაჩნდა, რადგან საზღვრების დადგენა არ შეიძლებოდა სა-
ბოლოო ყოფილიყო, სანამ ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა. ბათუმში
მივემგზავრებოდი სრული რწმენით, რომ გერმანიას ამიერკავკასია
აინტერესებს არა მარტო ომში მისი ზოგიერთი რესურსის გამოსაყე-
ნებლად, არამედ, უფრო მეტად, ახლო აღმოსავლეთში გერმანიის
შეღწევის საერთო გეგმის განხორციელების თვალსაზრისით.

ვფიქრობდი, გერმანია თურქეთის მოკავშირეა და გზაზე არ გადაუდგება მას არც იმ საქმეში, რასაც თურქეთი მოიმოქმედებს ომის საერთო ფარგლებში, და არც საკუთრივ თურქულ გამოძალვას აღუდგება წინ, თუკი მისი რაღაც დასაბუთება მოხერხდება, და რომლის დაკმაყოფილება თურქეთისათვის გაწეული ჯაფის გასაკითხავი იქნება. მაგრამ თურქეთი უეჭველია გასცილდება-მეთქი იმ ფარგლებს, რაც აუცილებელია ომისათვის, ანდა მეტს მოითხოვს, ვიდრე „ერგება“.

და აი, აქ, ასე ვფიქრობდი, რამდენადაც ეს მოკავშირე თავს ნებას მისცემს რაღაც „მიიკერძოს“, თავის ჭკუაზე იმოქმედოს, — შეიძლება კონტროლის დაწესება ანდა სულაც veto-ს დადება უფროსი, მასზე უფრო ძლიერი და უფრო გონიერი მოკავშირის — გერმანიის — მიერ. ამისათვის კი საჭიროა მხოლოდ შესაფერისი მიდგომა, მომზადება-მეთქი.

თურქებმა დაიკავეს ბათუმი, ოზურგეთი და ახალციხე. უდიდესი საცდურია, ბაქოსთან პირდაპირი კავშირისა და სხვა სარგებლობისათვის — თბილისის დაუფლება! ამას ხელი უნდა შევუშალოთ და შესაძლებელია, რომ ამას წინაღვუდგეთ: შესაძლებელია და აუცილებელიც თავიდან ავიცილოთ თურქების შემოჭრა საქართველოს შუაგულში!

ვინ იცის, იქნებ აზერბაიჯანელებმა მოიწადინონ თურქების დახმარება ბაქოში დამკვიდრებულ ბოლშევიკებთან საბრძოლველადაც და ანარქიის საწინააღმდეგოდაც: რა გაეწყობა! მაგრამ საქართველოში თურქები არ გვჭირდება. სომხეთი? არც ცალკე, არც საქართველოსთან ერთად მას თურქებთან ბრძოლა არ შეუძლია — ძველი ფრონტი დაიშალა. ახლის შექმნა კი შეუძლებელია ამჟამად, როცა მტერი უკვე ჩვენს ქვეყანაშია, ხოლო ჩვენი მესამე მოკავშირე — აზერბაიჯანი — აშკარად, დაუფარავად აცხადებს, რომ თურქეთთან არ იომებს.

გერმანია დაეხმარება სომხეთს, როგორმე გადაირჩინოს თავი ამ ქარიშხალში. სომხების დელეგატებს შეუძლიათ უშუალოდ ელაპარაკონ აქ გერმანიის წარმომადგენელს. ისინიც ხელიდან არ უშვებენ ამ შესაძლებლობას. გზა მშვიდობისა! მაგრამ სომხეთი ჯერჯერობით უნდა გაიტრუნოს და უარი თქვას შეიარაღებულ წინააღმდეგობაზე, რასაც, ხომ ცხადია, აზრი არა აქვს. შემდეგ კი ვნახოთ.

ასე თანდათან იკვეთებოდა ამიერკავკასიული პოზიციის უმეტესობა და ვითარება გვკარნახობდა — ყოველ შემთხვევაში ქართველებს — ქართული პოზიციის შემზადების აუცილებლობასა და შესაძლებლობას. და არა მარტო იმ მიზნით, რომ პრაქტიკული გამოსავალი მოგვეძებნა, რუსეთის იმპერიის სრული ნგრევის წყალობით, ამიერკავკასიასა და საქართველოში 1918 წლის ზაფხულისათვის შექმნილი უსასტიკესი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად: არა, ამ გადაუდებელი და მწვავე სადღეისო ამოცანის უკან, ცხადია, დგებოდა ჩვენი თაობის უფრო ღრმა ისტორიული მოვალეობა — რამდენადაც შესაძლებელი იყო ხელი შეგვეწყო ამ ახალ პირობებში ჩვენი კავკასიელი ხალხების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მომავლის საფუძვლების აღდგენისა თუ შექმნისათვის. თუ არა ახლა და თუ არა ჩვენვე — როდისღა და ვისღა უნდა ჩაეყარა ეს საძირკველი?

უნდა გვესარგებლა გარემოებით და მოგვენახა გზა და ფორმა იმის აღსასრულებლად, რაც ჰაერში ტრიალებდა განსახორციელებლად, მომწიფებულ, მაგრამ ჯერ კიდევ განუხორციელებელ სინამდვილედ. ორიოდე სიტყვით: უკანასკნელ მომენტამდე უნდა ვმდგარიყავით ამიერკავკასიის (როგორც იყო შემთხვევით შექმნილი) პოზიციებზე; შემდეგ გადავსულიყავით ეროვნულ პოზიციაზე და გვემოქმედა ცალ-ცალკე, რაც მთავარია, ყოველი ჩვენი ხალხის სახელმწიფოებრივ შეგნებაში განგვემტკიცებინა დამოუკიდებლობის აზრი; შემდეგ კი, პირველი შესაძლებლობისთანავე, გამყარებულ ნიადაგზე შეგვექმნა ამიერკავკასიის ან კავკასიის პოლიტიკური მთლიანობა!

სწორედ ამ სქემის პირველი ნაწილი განახორციელა ამიერკავკასიის დელეგაციამ; შემდეგ ბათუმში ქართულმა დელეგაციამ, და ქართველმა მოღვაწეებმა თბილისში — საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გზით — მოამზადეს ცალ-ცალკე საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის კონსოლიდაციაზე გადასვლა.

ასე იყო გააზრებული ეს პროცესი. გადაწყვეტილებების მიღება ჩემზე არ იყო დამოკიდებული, მაგრამ მე — დელეგაციისა და მისი ქართული განყოფილების მრჩეველს უმთავრეს საკითხებში, შემეძლო გავლენა მომეხდინა მათზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ მაშინვე დავიწყეთ დავა თურქებთან მათ მიერ წარმოდგენილი პროექტის გამო; საკმაოდ სავალალო დღეში მყოფთათვის, მემორანდუმები და ნოტები ჩვენი ერთადერთი იარაღი იყო!

„საასპარეზო ქაღალდებში" — მათი შედგენა მე დამაკისრეს — ჩვენ დავდექით მკაცრ ფორმალურ ნიადაგზე: თურქეთის წინააღმდეგ მივმართეთ თვით ის ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, რომლითაც ჯერ კიდევ ტრაპიზონში სურდა თურქეთს ამიერკავკასიის გასრესა.

აქ, ბათუმში, თურქეთი გვთავაზობდა, როგორც დავინახეთ, ჯერ ერთი, მეგობრობისა და მშვიდობის ხელშეკრულებას, მეორე — საგანგებო კონვენციას ომის საკითხებზე, დაბოლოს, საგანგებო შეთანხმებას, რომელიც ეხებოდა მხარეების „კეთილმეზობლობას".

ამ სქემის თაობაზე ჩვენ ასე შევეპასუხეთ: ძირითადი საზავო ხელშეკრულება და მისი დამატებითი კონვენცია სამხედრო მატერიებზე უნდა დაიდოს არა მარტო თურქეთთან, არამედ ოთხთა კავშირის მონაწილე ყველა სახელმწიფოსთან; დანარჩენი შემოთავაზებული შეთანხმებები კი („კეთილმეზობლობა"), მართლაც, შეიძლება მოხდეს ჩვენსა და მხოლოდ თურქეთს შორის (ამიერკავკასიის დელეგაციის 13 მაისის მემორანდუმი).

ამის პასუხად თურქებმა წარმოადგინეს (15 მაისს) შემდეგი საწინააღმდეგო აზრი: „თქვენი საქმე არაა, იმსჯელოთ იმის შესახებ, რა საკითხებია საერთო ოთხთა კავშირისათვის, და რომელი ეხება ერთ-ერთ მათგანს და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს. ამის გარჩევა ჩვენ მოგვანდეთ, მოკავშირეებს, ერთმანეთს შორის".

ჩვენ ვუპასუხეთ: თქვენ, მაშასადამე, აღიარეთ, რომ არის თემები, რომელნიც ოთხთა კავშირის მონაწილეობით უნდა განიხილებოდეს; და ისეთებიცაა, მხოლოდ ჩვენ და თქვენ რომ გვეხება. ჩინებულია. ვითვალისწინებთ. მაგრამ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ამას განსაზღვრავენ თვით მოკავშირეები, ამიერკავკასია კი, ამ შემთხვევაში, ჩუმად უნდა იყოს. მაგრამ ჩვენ ხომ არ ვერევით იმის გარჩევაში, სახელდობრ რა განეკუთვნება საერთო ხელშეკრულებას და რა კერძოს! ჩვენ მხოლოდ ვამტკიცებთ, რომ საერთო ხელშეკრულებას ვდებთ არა მარტო თურქეთთან, არამედ ოთხივე სახელ-

მწიფოსთან. ჩვენ, როგორც ერთ-ერთ მომლაპარაკებელ მხარეს, ვგონებ, უფლება გვაქვს, დავინტერესდეთ, ვინ წარმოადგენს მეორე მხარეს? (ამიერკავკასიის დელეგაციის 17 მაისის ნოტა).

ჩვენ კვლავ მივუთითებდით, რომ თურქებს უფლება არა აქვთ, იმაზე მეტი დათმობა მოითხოვონ, რაც გათვალისწინებულია ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით. აქ კი ჩვენი პოზიცია მოისუსტებდა; მაგრამ იძულებული ვიყავით, ჯიუტად ვმდგარიყავით მასზე, რადგან ეს იყო ა. ჩხენკელის მთავარი საბუთი ჯერ კიდევ ტრაპიზონის კონფერენციის დასასრულიდან. ამ მოსაზრებას კი (ე. ი. იმას, რომ „არ ყოფილა ახალი გარემოებანი, რომელნიც შეცვლიდნენ საერთაშორისო მდგომარეობას ჩვენს შორის — ამიტომაც არ შეიძლება არსებობდეს ახალი მოთხოვნებიც“) ასუსტებდა ისეთი ფაქტები, როგორიც იყო სეიმის მიერ ატეხილი მთელი ის სამხედრო-პატრიოტული ხმაური თურქების მიერ ბათუმისა და ყარსის დათმობაზე უარის თქმის გამო, მის მიერვე მიღებული რიგი სამხედრო რეზოლუციები, ტრაპიზონიდან დელეგაციის გაწვევა და ა. შ.

ამ ფაქტების შედეგად თურქებს საშუალება მიეცათ ემტკიცებინათ, ჩხენკელის განცხადება ტრაპიზონში ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ცნობის შესახებ „დეზავუირებულია“ გეგეჭკორის ამიერკავკასიის მთავრობის მიერო, და სწორედ ამიერკავკასიის რესპუბლიკის მიერ ომის განახლებამ გამოიწვია ცვლილება საერთაშორისო მდგომარეობაში, რაც ახლა თურქეთს ახალი მოთხოვნილების წამოყენების უფლებას აძლევსო.

ერთი სიტყვით, ამ პუნქტით ნიადაგი სულ მყარი როდი გვქონდა. და მით უფრო მტკიცედ მივმართეთ თურქეთის პროექტის წინააღმდეგ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მახვილი.

„ეს რა გამოდის? — ვამბობდით ჩვენ, — თქვენ ახლა, ოთომანთა იმპერიის შემადგენლობაში, უბრალოდ, შეგყავთ (თქვენი პროექტის მიხედვით) ის ტერიტორიები, რომელთა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მოწყობა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირობებით არის განსაზღვრული? იქ ხომ გათვალისწინებულია „მეზობელი ქვეყნების“ უფლებები; სწორედ მათთან შეთანხმებით უნდა დაამყაროს ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქების მოსახლეობამ ამ ტერიტორიაზე ახალი წესრიგი. მეზობელი ქვეყნებიო — ეს, პირველ რიგში, თურქეთია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, შემდეგ კი — არის ამიერკავკასიაც; ახლა თქვენ, უბრალოდ, მიგაქვთ ეს პროვინციები და ცვლით ხელშეკრულებას, რომელიც მარტო თქვენ მიერ არაა ხელმოწერილი, და რომელიც, ამ საქმეში განსაზღვრულ წილს ჩვენც გვითმობს. ასე არ შეიძლება“ (იხ. ამიერკავკასიის 16 მაისის მემორანდუმი). ერთი სიტყვით, ახლა უკვე ჩვენ გამოვდიოდით ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამცველად!

უკანასკნელი მოსაზრება განსაკუთრებით უსიამოვნო იყო თურქებისათვის, და მათი პასუხი (18 მაისის), გარდა იმ ფაქტების დამოწმებისა, — ტრაპიზონიდან ამიერკავკასიის დელეგაციის გაწვევა და, აგრეთვე, შემდგომ დროს მხარეთა მდგომარეობის შეცვლა — ამ მუქარასაც შეიცავდა: „ამიერკავკასიის დაჟინებას აზრი გამოითქვას ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ზემოაღნიშნული (ე. ი. მე-4) მუხლის შესახებ, შეიძლება მოჰყვეს მიმდინარე მოლაპარაკების მსვლელობისათვის ფრიად სერიოზული შედეგები“.

მაგრამ მაშინ, ბათუმში საშუალება გვქონდა ამ ფუფუნებისა — ასეთი პოლემიკა გაგვემართა თურქებთან ძირითადად იმის გამო, რომ შეგვეხსენებია მათთვის (იხ. 17 მაისის მემორანდუმი) შემდეგი: „გერმანიის იმპერიის დელეგაციის აქ დასწრება თვალსაჩინო მტკიცებაა იმისა, რომ თურქეთის მოკავშირე და მასთან ერთად ბ.-ლ.-ის ხელშეკრულების ხელმომწერი სახელმწიფოები უშუალო მონაწილეობას ღებულობენ საქმეებში, რომლებიც დაკავშირებულია ამიერკავკასიის ფრონტზე მსოფლიო ომის ლიკვიდაციასთან“.

ამ მუხლში ჩვენ ბრძოლა არ წაგვიგია: დავუმტკიცეთ, და ვუჩვენეთ თურქეთს, რომ მას არ ძალუძს ერთპიროვნულად განაგოს ჩვენი ბედი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი VII

ამიერკავკასიის რღვევა

20.

წმინდა დიპლომატიური კამპანიის ამოცანა საკმაოდ ნათლად იკვეთებოდა. შეიძლებოდა გვქონოდა იმედი, რომ ჩვენს მიმართ წამოყენებულ მოთხოვნებს გერმანიის დახმარებით რამდენადმე მაინც შევარბილებინებდით. მაგრამ არავითარი იმედი არ იყო იმისა, რომ ამიერკავკასიას ომს გამოვარიდებდით, ნეიტრალური ქვეყნის მდგომარეობაში ჩავაყენებდით და მის მოწყობასა და დამშვიდებაზე ზრუნვას დავიწყებდით. მისი რკინიგზები სჭირდებოდა მეომარ მხარეებს: დამოუკიდებლად გამოცხადებული, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაზე დამოკიდებული ამიერკავკასიის სისუსტის გამო ეს ლიანდაგების ქსელი მოწოდებული იყო გაეძლიერებია ის („დიდთაგანი"), ვინც პირველი დაადებდა მას ტორს.

ყველა უპირატესობა იმ კოალიციის მხარეზე იყო, რომელსაც გერმანია ხელმძღვანელობდა, რადგან თურქეთი ბათუმისა და ყარსის ხელში ჩაგდებით (1918 წ. აპრილში), უკვე ჩაეჭიდა ერთ ბოლოში იმ სალიანდაგო გზას, რომელიც ომის თურქულ თეატრს სპარსულთან აერთებდა. ისიც ყველასათვის ცნობილია, რომ იგივე გზა მიდიოდა ბაქოს ნავთობამდე და თურქესტანის ბამბამდე.

სხვა პირობებში საქმე მომთავრდებოდა რკინიგზებით სარგებლობის სპეციალური კონვენციით; ამიერკავკასიის მთავრობა — აუცილებლობის გამო — სწორედ ამ გზას ადგა. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ამიერკავკასიის საზღვრებში თურქების შემოჭრა სწრაფად და ფატალურად იწვევდა მრავალგვარ და საშიშ გართულებებს. სარკინიგზო ხაზი სპარსეთისაკენ გადიოდა სომხურ პროვინციებზე: თურქებს აქაც აცდუნებდა სომხების მოსპობის იმ პოლიტიკის გამოყენება, რომელსაც ისინი მიმართავდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქეთში ომის დროს; ამით ამოქმედდებოდა თათარი და სომხური მოსახლეობის ურთიერთმომსვრელი მტრობა, რომელიც ჯერ კიდევ რუსეთის მეუფობის დროს ამოჯეჯილდა; მეორე მხრივ, ათუხთუხდა ყველა, ვინც კი ისტორიული ტრადიციით, ან რელიგიური და რასობრივი ერთობის გრძნობით, ანდა ისე, „რაიმე გზად მოწეული საჭიროებით", თავს თურქეთის ბუნებრივ კლიენტად მიიჩნევდა ან ახლა ეძიებდა მის კლიენტობას. ყველაფერ ამას აძლიერებდა, აფუცხუნებდა თურქეთის უძლეველობის ილუზია, რომელსაც მისივე მრავალრიცხოვანი აშკარა თუ ფარული აგენტები ოსტატურად აზვიადებდნენ. აკი გამოგზავნა კიდეც თურქეთმა „ისლამის ლაშქარი" ამიერკავკასიაში...

აი, ამიტომ გამოიწვია თურქეთის ჯარების (ინგლისის ჯარების წინააღმდეგო, როგორც წერდა ვეჰიბ-ფაშა) ალექსანდროპოლ-ჯულფის მიმართულებით გატარების თავისთავად მარტივმა საკითხმა განსაკუთრებული შეხლა-შემოხლა ამიერკავკასიისა და თურქეთის დელეგაციებს შორის.

ალექსანდროპოლი* დაკავებული ჰქონდათ თურქეთის ჯარებს, სომხურ ნაწილებს მისი დაცვის ძალა არ აღმოაჩნდათ. სომხები, ისევე როგორც სხვა დელეგატები, აღიარებდნენ თურქული სარდლობისათვის რკინიგზის დათმობის გარდუვალობას. მაგრამ სასურველი იყო, რა თქმა უნდა, ამ ფრიად საჩოთირო საკითხის თაობაზე გარკვეული გარანტიები და წინასწარი ურთიერთშეთანხმება. თურქები კი, სამხედრო გარემოებების მომიზეზებით, შეუძლებლად თვლიდნენ დაყოვნებას და ჯიქურ გვიტევდნენ.

მრავალი ტანჯვა მიაყენეს ადგილობრივ სომხურ მოსახლეობას და მრავალი უსიამოვნება ამიერკავკასიის დელეგაციას. საქმეს რამდენადმე ეშველებოდა მხოლოდ ოთხთა კავშირის სახელმწიფოებთან გერმანელების დახმარებით ჩვენი ურთიერთდამოკიდებულებების მთელი საერთო საკითხების გადაწყვეტა. პროტესტები და „სუვერენიტეტის გათელვის" მომიზეზება კი, რომელიც გაცხადებული იყო ა. ჩხენკელის მიმოწერაში ამ საქმის გამო, აუცილებელი, მაგრამ უნაყოფოც იყო.

ასეთი გართულებები კონფერენციაზე ქმნიდა უკიდურესად

---

* სამხედრო ბაზა და თბილისის, ყარსისა და ჯულფისაკენ მიმავალი ხაზის კვანძი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმე მდგომარეობას. ამასთან, ხელმძღვანელებსაც აკლდათ ხალი დინჯე და თავშეკავება.

არ იყო არც პროპორციის გრძნობა, არც მშვიდი გარჩევა მისაღწევსა და ფანტასტიკურს შორის, პირველხარისხოვანსა და მეორეხარისხოვან მოვლენებს შორის, ხანგრძლივსა და წარმავალს შორის.

კონფერენციის ხალხმრავალ და ნერვიულ კულისებში მოულოდნელად გამოჩნდებოდნენ და ისევ ქრებოდნენ ხან თბილისიდან ჩამოსული მოღვაწე-გასტროლიორები, პარტიის, ერისა ან ჯგუფების წარმომადგენლები, ხან ცალკეული მოხალისე პოლიტიკოსები, ზოგჯერ ნამდვილი ავანტიურისტები. არ გვაკლდნენ უსაქმურობით გაბეზრებული ადგილობრივი ბათუმელი მოღვაწენი, ჩვენი ტყვე ოფიცრები; პოლიტიკური შუამავლები სხვადასხვა მუსულმანური პროვინციებიდან, მთელი კავკასიიდან, რომელთაგან ბევრის სახეებს ახალი ფესკები „ოთომანურ“ იერს ანიჭებდა; კავკასიელი თურქებიც საკმაოდ იყვნენ — ყველაფერი ეს გუგუნებდა, ნაყარი ფუტკარივით ირეოდა ჩვენს გარშემო.

21.

აი, რამდენიმე ამონაწერი იმდროინდელი უბის წიგნაკიდან.

1918 წ. მაისი

ბათუმში მუდამ სათბურის შეგრძნებაა. მისი ცნობილი ნალექები ზრდის ბამბუკს, ჩაის და ყველა ყბადაღებულ სუბტროპიკულ მცენარეს. ამ ნალექების გამო იშვიათია ნათელი ჰორიზონტი, იშვიათად ჩანს მთების მოხაზულობა და ბუნება მუდამ მზადაა წვიმისათვის.

„ბულვარი“, რა თქმა უნდა, კოხტაა. და სამხრეთის ზღვაც, ცხადია, ლამაზი უნდა იყოს. მაგრამ თვით ბათუმში ცოტაა საინტერესო, ვინაიდან ცოტაა დამახასიათებელი. ქუჩებს არა უშავს, სასიამოვნოა. მგონია, ერთადერთი კუთხე, რომელიც არა ჰგავს სხვებს, ეს ე. წ. ბერძნული ქუჩაა.

მე ვთქვი: სასიამოვნოა-მეთქი, მაგრამ მალე შეილახძლება. ჩემი მხედველობის არეში (სასტუმროს ფანჯრებიდან) ერთი კვირაა, რაც ქუჩაში გამოჩნდა მკვდარი კატა. რა იქნება აქ ერთი-ორი წლის შემდეგ? მაგრამ დარჩებიან კი აქ თურქები?

ყველგან ვარსკვლავიანი ნახევარმთვარეა წითელ ფონზე. ფეს-
კებმაც იმრავლა. მაგრამ ნაწილობრივ ეს პოლიტიკური მასკარადია,
ნაწილობრივ კი ეს ყველაფერი მოსულია, დროებითია. ნავსად-
გურთან ცოტა გემებია; სამაგიეროდ აფუსფუსდა იქ, თავის იალ-
ქნიან ნავებთან, ანატოლიელი ზღვისპირელი ხალხი. და ოდინ-
დელი ლევანტიელთა ბრბოც იქვეა.

ჩვენი დელეგაციის ფორმირების პირობები ისეთია, რომ შე-
უძლებელია აიცილო წარმოუდგენელი უცნაურობა, დამთხვე-
ულობა. რატომღაც უნებურად გაგონდება რუსული კერძი
„სალიანკა“, pot-pourri და სხვა მისთანები.

... რა კარგია, რომ ბევრს არ ესმის და ვერ გრძნობს მიღებუ-
ბული დარტყმების სიმძიმეს. ფიქრები და გრძნობები ყოველ-
დღიურობას ექვემდებარება. ადამიანებიც ტრიალებენ, როგორც
ხმელი ფოთლები შემოდგომის ქარის შემობერვაზე. ისმის დან-
ჯღრეული საკრავის კლავიშების შეუწყობელი გრუხუნი; გაუპო-
ხავი საზიდრის აუტანელი ჭრიალი.

სამი თურქი დიდებულის — ჯემალ-ფაშას, ხალილისა და ვეჰიბის
კიზიტი. მათ მოისურვეს გასცნობოდნენ ჩვენს დელეგატებს.
დასხდნენ სამივენი დივანზე და მკვიდრად დაიკავეს იგი. მოგვართვეს
ყავა. აქეთა მხარეს, პატარა სასტუმრო ოთახში, მთელ არქიპელაგად
განლაგდა ამიერკავკასიის დელეგაცია. მე მიწვეული ვიყავი „თანა-
მშრომლად“. ჯერ თავისუფალი საუბარი; შემდეგ ჩვენი სტუმრები
გვთხოვენ, ყოველმა ეროვნულმა სექციამ გულწრფელად გამოთქვას
თავისი აზრი.

ჩხენკელი ყოველთვის აღფრთოვანებულია, როცა შემთხვევა
ეძლევა გააბას „საერთაშორისო“ საუბარი. აქ მის წინაშე ოთომანის
პორტას სამი ბურჯი აღმართულა. სამი კავკასიური ერის ქადაგთა
პირისპირ დამდგარან ისინი. ციფრმა „სამმა“ მისტიკურად იმოქმედა
ჩხენკელზე, და მან, როდესაც წინ ედგა სამი მუსულმანი და ორიც
თავისივე დელეგაციაში ჰყავდა, დაიწყო იმით, რომ „თუმც რო-
გორც სოციალისტი, დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ რელიგიურ
დოგმატებს, მაგრამ როგორც ღმერთია სამსახოვანი, მაგრამ ერთია,

„სევე ამიერკავკასია, თუმცა შეიცავს სამ ერს, მაგრამ“ და ა. შ. როგორია ღვთისმეტყველური დვრიტისა* და ატავიზმის ძალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ნიკოლაძემ უბრალოდ, მოკლედ, დასაბუთებულად ილაპარაკა თვით თურქეთისათვის ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის სარგებლობაზე, მნიშვნელოვანია დასაწყისშივე არ წავართვათ ამიერკავკასიას ის ელემენტები, რომლებიც მის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენსო და ა. შ. ხატისოვმა თემად აირჩია სომხეთის საკითხი, ჯემალ-ფაშას მოაგონა მისი სარდლობა პალესტინაში და ქრისტიანებისადმი კეთილი დამოკიდებულება, სომეხი მეგობრები (ზოჰრაბი და სხვ.), თურქეთის რევოლუციაში მისი თანამებრძოლები.

ეტყობა, ხატისოვი ჯემალ-ფაშას ნატკენ ადგილს შეეხო, მან სერიოზული სახე მიიღო და ურჩია ამ საკითხზე არ ელაპარაკათ — ყველაფერ იმის შემდეგ, რაც მოხდაო (თვით თურქების ღრმა რწმენით, 1914-15 წწ. ომში სომხებმა ზურგში მახვილი ჩასცეს მათ).

მესამე სიტყვა მამედ-ჰასან გაჯინსკიმ წარმოთქვა: იგი კეთილგანწყობით ლაპარაკობდა; იმედი გვაქვსო, მოხარული ვართო — კეთილგონიერად აუარა გვერდი თეოლოგიას, მწვავე ეროვნულ საკითხებს.

საერთო, ცოცხალი საუბრის შემდეგ ჩვენი სტუმრები გაემგზავრნენ.

22.

ვინც ბათუმში იყო 1918 წელს, რუსეთი მეტად შორეულ ქვეყნად ეჩვენებოდა. საბჭოთა ხელისუფლება არ ვრცელდებოდა ამიერკავკასიაზე. დამოუკიდებლობა გამოცხადებული იყო. ჩრდილო კავკასიაში ცვალებადი, გაურკვეველი მდგომარეობაა; ბუნებრივი საზღვრის — კავკასიონის ქედის — წყალობით თითქოს გამოცალკევებული ვიყავით იმისაგან, რაც რუსეთში ბობოქრობდა; ბაქოში (რომლის წინაც ამიერკავკასიის სამხედრო ზღუდე აღმართულიყო) და კასპიისპირა სხვა პუნქტებში არსებობდნენ სხვადასხვა, რთული და უგრძესი სახელწოდების საბჭოთა ჯგუფები. მაგ-

* ჩ. სასულიერო სემინარიაში სწავლობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ზოგადად რომ ვთქვათ, თვალუწვდენელი, მოუწესრიგებელი სივრცეები ჯერჯერობით ყოფდნენ ამიერკავკასიას საბჭოთა რუსეთის ნამდვილი ცენტრებისაგან, თუმცა მისი ავანპოსტები ახლომახლო იყო გაბნეული.

ევროპულმა ომმა ზენიტს მიაღწია. გერმანია ძლიერ იყო დაინტერესებული, რომ აღმოსავლეთში თუნდაც დროებითი წონასწორობა დამყარებულიყო. ამას ემსახურებოდა ბრესტ-ლიტოვსკის, ბუქარესტის ხელშეკრულებები და მთელი „განაპირა ქვეყნების პოლიტიკა", ბალტიკიდან შავ ზღვამდე; სწორედ ამისათვის ახლა ძალზე ცდილობდა გერმანია, როგორმე მოერიგებინა თურქეთისა და ამიერკავკასიის ინტერესები.

გასარკვევი იყო აგრეთვე ამიერკავკასიისა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობა. ეს აუცილებელი იყო, საერთოდ, მყარი წესრიგისთვისაც, რომელიც ბათუმის კონფერენციის შედეგად უნდა დამყარებულიყო ამიერკავკასიაში, კერძოდ კი, ბაქოსა და ბაქოს ნავთობის საკითხის მშვიდობიანი გზით გადასაწყვეტადაც (საკითხი, რომელიც ყოველთვის მწვავე იყო რუსეთისათვის, ახლა კი, სხვადასხვა მისწრაფებათა გამო, მწვავე გახდა გერმანიისათვისაც და თურქეთ-აზერბაიჯანისთვისაც).

გერმანიის მთავრობამაც მაისის შუა რიცხვებში, ე. ი. ბათუმის კონფერენციის გამალებული მუშაობის დროს, მოსკოვს შესთავაზა თავისი შუამდგომლობა სწორედ ამიერკავკასიისა და საბჭოების მორიგების მიზნით. გრაფ მირბახის მიერ გადაცემულ ამ წინადადებას სახალხო კომისარიატმა უპასუხა განცხადებით, რომ აუცილებელია ბათუმის კონფერენციაში რუსეთის წარმომადგენლის მონაწილეობა, და იმავდროულად მიუთითა „ეგრეთწოდებული ამიერკავკასიის მთავრობის" თვითმარქვიობის შესახებ, იმ მთავრობისა, რომლის წინააღმდეგაც გამოდიან ყველა მასობრივ სახალხო მიტინგზე, და ა. შ.

ჩვენ არ გაგვჭირვებია ამიერკავკასიის მთავრობის უფლებამოსილების ასეთი შეფასების უარყოფა (19 მაისი) და თვით კომისრებიც, როგორც ჩანდა, არ ანიჭებდნენ ამ შეფასებას რაიმე მნიშვნელობას, რადგან საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ მიიღო გერმანიის შუამდგომლობა რუსეთის მიერ ამიერკავკასიის ცნობის საკითხზე. ფონლოსოვმა ეს რომ გვამცნო (21 მაისს), ისიც დაუმატა, ვაპირებ, მოს-

კოვში მირბახს შევატყობინო ამიერკავკასიის მიმართ ბოლშევიკების მუქარის შესახებ სოხუმისა და ბაქოს მხრიდან (ასეთი მუქარა იყო), და გერმანია, საერთოდ, დაბეჯითებით ურჩევს რუსეთის მთავრობას, ნუ შეუტევს ამიერკავკასიასო.

1918 წელს ასეთი შეტევის დრო ჯერ კიდევ არ მომწიფებულიყო. მაგრამ არც ბათუმის კონფერენციაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მიეცა საბჭოთა მთავრობას. გერმანიის შუამდგომლობით მხოლოდ შევთანხმდით, რომ ამიერკავკასიის წარმომადგენელი მოლაპარაკებას გამართავდა საბჭოთა მთავრობასთან სადმე საბჭოთა ფედერაციის ფარგლებში, ამიერკავკასიასთან ახლოს (გერმანიის მიერ შეთავაზებულ კიევს ჩიჩერინი მოუხერხებლად მიიჩნევდა)*. მაგრამ ეს აზრიც, შეცვლილ გარემოებათა გამო, ვერ განხორციელდა. თუმცა პირველად დადგა რუსეთის მიერ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი: გამოირკვა, რომ 1918 წლის შუა ხანების პირობებში ამ აღიარების გასაღები ბერლინში იყო.

---

* მიწერ-მოწერა ამ საკითხის გარშემო იხ. ib. № 146, 151, 152, 156.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი VIII

ახალი გზა

23.

თურქების მცდელობით გამოწვეულმა მღელვარებამ უკიდურეს დაძაბულობას მიაღწია, როცა ჩვენმა დელეგაციამ გენერალ ფონ-ლოსოვისაგან მიიღო ფორმალური წინადადება, კეთილი სამსახური გაეწია, როგორც შუამდგომელს, რადგან ოთომანიანთა და ამიერკავკასიის წარმომადგენელთა ურთიერთობას სასიკეთო პირი არ უჩანდა (19 მაისს). ბევრს მიაჩნდა, რომ ამ წინადადებას უნდა ჩავჭიდებოდით. მაგრამ, როგორც დელეგაციის თათბირიდან გამოირკვა, მუსულმანებს ეშინოდათ, გერმანიის შუამდგომლობის მიღებით არ გაეწყენებიათ თურქები; ამიტომ საჭიროა მათ დავეკითხოთო და ა. შ. გაჯინსკის აზრით, სართოდ, არ ღირდა მოლაპარაკების გაჭიანურება. „უნდა დავამთავროთ, ამბობდა იგი, ასე თუ ისე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიისათვის უთანხმოებანი არაარსებითია". ეს უთანხმოებანი ძალიანაც არსებითი იყო საქართველოსა და სომხეთისათვის. ჩვენ გზაჯვარედინზე ვიდექით: ზოგს თურქებთან ერთი გზა ჰქონდა, სხვებს კი — არა.

ფონ-ლოსოვს მაშინ ვუპასუხეთ და მისი წინადადება მივიღეთ. ახლოვდებოდა დასასრული. ძლევამოსილი თურქეთი ძლიერმოქმედ რეაქტივივით შლიდა ჯერ კიდევ სუსტ, მოუწყობელ, ომითა და რევოლუციით შერყეულ ამიერკავკასიის აგლომერატს. მას ბუნებრივად სცილდებოდა მუსულმანური აზერბაიჯანი, რომელსაც თურქეთი იზიდავდა თავისი მაგნიტური ძალით. ჯიშის ძახილი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე შიიტების მიერ საუკუნეობრივი ათვალწუნება სუნიტებისა, განსაკუთრებით განათლებულ ფენებში, რომელთა შიიტური თავგამოდება მნიშვნელოვნად დაცხრა რუსულ-ევროპული კულტურის გავლენით.

მარტო ეს გარემოებაც კი უკვე გამორიცხავდა ამიერკავკასიის ერთიანი პოლიტიკური მანევრირების, ე. ი. ერთიანი საგარეო პო-

ლიტიკის შესაძლებლობას. თითოეულ მის ნაწილს თავად უნდა ეზრუნა საკუთარ თავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმში ჩვენ ჩავედით იმ რწმენით, რომ საქართველო მზად იყო ამისათვის, თავისი შედარებითი ორგანიზებულობით. მას რომ დამოუკიდებლად უნდა ემოქმედა, ამაში საბოლოოდ დაგვარწმუნა თურქების მიერ საქართველოს მთელი მუსულმანური ნაწილის (ბათუმიდან ბორჯომის ხეობამდე) დაკავებამ და მათივე დაუოკებელმა სწრაფვამ კასპიის ზღვის ნაპირებისაკენ.

ჩვენ არ გვხიბლავდა პერსპექტივა — ვყოფილიყავით, თუნდაც დროებით, „ისლამის ლაშქრის“ საეტაპო დერეფანი. თურქების ძალით განდევნა არ შეგვეძლო. ერთადერთი გამოსავალი იყო „გერმანული ალიკაპის“ პოლიტიკა.

პრაქტიკული სადღეისო გასაჭირი გვიბიძგებდა სწორედ ასე დაგვესვა საკითხი, მაგრამ ბევრად უფრო ღრმა მისწრაფებებიც კი იმავე გზაზე გვაყენებდა. ამ განუმეორებელ მომენტში განა შეიძლებოდა, არ მოგვწვდენოდა ისტორიული სტიქიონების გუგუნი, არ გვესმინა ყველა იმათი ხმისათვის, ვინც დიდი ხანია აღარ არის; როგორ არ გვეფიქრა მათზე, ვინც ჩვენს შემდგომად მოვლენ? რამდენი თაობა ქმნიდა ქართველ ერს და ამაოდ ეძებდა მზისქვეშეთში მისი თავისუფალი განვითარების პირობებს? და აი, დამოუკიდებლობამ კარზე მოგვიკაკუნა — როგორ არ მივეგებოთ მას! თუ ხელიდან გაუშვებ ამ წამს, რა პასუხს გასცემ მათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა; ნუთუ ეს ხალხი დაბადებულია ოდენ მონობისა და მორჩილებისათვის და იგი საბოლოოდ უნდა გადაიქცეს „ეთნიკურ მასალად“, საიდანაც, გარემოების მიხედვით, შტამპით გამოვლენ ხან სპარსელები, ხან თურქები, ხან რუსები? არა, მას ა ხ ს ო ვ ს; მას სურს აღდგეს და კვლავ გახდეს თავისთავადი. არ სურს? იგი ბაირონის „შილიონის ტუსაღივით“ გამოეტირება თავის საპყრობილეს? დაე, ახლავე გამოაშკარავდეს ეს! უნდა გადაიფურცლოს ისტორიის ახალი გვერდი.

მაგრამ ამგვარი განსჯის საჭიროება არც იყო: ზოგიერთმა, მცირე ნაწილმა, ეს დიდი ხანია იცოდა. სხვებს უფრო პრაქტიკული მოსაზრებები მსჭვალავდა. უმრავლესობას კითხვაც არ დაჰბადებია: ნებისყოფას, ინსტიქტს, ქვეცნობიერს მოჰყავდა ისინი ამ მხარეს. „ჭადრაკული“ გამოთვლა კი არც ისე რთული იყო: უპირველეს ყოვლისა, გერმანიაზე დაყრდნობით თურქებისაგან თავის მოზღუდვა და

ორგანიზება. ორგანიზებული სახით, როგორც ერი, უნდა დავლოდებოდით მსოფლიო ომის დასასრულს — მაშინ გამოირკვეოდა ჩვენი მდგომარეობაც, თანაც თვით ჩვენ ვიქნებოდით, თუმცა მცირე, მაგრამ ამ გამორკვევის ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი. და რუსეთთან ურთიერთობაც ამავე გზით გამოიკვეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის დელეგაციის წევრებთან გულახდილ საუბრებში მომზადდა საქართველოს სავარაუდოდ მოხაზული პოზიცია, რომელიც ითვალისწინებდა ამიერკავკასიის კოალიციის გარდუვალ დაშლას. მხოლოდ რამდენიმე კაცს ჰქონდა, ასე ვთქვათ, ეს საიდუმლო განდობილი. თბილისიდან ჩამოსული ნ. ჟორდანია თავისი მდგომარეობით, როგორც საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, სოც.-დემ. პარტიის ბელადი ამიერკავკასიის სეიმში, სწორედ ის პიროვნება იყო, რომელსაც უნდა ეტვირთა დასახული მიზნისათვის საჭირო აქტების ჩატარება თბილისში (საქართველოს დამოუკიდებლობისა და ამიერკავკასიის სეიმის თვითგაუქმების გამოცხადება). იგი, ეტყობოდა, მერყეობდა, რაც სავსებით გასაგები და კანონიერი იყო: საქართველოს დამოუკიდებლობის აზრი არ ეგუებოდა არც მისი მთელი ადრინდელი მუშაობის დოქტრინას, არც რუსეთის სოც.-დემოკრატიული პარტიისადმი კუთვნილებას. მაგრამ რაკი ერთხელ „ირწმუნა", ოსტატის ხელით შეუდგა ახალი პროგრამის გატარებას.

21 მაისს იგი უკან, თბილისში გაბრუნდა. „გერმანულ-ქართული" მუშაობა, „ამიერკავკასიურ-თურქულის" პარალელურად, სრული სვლით მიდიოდა.

24 მაისს გენერალ ფონ-ლოსოვმა გვამცნო მისი შუამდგომლობის უშედეგო მცდელობის ამბავი. 25-ში ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარემ მიიღო გენერლის შეტყობინება, რომ როგორც ცნობები მაქვს, ამიერკავკასიის რესპუბლიკის მოსალოდნელი დაშლისა და ამასთან დაკავშირებული მდგომარეობის შეცვლის გამო აუცილებლად პირდაპირი კავშირი უნდა ვიქონიო ჩემს მთავრობასთან, ამ მიზნით ვტოვებ ბათუმს და ამ საღამოსვე მივემგზავრებიო გემ „მინნა ჰორნით".

გერმანიის დელეგაცია მართლაც გაემგზავრა იმ საღამოს ბათუმიდან.

26 მაისს ამიერკავკასიის დელეგაციამ მიიღო თურქეთის ულტიმატუმი, რომლითაც იგი მოითხოვდა 72 საათის განმავლობაში მიგვეღო უკლებლივ ყველა წინადადება (თურქეთის სასარგებლოდ საზღვრების შეცვლის დამატებით). ულტიმატუმის მიღების მომენტში ამიერკავკასიის რესპუბლიკა უკვე აღარ არსებობდა. სწორედ 4 საათით ადრე თბილისში გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. თუმცაღა აი, რამდენიმე ნაწყვეტი დღიურიდან, რაც უკეთ გამოხატავს მოვლენათა ცვლილებას.

24.

ბათუმი, 1918 წ. 21 მაისი.

დილით, ჟორდანიასა და ნიკოლაძესთან ერთად, ვათვალიერებთ რუკაზე ჩვენთვის აუცილებელ საზღვრებს. უკიდურეს შემთხვევაში თანახმა ვართ „მივცეთ“ ზაქათალის ოლქი. აზერბაიჯანის სასარგებლოდ საზღვრების არავითარ სხვა შესწორებას არ დავუშვებთ. თურქებმა პირდაპირ დანა მოგვაბჯინეს ყელში — მაგრამ ახალციხე, ხერთვისი საქართველოში უნდა დარჩეს.

დილით ქართველები ვეთათბირებით თათრებს საერთო საზღვრების გამო: ერთი მხრივ — ნიკოლაძე, ჟორდანია, სურგულაძე და მე; მეორე მხრივ — ხან-ხოისკი, ხას-მამედოვი, საფიკურდსკი, პეპინოვი, უსუბეკოვი, ჯაფაროვი. სომხებმა უარი თქვეს ელისავეტპოლის გუბერნიის ნაწილებზე (ყარაბახი), და მუსულმანები... დათანხმდნენ ამიერკავკასიაში ცალკე სომხური კანტონის შექმნაზე (დაახლოებით, ახლო წარსულის დროინდელი ერთობის საოცნებო „ალექსანდროპოლის გუბერნიის“ სქემით). ისინი მზად არიან წარგვტაცონ სიღნაღის, თბილისის და ბორჩალოს მაზრების ნაწილები (როგორ არ გადაბრუნდებიან ამ ამბავზე მეფეები მცხეთის საფლავებში!). მაგრამ აქ შეთანხმება შესაძლებელია — ისინი დაგვითმობენ. ახალციხის საკითხში პეპინოვი თვითგამორკვევის პრინციპს გვთავაზობს (რა თქმა უნდა, თურქეთთან შეერთებას გულისხმობს).

საერთოდ, ჩვენი მეგობარი მუსულმანები გვარწმუნებენ, რომ ამიერკავკასიის ერთიან „სამპიროვნებას“ ყოველნაირად დაიცავენ. მაგრამ რა ვქნათ, ამბობენ ისინი, თუ თურქები თავის მოთხოვნებს არ უარყოფენ და დაგეგმილი ერთ-ერთი „კანტონი“ არ იარსებებსო? ამ შემთხვევაში ჩვენი სურვილი იქნებოდა, თუნდაც „ორპიროვანი“ ამიერკავკასიის შენარჩუნებაო...

ჩვენ ვუპასუხეთ, თუ ამიერკავკასია ასეთ დარტყმას მიიღებს ბათუმში, მაშინ ჩვენც თავისუფლად მივიჩნევთ თავს, და თითოეული მხარე ვალდებული იქნება აწონ-დაწონოს მდგომარეობა.

განა ნაადრევი არ იყო თბილისში ამიერკავკასიის კონსტიტუციის შეთხზვის დაწყება?

მოგვიანებით, „ამიერკავკასიის“ ავტომობილით გასეირნება; ჩემი თანამგზავრები — ჩხენკელი, ჟორდანია — უკვე ერთ წელზე მეტია გაუშინაურდნენ რევოლუციური ხელისუფლების ამ ძვირფას პრეროგატივას. ზემოთ მივდივართ — ჭოროხის ხეობაში, აჭარისწყალის შესართავამდე. ეს პეიზაჟი, ეს მძლავრი, აქაურობის მკვიდრი ხეები რამდენად უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ზღვისპირეთის „სუბტროპიკული“ ნაჯახირევი.

ჯგუფ-ჯგუფად მომავალი საპალნიანი ჯორები და მათი გამყოლები არც კი გამოცვლილან ჩვენი ნეტარი მამის გრიგოლ ხანძთელის დროიდან, რომელიც აქ ახლოს, კლარჯეთში — ამ ქართულ თებაიდაში — სხვა ბერებთან ერთად ლოცულობდა ცოდვათა ჩვენთა მისატევებლად — ათასი წლის წინათ.

ეს რუსეთ-თურქეთის შეტაკებებით მიმოფანტული ლტოლვილები ბრუნდებოდნენ შინ.

გვიან ღამით ვეხმარები გენერლებს — ოდიშელიძესა და ყორღანოვს, ორ თურქ ოფიცერთან ერთად, სპეციალური სამხედრო შეთანხმების ტექსტის გადახედვაში. მეცოდებიან გენერლები.

22 მაისი

გადამწყვეტი თათბირი ამიერკავკასიის მოსალოდნელი დაშლის გამო, — საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობის შესახებ. სქემა ისაა, რასაც უკვე დიდი ხანია გამუდმებით ვიმეორებ, როგორც „მრჩეველი“, და რომელსაც ეთანხმებიან ჩხენკელი და სხვები. საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა უზრუნველყოფილია გერმანიის მიერ. აღმოსავლეთ ამიერკავკასია იღებს მოქმედების თავისუფლებას და ეწყობა ოსმალეთის დახმარებით. სომხებმაც, აგრეთვე, უნდა გამოაცხადონ თავისი დამოუკიდებლობა; ამჟამად მათი მთავარი საზრუნავია —

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიცვან მოსახლეობის სიცოცხლე თურქების ფანდებისაგან, ისწრაფვიან გერმანელთა მხრივ ქომაგობისა და დახმარების მოპოვებას და, ალბათ, მიაღწევენ კიდეც. მოგვიანებით მათ, და, აგრეთვე ჩვენც, თურქებთან უფრო სამართლიანი გამიჯვნის იმედი უნდა ვიქონიოთ. მაგრამ ეს, ისევე როგორც ჩვენი ამიერკავკასიური ურთიერთკავშირის მოწყობა, შორეული საკითხია.

დავწერე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების სავარაუდო პროექტი — დროა დავაზუსტოთ, ვიმოქმედოთ. ჩხენკელმა, ნიკოლაძემ, ჟორდანიამ, სურგულაძემ მოიწონეს. ჟორდანიამ თან წაიღო ეს პროექტი თბილისში*. განსაკუთრებით მხურვალედ ვართმევდით ხელს გამოთხოვებისას. იოლი პიესის არანჟირება როდი მოუწევს. წარმოიდგინეთ ყოველგვარი ორგანიზაციების, საბჭოების ეს უსიერი ტევრი და უფრო ხშირი ტევრი ცრურწმენებისა! თუმცა მან, ეტყობა, უკვე მოამზადა უკანასკნელი აქტი; ისღა დარჩენია ფარდა ასწიოს.

23 მაისი

ღრუბლიანი, უჩვეული გრილი ამინდის შემდეგ კაშკაშა მზე.

გადავწყვიტეთ, რომ გერმანიასთან დროებითი შეთანხმება (უფრო ზუსტად, შეთანხმებანი — იქნება რამდენიმე დოკუმენტი), რომელსაც ჩვენ სასწრაფოდ ვამუშავებდით, ბრესტ-ლიტოვსკის მოდის თანახმად, უნდა დაიწეროს ორ ენაზე: გერმანულად და ქართულად. დღეს, სხვათა შორის, ვკითხულობთ პროექტს, რომლის მიხედვითაც საქართველოს დროებითმა მთავრობამ საქართველოს ნავსადგურებში არსებული მთელი ტონაჟი უნდა გადასცეს გერმანიის სარგებლობაში.

თუ ამით კონტრაგენტს ასიამოვნებ, რატომ არ უნდა დაუთმო ის, რაც არ არსებობს ბუნებაში? როგორი საქმეა! შეთანხმება ქართულ ტონაჟზე! გერმანიასთან!

24 მაისი

დაძაბული მუშაობაა. ვეზენდონკთან ერთად ჩავიკითხე საბოლოო პროექტები. ბევრნი ხვდებიან, რომ სცენის უკან ჩუმი მუ-

---

* მე ჩემთვის არ დამიტოვებია ასლი და არც ვიცი, ისარგებლეს თუ არა იმით „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ შედგენის დროს, 1918 წ. 26 მაისს.

შაობაა — დეკორაციები იცვლება. გვიან საღამოს ვადგენ შემდეგ დეპეშას, რომელიც 25 მაისის ღამით იგზავნება ჩხენკელის ხელმოწერით:

ტფილისი, გენერალ კვინიტაძეს.

„საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს გადაეცით შემდეგი: დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომი გაჭიანურება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგს. გერმანელების შუამდგომლობის ცდა არ გამოგვივიდა. დაგვრჩენია ერთი რამ: თურქების შემოტევას დავუპირისპიროთ საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელსაც მხარს უჭერს გერმანია. მისი წარმომადგენელი საქართველოს მთავრობასთან იქნება გრაფი შულენბურგი, რომელიც გამოცხადებისთანავე აუცილებლად სასწრაფოდ უნდა ვცნოთ... ხელმოსაწერად უკვე მზადაა მთელი რიგი დროებითი შეთანხმება გერმანიასთან... ველოდებით აქტის შესახებ უსწრაფეს ცნობას“.

გენერალმა ი. ზ. ოდიშელიძემ თავისივე ხელით დაშიფრა ეს ტელეგრამა. წმ. გიორგის კავალერმა (ჯერ კიდევ იაპონიის ომში), სამარყანდის ოლქის ყოფილმა სამხედრო გუბერნატორმა, დასავლეთის ფრონტზე ერთ-ერთი რუსული არმიის შტაბის უფროსმა და სხვ.

სადამდე მიხვედით, გენერალო! — ის კი ვითომც არაფერიაო, გახარებულია.

25 მაისი

სასწრაფოდ ვამთავრებთ კულისებს მიღმა სამუშაოს.

გერმანელები საღამოს ტოვებენ ბათუმს „Minna Horn“-ით. უკანასკნელ წუთს ფონ-ლოსოვის ადიუტანტი მოვიდა ტექსტების წასაღებად. მივეცით ყველაფერი, რაც კი მზად გვქონდა...

საყვირი. „Minna H.“ ნაპირს მოსცილდა — არავინ იცის, სად წავიდა. მაგრამ ჩვენ ვიცით. ოღონდ არ დაგვიანდეს დამოუკიდებლობის გამოცხადება!

გვიან ღამით ჩხენკელთან და ნიკოლაძესთან ერთად ვმსჯელობთ ჩვენს შანსებზე. თბილისიდან დეპეშაა: დამოუკიდებლობა გამოცხადდება ხვალ, 26 მაისს. საკითხი გატარებულია ყველა ინსტანციაში. მხოლოდ თათრები გვთხოვენ დაცდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისისათვის ვწერ ზოგიერთ საჭირო აქტის პროექტს, ასევე წერილს გენ. ფონ-ლოსოვის სახელზე, რომელსაც ფოთში წაიღებს არტურ ლაისტი. დელეგაცია თანდათან ქრება — მაგრამ აუცილებლობით გამოწვეულმა ჩვენმა კულისებსმიღმა მუშაობამ შეუმჩნევლად ჩაიარა. ვგონებ, არავის აუღია ეჭვი, რა შეიძლება მოხდეს დღეს და ხვალ.

ტაბლდოტთან თანამეინახეთა ჩვეულებრივი ლაყბობაა. საქართველოსთან დამოყვრებული ჩემი მეზობელი გერმანელი ლიტერატორი რომზე საუბრობს. ჩინებული თემაა, როცა გარშემო ყველას ვტირება — ზოგს ახალციხის, ზოგს ალექსანდროპოლის გამო.

მოგვიანებით რამდენიმე წუთი გამოვნახე ზღვის ნაპირზე დასაჯდომად. ზედ წყლისპირას ერთმანეთის გვერდით სკამები მიუდგამთ და რაღაცაზე მინდობილად და სერიოზულად მსჯელობენ ხალილი და ვეჰიბ-ფაშა.

ზღვა ისეთი ლურჯია, როგორც არასდროს. გარშემო იგრძნობა მთის ტყეების სიმწვანე: იგი ნახევრადგამჭვირვალე ცისფერ ნისლს დაუფარავს. დელფინის თავი მალიმალ გამოჩნდება ხოლმე წყლის ზედაპირზე — როგორი ხეშეშია და სველი! თევზიყლაპია დაცურავს, ჩაიყურყუმალავებს და დიდხანს რჩება წყალში. ზღვის ნაპირზე ჯგუფებად სეირნობენ კონსტანტინოპოლელი მოხელეები — მზა ტანსაცმლის მაღაზიის მანეკენების მსგავსი ახალგაზრდები, თურქი ოფიცრები და გერმანელები თურქულ ფორმაში. ძველი რეჟიმის მოხელეები, რომელთა სახეებს აქაურობის მიმართ სრული გულგრილობა აღბეჭდიათ. მათი ჩასუქებული ქალები, ჩვენი ოფიცრები, რომლებიც ტყვეებს არა ჰგვანან.

ახლოს უკრავს რაღაც მიამიტურ-უხამსი მუსიკა, ზემოთ გადაიგუგუნა აეროპლანმა — იალქნიანმა ნავმა მარდად ჩაუარა ნაპირს...

ამგვარად, როგორც რუსები იტყვიან, სოლს სოლით აგდებენო; მაგრამ ჩვენ გერმანელებით დავიფარავთ თავს თურქებისაგან. „საფარი“ უფრო სიმბოლურია, რადგან გერმანელებს აქ ჯარი არა ჰყავთ; თუმცა ნატანებში უკვე შეიქმნა გერმანული პიკეტი (სამხედრო ტყვეებისაგან). საკითხავია, ქალაქების სიახლოვე და ნადავლის იმედი ხომ არ აცდუნებს თურქებს?

სხვა გზა არ არის: ჩვენ ვამყარებთ დამოუკიდებლობას. გერმანია ქალთით დაიჭერს თურქებს; ამისათვის ჩვენგან რაღაცას იხეირებს.

აზერბაიჯანი ჯერჯერობით თურქეთის გავლენის ქვეშ იქნება, სომხეთს თურქეთი დაწნეხავს, რასაც გერმანელთა აქ ყოფნა შეაფერხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს 9 საათზე მე და ნიკოლაძეს გვიხმობენ დელეგაციის თავმჯდომარესთან. ხალილ-ბეისგან პაკეტი მოსულა — ულტიმატუმური მოთხოვნა — 72 საათის განმავლობაში სრულად მივიღოთ 11 მაისს თურქების მიერ წამოყენებული პირობები. ამასთან, თურქებმა ახლა ნახიჩევანის მაზრაც მიიტაცეს (ერევნის გუბერნია), ე. ი. რკინიგზა — ყარსი-ალექსანდროპოლი-ჯულფა — მთლიანად.

ამ ულტიმატუმის არსი ჩვენმა მუსულმანებმა დღისითვე იცოდნენ. მისი მოტივირება გაიოლებული იყო თათართა საზოგადოების ცნობილი წრეების საჩივრებით. ხალილ-ბეისთვის რომ მოგესმინა, მუსულმანებს ყველგან ძარცვავენ და ყელს ჭრიან, და თურქები მათ ვერ დაუტოვებენ ბანდიტ-რევოლუციონერებს შესაჭმელად და ა. შ.

თურქეთი ისევ იკავებს ახალციხის მაზრას, უძველეს მესხეთს; და რიონის ვაკის სამხრეთით შემომსაზღვრელი უღელტეხილი, რომელიც კარგად მოჩანს მარტვილის მონასტრის მიტროპოლიტის სახლის აივნიდან, ისევ იქცევა საზღვრად ისლამსა და საქართველოს შორის...

ულტიმატუმი — გერმანიასთან ჩვენი შეთანხმებანი კი ჯერ კიდევ ხელმოუწერელია. ჰო-ჰო-ჰო...

...მოაქვთ თბილისის დეპეშები. ნატანების ჯარის უფროსი პოლკოვნიკი კ. გვილოცავს... მაგრამ აი, ჟორდანიას და ნ. რამიშვილის დეპეშა: „დღეს ნაშუადღევის ხუთ საათზე ეროვნულმა საბჭომ საქართველო გამოაცხადა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. მთავრობის თავმჯდომარედ არჩეულია რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრად — ჩხენკელი. ამიერკავკასიის სეიმმა თავი ცნო გაუქმებულად და ამიერკავკასიის ერთიანობა შეწყდა“.

ამგვარად, ჩვენს მიერ თურქეთის ულტიმატუმის მიღებამდე ოთხი საათით ადრე ამიერკავკასიის რესპუბლიკამ — უზარმაზარმა, უხერხემლო მოლუსკმა — არსებობა შეწყვიტა.

სასწრაფოდ ვადგენ წერილის ტექსტს ხალილ-ბეის სახელზე, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობისადმი მის მიერ გამოგზავნილი ულტიმატუმი ვერ გადაეცემოდა კუთვნილებისამებრ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რადგან ამიერკავკასიის რესპუბლიკა დაიშალა და გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

ამ დროს ჩხენკელის კაბინეტში შემოდიან ხატისოვი, კაჩაზნუნი და გენ. ოდიშელიძე. ამჯერად კითხვა — „რა არის ახალი" — უპასუხოდ არ რჩება. ხატისოვი საგონებელშია: რა მოელის თბილისის ობსერვატორიას, ამიერკავკასიის სამეანო ინსტიტუტს და სხვა საერთო-სამხარეო დაწესებულებებს? საერთოდ, თბილისში ქართველები უმცირესობაა და ა. შ.

რა დროს სამეანო ინსტიტუტებია! ამიერკავკასია სამი ხალხის ფედერაციად უფრო ადრე გამოაცხადეს, სანამ ყოველ შესაკრებთაგანს ჩამოაყალიბებდნენ. მართალია, მრავალი გარემოების გამო იძულებული იყვნენ მშენებლობა დაეწყოთ არა ბალავრიდან, არამედ სახურავიდან. ახლა ახალი გარემოებანი გვაბრუნებენ ჩვენ საწყისთან, ე. ი. საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის, როგორც დამოუკიდებელი ერთეულების, ორგანიზებასთან, რომელთა გაერთიანება კავშირით, უნდა მოხდეს პირველი შესაძლებლობისთანავე, ე. ი. როგორც კი თურქეთი შეწყვეტს დამშლელი ფაქტორის როლის შესრულებას.

რადგან საკითხი ამგვარად ისმება — თუმცა იგი უკვე ასეა გადაწყვეტილი დღეს! — თბილისი, როგორც ყოველთვის ყოფილა, საქართველოს დედაქალაქი იქნება, სომხებს აქვთ ერევანი, თათრები განჯაში დამკვიდრდებიან, სანამ ბაქოს არ გაათავისუფლებენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი IX

კურსი გერმანიაზე

25.

გერმანიის დელეგაციასთან შეთანხმებული ვიყავით, რომ ბათუმში შემუშავებულ დროებით ხელშეკრულებებზე ხელს მოვაწერდით ფოთში, სადაც გერმანელები, როგორც ვნახეთ, 25 მაისს, საღამოს გაემგზავრნენ. იქ შედგებოდა მათი შეხვედრა ნ. რამიშვილთან და ა. ჩხენკელთან; ეს უკანასკნელი, გერმანიის დელეგაციასთან ერთად, გაემგზავრებოდა ბერლინში, გერმანიის მთავრობასთან უფრო საფუძვლიანი და რეგულარული მოლაპარაკებისათვის.

გერმანიის დროებით წარმომადგენლად თბილისში დაინიშნა გრაფი შულენბურგი, რომლის მიღება ამ ხარისხში, ისევე როგორც ბ-ნ ანდერსისა ფოთში საკონსულო წარმომადგენლად, საქართველოს მთავრობამ უკვე აცნობა გენერალ ფონ-ლოსოვს.

თუმცაღა ოფიციალურად ჩვენ, გარემოებათა შეცვლის გამო, თბილისში ვბრუნდებოდით მხოლოდ და მხოლოდ. ამიერკავკასიის დელეგაციის მაგიერ ბათუმში უნდა გამოცხადებულიყვნენ სამი ახალი რესპუბლიკის დელეგაციები.

ადვილი წარმოსადგენია ის შეშფოთება, რომელმაც მოიცვა „Hotel Oriental"-ი 27 მაისს, როცა ყველამ გაიგო, ამიერკავკასიის დელეგაციამ ჭირი მოგჭამაო. გადავწყვიტეთ, იმავე საღამოს სპეციალური მატარებლით გავმგზავრებულიყავით. რჩებოდნენ ზოგიერთნი სამხედრო მისიიდან — დრაგომანი ექიმი ღამბაშიძე და სხვ.

სადგურზე საშველი არ დაადგა მატარებლის გასვლას. იძულებული ვიყავით დიდხანს გაგვერთო საუბრით ვეჰიბ-ფაშა, რომელიც ყოფილი ამიერკავკასიის დელეგაციის წევრების გასაცილებლად მოვიდა. მისი თქმით, იგი მხოლოდ 42 წლისაა; მაგრამ გარეგ-

ნობა ხანში შესული კაცისა აქვს. რამდენი ღამის გათევა მომიხდა-მე, მეთაურს, ავტომანქანაშიო — ამბობს იგი, — რამდენჯერ დავ-ჯერებულვარ სადილად მოხარშულ კვერცხსა და ჭიქა რძეს! წარ-მოშობით ალბანელია იანინიდან, მაგრამ დედა კი — ქართველი მუსულმანი ქალი ყოფილა ახალქალაქიდან. ჩვენს ოჯახში 17 ოფი-ცერია, 3 სარდალიო. იურისკონსულტი ნუსრეტ-ბეიც ალბანელია, ისიც იანინიდან არისო*.

ბოლოს და ბოლოს გავემგზავრეთ ბათუმიდან. ნატანებში (საზ-ღვრისპირა სადგური) პოლკოვნიკ კ-ს ენერგიული ფიგურა; თა-ვისუფალი საქართველოს ჯარისკაცების ბრბო. მაგრამ აი, სი-ახლეც — კასკიანი გერმანელი ოფიცერი. ეს შულენბურგის იმპროვიზაციაა ჩვენი დახმარებით. აშკარად ბალტიური წარმო-შობის ოფიცერი საფრთხობელას როლში, მაგრამ მთავარია კას-კა: იმის ნიშნად, რომ თურქებს აქ არაფერი ესაქმებათ. ზოგიერთ ჩვენს თანამგზავრს ეს კასკა არც ისე მოსწონს — მასში ხედა-ვენ ფესკის დაჩრდილვას. რამდენ „სხვადასხვაობას“ ააშკარავებს თავსაბურავების ეს სხვაობა!

საკვანძო სადგურ სამტრედიაში მატარებელს გამოეყო ფოთი-სკენ მიმავალი ვაგონი იმ მგზავრებიანად, რომლებიც ფოთში მი-დიან. დანარჩენი მატარებელი აგრძელებს გზას თბილისისაკენ: მგზავრთაგან ცოტამ თუ იცის ფოთში დანიშნული პაემანის შე-სახებ.

ღამე თბილისიდან ჩამოვიდა ჩვენი პრემიერი რამიშვილი, რომელიც მე პირველად ვნახე. წარმოსადეგი ფიგურაა, არც პეწი და ლაზათი აკლია, მაგრამ რა იმალება ამ ფასადს უკან?

დილით ადრე ჩვენ თათბირი გვაქვს რამიშვილთან და ჩხენკელ-თან, გერმანიასთან შეთანხმების მომავალი ხელმოწერის თაობაზე. ამასობაში მატარებელი უახლოვდება ფოთს, ჩანს ტაბლასავით სწო-რი, დატბორილი მიდამოები, რომელიც საუკუნეების მანძილზე ელის ღრენაჟსა და სხვა მელიორაციას — ესაა ქართველების ზეპირი პროექტიორობის ერთ-ერთი უსაყვარლესი თემა!

ფოთში გვხვდებიან ნაცნობი პირები — გერმანიის მისიაში ჩვე-ნი წარმომადგენელი პ. სურგულაძე, ი. გოგოლაშვილი, ახალშობი-

---

* ახლა (1924 წ.) ვეჰიბ-ფაშა ემიგრანტია იტალიაში, ნუსრეტ-ბეი კი ანგო-რის საგარეო საქმეთა სამინისტროს რწმუნებულია კონსტანტინოპოლში.

ლი რესპუბლიკის უკვე დამზადებული ბეჭდებით, ქაღალდებით და სხვა საკანცელარიო აღჭურვილობით, გრაფი შულენბურგი. ვაგრძელებთ გზას, მივემგზავრებით პორტში. ქართული დროშის მოლოდინში საზღვაო მოლზე ფრიალებს გერმანული დროშა. ნავმისადგომთანაა გერმანული სტაციონერი კონსტანტინოპოლიდან Loreley; მის გვერდით ამაყად წამოჭიმულა ვაჭრის დედაკაცი Minna Horn-ი. თავაწეულნი მივდივართ დაკიდულ ტრაპზე: მე, ჩემს შემდეგ ჩხენკელი, მის „ალმატებულებას“ მისდევს მხლებელი ახმედ-ბეგ ბეჟანიძე, მეტად შთამბეჭდავი გარეგნობის ოფიცერი, ქართველი მუსულმანი და სხვები — სცენა, ნამდვილად ღირსი... კინემატოგრაფის საკვირაო ქრონიკისა.

გენერალი ფონ-ლოსოვი ძალზე გვაჩქარებს: რაც უფრო მალე გავემგზავრებით, მით უკეთესიაო, ყველანი შევიკრიბეთ თუ არაო და ა. შ. მხოლოდ ნიკოლაძე გვაკლია, რომელიც უკანასკნელ წუთს ჩამოვა. ამასობაში ჩვენ საქმეს შევუდექით, მოგვიანებით მე გავემართე რამიშვილის მოსაყვანად, რომელიც, თავის მხრივ, ზემოთ ამოდის. გუშაგები გემზე სამხედრო სალმით ხვდებიან მას. სამსაათიანი ბჭობის შემდეგ (შესვენების დროს ვსაუზმობთ გერმანიის დელეგაციასთან ერთად), შეთანხმებებს, ბოლოს და ბოლოს, ხელს ვაწერთ.

შულენბურგის თხოვნით ვწერ ქაღალდს გერმანელი ლეიტენანტის ბარონ პ-ისათვის, რომელიც მცირე სადარაჯო რაზმით იგზავნება სოხუმში.

ნავმისადგომთან ისევ საუბარი გერმანიის კონსულთან და გრაფ შ-სთან, რომელიც გვთხოვს „მოკითხვა გადავცეთ გერმანიას“; გამგზავრების დრო ახლოვდება; ნავმისადგომთან უამრავი ხალხია... ბოლოს და ბოლოს, მგონი, 5 საათზე, ხმელეთს ვცილდებით. ნაპირი სწრაფად გვშორდება: მე თვალიც კი ვერ შევავლე დამოუკიდებელ საქართველოს!

26.

რა იყო საქართველოსა და გერმანიის 1918 წ. 28 მაისის დროებითი შეთანხმების არსი? ეს კითხვა ისტორიული ინტერესის საგანია იმათთვის, ვინც შეისწავლის გერმანიის მეთოდებსა და მიზნებს მსოფლიო ომის დამამთავრებელ ფაზაში, ან — ვინც დაინტერესე-

ბულია ზოგადად ახლო აღმოსავლეთის ისტორიით, კერძოდ, სა-ქართველოსა და კავკასიის ბედით რუსეთის რევოლუციის შემდეგ.

ძირითადი „დროებითი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ“, რომელიც დაიდო ფოთში გერმანიის საიმპერატორო მთავრობასა და — სამეფო-ბავარიის გენერალ-მაიორის ფონ-ლოსოვისა და ა. ჩხენკელის სახით, — სულ 5 მუხლისაგან შედგებოდა.

პირველი მუხლის მიხედვით, საქართველო გერმანიის იმპერიასთან ურთიერთკავშირის საფუძვლად აღიარებდა 1918 წ. 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის დადგენილებებს.

მე-2 მუხლით საქართველო ნებას რთავდა გერმანიის მთავრობას ომის დამთავრებამდე ესარგებლა საქართველოს სარკინიგზო ხაზით, ოთხთა კავშირის სახელმწიფოების ჯარებისა და სამხედრო მასალის გადასატანად. რკინიგზებზე კონტროლისათვის თბილისში იქმნება საგანგებო კომისია გერმანიის ხელმძღვანელობით, რომელიც იმოქმედებს საქართველოს მთავრობასთან ერთად. გათვალისწინებულია, აგრეთვე, გერმანული რაზმების დაყენება რკინიგზის სადგურებსა და ფოთის ნავსადგურში.

მე-3 და მე-4 მუხლები ეხება საზიარო დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობის შექმნას; დაბოლოს, მე-5 მუხლი გვაუწყებს, რომ ეს შეთანხმება (რომელიც ძალაში შედის ხელმოწერისთანავე), რაც შეიძლება მალე უნდა შეიცვალოს ოფიციალური ტრაქტატით მომლაპარაკებელ მხარეებს შორის, რამდენადაც არ დაიდება საერთო ხელშეკრულება, ერთი მხრივ, ოთხ მოკავშირე მთავრობასა (ე. ი. გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, თურქეთის და ბულგარეთისა), და მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობას შორის.

რა თქმა უნდა, ამ (ძირითადი) შეთანხმების მთავარი ძალაა: ა. გერმანიის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობის ფაქტიური აღიარება, და ბ. ომის პერიოდში საქართველოს სარკინიგზო ხაზზე გერმანიის კონტროლის დაწესება.

ამასთანავე, დაიდო ორი დამატებითი ხელშეკრულება. მათგან პირველი ეხება სამეურნეო საკითხებს, რომელთა გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საქართველოს მთავრობის მიერ გერმანიაში სესხის აღებისათვის. ეს, თითქოს, ამ სესხთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური შეთანხმების ერთგვარი პროგრამაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან ფიქრობდნენ, რკინიგზისა და ფოთის ნავსადგურის შემოსავალს შეუძლია სესხის გადასახადის დაფარვაო, საქართველოს მთავრობა წინასწარ (1-ლი მუხლი) აცხადებდა, რომ საქართველოს სარკინიგზო ხაზი არის სახელმწიფოს საკუთრება, ფოთის ნავსადგური გადავა სახელმწიფო მმართველობაში, და მთავრობა თანახმაა, დაარსდეს ქართულ-გერმანული კომისია აღნიშნული გზებისა და ნავსადგურის ექსპლოატაციის კონტროლისათვის (თუ მათი შემოსავლით უზრუნველყოფილი იქნება სესხის დაფარვა).

მეორე მუხლი სახავს პარიტეტულ საწყისებზე ქართულ-გერმანული სამთო სამრეწველო საზოგადოების შექმნას, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო გადასცემს წიაღის ექსპლოატაციის განსაკუთრებულ უფლებას, მაგრამ საკანონმდებლო წესით წინასწარ იმტკიცებს მონოპოლიურ უფლებას სამთო მრეწველობაზე.

ამ საზოგადოებას სახელმწიფო გაუწევს ზედამხედველობას; არსებული სამთო საწარმოებისა და შეძენილი უფლებების ლიკვიდაცია მოხდება განსაკუთრებული კანონებით, შეთანხმების საფუძველზე. მოპოვებული მადნის ექსპორტს შეფერხება არ შეექმნება.

თუ აქ გადმოცემული სქემა სავსებით შეეფერება ომის პერიოდში განსაკუთრებული ძალით გაბატონებულ სახელმწიფო სოციალიზმისა და გაერთიანებული გეგმაზომიერი საქმიანობის იდეებს, მე-3 მუხლში გამომჟღავნდა გერმანიის დიდი ინტერესი ნედლეულისადმი, რომლის მთელი რაოდენობა, ადგილობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ, შეეძლო შეეძინა და გაეზიდა გერმანიას.

მე-4 მუხლით გერმანია გვპირდებოდა მოეგვარებინა საქართველოსთან საზღვაო კავშირი და გაეადვილებინა საფაბრიკო საქონლის, ნახევარფაბრიკატებისა და სურსათის შემოტანა საქართველოში.

მეორე დამატებითი შეთანხმება (სულ ორი მუხლისაგან შემდგარი) ითვალისწინებდა გერმანელი კოლონისტების ინტერესებს, რომლებიც XIX ს. პირველ ნახევარში დაასახლა საქართველოში რუსეთის მთავრობამ; ეს იყო მათი პრივილეგიების შენარჩუნება, გერმანიაში თავისუფალი დაბრუნების უფლება და გერმანიის უფლება — მოსარჩლეობა გაეწია მათთვის.

ზემოხსენებული სამი შეთანხმების გარდა, რომლებიც ერთად შეადგენდნენ ქართულ-გერმანული ურთიერთდამოკიდებულების საფუძველს, ფოთში ხელი მოაწერეს კიდევ სამ ცალკეულ კონვენ-

ციას: გერმანიის ვალუტის, როგორც გადახდის საშუალების, ეროვნული ებითი დაშვება ადგილობრივ ფულთან ერთად, განსაკუთრებული კურსით, და ამ კურსის წესის დადგენა მთავრობათა შორის საგანგებო შეთანხმების საფუძველზე; საშუალებანი და ღონისძიებანი ტყვეების უსწრაფესი გაცვლის დასაჩქარებლად (ბრესტ-ლიტოვსკის დამატებითი ხელშეკრულების დადგენილებათა დამატებად); საქართველოს პორტებში არსებული ტონაჟის გერმანიის ხელისუფლების განკარგულებაში გადაცემა.

ამ სპეციალურ კონვენციათაგან პირველის აუცილებლობა, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდებოდა საქართველოში, მის მთავრობასთან დადებული შეთანხმებით, გერმანული ჯარის ნაწილების მომავალ ჩამოსვლას (ასეთივე კონვენციები დაუდო გერმანიამ თავის დროზე ბულგარეთს და რუმინეთს). მეორე არც კი საჭიროებს რაიმე განსაკუთრებულ განმარტებას; მესამეს მნიშვნელობა კი, საერთოდ, ერთობ მცირე იყო.

ფოთის ხელშეკრულებები წყვეტდნენ ომიდან გამომდინარე საჭირბოროტო საკითხებს; მეორე მხრივ — ითვალისწინებდნენ გერმანიის, ე. ი. ძირითადად გერმანიის კაპიტალის დახმარებას საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და ეკონომიკის განვითარებაში. გერმანია უზრუნველყოფდა თავისთვის არცთუ მცირე უპირატესობას, განსაკუთრებით სამომავლოდ. მაგრამ საქართველოც ღებულობდა მოგებას, თანაც უშუალოს, ხელშეკრულებიდან.

ამ ხელშეკრულების წყალობით საქართველო თავიდან იცილებდა თურქეთის მხრიდან მოსალოდნელი ოკუპაციის უღელს, და არავის შეეძლო ამის გაკეთება, გარდა გერმანიისა. ყოველ შემთხვევაში 1918 წ. ზაფხულში, გერმანია აღმოჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობის მიმრქმელი — ამ დროს ამ როლის შესრულება ხელეწიფებოდა მხოლოდ მას. მისი მხარდაჭერით ეს საკითხი საერთაშორისო მნიშვნელობას იძენდა.

1918 წ. 28 მაისს გენერალი ფონ-ლოსოვი, ფოთში საქართველოს მთავრობისადმი გამოგზავნილი საიდუმლო წერილით ვალდებულებას იღებდა მიეღწია იმისათვის, რომ „გერმანიის მთავრობას გამოეცხადებია თავისი მზადყოფნა საქართველოს მხარდასაჭერად

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკებაში. საქართველოს რუსეთის იმპერიის ფარგლებიდან გასვლასთან დაკავშირებით, მისი გამოყოფის შემდეგ კი ეცნო საქართველო თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ". გერმანიის რწმუნებული ასევე იღებდა ვალდებულებას, რომ „გერმანია დაეხმარებოდა საქართველოს საზღვრების უზრუნველყოფაში და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთკავშირის დამყარებაში".

იმავე წერილში ზოგადად განსაზღვრული იყო საქართველოს ტერიტორიული შემადგენლობა: მისი საზღვრები მოიცავენ ყოფილ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს და სოხუმის ოკრუგს.

ამ განსაზღვრებით, ბათუმის ოლქი გამოყოფილი იყო საქართველოს ფარგლებიდან (რაც, სხვათა შორის, შეესაბამებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას), მაგრამ ბათუმში ახლახან განცხადებულ თურქეთის ახალ პრეტენზიებს თბილისის გუბერნიის ორ მაზრაზე (ახალციხისა და ახალქალაქის) გერმანიის წარმომადგენელი არ ღებულობდა მხედველობაში. ეს ჩვენი დაჟინებისა და მოლაპარაკებების შედეგი იყო. რასაკვირველია, მხოლოდ მოგვიანებით, ბერლინში გამოჩნდებოდა, გერმანია ნამდვილად მოისურვებდა თუ არა, ეკისრა ის ვალდებულებანი, რომელთა გამოც ყოველმხრივ დახმარებას გვპირდებოდა გენერალი ფონ-ლოსოვი.

ასევე საყურადღებოა, წერილში გადმოცემული ერთი შენიშვნაც: სოხუმის ოკრუგი (გაგრის ჩათვლით) საქართველოს ნაწილს წარმოადგენს, სანამ საქართველო ქმნის ცალკე სახელმწიფოს კავკასიის ფარგლებში. მაგრამ თუ შეიქმნა კავკასიის ხალხების კონფედერაცია საქართველოს მონაწილეობით, სოხუმის ოკრუგის მოსახლეობას უნდა მიეცეს უფლება, თვითონ გადაწყვიტოს კავკასიის ქვეყნებს შორის თავისი მდგომარეობის საკითხი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთ შემთხვევაში, აფხაზეთის მოსახლეობას შეეძლო აერჩია საქართველოსთან შეერთება, მთის ხალხთა კავშირში გაერთიანება, ან კავკასიის კონფედერაციაში შესვლა, განსაკუთრებული სახელმწიფო-კანტონის სახით.

აქედან ჩანს, როგორი მნიშვნელობა ეძლეოდა კავკასიის ხალხების პოლიტიკური გაერთიანების გეგმას სწორედ იმ მომენტში, როცა გარემოებათა გამო აუცილებელი გახდა ამიერკავკასიის კავშირის დაშლა!

ისღა უნდა დავუმატოთ, რომ გენ. ფონ-ლოსოვის ზემოდასახელებული წერილი მთავრდებოდა ცნობით, ფოთში გერმანიის საფარისო ნაწილები უნდა ჩამოვიდნენო: ეს იმას მოასწავებდა, რომ, აღარ ექნებოდა რა თურქეთის შემოტევის შიში, საქართველოს შეეძლო შესდგომოდა თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრების პირველ აქტებს. ამგვარად, ჩვენი უპირველესი ამოცანის აღსრულება ახლოვდებოდა. უფრო გარკვეული შედეგების მოპოვება — თურქეთისაგან გამიჯვნა, საქართველოს საკითხის შეთანხმება რუსეთში არსებულ მდგომარეობასთან და ა. შ. — მხოლოდ ბერლინში შეიძლებოდა. და ჩვენი გზაც იქითკენ მიდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი X

QUO VADIS, GEORGIA?

(ვიდრე ხვალ, საქართველო?)

27.

პირდაპირი რეისით მივდიოდით კონსტანცაში. 1918 წლის ამ თვეებში შავი ზღვა, არც მეტი, არც ნაკლები, გერმანული ტბა იყო. ამინდი მშვენიერი იდგა, რყევა — უმნიშვნელო; დელეგაციების გარდა სხვა მგზავრები არ იყვნენ; ბევრი თავისუფალი დრო გვქონდა, ყველა პირობა აზრთა თავისუფალი გაზიარებისათვის.

გენ. ფონ-ლოსოვის, ო. ფონ-ვეზენდონკისა და გერმანიის დელეგაციის ორი წევრის გარდა, ჩვენი თანამგზავრები იყვნენ გენერალური შტაბის ერთი პოლკოვნიკი, რომელიც კონსტანტინოპოლში ბრუნდებოდა, და „ფრანკფურტის გაზეთის“ თანამშრომელი ჟურნალისტი ვეიცი, რომელიც ჩვენსავის ბათუმში იმყოფებოდა. ჩვენთან მგზავრობდნენ სომხეთის დელეგატები: ა. ზურაბოვი (აწ გარდაცვლილი), რომელიც ჯერ კიდევ პეტერბურგიდან მახსოვდა, როგორც მძვინვარე სტუდენტი-მეტყევე, საქმიანობითა და ტემპერამენტით პროფესიონალი რევოლუციონერი. პარტიული კუთვნილება — ს. დ., იგი იყო სახელმწიფო სათათბიროს (მე-2) წევრი თურქესტანიდან. სახელი გაუთქვა, მახსოვს, არმიის მისამართით რაღაც გამოხდომამ, ახლა კი ბერლინში მიემგზავრებოდა თვისტომელთათვის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. იმედს ამყარებდა, რა თქმა უნდა, არა „გენერლების გერმანიაზე“, არამედ Genossen-ზე. მას სრულებით არ ჰგავდა სომხეთის მეორე რწმუნებული, ექიმი ამაზასპ („ამო“) ოჰანჯანიანი, მეოცნებე-რევოლუციური წყობის კაცი, პატრიოტი და ხალხის მოყვარული.

საქართველოს დელეგაცია შედგებოდა ჩხენკელის, ნიკოლაძის და როგორც გერმანელები იტყვიან, „ჩუმი უმცირესობისაგან“*.

* მას შემდეგ, რაც ჩვენი ს.-დ. „კომიტაჟები“, მთელი თავისი ორგანიზაციით, ძალაუნებურად ჩაებნენ საქართველოს სახელმწიფოებრივ მუშაობაში, სავალდებულოდ მიმაჩნდა მათთან თანამშრომლობა. ბერლინში წასვლას სრულიადაც არ ვაპირებდი, მერჩია, ფოთიდან თბილისში დავბრუნებულიყავი. სამწუხაროდ, უკანასკნელ მომენტში გამოირკვა, რომ აუცილებელი ყოფილა ჩემი წასვლა, და ბაიტანეს კიდეც.

ვეუბნებოდით ჩვენ — ამ მოსახლეობის სიცოცხლის დაცვა ალ-ღირსების საკითხია". უნდა მივაღწიოთ გარკვეული რეკომენდაციის თურქებისაგან გაწმენდას — ასეთი იყო ფონ-ლოსოვის პრაქტიკული დასკვნა. მაგრამ ამ თემაზე იგი საგანგებოდ სომეხ დელეგატებთან თათბირობდა.

31 მაისს, სამი არასრული დღე-ღამის ნაოსნობის შემდეგ ჩავედით კონსტანცაში. ეს ასატანი სისწრაფეა „ვაჭრისათვის", თანაც გაბურღული რომ იყო ტორპედოსაგან მარმარილოს ზღვაში, შემდეგ წყლიდან ამოღებული და დაკერებული.

აი, უკვე ჩანს შენობები, ელევატორი, ნავთობის ავზები. პორტში სიცოცხლე ჩამკვდარა: არც გემებია, არც კაცი ჭაჭანებს. თუმცა აი, სამხედრო ტყვე ბელგიელებს ნახშირი გადმოაქვთ გემებიდან, ჯარისკაცებიც ჩანან — თურქი, გერმანელი, ბულგარელები. პლაკატები სამენოვანი წარწერებით.

ქალაქში საგანგებო საშვებით გავდივართ. გერმანელები აქ განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობენ — ამბობენ, რომ ბულგარელების ოკუპაციისაგან ძალზე ცუდ დღეში იყო მოსახლეობაო.

მშვენიერი სანაპირო უკაცრიელია. შემდეგ დაიწყო გაკრიალებული ქუჩები. ოვიდიუსის ძეგლთან ახალგაზრდა ბულგარელი პრაპორშჩიკი გერმანულ ენაზე ეარშიყება რუმინელ ქალიშვილს.

უკანასკნელი ტრაპეზი „Minna Horn"-ზე. როგორც ყოველთვის, და იმავე საამო შედეგებით, მოგვართვეს თბილისში არსებული ყოფილი საუფლისწულო უწყების მარნების კახური ღვინო, რომელიც გერმანიის დელეგაციას უთავაზა საქართველოს მთავრობამ. Habent sua fata... vina.

1 ივნისს, დილით ადრე, გავემგზავრეთ ბერლინს სპეციალური მატარებლით. ჩერნავოდის განთქმული ხიდი დუნაიზე 1916 წელს, რუმინეთის კამპანიის დროს, ააფეთქეს. მდინარის ამ ტოტზე (Borcea) ჩვენ გადავედით ბორანით, შემდეგ ვიარეთ Fetesci-მდე, სადაც ახალი მატარებელი გველოდა.

ბუქარესტში გერმანიის დელეგაციის ნაწილი გამოგვეყო — მისი გზა კონსტანტინოპოლისკენ იდო.

გადავკვეთეთ დიდი და პატარა ვალახია. ცხელი დღე იყო; ყველგან მწვანედ მოჩანდა სიმინდის ყანები, ლობიოს ნათესები და პურის ჯეჯილები. ქალები და ბავშვები ნაკვეთებს მარგლავდნენ. ჭეშმარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტად მიწათმოქმედების სამეფოა! ეს ქვეყანა დამონებულია. ... ბით. ნუთუ დაკარგავს იგი მთელ დობრუჯას, კონსტანცას?

კრაიოვის შემდეგ მეტი სიმწვანეა. ტყეები დაიწყო. ერთ მხარეს ტრანსილვანიის ალპების მთისწინეთია, მეორე მხარეს, დუნაისპირა მაღლობი. იქ სერბიაა, გასრესილი, დაბორკილი, მძიმედ აზის მას გამარჯვებული.

მეორე დღეა — შუაზე ვსერავთ უნგრეთს, ჩვენს ირგვლივ მშვენივრად დამუშავებული ნაკვეთებია — ხორბალი, სიმინდი, ვენახი, ხეხილის ბაღები, ყველაფერი ამწვანებულია, ჯეჯილს ნაზად აღლვებს ნიავი, რასაც თვალი სწვდება, ყველაფერი დამუშავებულია. საკვირველი არ არის, რომ გერმანია უნდა წაეხმაროს ავსტრიას კვების ამბავში?! აქ ნამცხვრებსაც კი მიირთმევენ და „რაციონირება" ვერ მოუხერხებიათ, როგორც საჭიროა.

ბუდაპეშტში ჩვენ ჩვეულებრივ ექსპრესს მიგვაბეს. 3 ივნისს, დილით, კონსტანციდან გამომგზავრების ზუსტად 48 საათის შემდეგ (რა ბრწყინვალე სიჩქარეა!), ჩავდივართ ბერლინში, დიდი ომის ბერლინში, საიდანაც ასე დამანგრეველად მოქმედებენ ყბადაღებული „შიგა ხაზებით".

28.

ბერლინში, 1918 წლის ივნის-ნოემბერში, ჩვენ ჭეშმარიტად მოწმეები გავხდით გერმანიის იმპერიის სიდიადისა და დაცემისა. და მოქმედებაც ისე მოგვიხდა, რომ ჯერ სიდიადეს უნდა შევწყობოდით, ხოლო შემდეგ „დაცემისაგან" დაგვეძვრინა თავი.

უკვე 1917 წლიდან ჩანდა, რომ საქართველოს უნარი შესწევს „რევოლუციურ მონაპოვართა" საფუძველზე თავისი შინაგანი სახელმწიფო წესრიგის ორგანიზებისა. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, როგორი იყო შემდეგ ის გარემოება, რამაც გამოიწვია საქართველოს სრული პოლიტიკური განცალკევება. მაგრამ საქართველოს ახლა, რა თქმა უნდა, არც შესაძლებლობა ჰქონდა და არც საფუძველი, რაიმე მონაწილეობა მიეღო მსოფლიო ორომტრიალში.

1918 წლის ზაფხულს, შავი ზღვის რაიონში გერმანიის სამხედრო და პოლიტიკური უპირატესობისა და თურქეთის მიმართაც აშკარა ჰეგემონობის უეჭველობის გამო, ერთადერთი, რისი გაკეთებაც ჩვენ შეგვეძლო — ეს იყო თურქების მგლური მადისათვის გერმანიის კონტროლის დაპირისპირება. ჩვენც შევეცადეთ, რაც შეიძ-

ლებოდა მეტად გვესარგებლა თვით გერმანია-თურქეთის სამოკავშირეო დისციპლინის არსით.

ბათუმში ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანა სწორედ ამგვარ და, ამავე დროს, გადაუდებელ გადაწყვეტას ითხოვდა. ფოთში შეთანხმებით ჩვენ უმალ მივაღწიეთ ასეთ modus vivendi-ს ამიერკავკასიასა და საქართველოში, რაც ასე თუ ისე, არსებობის საშუალებას გვაძლევდა.

ბერლინში, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, ამ უშუალო, უკვე მიღწეული შედეგების უზრუნველყოფისა და განმტკიცებისაკენ მივისწრაფოდით, მაგრამ ჩვენ ვუახლოვდებოდით ახლა უკვე უფრო რთულ საკითხს — საქართველოსა და გერმანიის ურთიერთკავშირს, რომლის საფუძველი უნდა ყოფილიყო საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა და მისი უზრუნველყოფა, ხოლო გერმანიისათვის გარკვეული ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებლობის შეთავაზება.

ამ მეორე ამოცანის გადაჭრა, რა თქმა უნდა, დამოკიდებული იყო ომის შედეგებზე, რისი ზუსტად განსაზღვრაც 1918 წლის მაისივნისში ძნელი იყო.

მაგრამ ამ მოლაპარაკებაში ჩვენი ამოსავალი იყო და, ბუნებრივია, უნდა ყოფილიყო კიდეც, იმის დაშვება, რომ გერმანია ამ ომში ან გაიმარჯვებდა, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ღირსეულად მაინც გამოვიდოდა ომიდან. ამის ვარაუდით (ზოგჯერ კი რწმენით) ბევრი რამ კეთდებოდა, მზადდებოდა, განისჯებოდა ამ უზარმაზარ სივრცეზე — „ფინეთის ცივი კლდეებიდან, ვიდრე ცეცხლოვან კოლხეთამდე". საქართველოს პოზიციის მომზადება ამ ვარაუდის საფუძველზე მით უფრო აუცილებელი იყო, რომ სწორედ ამ გზით, ე. ი. „მომავლის მუსიკით", ჩვენ ერთი მხრივ, მივაღწიეთ ამ მომენტისთვის აუცილებელ modus vivendi-ს განმტკიცებას ჩვენს ქვეყანაში; მეორე მხრივ, შეიძლებოდა იმედი გვქონოდა, რომ გერმანიის დახმარებით მოვაგვარებდით ჩვენს ურთიერთობას საბჭოთა რუსეთთან; დაბოლოს, საერთოდ, გავამაგრებდით საქართველოს — როგორც სახელმწიფოებრივი, ორგანიზებული ერთეულის — მდგომარეობას ამ ხიფათითა და მოულოდნელობით აღსავსე ეპოქაში.

რასაკვირველი, გერმანია, მომავალში მოსალოდნელი სარგებლის გარდა, ღებულობდა უშუალო ანაზღაურებასაც მისთვის საჭირო და ჩვენს ხელთ ნაღდად არსებული (ძალზე მცირე ოდენობით) ზოგი-

ერთი ნედლეულის წყალობით, ხოლო ომის გაგრძელებისა და ინგლისელთა წინააღმდეგ საომარი ოპერაციების მესოპოტამიაში და სპარსეთში განვითარების შემთხვევაში, მას ამ ოპერაციებისათვის ექნებოდა (თურქეთთან ერთად) ბაზა ამიერკავკასიაში.

ასეთი იყო მედლის მეორე მხარე. მაგრამ ამიერკავკასიას თავისი ძალებით, და მით უმეტეს მხოლოდ საქართველოს, არ შეეძლო და არც არასდროს უფიქრია თავის თავზე აეღო ისეთი ამოცანა, რომელიც რუსეთისთვისაც კი მძიმე იყო: სახელდობრ, გადაეკეტა გერმანიისა და თურქეთისათვის ამიერკავკასიის მისადგომები სპარსეთისაკენ. არსებითად ამაზე ინგლისს უნდა ეზრუნა. ვინძლო დროულად გამოჩენილიყო თბილისში, თუნდაც მცირე ძალებით, იგი ხელს შეუწყობდა თურქების წინააღმდეგ ადგილობრივი დაცვის უკეთ ორგანიზებას. ასეთი აზრი ინგლისს ჰქონდა, მაგრამ დიდი მანძილია აზრიდან ნებამდე და უფრო დიდი — განხორციელებამდე*. 1918 წლის ზაფხულის მიწურულს ბაქოში ინგლისელების ავბედითმა გადმოსხდომამ ნათლად გვიჩვენა, თუ რამდენად სწორი იყო, ამ მხარისაგან შემწეობის იმედი რომ არ გვქონდა.

---

* ამ მხრივ საყურადღებო ცნობები იხ. წიგნში — Major-General L. C. Dunterville. The advantures of Dunsterforce. L. 1920. როცა კავკასია-სპარსეთის ფრონტმა დაშლა იწყო (1917 წ. შემოდგომიდან), ინგლისელების აზრით, მდგომარეობის გამოსწორება შეიძლებოდა, თუ თბილისში დაუყოვნებლივ გაიგზავნებოდა ბრიტანეთის განსაკუთრებული მისია, რომელიც მოახდენდა თურქებისაგან დაცვის რეორგანიზაციისა და ადგილობრივი სამხედრო ელემენტების — რუსების, ქართველების და სომხების — ჯეროვან გაერთიანებას. ავტორის დასკვნით, რადგან თურქეთის ჯარების ხარისხი, 1916 წელთან შედარებით, საკმაოდ დაეცა, მიზნის მიღწევა შეიძლებოდა შედარებით მცირე სახსრებითა და ძალით. უკვე თვით ავტორი ედგა სათავეში მისიას, რომლის მეწინავე ჯგუფი 1918 წლის იანვარში გამოემგზავრა ბაღდადიდან. მაგრამ, ფაქტიურად, ყველაფერი დამთავრდა ინგლისელების ექსპედიციით რეშტიდან ბაქოში, სადაც ინგლისელები გადმოსხდნენ 1918 წ. შუა აგვისტოში, იქიდან კი უკანვე გაბრუნდნენ 15 სექტემბერს (რათა უფრო გვიან დაბრუნებულიყვნენ უკვე თურქების საერთო კაპიტულაციის შემდეგ).

1917-1918 წწ. ინგლისისაგან ამიერკავკასიის დახმარების გზა — ბაღდადი-სპარსეთი-კასპიის ზღვა — ძალზე შორეული და შემოვლითი იყო! სამწუხაროა, რომ ეს ინგლისური გეგმა არ განხორციელდა. ამით მთელი ამიერკავკასია მოიგებდა. სხვა საკითხია, რას იტყოდა ბევრი, რუსი, თურქეთის წინააღმდეგ ინგლისურ-კავკასიური ფრონტი რომ შექმნილიყო.

ყოველ შემთხვევაში, ბერლინში ლაპარაკი შეიძლებოდა მხოლოდ საქართველოსა და თურქეთს (და მის მოკავშირეებს) შორის მშვიდობის უზრუნველყოფაზე; ოთხთა კავშირის მხარეზე ომში მონაწილეობის შესახებ ლაპარაკიც კი არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო! ნეიტრალიტეტი საერთაშორისო ომში (რამდენადაც ამის განხორციელება შეიძლებოდა), ნეიტრალიტეტი კავკასიონის ქედის გადაღმა მიმდინარე სამოქალაქო ომში — ასეთი იყო, სწორი თუ მცდარი, ქართული პოლიტიკის ძირითადი დოგმატი.

ომისა და რევოლუციის ვითარებამ და ასევე გეოგრაფიულმა მიზეზებმა (სრუტეების დაკეტვის გამო დასავლეთის მოწყვეტამ) ბერლინში მიგვიყვანა, და იქ ჩვენ ჩავედით შეთანხმების გარკვეული სქემით. ეს შეთანხმება გერმანიის მხრიდან ხელმოწერილი იყო პირის მიერ, რომელიც ფორმალურად წარმოადგენდა გერმანიის მთავრობას, მაგრამ საქმით კი ყველაზე მეტად დაკავშირებული იყო გერმანიის უმაღლეს სარდლობასთან. ეს ინსტანცია გადამწყვეტი იყო: თუმცაღა ჩვენ ახლა შეხება გვქონდა გერმანიის საგარეო პოლიტიკის მუდმივ აპარატთან, საგარეო საქმეთა უწყებასთან, რომელსაც არ შეეძლო არ შეეტანა ჩვენი საქმის „წარმოებაში“ თავისი მეთოდები და რუტინა, დამახასიათებელი ასეთი მოცულობისა და აგებულების მანქანისათვის.

ამ აუცილებელი განმარტებების შემდეგ მივმართავ რამდენიმე ნაწყვეტს იმ დროის ჩემი ჩანაწერებიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XI

ბერლინში (1918 წლის ივნისი)

29.

4 ივნისი. დავიწყე წერილობითი გადმოცემა იმისა, თუ რისთვის ჩამოვედით აქ და რა სურს საქართველოს.

გავიცანი ჯგუფი ემიგრანტი ქართველებისა, რომლებიც აქ იყვნენ ომის დასაწყისიდან, და ამ ომისგან მოელოდნენ რაღაც გზით სამშობლოს განთავისუფლებას. ისინი ყველას გიჟებად მიაჩნდა: ახლა ჰგონიათ, სწორედ ისინი იყვნენ მართლები. შეცდომაა! რაც 1918 წლის პირობებში აუცილებელი გახდა და გონივრულიც, 1917 წლის მოვლენების შემდეგ უსაფუძვლო და უნიადაგო იყო, და ამიტომაც უშედეგო 1914—1917 წლებში. ისე კი მათმა მუშაობამ, პროპაგანდამ ბევრი რამ მოამზადა.

5 ივნისი. დღეს საგარეო საქმეთა სამინისტროში ჯერ ხანგრძლივი საუბარი გვქონდა საიდუმლო მრჩევლებთან — ფონ-როზენბერგთან* და დოქტ. გეპერტთან**, შემდეგ მიგვიღო მინისტრმა რ. ფონ-კიულმანმა, მშვენიერ კაბინეტში, სადაც ჰკიდია ლენბახის შესრულებული ბისმარკის პორტრეტი. კიულმანმა ჩემზე ერთობ საქმიანი, თავიანი კაცის შთაბეჭდილება დატოვა. მაგრამ მთელი მსოფლიოს დიდი მოხელეები ძალზე ჰგვანან ერთმანეთს!

საღამოს ფონ-ლოსოვი ვილჰელმის შტაბში გაემგზავრა: გაჰყვა ყალმუხების ატამანი ტ.

6 ივნისი. როზენბერგთან და გეპერტთან ერთად „ვაღრმავებთ“ საქართველოს ფორმალური ცნობის, საქართველოს რუსეთთან ურთიერთდამოკიდებულებისა და სხვ. თემებს.

---

* 1923 წ. — საგარეო საქმეთა მინისტრი.
** ახლა — ელჩი ჰელსინგფორსში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვურჩიე ჩხენკელს, როგორც მინისტრს, არ დასწრებოდა ასეთ თათბირებს — რაშიც დამეთანხმა. მას საქებარი თვისებები: შეუპოვრობა, შემტევობა. მაგრამ რა ტყუილად არიგებს ჭკუას გერმანელებს მათივე ინტერესების გამო, რამდენად დაეცემა თქვენი პრესტიჟი, თუ არ გააკეთებთ ამას ან იმასო და სხვ.

8 ივნისი. ასე წარმოგვიდგება ბერლინი — მშვიდი, თავდაჯერებული, სერიოზული და მოქანცული.

რაიხსტაგში, პარტიის წარმომადგენელთა თათბირზე, მე მომიხდა (უეცრად ავად გამხდარი ჩ-ს მაგიერ) იმპროვიზირებული ვრცელი მოხსენების გაკეთება ამიერკავკასიის მოვლენებზე, საქართველოზე, ამიერკავკასიის მომავალ კონფედერაციაზე. იქ იყვნენ შეიდემანი, ერცბერგერი, ფ. ნაუმანი, დავიდი და ბევრი სხვა წარმომადგენელი.

შემდეგ მისვამდნენ ათასგვარ კითხვებს. განსაკუთრებულ ცნობისმოყვარეობას იჩენდნენ ერცბერგერი (რომელიც ნიადაგ ჩვენს სასტუმრო Adlon-ში საუზმობს) და „შუა ევროპის“ ავტორი ნაუმანი.

9 ივნისი. ძალზე ხანგრძლივი შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორთან დოქტ. კრიგესთან. ჩემამდე მასთან იყო იოფე.

კრიგე მკაცრ ფორმალურ თვალსაზრისზე დგას: რუსეთს ჩვენთან ზავი აქვს, და ძნელია, მისი ნაწილი ვიცნოთ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რახან ეს არ გავაკეთეთ ბრესტ-ლიტოვსკში. არ შეგვიძლია რუსეთთან დამდურება მაშინ, როცა ასეთი უდიდესი დაძაბულობაა საფრანგეთის ფრონტზე; ხალხების თვითგამორკვევის საწყისი ცნო რუსეთის მთავრობამ, მაგრამ საბუთად ამის გამოყენება არ შეუძლია მესამე სახელმწიფოსო და ა. შ.

უფრო გვიან, სხვებთან ერთად, ვიყავით დარბაზობაზე ფ.-ვ-სთან. იქ იყვნენ ახალგაზრდა დიპლომატები, ჟურნალისტები, ორიენტალისტები. საინტერესო იყო არცთუ უსახელო სპარსელი რევოლუციონერის ტაგი-ზადეს გაცნობა, რომელზეც ბევრს წერდნენ 1906 წელს თავრიზისა და თეირანის მოვლენებთან დაკავშირებით.

10 ივნისი. ზოგადად, კრიგეს დასამშვიდებლად, უნდა წარვადგინოთ არგუმენტები და დავამტკიცოთ — საქართველო ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოეყო რუსეთს, რომ არ დაურღვევია მისი უფლებები. თავისუფალი ტეხი ამოცანაა.

ტუნდუტოვი, გენ. ფონ-ლოსოვთან ერთად (რომელსაც მე ხუმრობით „იმპრესარიოს“ ვეძახი), დაბრუნდა შტაბიდან.

ტ-ს თქმით, ვილჰელმს გულღიად მიუღია და დიდხანს უსაუბრია მასთან. იმპერატორს მიაჩნია, რომ რუსეთი უნდა გავყოთ ოთხ ნაწილად: ველიკოროსიად, უკრაინად, ციმბირად და სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირად კავკასიითურთ (ცენტრი — თბილისი). ოჰ, რაღაცას ხომ არ ურევს ტუნდუტოვი, თუ ორივეს ეშლება?

ტ. გერმანელ ოფიცერთან ერთად დღეს ნოვოჩერკასკში მიემგზავრება, ვარშავისა და კიევის გავლით. ისინი ყალმუხეთის ტრამალიდან და როსტოვის მხრიდან შეთანხმებულად იმოქმედებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ (საინტერესოა, ვიცოდე დოქტ. კრიგეს „დასკვნა“ შესახებ ამისა! აი, განსხვავება „ლეგალურსა“ და „უპასუხისმგებლო“ დიპლომატიას შორის).

ტ-ს თუ დავუჯერებთ, „ბელგიაში რაიმე საშინელება არ ჩანს — ბევრია კარგად მორთული ხალხი... ნამცხვრებიცაა, გამოცოცხლებაა. იგივეა საფრანგეთში“ (ჰო, ნათელია, რადგან „იმპერატორი“ და „ნამცხვრებია“ — იქ ყველაფერი შესანიშნავად მიდის)*.

გენერალ ფონ-ლოსოვისათვის ვილჰელმს უამბნია თავისი ბავშვობის მოგონებიდან: მამამისი, კრონპრინცი ფრიდრიხ III დასწრებია ალექსანდე III-ის ჯვრისწერას და იქ უნახავს „საქართველოს დედოფალი, რომის მონა-ქალივით, — თავზე გვირგვინი ედგაო“. საინტერესოა გერმანიის იმპერატორის ეს მეხსიერების ნიჭი და გონების რომანტიკული მონახაზები. როგორ მოგწონთ — საქართველოს გვირგვინი!

რაც შეეხება თვით ფაქტს, იგი ვერაა დამაჯერებელი. XIX საუკუნის 60-იან წლებში „საქართველოს დედოფალთაგან“ ცოცხალი აღარავინ იყო. შესაძლებელია ეს სამეგრელოს უკანასკნელი მფლობელი ქალბატონი იყო? ეს არსებითი არაა.

ფონ-ლოსოვი აღიარებს, რომ აქაური საგარეო საქმეთა სამინისტრო მთლიანად არ იზიარებს პირადად ჩემს მიერ შეთავაზებულ პოლიტიკას და იქ ყველაფერს გადაჭარბებული სიფრთხილით, ფორ-

---

* ექს-იმპერატორ ვილჰელმის მემუარებში იხსენიება თავად ტუნდუტოვთან საუბრები.

მალურად უდგებიან. მაგრამ თვით იმპერატორი, ჰინდენბურგი და ლიუდენდორფი — სხვა საქმეა. ტყუილად არ მოვიჩქაროდი ფოთიდან აქეთო. ახლა ჩვენ გვმართებს სასწრაფოდ წარვადგინოთ ჩვენი სქემა. ფ.-ლოსოვს მიაჩნია, რომ საქართველოს კავშირი გერმანიასთან მჭიდრო კავშირი უნდა იყოს, საქართველოს სრული დამოუკიდებლობის პირობებში. მაგრამ ამ ერთიანობის ფორმა — სპეციალური საკითხია და იგი ამ საქმეში არაკომპეტენტური კაცია.

იგი ხშირად უბრუნდება აზრს სომხეთის საკითხში გერმანიის პასუხისმგებლობისა და სომეხთა შემდგომი მოსრვის თავიდან აცილების აუცილებლობის შესახებ.

მივიღე ასლი რწმუნებულების წერილისა — კანცლერის, გრაფი ფ.-ჰერტლინგის ხელმოწერით, ეგზავნება გენერალ ბარონ ფონ-კრესენშტაინს, რომელიც ინიშნება დიპლომატიურ წარმომადგენლად საქართველოს მთავრობის კარზე. ეს უკვე ნამდვილი ნაბიჯია. ბარონ კრესს აქ გამორჩეული, თვალსაჩინო კაცის სახელი აქვს*, მით უკეთესი. იგი, ისევე როგორც ლოსოვი, ბავარიელია.

ფოთში ჩავიდა გერმანული ქვეითი ჯარის ორი ბატალიონი. ერთი სიტყვით, იქმნება ჩვენთვის აუცილებელი ფაქტიური მდგომარეობა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. ჩვენ აქ თანდათან შევისწავლით მდგომარეობას და მოვისაზრებთ, რა მოვუხერხოთ „უწყებრივ რუტინას“ და როგორ დავძლიოთ დოქტ. კრიგეს ჭოჭმანი.

11 ივნისი. Wilhelmstrasse-ზე გეჰეიმრატ დოქტ. სიმონსთან**. იგი უფრო ლმობიერია, ვიდრე კრიგე, და მეტად საყვარელი კაცია. მას გავაცანი ჩემი მემორანდუმის მთავარი დებულებები, რომელიც მხოლოდ ხვალ გაიგზავნება. თანდათან უფრო ნათლად ვხედავ, როგორ იყოფა სამოქალაქო (კიულმანი) და სამხედრო (ლიუდენდორფი)

---

* ასე ახასიათებს მას თურქეთში გერმანიის სამხედრო მისიის ყოფილი უფროსი ლიმან ფონ-სანდერსი: „der Oberst Freiherr v. Kress, ein ganz hervorragender, tüchtigen Offizier“. იხ., Liman von Sanders, Gen. der Kavallerie. Fünf Iahre Türkei. B. 1920. S. 58. ბარონი კრესი იყო მეოთხე არმიის შტაბის უფროსი ჯემალ-ფაშასთან (უკანასკნელი ამასთანავე იყო საზღვაო მინისტრიც; იხ. ზემოთ გვ. 53) ცნობილი ოპერაციის დროს სუეცის არხის წინააღმდეგ 1915 წელს. იგივე კრესი მოგვიანებით იცავდა ღაზას ინგლისელებისაგან.

** 1920-21 წწ. საგარეო საქმეთა მინისტრი გერმანიაში.

ხაზები. მაგრამ ეს გაყოფა უფრო ფორმასა და საშუალებებს ეხება, ვიდრე არსებითს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12 ივნისი. მივიღეთ პირველი ცნობები თბილისიდან (რადიო ჯერ ცუდად მუშაობს) — იძულებული გამხდარან ხელი მოეწერათ თურქეთთან ზავზე ბათუმში, გვართმევენო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებს.

ცნობაში რამდენადმე წუწუნი ისმის. აშკარაა, რახან ბრძოლა ვერ შეძლეს, იძულებული გახდნენ ხელი მოეწერათ. თუ საერთოდ რაიმეს მიღწევა შეიძლება — აქ მივაღწევთ.

საღამოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ყველანი მიგვიწვია სადილად კლუბში „Deutsche Gesellschaft 1914". კარგი ნიშანია, როცა გეპატიჟებიან და გმასპინძლობენ — საჭმელზე ასეთი გაჭირვების დროს.

გენ. ლოსოვთან ერთად გავემართეთ იქითკენ მთელი „დასით" — ჩხენკელი, ნიკოლაძე, მე, მ. წერეთელი, გ. მაჩაბელი და ერ. ბერნშტეინი (გერმანული წარმოშობის საქართველოს ქვეშევრდომი, რომელიც ისე ცურავდა ქართულ-გერმანული დაახლოების სასიამოვნო სინოტივეში, როგორც თევზი წყალში).

ფორმალური მასპინძელი იყო ელჩი ფონ-როზენბერგი. გერმანიის მხრიდან იყვნენ: ფ.-კიულმანი, სიმონსი, გეპერტი, იოჰანესი (ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორი საგარეო საქმეთა სამინისტროში), ფ.-ვეზენდონკი და კიდევ მრავალნი. რეპორტიორის ენით რომ გამოვხატო, სუფრაზე სუფევდა ძალდაუტანებლობის ატმოსფერო, გაცხოველებული საუბარი დიდხანს გაგრძელდა და სხვ.

ჩხენკელი მოეწყო ფ.-როზენბერგის გვერდით, კიულმანი კი ჩემსა და ნიკოლაძეს შორის დასვეს. მინისტრი, დიდი კულტურისა და გამოცდილი ადამიანი, მომხიბვლელი მოსაუბრე აღმოჩნდა. მისთვის არაფერი ადამიანური არ არის უცხო. კონსტანტინოპოლში გერმანიის საელჩოს ყოფილი წარმომადგენელი, იგი კავკასიაშიც ყოფილა. თბილისთან მას საუკეთესო მოგონებები აკავშირებს. აფასებს „თბილისის საზოგადოების მაღალ სოციალურ დონეს"; ერთ ქორწილსაც კი დასწრებია მაღალ საზოგადოებაში და ა. შ. იგი იგონებდა პიროვნებებს; დაინტერესდა თავისი ნაცნობი, დიდი მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძის ბედით, გაიხსენა ბორჯომი... როცა ვუპასუხე, რომ სწორედ ეს წრე ულმობელად დააზარალა რევოლუციამ — თუმც ჯერჯერობით ეს რეჟიმი საქართველოში შედარებით

ლმობიერია ვიდრე რუსეთში-მეთქი — კ-მა დაწვრილებით გამომკითხა ჩვენს ქვეყანაში სოციალური ნგრევის მასშტაბებზე, საქართველოს მთავრობის შესახებ, რომელიც „როგორც მსმენიაო, პარტიულია და ძალზე რადიკალურადაა განწყობილი“-ო. შევეცადე, შესაბამისად, დამეკმაყოფილებინა მისი ცნობისმოყვარეობა, გამომეხატა ჩვენი მინისტრების სახელმწიფოებრივი მისწრაფებანი, მათი მუშაობა ამიერკავკასიის მთავრობის რიგებში, მათ მიერ მაშინ გამოჩენილი მოხერხებულობა და სხვ. მომყავდა ნამდვილი ფაქტები, ოღონდ სტილიზებული — ბერლინში ჩვენი მისიის მიზნისა და ჩვენი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად.

რა არის ბოლშევიზმის ხანგრძლივი წარმატების მიზეზი რუსეთში* — ეს საკითხი მეტად იზიდავდა ჩემს თანამოსაუბრეს, რომელმაც ტრიუმფს მიაღწია ბრესტ-ლიტოვსკში. მიზეზი, ალბათ, მრავალია; მაგრამ მთავარია სახელმწიფო ძალაუფლების ნებელობითი საფუძვლის, ნებელობითი დაძაბულობის აღდგენა, — იმ ძალაუფლებისა, რომელიც კატასტროფულად დაიმსხვრა 1917 წლის მარტში; ასევე — ის ხელოვნება, რომლითაც ერთმანეთს შეერწყა ერთდროულად ზავის დადებაც, აგრარული რევოლუციის გაშლაც, ბურჟუაზიული ძალების ნგრევაც, რასაც მატერიალურ ფასეულობათა ერთი ხელიდან მეორეში არნახულად ქაოტური გადაადგილება მოჰყვა (ფულის, ნივთების, სახლების...), და რამაც გამოიწვია მოსახლეობის მრავალრიცხოვანი ჯგუფების შექმნა, რომლებიც სისხლხორცეულად აღმოჩნდნენ დაკავშირებული ახალ რეჟიმთან, მზად არიან დაიცვან ანდა ითმინონ იგი და ა. შ.

კ. დაინტერესდა პეტერბურგის ერმიტაჟის, კრემლის და, საერთოდ, რუსეთის მხატვრული სიმდიდრის ბედით.

სიტყვა ჩამოვარდა ზამთრის სასახლეში განადგურებულ ღვინის მარანზე. „ზამთრის სასახლის მარნების დარბევა და თბილისში სასახლის მარნების ხელუხლებლობა ორი რევოლუციის განსხვავების კარგი ილუსტრაციაა. მხოლოდ... თბილისის მარნებზე სიტყვა არ დაგცდეთ თქვენს მოკავშირეებთან — თქვენ იცით, ვისაც ვგულისხმობ“ — „დიახ, მშვიდად იყავით“.

შემდეგ, კ-ს მივაწოდე ინფორმაცია ნიკოლაძეზე. იგი გადავიდა კიდეც უკანასკნელის განკარგულებაში და მიიღო ნათლობა ნედლე-

---

* ამ დროს ეს წარმატება „გრძელდებოდა“ რაღაც 7 თვეს!

ულის, შუააზიური ბაზრებისა და BPP-ს* დარგში მე კი მივმართე მარცხენა ფლანგს, დოქტ. სიმონსს, რომელთანაც ხვალ საქმიანი ლაპარაკი მექნება. დღეს კი ვლაყბობთ გერმანულ ლიტერატურაზე, უნივერსიტეტზე, ახლახან გარდაცვლილ პროფ. ლაბანდზე, რომელმაც იურიდიული ცნებებიდან ასე ბრწყინვალედ ააგო მთელი გერმანიის იმპერია... ზოგიერთ პეტერბურგელ საერთო ნაცნობებზე.

13 ივნისი. საგარეო საქმეთა სამინისტროში დოქტ. სიმონსთან.

ჩვენი თემაა: გერმანიისა და საქართველოს ურთიერთობის შესაძლებელი ფორმა. საქართველოს პოლიტიკური მიზანია: განამტკიცოს თავისი სახელმწიფოებრივი არსებობა, გერმანიაზე დაყრდნობით შექმნას თავისუფალი ეროვნული განვითარების პირობები. აშკარაა, რომ გერმანიასთან კავშირი უნდა იქნეს საკმაოდ მჭიდრო, უბრალო კავშირი არ არის საკმარისი.

დოქტ. სიმონსს მიაჩნია: საქართველოს გეოგრაფიული სიშორე რომ არა, ყველაზე მართებული იქნებოდა მისი შესვლა გერმანიის ფედერაციაში(!). გეოგრაფია, ვეუბნები მე, ეწინააღმდეგება ამას. საქართველოს მდგომარეობა (სამხრეთში) შეიძლება შევადაროთ ფინეთის მდგომარეობას (ჩრდილოეთში), მაგრამ იგი უფრო რთულია, რადგან დაკავშირებულია ამიერკავკასიის ან კავკასიის კონფედერაციის შექმნასთან. საქართველოს განმტკიცება და მისი სრული ნეიტრალიზაცია — აი, მიზანი, რომლის დასახვა სავსებით ბუნებრივია ეპოქაში, როცა რუსეთის იმპერიას დაუდგა ხანა გადადნობისა, როგორც ჩანს, ფედერაციული სულისკვეთებით. საქართველო არის კავკასიაში ამ „ბუფერული“ ნაგებობის ძირითადი ელემენტი. თუკი დიპლომატიური მხარდაჭერით და თავისი პოლიტიკური გავლენით უზრუნველყოფს საქართველოს დამოუკიდებლობას, გერმანია მიიღებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ და ა. შ. მოგებას. გერმანიისათვის ამ ფაქტიური ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევა სავსებით ეთანხმება საქართველოს ფორმალურ დამოუკიდებლობას.

ამ შეხედულებას სრული თანაგრძნობით მოეკიდა დოქტ. ს. რაც შეეხება მართვის ფორმებს, ეს საქართველოს პირადი საქ-

** BPP — სიმოკლისთვის ჩემს მიერ შემოთავაზებული ფორმულა ნ. ი. ნიკოლაძის თამამი იდეებისა — შორეულ აღმოსავლეთთან შუა ევროპის ვაჭრობის ფოთზე გატარების შესახებ (ბერლინი-ფოთი-პეკინი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეაო — აღიარა მან. „როგორ უყურებენ ამ საკითხს თქვენთან? არიან იქ მონარქიის მომხრენი?“.

„საქართველოში აშკარად რესპუბლიკური განწყობილებაა — ძველი მონარქიული ტრადიციები ჩამკვდარია, ამდაგვარი ახალი მიმდინარეობები არ ჩანს, რუსეთის მონარქიის დაღუპვამ კიდევ უფრო შეარყია ეს იდეა. სიმპატიები მონარქიული წყობისადმი შემორჩა ზოგიერთ წრეებს; ისეთი რესპუბლიკელებიც მოიძებნებიან, რომელთა აზრითაც, სახიფათო გეოგრაფიული მდებარეობის გამო, თუკი შუა ევროპის იმპერიების დახმარებაც დასჭირდება, მაშინ მონარქიული ფორმა უფრო ხელსაყრელი იქნებოდა საქართველოსთვის. ეს თითქოს ანგარიშიანი და კეთილგონივრული მონარქიზმია, როგორც მოხდა ნორვეგიაში 1905 წ., ანდა ფინეთში — ახლა. მაგრამ საქართველოში ამჟამად ამ „ელფერს“ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს“.

რა თქმა უნდა, ეს „გვირგვინები“ ნაკლებად აინტერესებთ Wilhelmstrasse-ზე: ეს ოცნებები სხვა სფეროებში იბადება.

ბოლოს, მე ვაძლევ ჩემს თანამოსაუბრეს „დიაგნოსტიკურ“ კითხვას: „როგორ გეხატებათ თქვენ მომავლისთვის, გერმანიის წარმომადგენლის მდგომარეობა საქართველოში?“ — „ფორმით ეს ჩვეულებრივი დიპლომატიური წარმომადგენელია; არსებითად, შეიძლება უახლოვდებოდეს ინგლისელ რეზიდენტს დამოუკიდებელ ინდოეთის სახელმწიფოში. რა თქმა უნდა, მე მხედველობაში მაქვს იურიდიული სქემა, და არა საქმის ყოფითი ან სოციალურ-პოლიტიკური მხარე... და მე ვიცი, რომ ქართველები ინდუსები არ არიან“.

14 ივნისი. საღამოს დარბაზობა ფონ ვ-სთან. ისევ ახალგაზრდა დიპლომატები, ორიენტალისტები და სხვ. იქ იყო, სხვათა შორის, კიდევ ერთი დიდი იმპორტიორიც სპარსული ნოხებისა და მატყლისა (ფოთი-თბილისი-თავრიზის ხაზი!), საიმპერიო ბანკის ერთ-ერთი შესვეური ფონ-გლაზენაპი, რომელიც აღმოჩნდა ტფილისის 1-ლი კლასიკური გიმნაზიის მრავალ თაობათა გერმანული ენის მასწავლებლის კ. განის უნივერსიტეტელი ამხანაგი.

30.

16 ივნისი. დღეს დელეგაციის „საკრებულომ“ მოისმინა ჩემი მეორე მემორანდუმი. პირველი გამოხატავდა, — თუ ვინ ვართ ჩვენ; მეორე — თუ სახელდობრ რა გვსურს გერმანიისაგან.

შ. წერეთელი და გ. მაჩაბელი ძვირფასი მონაპოვარია ჩვენთვის; მათ შეჰყავთ ა. ჩხენკელი საზოგადოებაში და კარგი სანელებლებიც არიან ამ სოლიდური, მაგრამ არცთუ ადვილად მოსანელებელი კერძისათვის.

ჩვენი კანცელარიის „რუტინა“ მოიკოჭლებს. მდივნის მოვალეობანი დააკისრეს სპირიდონ კედიას, საქართველოს ერთ-ერთ მცირერიცხოვან საპარლამენტო მოღვაწეთაგანს, შესანიშნავ ორატორსა და ჟურნალისტს. ახლა იგი თბილისში უნდა მუშაობდეს და აქ კი არ ჰყვებოდეს „საქმეებს“.

17 ივნისი. გენერალმა ფონ-ლოსოვმა გვამცნო, თურქები თავრიზში არიანო. ვეჰიბის ნაცვლად დაუნიშნავთ მისი ძმა ესადფაშა. ხალილ-ბეის ბათუმიდან დაბრუნების შემდეგ კონსტანტინოპოლში გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომ ბათუმში ხელმოწერილი შეთანხმება არ არის საბოლოო. გენ. ფონ-ლოსოვის აზრით, ეს უკანდახევაა. ჩვენს მემორანდუმებს იგი აგზავნის მთავარ ბინაზე.

18 ივნისი. სამნი (ჩხენკელი, ნიკოლაძე და მე) სახალხო მეურნეობის სამინისტროს (Reichswirtschaftsamt) შენობაში ვეწვიეთ სახალხო მეურნეობის სახელმწიფო მდივანს ბარონ ფონ-შტაინს. მას მიაჩნია, რომ უფრო სწორია საქართველოს მადნეულის გადამუშავების ერთი საზოგადოების ნაცვლად შეიქმნას რამდენიმე საზოგადოება სხვადასხვა დარგის მიხედვით.

როგორც ყველა, შტაინიც დაინტერესდა ბამბით, მატყლით და ა. შ.

თბილისში ორი გერმანული ბატალიონია (1800 კაცი). შეიძლება არტილერიაც ჩავიდეს.

საქართველოში ნავთობის მხოლოდ 3 კვირის მარაგია. ნავთობით მთლიანად ბაქოზე ვართ დამოკიდებული.

კიდევ მოვიდა ცნობები (გერმანული წყაროებიდან): ბორჩალოს მაზრაში „ბანდებს“ მოუთხოვიათ აზერბაიჯანთან შეერთება. მათ წინ აღუდგნენ და გართულებას ადგილი არ ჰქონია.

სადგურ ევლახში თათრებს მოუკლავთ ავსტრიელი ოფიცერი. თათრების მანჭვა-გრეხაში იგრძნობა თურქების გაბოროტება ურჯულო მოკავშირეებზე.

სიტყვამ მოიტანა, ავსტრია-უნგრეთიც აგზავნის თბილისში თავის წარმომადგენელს — ბარონ ფონ-ფრანკენშტაინს.

საღამოს, ისევ სამნი ვართ სსს-ში, ფონ-როზენბერგთან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოქტ. გეპერტთან. მოკლედ გავაცანი ჩვენი მეორე მემორანდუმის დებულებები, რომელიც ჯერ მათ არ მიუღიათ: საქართველო — დამოუკიდებელი სახელმწიფოა; გერმანიის პრივილეგირებული მდგომარეობა, რომელიც გამომდინარეობს შეთანხმებათა ერთობლიობიდან და ა. შ. შემდეგ დიდხანს ვისხედით მინისტრის ამხანაგთან ბარონ ფონ-ბუშესთან. მასთან რომ მივდიოდით, ფონ-როზენბერგმა გვითხრა: „მე ვფიქრობდი, რომ ლაპარაკი იქნებოდა გერმანიასთან უფრო მჭიდრო კავშირზე და საქართველო იქნებოდა ჩვენი Schutzstaat-ი". „იცით, — ვპასუხობ მე, — არსებითად მე არ მაშინებს პროტექტორატი, მაგრამ ეს ტერმინი — Schutzstaat-ი ჩემთვის ახლა ჟღერს როგორღაც... როგორ ვთქვა... აფრიკულად".

ფონ-ბუშესაგან დაბრუნების შემდეგ ვაგრძელებთ საუბარს. ჩვეულებისამებრ, ჩხენკელი დაჟინებით ასაბუთებს საქართველოს ისტორიულ უფლებას დამოუკიდებლობაზე, — ეს უფლება „რუსების წასვლის" შემდეგ ავტომატურად აღდგაო; ლაპარაკობს 1783 წლის ტრაქტატზე და ა. შ. გეპერტი ამ მოსაზრებებს სკეპტიკურად უყურებს.

მაგრამ ამ საკითხებზე დავა უნაყოფოა. რუსეთისაგან გამოსაყოფად უფრო პრაქტიკული საფუძვლის შესაქმნელად რატომ არ უნდა მივმართოთ პლებისციტს?

მათი მეორე რჩევაა: გავაკეთოთ ისე, რომ ბაქოს ნავთობის რეწვის რაიონი სავსებით არ მოსწყდეს რუსეთს. მაშინ, მათი აზრით, უფრო გაიოლდებოდა რუსეთის მიერ საქართველოს ცნობის საკითხი.

ეს მოსაზრებები მე ძალზე საინტერესოდ მეჩვენება. ისინი ავლენენ გერმანული დიპლომატიის პრაქტიკულ მცდელობას, მოიაზრონ კომპრომისის დასამყარებელი გზა მოსკოვისა და თბილისის მთავრობებს შორის. ჩხენკელს ეს აზრები არ ეჭაშნიკა: რუსეთმა ისედაც უნდა გვიცნოსო, ამბობს იგი, ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვიყავით, ჩვენ არ დავუპყრივართ, კავკასიის სხვა პროვინციების მსგავსად, და ა. შ.

საღამოს დიდხანს იჯდა აქ Paul Rohrbach-ი — პუბლიცისტი, გერმანიის იმპერიალიზმის „იდეოლოგი". იგი წარმოშობით ბალტი-

ელია (გვარწმუნებს, გერმანიას შეუძლია ძალიან მალე მოახდინოს კურლანდიის კოლონიზაცია ლატვიელების დაბალი შობადობის მოო!); ხშირად ყოფილა საქართველოში, სვანეთსაც და მესხეთსაც კი იცნობს. ბევრ რამეს ჩაეძია, სხვათა შორის, მართვის ფორმასაც: „არიან საქართველოში ძველი დინასტიის მემკვიდრეები?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

რორბახი გვარწმუნებს, რაიხსტაგის ყველა წევრთაგან 30 კაცი ძლივს მოიძებნება, ვინც იცის, სად არის თბილისი (ვითომ მნიშვნელოვანია ეს, როცა 1800 გერმანელი თბილისშია?).

20 ივნისი. გუშინ გენერალი კრესი კონსტანტინოპოლიდან ფოთში უნდა გამგზავრებულიყო.

კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ ქართველი დელეგატები: გეგეჭკორი, ოდიშელიძე, გვაზავა და სხვ. აქ რატომღაც წარმოიდგინეს, ეს ძალზე ცუდია, რადგან ახლა თურქეთი ჩაშლის ჩვენს მუშაობას გერმანიაშიო. სრული პანიკაა! ყველაფერი დაიღუპა — გაიძახის ნიკოლაძე(?!). მიხ. წერეთელი ლამის მოთქვამს. მე ვცდილობ დავუსაბუთო მათ, რომ კონსტანტინოპოლში ამ დელეგაციის ჩასვლით მხოლოდ მოვიგებთ (მაგრამ რატომაა ასე მრავალრიცხოვანი ეს დელეგაცია?). თურქეთთან საჭიროა მეგობრული ლაპარაკი. ასეთი უშუალო საუბრები აქ პოზიციებს გვიმაგრებს და აჩქარებს თვით გერმანიისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას-მეთქი.

უფრო მეტიც: მიმაჩნია, რომ უაღრესად არადიპლომატიური იყო ჩვენი საგარეო მინისტრის ჩამოსვლა გერმანიაში და ამით კონსტანტინოპოლის თითქოსდა უგულვებელყოფა. პირიქით — კონსტანტინოპოლში ყოფნით იგი წარმატებით შენიღბავდა ჩვენს მუშაობას გერმანიაში.

ჩხენკელმა დეპეშით გამოიწვია გეგეჭკორი ბერლინში.

21 ივნისი. მე და ჩხენკელი საგარეო საქმეთა სამინისტროში ვართ ნამდვილ საიდუმლო მრჩეველთან დოქტ. კრიგესთან; გადამწყვეტი საუბარი გვაქვს იმის თაობაზე, თუ რამდენად შესაძლებელია გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალურად აღიარება. გენერალი ფონ-ლოსოვი, როგორც სამხედრო კაცი, გაბეზრებული რეგულარული დიპლომატიის ამ ფაქიზი დეტალებით, — გვირჩევდა კრიგესთან უფრო ენერგიულად გველაპარაკა და ხაზი გაგვესვა საქართველოს განსაკუთრებული უფლებებისათვის. ამ

„განსაკუთრებული უფლებებითა“ და 1783 წლის ტრაქტატით მინ. გენერალს ჩხენკელმა გამოუტენა თავი.

ამგვარად, ლაპარაკი წამოვიწყეთ აღიარების ირგვლივ.

კრიგე: ამას გერმანია ვერ გააკეთებს რუსეთზე ადრე; — რადგან დადებულია ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, ასეთი აღიარება იქნებოდა მტრული აქტი რუსეთის მიმართ. იქ, ბრესტ-ლიტოვსკში რუსეთი გვთავაზობდა საერთაშორისო სამართლის საერთო პრინციპის მნიშვნელობით გვეცნო ხალხების თვითგამორკვევის უფლება. ჩვენ კატეგორიულად უარვყავით ეს. და როგორ შეგვიძლია ახლა, საქართველოს თვითგამორკვევის მომხდარი აქტის საფუძველზე, ვცნოთ დამოუკიდებლობა რუსეთის ნაწილისა, რომელმაც თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა? ჩვენ იმ გლეხს დავემსგავსებით, რომელმაც გადაჭრით თქვა უარი ცხენის ყიდვაზე შემოთავაზებულ ფასში, შემდეგ კი, რახან საყიდლად შემომაძლიესო, ეგრევე მოინდომა ცხენის თავლიდან გამოყვანა.

თქვენ იმასაც ამბობთ, რომ საქართველოს თავისი განსაკუთრებული უფლებები აქვსო... არ შევუდგები ამის კრიტიკას, მაგრამ ვიტყვი, რომ საქართველო თუკი ყოფილა სახელმწიფო, იგი ასეთი აღარ არის. შემდგომმა მოვლენებმა ახალი მდგომარეობა შექმნეს. ყოველ შემთხვევაში, განსაკუთრებულ უფლებებზე მითითება მართებულია რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობისათვის და არა რუსეთსა და მესამე სახელმწიფოს შორის.

განა უფრო იოლი არ არის საკითხის პლებისციტით გადაწყვეტა? არა მგონია, ამის წინააღმდეგ წავიდნენ ბოლშევიკები.

ჩხენკელი, რა თქმა უნდა, დაჟინებით მოითხოვდა საქართველოს განსაკუთრებული უფლებების გათვალისწინებას. ვერ გაეგო, როგორ შეიძლებოდა ამაზე კამათი; ასაბუთებდა, რომ ამ უფლებების შესახებ იციან ამერიკაში, ინგლისში, საფრანგეთში(!) და მხოლოდ გერმანია არ ცნობს მათ რატომღაცო. მე მივუთითე რომ ახლა, როცა საქართველოში საზეიმოდ გამოცხადდა დამოუკიდებლობა, პლებისციტი უხერხულია, აგიტაციაც ასეთ დროს არასასურველია-მეთქი და ა. შ.

კრიგე: ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთის გარკვეული ნაწილები გავიდა რუსეთის შემადგენლობიდან;

სხვებისათვის დადგინდა განსაკუთრებული მდგომარეობა და ა. შ. ყველა დანარჩენი რჩება რუსეთის სუვერენიტეტის ქვეშ. რაც შეეხება კავკასიას, ხელშეკრულებაში მითითებულია მხოლოდ სამი ოლქი, რომლებიც გამოეყო თურქეთს 1878 წ. ესაა და ეს!

ა. მაგრამ იქ პირდაპირ ნათქვამია, რომ ამ ოლქების მოწყობაში, თურქეთის გარდა, გარკვეული ხმა აქვს „მეზობელ სახელმწიფოებსაც“ (მაგრამ არა რუსეთს).

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების IV მუხლის ტექსტზე და რაიხსტაგში წარმოდგენილი გერმანიის მთავრობის ახსნა-განმარტებით ბარათზე მითითებით, მე ვცდილობ დავამტკიცო, რომ ბრესტ-ლიტოვსკში გარკვეულად იგულისხმებოდა ამიერკავკასიის „ახალწარმონაქმნები“.

კრიგე: ეს თქვენი გაგებაა. ჩვენ ასე არ ვუყურებდით ამ საქმეს. თუმცა თქვენც ხომ გესმით, ასეთ დროს, როცა ომი, შესაძლებელია, უკანასკნელ ფაზაში შედის, ჩვენ არ შეგვიძლია საფრანგეთის ფრონტიდან თუნდაც რამდენიმე კორპუსის მოხსნის აუცილებლობის რისკზე წავიდეთ...

ა. შესანიშნავია. მაგრამ თუ საქართველო და ამიერკავკასია რუსეთს ეკუთვნის, როგორ შეეძლო გერმანიას მონაწილეობა მიეღო ბათუმის კონფერენციაში, სადაც, თქვენივე სიტყვით, რუსეთის კუთვნილი ტერიტორია გამოდიოდა მხარედ, სახელმწიფოდ, რომელსაც, ყოველ შემთხვევაში, თქვენი მოკავშირე თურქეთი ცნობდა?

კრიგე: ეს მონაწილეობა, ასე ვთქვათ, ფაქტიური იყო, რუსეთის წინასწარი ცნობის პირობით...

ა. ფაქტიური კი არა რეგულარული იყო, კანონიერ უფლებამოსილებაზე დამყარებული. არაფერი იყო თქმული ამ მონაწილეობის „ფაქტიურ“ ხასიათზე, არც რუსეთის უფლებებზე — არც ზეპირად, არც წერილობით! უფრო მეტიც, მაშინაც კი, როცა ბათუმში მოლაპარაკების დროს, ცნობილი გახდა მოსკოვის მთავრობასთან გრაფ მირბახის მიწერ-მოწერის ფაქტი (ბათუმის კონფერენციაში რუსეთის მონაწილეობის შესახებ)*, არც გერმანიას, არც თურქეთს გახსენებიათ, და მათ არც ჩვენთვის შეუხსენებიათ რუსეთის უფლებები! დასასრულ, როგორ ახსნით თქვენ, რომ თბილისში საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, გერმანული ჯარები არიან?

---

* იხ. ზემოთ თავი VII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიგე: ვინაიდან რუსეთი არ ახორციელებს იქ თავის ფაქტიურ ძალაუფლებას, საკუთარი ინტერესების დასაცავად გერმანია იძულებული გახდა იქ თავისი ჯარისკაცები გაეგზავნა...

ა. ჰოდა ეს განხორციელდა რუსეთის ნებართვით, ან შეატყობინეთ მაინც მას... როგორც სუვერენს?

კრიგე: ...მოკლედ, თქვენი აზრით, გამოდის, ჩვენ იმდენგზის შეგვიცოდავს, რომ უნდა გავაგრძელოთ ამავე გზით სიარული!..

ა. არა; მაგრამ დაგვეთანხმეთ, რომ ყველა ფაქტი ეწინააღმდეგება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების თქვენეულ მკაცრად ფორმალურ თეორიას. რაც დრო გავა, ეს წინააღმდეგობა მით უფრო აშკარა იქნება. უფრო ადვილია იმ მოსაზრებაზე დადგომა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკების დროს გერმანია და რუსეთი უკვე ითვალისწინებდნენ ამიერკავკასიის ახალ სახელმწიფოებს...

კრიგე: რა გაეწყობა, ჩვენ ერთმანეთი ვერ დავარწმუნეთ. მე გამოვთქვამ აზრს, რომელსაც აქ, სამინისტროში ყველა იზიარებს. მე იურისტი ვარ, და ვმსჯელობ მხოლოდ როგორც საერთაშორისო სამართლის მცოდნე. თუ როგორ უყურებს ჩვენი მთავრობა პოლიტიკურ საკითხებს — ეს მე არ ვიცი. ასეთ საკითხებს წყვეტს კანცლერი, იმპერატორი...

ლიუდენდორფი-მეთქი — დავუმატე გულში. თუმცა სავსებით ვალიარებ საქართველოს გამოყოფაზე რუსეთის წინასწარი თანხმობის აუცილებლობას; რის შემდეგაც არ დააყოვნებს აღიარება გერმანიის მხრიდან, რადგან პოლიტიკურად იგი სავსებით განწყობილია ამისათვის.

საღამოს ცოლ-ქმარ მ-ებთან შევხვდით მაქსიმილიან გარდენსა და თეოდორ ვოლფს... გარდენი მეტად სკეპტიკურ აზრებს გამოთქვამდა ომის შედეგებზე. ნ-ს გერმანული ენა არ ესმოდა და თვლემდა; უნაყოფო იყო ჩხენკელის ცდა, გერმანული ჟურნალისტიკის ეს თავადები ზოგადი საკითხების შარაგზიდან გაეტყუებინა ქართულ-აზერბაიჯანული საქმეების ქუჩაბანდებში, რომელთაც, ჩ-ს სიტყვით, მსოფლიო მნიშვნელობა აქვთ: აქედან არაფერი გამოვიდა.

12 ივნისი. კრიგეს მოსაზრებები სრულიად გასაგებია, მაგრამ ეს შორი გზაა (ჯერ მოსკოვიდან კურთხევის მიღება). ვაითუ,

კონსტანტინოპოლში, ჩვენდა საზიანოდ, გადაჭარბებული მნიშვნელობა მიანიჭონ ბერლინის მერყეობას! აი, ამიტომ დღევანდელ თათბირზე ფონ-ლოსოვს ყურადღება მივაქცევინე მისი ალმატელ ლების დოქტ. კრიგეს დამოკიდებულებაზე — მისი, ფონ-ლოსოვის, დიპლომატიისადმი და, აქედან გამომდინარე, ჩვენს გაურკვეველ, ორჭოფულ მდგომარეობაზე. არსებითად, საქართველოს შეეძლო უშუალოდ მორიგებოდა რუსეთს და მიეღო აღიარება; ძნელი არ იქნებოდა თურქეთთან შეთანხმებაც. ბერლინში ჩვენ ჩამოვედით უფრო შორეული პერსპექტივებისთვის-მეთქი, მაგრამ თუ აქ საქმე მეტისმეტად დამუხრუჭდება, მაშინ და ა. შ.

„გაჭიანურებაში", თუკი ასეთი ხდება, ლოსოვს ბრალი არ მიუძღვის: მაგრამ ზოგჯერ მაინც საჭიროა ასეთი ტონით ლაპარაკი.

22 ივნისი. დღეს, რაიხსტაგში, დიპლომატიური ლოჟიდან, ვისმენდით კანცლერისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვას.

ფ.-კიულმანის ვრცელი, ძლიერი სიტყვა. საქართველოს უახლესი ისტორიისათვის იგი ისტორიულ მნიშვნელობას შეიძენს. მისი სიტყვით, ომით წამოჭრილი საკითხების გადასაჭრელად, აგერ ამ დღეებში კონსტანტინოპოლში შედგება მოკავშირე სახელმწიფოებისა და კავკასიელი ხალხების წარმომადგენლების კონფერენცია (ე. ი. კონფერენცია, რომლისთვისაც ჩვენი დელეგაცია უკვე ჩავიდა კონსტანტინოპოლში და რომლის მოწვევაც ბერლინში ჩვენი ჩამოსვლის მთავარი მოტივი იყო, რადგან ამ კონფერენციას, როგორც უმაღლეს ინსტანციას, უნდა განეხილა ბათუმში 4 ივნისს ხელმოწერილი აქტები)*.

მეორე მხრივ, კ-მა ზუსტად დაადგინა, რომ აუცილებელია რუსეთის მთავრობასთან წინასწარი მოლაპარაკება რუსეთის შემადგენლობიდან გარკვეული სახელწიფოებრივი ახალწარმონაქმნების გასვლასთან დაკავშირებით, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება ამ ახალწარმონაქმნების საბოლოო დიპლომატიური აღიარება.

კერძოდ, ეს პროცედურა შეეხებაო საქართველოსაც, რომელიც კავკასიის ახალ სახელმწიფოთა შორის, ეროვნული თვალსაზრისით, ყველაზე კონსოლიდირებულად მიაჩნია... შემდეგ, როცა სომხეთსა

---

* იხ. ქვემოთ თავი XII. ეს კონფერენცია არ მოუწვევიათ.

და აზერბაიჯანს შეეხო, კ-მა აღნიშნა ამ სამი რესპუბლიკის მისწრაფება გაერთიანებისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქული ჯარების ამიერკავკასიის სიღრმეში მოძრაობის თაობაზე კ-მა განმარტა, რომ ეს მოძრაობა, ისევე როგორც ბათუმი-ჯულფა-თავრიზის ხაზის დაკავება, გამოიწვია მესოპოტამიაში სტრატეგიულმა მდგომარეობამ და ამ გზით, სპარსეთის აზერბაიჯანზე გავლით, ტიგრის ხეობასთან შეერთების უზრუნველყოფის აუცილებლობამ.

კიულმანმა სიტყვა გადაუკრა ამ ოპერაციის ჩატარებისას თურქების მიერ ისეთი ტერიტორიების დაკავებაზე, რომელთა ხანგრძლივი ოკუპაცია ან ანექსია სრულიადაც არ გამომდინარებს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებიდანო. თუმცა, დაუმატა მან, თურქების მოძრაობა კავკასიაში შეჩერდა და ყველა ეს საკითხი, როგორც ითქვა, განიხილება მომავალ კონფერენციაზე კონსტანტინოპოლში.

„საქართველოსთან, აღნიშნა კ-მა, ჩვენ დავამყარეთ მეგობრული ურთიერთობა. უკვე de facto ვაღიარეთ იგი. ჩვენ აზრთა მეგობრული გაცვლა-გამოცვლა გვაქვს მის საგარეო საქმეთა მინისტრთან. ჩვენი მხრივ, თბილისში დიპლომატიური მისიით გავგზავნეთ გენერალი ფონ-კრესი. ჩვენ მკვიდრ მომავალს ვუსურვებთ ქართულ სახელმწიფოს, ამ მამაც ხალხსა და მდიდარ ქვეყანას და სიხარულით გავაკვთებთ ყველაფერს, რაც ჩვენზეა დამოკიდებული საქართველოსა და გერმანიას შორის მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად“. ამ სიტყვამ გამოიწვია საერთო ტაში*.

---

* იმავე კამათში 1918 წ. 24 და 25 ივნისს — საქართველოსა და საერთოდ კავკასიას შეეხნენ შემდეგი ორატორები: მომხსენებელი ხარჯთაღრიცხვაზე პრინცი zu Schonaich Carolath (ერ.-ლიბ.); გრობერი (ცენტრი); დ-რი დავიდი (სოც.); გრაფი ფონ-ვესტარპი (კონს.); დ-რი შტრეზემანი (ერ.-ლიბ.); ჰაზე (დამ. სოც.); დ-რი ვერნერი (გერმ. თავის.). იხ., სტენოგრ. ანგარიშებისა და გაზეთების გარდა, წიგნაკი in-folio Das Neue Georgien. Eine Denkschrift mit statistischen Tabellen und einer Kartenskizze von Michael von Tseretheli, სადაც მოყვანილია ამ სიტყვებიდან ამონაწერები.

საერთოდ, დეპუტატები თანაგრძნობით შეხვდნენ საქართველოს და დიდი ინტერესი გამოიჩინეს მასზე გერმანიის გავლენის გავრცელებისადმი. იმავე სიტყვებში ბევრი ითქვა სომხების სასარგებლოდ, რომელნიც იტანჯებიანო თურქების დევნისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამგვარად, ჩვენი გულმოდგინება ბათუმში, ფოთში, ბერლინში ამაო არ ყოფილა. ჩვენ „ვიპოვეთ თურქეთის ჭკუაზე მოყვანის“ გზა. პრაქტიკულად დაისვა აღიარების საკითხი.

მაგრამ რაც მთავარია: საქართველო, კავკასია შევიდა ევროპულ პოლიტიკასა და ისტორიაში. დადგა ჩვენი არსებობის პროვინციულ-რუსული ფაზის აღსასრული!

საქართველო საქართველოდ დარჩეს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის ზოგადი, რაც ომის შესახებ თქვა კიულმანმა. მთელი პასუხისმგებლობა ომისათვის მან რუსეთს დააკისრა (კარგია, ბოლშევიკები რომ ამის წინააღმდეგ არ იდავებენ!).

გერმანული ჯარების წარმატებებზე ილაპარაკა თავშეკავებით და ეჭვი გამოთქვა, რომ ამ ომის გადაწყვეტა შესაძლებელი იყოს მხოლოდ იარაღის ძალით! გერმანიის სასიცოცხლო მოთხოვნილებანი მან შემოფარგლა ისტორიის მიერ დადგენილ საზღვრებში, თავისუფალი ზღვაოსნობით და კოლონიური სამფლობელოებით, რაც შეეფარდება გერმანელი ხალხის ეკონომიკურ ძალას.

აშკარაა, რომ ყველაფერი ეს გაურკვეველია: მაგრამ კ-ს მიაჩნია, რომ მეომარ მხარეებს შორის ზავის თაობაზე აზრთა გაცვლა აუცილებელია. მაშასადამე, კ-ს გერმანული იარაღის ზეიმისა არა სჯერა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი რამაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XII

თურქეთი ზეიმოგს

31.

სანამ გავაგრძელებდეთ თხრობას იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდა ბერლინის მოლაპარაკება და მისი წყალობით შემდგომში რას მივაღწიეთ თუ ვერ მივაღწიეთ, აუცილებელია, მივბრუნდეთ უკან და მოკლედ დავახასიათოთ საქართველო-თურქეთის ურთიერთობა მას შემდეგ, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით შეწყდა ბათუმის კონფერენცია (1918 წ. 26 მაისს).

ეს შეწყვეტა შესვენება იყო. თურქეთის დელეგაცია დარჩა ბათუმში და ნაცვლად დაშლილი ამიერკავკასიის „მხარისა" ელოდა სამ დამოუკიდებელ დელეგაციას — საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან (რომელთაც საქართველოს შემდეგ — 28 მაისს გამოაცხადეს დამოუკიდებლობა). დელეგაციებმაც არ დააყოვნეს ჩასვლა. საქართველოს დელეგაციაში შედიოდნენ: მინისტრი-თავმჯდომარე რამიშვილი, ინფანტერიის გენერალი ოდიშელიძე, ბატონები გვაზავა და რცხილაძე. ერთი სრული გენერალი და წარმომადგენლები სამი პარტიისა (ს.-დ., ნაც.-დ., სოც.-ფედ.). ასეთი იყო აპარატი, რომელიც გაიგზავნა აშკარად არასაბოლოო, თავისი შინაარსით კი საქართველოსათვის ფრიად სავალალო აქტების ხელმოსაწერად!

1918 წ. 31 მაისს მოლაპარაკება დაიწყო შეკითხვით: 26 მაისს ამიერკავკასიისადმი წაყენებული ულტიმატუმი შეეხება თუ არა ახლადწარმოქმნილ საქართველოს რესპუბლიკას? „ბუნებრივია შეეხება", — დაუყოვნებლივ უპასუხეს თურქებმა და დაუმატეს, რომ პასუხს ელიან არაუგვიანეს ღამის 12 საათისა.

ამის შემდეგ რამიშვილმა „თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის" დამყარების სურვილი გამოთქვა, მხოლოდ იმ პირობით, რომ „საქართველოს სამხრეთი საზღვრები დადგენილი იქნებოდა

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების თანახმად" — ე. ი. იგი უარ-
ყოფდა (№ 2-ით) თურქეთის ულტიმატუმის ტერიტორიულ მოთ-
ოვნებს, მაგრამ შემდეგ (№ 3-ით) დათანხმდა მათ მიღებაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელის მოწერაღა დარჩა, რაც შესრულდა ქ. ბათუმში, 4 ივნისს, ე. ი. ბერლინში მეორე ქართული დელეგაციის ჩასვლის მეორე დღეს.

ასე მწარე აბის გადაყლაპვის, არსებითად, მარტივ პროცედურას არ ჩაუვლია სიტყვით გამოსვლის გარეშე ორივე მხრიდან: ვინც ეს აბები მოიტანა, და ვინც მიიღო იგი.

ხალილ-ბეის სიტყვით, დამატებითი (ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე) უსიამოვნებანი ჩვენსავე თავისთვის უნდა დაგვებრალებინა: რატომ გავუწიეთ წინააღმდეგობა თურქების შესვლას ბათუმსა და ყარსში? საერთოდ კი, — აღნიშნა მან, — კავკასიაში კარგად ორგანიზებული და პროგრესული სახელმწიფოს შექმნა ოთომანთა იმპერიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია. ასეთი სახელმწიფოს საფუძველი უნდა იყოს კავკასიელი ხალხების მეგობრობა, განსაკუთრებით კი მისი ძლიერება უნდა ემყარებოდეს კავკასიელი მუსულმანებისა და ქართველების მეგობრულ ურთიერთობას.

თავის მხრივ, რამიშვილმა გამოხატა კმაყოფილება ომის შეწყვეტის გამო. ეს იყო „მეფის მთავრობის მემკვიდრეობა და მის გამოცხადებაში ქართველ ხალხს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიაო" — აღნიშნა მან. გამოთქვა იმედი, რომ „ჩვენს ერს მუდამ ექნება მშვიდობიანი ინტელექტუალური განვითარების უფლება" (!) და ა. შ.

რამიშვილის სიტყვით, „ჩვენი სახელმწიფო ამ ომში თავს აცხადებს ნეიტრალურად". ეს განცხადება არ იყო აუცილებელი, და ასეთი ფორმით არც სწორი იყო, ვინაიდან საქართველოს რკინიგზები გადადიოდა მეომარ სახელმწიფოთაგან ერთ-ერთის ხელში.

თავისი საპასუხო სიტყვის შემდეგ ქართული დელეგაციის თავმჯდომარემ ხელმეორედ წაიკითხა დეკლარაცია, რომელიც ადრე, კონფერენციის ფორმალური სხდომის დაწყებამდე, ზავის პირობების გამო კერძო მოლაპარაკებისას განაცხადა. დეკლარაციაში ლაპარაკი იყო 28 მაისს ფოთში გერმანიასთან ხელმოწერილ შეთანხმებაზე, გერმანიისა და მისი მოკავშირეების მიერ სამხედრო მიზნით საქართველოს რკინიგზებით სარგებლობის უფლებისა და საქართველოს მიერ ამ ვალდებულებების შესრულების აუცილებლობის შესახებ. „აუცილებლობის" ხაზგასმამ ხალილ-ბეის მისცა საბაბი მო-

ეთხოვა ენაწყლიან რამიშვილისგან ეღიარებინა იმავე საკითხთან დაკავშირებით თურქეთ-საქართველოს (დამატებითი) შეთანხმების ასეთივე „აუცილებლობა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულ, ყველა ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს, თურქეთის მხრიდან ხალილ-ბეიმ და ვეჰიბმა, საქართველოდან — ოთხმა ზემოდასახელებულმა წარმომადგენელმა. ამის შემდეგ ქართული დელეგაციის თავმჯდომარემ თავის სიტყვაში თქვა, რომ აუცილებელია დაჩქარდეს თურქეთისა და მისი მოკავშირეების მიერ საქართველოს ცნობა და ჩვენს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება. ხალილ-ბეი ირწმუნებოდა, ეს ურთიერთობა მალე დამყარდება და „ახლახან ხელმოწერილი ხელშეკრულება საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალური აღიარებაა“*.

საქართველოსა და თურქეთს შორის ბათუმში ხელმოწერილი მშვიდობისა და მეგობრობის ძირითადი ხელშეკრულების რატიფიკაცია, შეძლებისდაგვარად, ერთი თვის მანძილზე უნდა მომხდარიყო (მე-13 მუხლი). ეს რატიფიკაცია არ შემდგარა და თვით ხელშეკრულებაც ძალაში არასოდეს შესულა.

საქართველო-თურქეთის საზღვარი, ამ ხელშეკრულებით, განისაზღვრებოდა 1828 წლის ადრიანოპოლის ტრაქტატის დროინდელი რუსეთ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრების შესაბამისად. ეს ნიშნავდა, რომ საქართველო უბრუნდებოდა იმ ეპოქისდროინდელ საზღვრებს, როცა იგი რუსეთს შეუერთდა. თურქეთი იძენდა 1878 წ. დაკარგულ ბათუმს, არდაგანის, ყარსის (რომელიც უკვე მიიღო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით), ახალციხისა (Akhaskha) და ახალქალაქის (Akhilkelek) სანჯაყებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ეკატერინე პირდებოდა ერეკლე მეორის დროინდელ საქართველოს** და, რომელიც, მართლაც, შევიდა თბილისის გუბერნიაში, 1828 წელს მათი დაპყრობის შემდგომ.

---

* იხ. კონფერენციის სხდომის ოქმი, რომელიც ხელმოწერილია 1918 წ. 5 ივნისს ბათუმში, დელეგაციის მდივნების — დოქტ. ღამბაშიძისა და ორხან-ბეის მიერ. ეს ოქმი არ არის დაბეჭდილი „დოკუმენტებსა და მასალებში“. ხელშეკრულების ოქმები იხ. № 172-179.

** იხ. მე-4 „ცალკე არტიკული“ 1783 წლის პროტექტორატის შესახებ რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებისა ბუტკოვთან, კავკასიის ახალი ისტორიის მასალები, ტ. II, თავი 108, სპბ. 1869.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1918 წლის 11 მაისს ამიერკავკასიის დელეგაციისადმი წარდგენილი ხელშეკრულების პირვანდელ ტექსტთან შედარებით, 4 ივნისის საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულება ჩვენთვის ერთ უეჭველ გაუმჯობესებას შეიცავს — ახალციხის მაზრიდან საქართველო ინარჩუნებს აბასთუმანსა (ცნობილი კურორტი) და აწყურს (ბორჯომის ხეობის ზემოთ, მტკვარზე). ამ დათმობაში ჩანს გერმანიის გავლენაცა და თურქების სურვილიც, ოდნავ მაინც ენუგეშებინათ საქართველო, რომელიც მტკვრის სათავისა და ჭოროხის აუზის ყველა ისტორიულ ტერიტორიას კარგავდა.

ოქმები საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ურთიერთგამიჯვნის შესახებ შემდგომში უნდა შეიტანონ ამ ხელშეკრულების ტექსტში და უნდა გახდნენ მისი შემადგენელი ნაწილი (მე-3 მუხლი).

სამშვიდობო ხელშეკრულებასთან ერთად ხელმოწერილი იქნა დოკუმენტები ვაჭრობისა და ზღვაოსნობის (ტრაქტატის დამატება) დროებითი წესების, სასაზღვრო მხარეებს შორის განსაკუთრებული შეღავათებისა (დამატება II) და საქართველოში მუსლიმთა სასულიერო მმართველობის წესდების შესახებ*.

უფრო უშუალო მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთსა და საქართველოს შორის 4 ივნისს ხელმოწერილ დამატებით ხელშეკრულებას (რომელიც ძალაში შედიოდა დღიდან ხელმოწერისა, თუმც რატიფიკაციის გაცვლა უნდა მომხდარიყო ერთი თვის შემდეგ: მუხლი VI), რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო საქართველოს ჯარების დემობილიზაცია, თურქეთის სასარგებლოდ დაწესებულიყო რესპუბლიკის სამხედრო ძალებზე კონტროლი, საქართველო ვალდებული ხდებოდა თავისი ტერიტორიიდან დაეთხოვა ყველა იმ სახელმწიფოს ოფიცერი და ჩინოვნიკი, რომლებიც მონაწილეობდნენ თურქეთთან ომში („ანტანტის" ჯარისკაცები არ იყვნენ მოხსენიე-

---

* ეს წესდება საერთოდ ემთხვევა ასეთსავე შეთანხმებების ტექსტს, რომელიც ოსმალეთმა დასდო მაგ., ბულგარეთთან და საბერძნეთთან 1912-1913 წწ. ბალკანეთის ომების ეპოქაში. მაგრამ ძირითადი ხელშეკრულების VI მუხლში (აბზ. 2: „მ. ი. უ. სულთანის სახელს მუსლიმანები მოიხსენიებენ საჯარო ლოცვის დროს") თურქებმა შეაპარეს ქართველ დელეგატებს ტექსტი აუცილებელი შენიშვნის გარეშე: „მ. ი. უ. სულთანის სახელი, როგორც ხალიფასი", რაც მიღებულია სხვა სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებებში. ტექსტი ხელმოწერილია ამ შენიშვნის გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული, ამ დროს საქართველოში მათი გამოჩენა, ალბათ, [illegible] უაზრობად მიაჩნდათ!), რაც მთავარია, განსაზღვრული იყო სამხედრო ტვირთის გადასატანად რკინიზების გამოყენების წესები. გზების დაცვა, პრინციპში, ეკისრებოდა ქართულ ჯარს.

გენერლების ოდიშელიძისა და ვეჰიბის მიერ ხელმოწერილი დამატებითი ხელშეკრულების განსაკუთრებული დანართი ადგენდა სამხედრო ტყვეების გაცვლის წესს.

იმავე საფუძვლებზე და იმავე დღეს, ბათუმში ხელმოწერილი იქნა სამშვიდობო ხელშეკრულებები (დამატებითი შეთანხმებებით) თურქეთსა და აზერბაიჯანს (მ. გაჯინსკისა და რასულ-ზადეს მიერ), და ასევე თურქეთსა და სომხეთს შორის (რომელსაც წარმოადგენს ჩვენთვის უკვე ცნობილი რ. კაჩაზნუნი და ა. ხატისოვი. აგრეთვე მ. პაპაჯანოვი*). რკინიგზა — ყარსი-ალექსანდროპოლი-ჯულფა — თავისი მიმდებარე ტერიტორიით გადადიოდა თურქების მფლობელობაში. სომხეთსა და მონათესავე კავკასიის აზერბაიჯანის გავლით თურქეთმა ასევე მონათესავე სპარსეთის აზერბაიჯანისკენ გაიწვდინა ხელი: ეს მეტად საყურადღებო მაჩვენებელია სტიქიური პოლიტიკური მისწრაფებების მაგნიტური ისრისა!**

ბათუმის პალმებისა დ ბამბუკები'ს ჩრდილქვეშ ხელმოწერილი საერთაშორისო აქტების მოკლე მიმოხილვის ბოლოს, რომელთა ხელმოწერით იწყებდნენ თავის დამოუკიდებულ კარიერას ახალგაზრდა კავკასიური რესპუბლიკები, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ აგრეთვე კონვენცია. ბაქო-ბათუმის ნავთსადენის გამართულობის შენარჩუნების შესახებ ხელმოწერილი აზერბაიჯანსა, საქართველოსა და თურქეთს შორის, და სამი კავკასიური რესპუბლიკისა და თურქეთის შეთანხმება ყოფილი ამიერკავკასიის რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის განაწილების შესახებ, თითოეული ამ რესპუბლიკის მიწაწყალზე გამავალი რკინიგზის სიგრძის პროპორციულად.

32.

ის, რომ ხალილ-ბეი ბათუმიდან ხელცარიელი გაბრუნებას არ ისურვებდა, რომ მოწინააღმდეგის დაშლით გამარჯვებული თურქეთი

---

* მე-4 სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი; ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის ყოფილი წევრი (1917).

** თურქები ადრე დროგამოშვებით ფლობდნენ თავრიზს.

აიძულებდა ახალ სახელმწიფოებს ხელი მოეწერათ სასურველ ზავზე, ამის განჭვრეტა არ იყო ძნელი. ასეთ პირობებში თურქების მეფეთავს მოხვეული სეპარატული ზავის წინააღმდეგ ბრძოლა, მის მოკავშირეებთან მოლაპარაკება და მათი იძულება, ჩარეულიყვნენ საქმეებში და ამ გზით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, მიგვეღწია საქართველოსათვის დამანგრეველი ზავის ტერიტორიული პირობების შემსუბუქებისათვის — ის უპირველესი საფიქრალი იყო, რაზედაც თავი უნდა გვემტვრია ბერლინში ჩასულებს. გენერალ ფონ-ლოსოვის წყალობით, გერმანიის მთავრობა, რა თქმა უნდა, ინფორმირებული იყო ჩვენი ზრახვებისა და იმედების შესახებ. ახლა ჩვენ ფორმალური ნაბიჯების გადადგმაღა მოგვეთხოვებოდა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, დავიწყეთ გერმანიის ხელისუფლებისადმი 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტისა და რამიშვილის მთავრობის შექმნის ნოტიფიკაციით*.

„ამგვარად, ნათქვამი იყო ჩვენს ნოტაში (6 ივნისს), საქართველოში რუსეთის 100 წელზე მეტი ხნის ბატონობის შემდეგ, ქართველმა ხალხმა კვლავ დაიკავა თავისი ადგილი დამოუკიდებელ ერებს შორის. თავისი სრული შინაგანი თავისუფლებისა და ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნების მიზნით რუსეთთან პოლიტიკური ხელშეკრულებებით დაკავშირებულმა საქართველომ, მალე დაინახა, როგორ ილახებოდა მისი უფლებები: მისი დამოუკიდებლობა შეირყა, ხოლო თავისუფლება სრული ანექსიის რეჟიმით შეიცვალა.

მას შემდეგ, რაც რუსეთის მთავრობამ გაიყვანა თავისი ჯარები ამიერკავკასიიდან, კერძოდ საქართველოდან, და თავისი ბედის ანაბარად დატოვა იგი, საქართველოს აღარაფერი აკავშირებდა რუსეთთან. სხვა სახელმწიფოების მიმართ ყოველგვარი ვალდებულებებისაგან თავისუფალი საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად და ახლა თავისი სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად, ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად მიილტვის საერთაშორისო კავშირების დამყარებისაკენ“. სწორედ ამ ახალი რესპუბლიკის უმოკლეს ვადაში ცნობას ვთხოვდით ჩვენ გერმანიის მთავრობას.

4 ივნისს საქართველოსა და თურქეთს შორის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ ჩვენ მეორე დღესვე შევიტყვეთ

---

* იმავე დროს ჩვენ ვაცნობეთ ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლის შესახებ.

ბერლინში. 6 ივნისს, ე. ი. იმავე დღეს, როცა ფორმალურად ვაცნობეთ გერმანიის მთავრობას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ჩვენ მივმართეთ საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ „ვინაიდან საქართველო აღმოჩნდა თურქეთის უშუალო ზემოქმედების ქვეშ და იძულებულია ხელი მოაწეროს რაიმე შეთანხმებას მხოლოდ თურქეთთან, ამიტომ ამ პირობებში ხელმოწერილი ყველა ვალდებულება უმნიშვნელოდ უნდა ჩაითვალოს“, და რომ „ოთხ მოკავშირე სახელმწიფოსა და საქართველოს შორის გადასაწყვეტი ყველა საკითხი“ უნდა განიხილებოდეს საგანგებო კონფერენციაზე, რომელზეც შემუშავებული იქნება შეთანხმება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე, ერთი მხრივ საქართველოსა და მეორე მხრივ ოთხთა კავშირის ყველა სახელმწიფოს შორის.

ჩვენი ლტოლვა, ასე ვთქვათ, მიგვეღწია ჩვენი საკუთარი ბრესტ-ლიტოვსკისათვის*, ბათუმში საქართველოზე თავსმოხვეული პირობების ჩვენს სასარგებლოდ გაუმჯობესების მიზნით, ჩვენ უფრო მკაფიოდ გამოვხატეთ იმავე დღეს (ე. ი. 6 ივნისს) მეორე ნოტაში, რომელიც შეიცავდა ფორმალურ წინადადებას კონფერენციის მოწვევის შესახებ საქართველოსა და ოთხთა კავშირს შორის „ხანგრძლივი მეგობრობისა და თანამშრომლობის მისაღწევად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საფუძველზე“.

ეს კამპანია, რომელიც ბათუმში თურქებთან ჩვენი დელეგაციის პაექრობის გაგრძელება იყო (იხ. ზევით მუხლი 19), იმ აზრს ემყარებოდა, რომ „ოთხ სახელმწიფოსთან მოლაპარაკებით მიღებული ბრესტ-ლიტოვსკის შედეგი შეიძლება გაფართოებულიყო და სახეც ეცვალა იმავე წესით, ე. ი. მოწინააღმდეგე მხარესთან საერთო ინტერესებიდან გამომდინარე და არა სეპარატული შეთანხმებით“. ამ საფუძველზე ახალი კონფერენციის მოწვევის წინადადებით ჩვენ არა მარტო ვქმნიდით ინსტანციას, რომელსაც ბათუმის 4 ივნისის გადაწყვეტილებანი უნდა გადაესინჯა, არამედ ვიგებდით დროს, რაც საჭირო იყო გერმანიასთან ჩვენი კავშირისა და თვით საქართველოში

---

* არსებითად, ეს ასეც იყო, ნუ მიწყენენ ჩვენი სოც.-დემოკრატი ლიდერები, რომელნიც ასეთი აღშფოთებით იხსენიებენ იმათ „დიდი“ ბრესტ-ლიტოვსკისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელი რეჟიმის განსამტკიცებლად და მაშასადამე, გვქონ-ლეოდა შესაძლებლობა უფრო გაძლიერებულნი შევხვედროდით ამ კონფერენციას.

და რადგან კონფერენციის მოწვევის წინადადება დაემთხვა, როგორც ჩანს, სამოკავშირეო დისციპლინის განმტკიცების აუცილებლობასა და გერმანიის საქართველოსთან დაკავშირებულ შორს მიმავალ გეგმებს, მოხდა ისე, რომ ლევიათანი მაინც წამოეგო ჩვენი სუსტი ხელებით გადაგდებულ ანკესზე*.

ფონ-კიულმანი 6 ივნისის ნოტის პასუხად 9 ივნისს საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარეს წერდა: „გერმანიის იმპერატორის მთავრობას პატივი აქვს განაცხადოს, რომ იგი მზად არის კეთილგანწყობით მოეკიდოს თქვენს წინადადებას (კონფერენციის მოწვევაზე) და არ დააყოვნებს ამ საკითხზე მოლაპარაკება აწარმოოს მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობებთან“.

გერმანიის მთავრობას მიაჩნდა, რომ, პრაქტიკული მოსაზრებით, კონფერენცია უნდა გამართულიყო კონსტანტინოპოლში და რომ მას, კერძოდ, შეეძლო განეხილა ოთხი სახელმწიფოს მიერ (ე. ი. გერმანიის, ავსტრო-უნგრეთის, თურქეთისა და ბულგარეთის) ახალი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი: „იმპერატორის მთავრობა, — დაუმატა საგარეო საქმეთა მეურვე სახელმწიფო მდივანმა, — რომელიც ცნობს საქართველოს მთავრობას de facto-ოდ, ფიქრობს თავისი საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალური ცნობის სასარგებლოდ გამოიტანოს მან შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობასა და მოსკოვის მთავრობას შორის დაწყებული მოლაპარაკება კეთილად დამთავრდება“.**

33.

გერმანიის მოლაპარაკება მოკავშირე სახელმწიფოებთან კონფერენციის მოწვევის თაობაზე არ გაჭიანურებულა და როგორც ვიცით, თავის სიტყვაში 24 ივნისს (იხ. ზემოთ გვ. 117) ფონ-კიულმანმა ამცხ-

---

* იხ. იობის წიგნის თავი 10-20—„An extrahere poteris leviathan hamo et fune ligabis linguam ejus?“

** საპასუხო ნოტაში საქართველოს დელეგაცია აზრს გამოთქვამდა, რომ კონფერენცია მოეწვიათ გერმანიაში, ან ნებისმიერ ქვეყანაში, კონსტანტინოპოლის გარდა.

ნო რაიხსტაგს მოკავშირეების გადაწყვეტილება კავკასიის საკითხებ-ზე კონფერენციის მოწვევის შესახებ. იქვე სრულიად გარკვევით გა-ნაცხადა, რომ საქართველოს (და რუსეთის იმპერიიდან გამოყოფილი სხვა განაპირა მხარეების) დამოუკიდებლობის ფორმალური („დიპ-ლომატიური") ცნობისათვის აუცილებელია წინასწარ რუსეთის (საბჭოთა) მთავრობის თანხმობა.

ეს თანხმობა კი, თავის მხრივ, დამოკიდებული იყო რუსეთ-გერმანიის იმ მოლაპარაკების შედეგებზე, რომელიც მიმდინარეობდა უკვე ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ წამოჭრილ მთელ რიგ რთულ საკითხებთან დაკავშირებით*.

ასეთ აღიარებაზე მოსკოვისაგან თანხმობის მიღება, ისევ და ისევ, უფრო ადვილი იყო გერმანიისათვის, ბერლინში ბ. იოფესთან მოლაპარაკების დროს, ვიდრე საქართველოს ახალგაზრდა მთავრობისათვის, რომლის დამოკიდებულება რუსეთის მმართველობასთან, სამწუხაროდ, როგორც თავიდანვე ჩანდა, ძალზე ცუდი იქნებოდა, იმ ანტაგონიზმის წყალობით, რომელიც ასე თიშავდა ქართველ სოციალ-დემოკრატებსა და საბჭოთა მოღვაწეებს (რაც საქართველოსათვის უფრო დამღუპველი იყო, ვიდრე რუსეთისათვის!). ამავე დროს თბილისსა და მოსკოვს შორის კავშირიც მეტად გართულებული იყო სხვადასხვაგვარი უზარმაზარი პოლიტიკური გამმიჯნავი ზღვების გამო. საეჭვო არ იყო, რომ გერმანიის მთავრობის მიერ ფორმა-ლური ცნობის საკითხში დიდი მოთმინება უნდა გამოგვეჩინა და დავლოდებოდით რუსეთ-გერმანიის მოლაპარაკების შედეგებს.

რაც შეეხება უკვე გამოცხადებულ კონსტანტინოპოლის კონფე-რენციას — მისი ორგანიზაცია აგრეთვე უფრო რთული საქმე აღმოჩნდა, ვიდრე ეს კიულმანის მიერ რაიხსტაგში 24 ივნისს წაკი-თხულ მოხსენებაში იყო დახატული. თურქეთს კავკასიაში თავისი, საკმაოდ რთული პრობლემები ჰქონდა; მაგალითად, მისი გავლენის განმტკიცება აზერბაიჯანში, ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმებით გათვა-ლისწინებულ ოლქებში პლებისციტის ორგანიზაცია და ა. შ. და მან არჩია ისინი საკუთარი ძალებით გადაეწყვიტა კონფერენციის გახს-ნამდე. თურქეთმა მიზნად დაისახა მუსლიმური კავკასიის გაძლიერება და საერთოდ, კავკასიის საკითხის გადაწყვეტა იქ თავის უპირატესო-

---

* რატიფიკაციების გაცვლა მოხდა 1918 წ. 29 მარტს.

ბაზე დაყრდნობით. ამისათვის მან კონსტანტინოპოლში მიიწვია სხვა-დასხვა დელეგაციები, რომლებიც ისხდნენ პერას საუკეთესო სასტუმროებში, ოთომანთა მთავრობის კმაყოფაზე, ნეტარი უმოქმედობის სევდაში ჩაძირულნი და დიდი ხანია ამაოდ ელოდნენ კონფერენციის გახსნას.

ამ დროს კი, ბორძიკ-ბორძიკით და უშედეგოდ მიმდინარეობდა გერმანიასთან და სხვა მოკავშირეებთან მოლაპარაკება გამოცხადებული კონფერენციის მომზადების თაობაზე. კვირა კვირას მიჰყვებოდა, კონფერენციას კი არ იწვევდნენ.

ასეთი მდგომარეობა ჩვენ დროს გვაძლევდა ბერლინში უფრო საფუძვლიანად შეგვესწავლა გერმანია-საქართველოს შესაძლებელი ურთიერთობის საკითხი. როგორ უნდა მოვქცეულიყავით, თუ რუსეთ-გერმანიის მოლაპარაკებისა და კონსტანტინოპოლის კონფერენციისაგან არაფერი გამოვიდოდა? საჭირო იყო საქართველო-გერმანიის ურთიერთობის ისეთი დასაბუთება, რომელიც ამ შემთხვევაშიც უზრუნველყოფდა გერმანიის მხრივ აღიარებასა და ხელშეწყობას. 1918 წ. ზაფხულში სწორედ ეს აღიარება და ხელშეწყობა იყო საქართველოსათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის პოლიტიკური ფაქტორი, რომელსაც სხვა ვერაფრით შევცვლიდით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XIII

გერმანიის იმედით

34.

ახლა, როდესაც გერმანიასთან რეგულარულ მოლაპარაკებას ვიწყებდით, ჩვენ, თითქოს უსიტყვოდ, დროებით გვერდზე გადავდეთ ფოთში ხელმოწერილი შეთანხმებები, თუმცა მათი მთავარი საფუძვლის (გერმანიისადმი მინიჭებული ეკონომიკური სარგებლიანობის შეპირობება საქართველოს დამოუკიდებლობის პოლიტიკური მხარდაჭერით) შეცვლა ან უარყოფა შეუძლებელი იყო. ამ თვალსაზრისით, მოლაპარაკება, რა თქმა უნდა, ბათუმსა და ფოთში დაწყებული მოლაპარაკების გაგრძელება და დაგვირგვინება იყო.

უპირველეს ყოვლისა, გვმართებდა საქართველოს დამოუკიდებლობის პრობლემასთან დაკავშირებული ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების წარმოდგენა. ნ. ი. ნიკოლაძემ შეადგინა ეკონომიკური მიმოხილვა. მე კი საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის ისტორიული და პოლიტიკური გაშუქება ვიკისრე.

განსაკუთრებულ „განმარტებით მემორანდუმში" მოკლედ დახატულია საქართველოს ბედის სურათი, უპირველესად უკანასკნელი ეპოქებისა — ჯერ რუსეთის პროტექტორატის, შემდეგ უშუალოდ რუსეთის მმართველობის ქვეშ ყოფნა; 1917 წ. ამიერკავკასიის განცალკევება, მისი სრული გამოყოფა და ბოლოს, 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებელი საქართველოს გამოცხადება.

მემორანდუმის მე-9 მუხლში ამ მონაცემებზე დაყრდნობით გამოტანილია დასკვნები: „საქართველოს დინასტიების მიერ დადებული პოლიტიკური ხელშეკრულების თანახმად რუსეთთან შეერთებული საქართველო, რომელიც არ ყოფილა რუსული იარაღის ძალით დაპყრობილი, რუსეთის ასწლიანი ბატონობის დროსაც რჩებოდა

ცოცხალ ეროვნულ ორგანიზმად და ხელსაყრელ მომენტს ელოდა თავისი ჩაუქრობელი ეროვნული უფლებებისა და პოლიტიკური მოთხოვნების განსახორციელებლად.

საქართველო რუსეთის ერთგული რჩებოდა დიდი ომის განმავლობაში, ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო ზავის დადებამდე; მაგრამ იგი გულგრილად ვერ შეხვდებოდა რუსეთის მთავრობის თვითნებურ მოქმედებას, რითაც საქართველოს საზღვრები გაუხსნა მტერს და ხელშეკრულებით დაუთმო მისი ოლქები. ამგვარად, ბედის ანაბარა მიტოვებულმა საქართველომ, კავკასიაში რუსეთის სახელმწიფოებრიობის მარცხისა და სრული განადგურების შემდეგ, ჯერ ხელი შეუწყო აქ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წყობის განმტკიცებას, მერე კი შეუდგა მომხდარ მოვლენათა ძალით თავისი საკუთარი, რუსეთის მიმართ ყოველგვარი ვალდებულებისაგან თავისუფალი სახელმწიფოს შექმნას. სხვათა შორის, რუსეთის მთავრობამ განსაკუთრებული დეკრეტით ცნო რუსეთში შემავალი ყველა ხალხის უფლება, აირჩიონ მათთვის შესაფერისი პოლიტიკური რეჟიმი, რუსეთიდან სრული გამოყოფის ჩათვლით.

ამგვარად, ქართველ ხალხს, რომელმაც დაიბრუნა რუსეთის ბატონობის დროს შეჩერებული უფლებები, ახლა სურს მოაწყოს თავისი სახელმწიფო და საერთაშორისო კავშირები ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი აღდგენილი უფლებების ხანგრძლივი გამოყენება საქართველოსა და მთელი კავკასიის სასიკეთოდ".

ჩვენი აზრით, ამ დოკუმენტს უნდა დაესაბუთებინა,* რომ საქართველოს დამოუკიდებლობა იყო უძველესი ისტორიული ტრადიციის, ახალგაზრდა ქართული დემოკრატიის ეროვნული შეგნების და last but not least — 1917 წ. რუსეთის იმპერიის დაშლის გარდუვალი და ბუნებრივი შედეგი.

1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გარემოებებისა და მიზეზების განმარტების შემდეგ, აუცი-

* ამ საბუთის შედგენისას, რა თქმა უნდა, სახელმძღვანელოდ მიღებული უნდა ყოფილიყო ამ საკითხზე საქართველოს მთავრობის ოფიციალური დოქტრინა, რომელიც მოცემულია „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში". 1918 წლის 26 მაისს ამ აქტის ტექსტი სხვადასხვა ენაზე ფართოდ გავრცელდა. იხ. რუსული თარგმანი — «Документы и материалы», № 165.

ლებელი იყო ჩვენს მიერ დასახული პოლიტიკური მიზნების არსებ-
სა და იმ მხარდაჭერის ხასიათის გადმოცემა, რომელსაც ჩვენ ვიღებ-
დით გერმანიისაგან.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ გვმართებდა იმ ე. წ. გერმა-
ნული ორიენტაციის ზუსტი აზრის გამოხატვა და დასაბუთება, რო-
მელიც ჩვენ ავირჩიეთ 1918 წელს. ეს მაშინ, როცა სულ ცოტა ხნის
წინ, 1917 წლის ნოემბერში, საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ
აღიარა რუსული ორიენტაციის შენარჩუნების აუცილებლობა!

ამ ცვლილებაში რომ გავერკვეთ, უნდა გავიხსენოთ, რომ ამ ორ
თარიღს შორის მოხდა სრულიად რუსეთის დემოკრატიისა (დამ-
ფუძნებელი კრების გარეკვის გამო) და რუსეთის იმპერიის დაცემა,
რაც დადასტურდა ბრესტ-ლიტოვსკში.

რუსეთის დაშლა უეჭველი მოვლენა იყო. ყოფილი იმპერია
1918 წლის დასაწყისისათვის აღარ არსებობდა. ჯერ კიდევ მოუ-
წყობელ საქართველოს საზღვრებთან თურქები იდგნენ. ზემოთ კი
დაწვრილებითაა მოთხრობილი, თუ როგორ, რატომ ან როგორი წარ-
მატებით გადაურჩა საქართველო უშუალო საფრთხეს „გერმანუ-
ლი ორიენტაციის", ე. ი. იმდროინდელი ფაქტიური მდგომარეობით
ნაკარნახევი პოლიტიკური კურსის წყალობით.

მაგრამ პოლიტიკური მიზნების მხოლოდ საჭირბოროტო გარე-
მოებებით ახსნა სრულიად არ არის საკმარისი. ამ „გერმანულ ორი-
ენტაციაში" თავიდანვე იყო რაღაც უფრო ღრმა, უშუალოდ დაკავ-
შირებული იმ ერის გზებთან, მოთხოვნილებების განვითარებასთან და
თვითდამკვიდრების შეგნებასთან, რომელიც ასე დააკნინა მეცხრამე-
ტე საუკუნესა და მეოცე საუკუნის დასაწყისში რუსეთის სახელ-
მწიფომ.

აქ თავი იჩინა ლტოლვამ ევროპისაკენ, რომელიც ყოველგვარი
კულტურული მოძრაობის ცენტრად და უმთავრეს კერად გაიაზრე-
ბოდა, სურვილმა თავი დაგვეხსნა რუსეთის ცალმხრივი გავლენის მე-
ტისმეტად მძიმე და საშიში მუხრუჭებისაგან; საქართველოს მყარი
ეროვნული მომავლის დამკვიდრებისა და ახლო აღმოსავლეთის მო-
მავალ პოლიტიკურ სისტემაში დამოუკიდებელ რგოლად ჩართვის
იმედმა...

ძნელი იყო ზუსტად განგეჭვრიტა, როგორი იქნებოდა ეს სისტე-
მა, მაგრამ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად თავის გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადება — როგორც ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ფაქტორი ბრძოლა ნებრივიც იყო და გონივრულიც.

ასე მოიხაზა „ევროპასთან მიკედლების“ ის ვარიანტი, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს პოლიტიკას 1918 წლის მაისის ბათუმის კონფერენციიდან და რომელსაც შეიძლება ეწოდოს „გერმანული“ ან „შუაევროპული“. ამ ვარიანტის მიმართულება ზუსტად შეესაბამება პოლიტიკურ მდგომარეობას აღმოსავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში იმ დროისათვის, როცა საქართველო პირველად დადგა გადაწყვეტილების მიღებისა და არჩევანის წინაშე.

თავის დროზე საქართველოს „რუსული ორიენტაცია“ განვითარებულ და კულტურულ ქრისტიანულ სამყაროსთან მიახლოების ისტორიულად აუცილებელი და გეოგრაფიულად წინასწარ განჭვრეტილი ვარიანტი იყო. საქართველოს ცდა, XVIII საუკუნეში, დახმარება მიეღო დასავლეთ ევროპისაგან, უიმედო და უნაყოფო აღმოჩნდა. 1918 წლის პირობები ჩვენ სხვაგვარად გვესახებოდა: ევროპასთან დაახლოება, მისი ინტერესებისა და აღმოსავლეთში გავლენის გამო, ახლა უფრო ადვილი იყო, და ეს დაახლოება პრაქტიკული პოლიტიკის საკითხი, ხელშესახებ მიღწევათა წყარო ხდებოდა. მაგრამ, ვიმეორებ, საქართველოს ეს პირველი „ევროპული ორიენტაცია“ აუცილებელი საჭიროებისდა მიხედვით აცხადებდა: გერმანია, „შუა ევროპა“.

ამ განმარტებებიდან გადავდივარ მეორე მემორანდუმის (1918 წ. 17 ივნისი) არსზე, რომელშიც გადმოცემულია სწორედ საქართველოს პოლიტიკური მიზნები და იკვეთება გერმანიასთან ურთიერთობის სქემა.

XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს რუსეთთან შეერთების მიზეზებისა და შედეგების დამოწმების შემდეგ, ამ დოკუმენტში ლაპარაკია ქართველი ხალხის სურვილზე, დაეყრდნოს ისეთ სახელმწიფოს, რომლის მხრიდანაც არ მოელის ჩაყლაპვის (ანექსიის) საშიშროება და რომლის ინტერესები იოლად ეთანხმება საქართველოს პოლიტიკურ ამოცანებს.

როგორია ეს ამოცანები?

უპირველეს ყოვლისა, თავისი სახელმწიფოებრიობის განმტკიცება; ხელისუფლებისა და მმართველობის დარგების, სამხედრო ძა-

ლის, ფინანსების მოწესრიგება, ცნობა სხვა სახელმწიფოთა მიერ და მათთან სწორი საერთაშორისო კავშირების დამყარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორეც, სამოკავშირეო ურთიერთობა საქართველოსა და მის მეზობელ ქრისტიან და მუსლიმან მეზობლებთან, როგორც ამიერკავკასიაში, ასევე ჩრდილო კავკასიაში და შემდეგ, კავკასიური კონფედერაციის მომზადება, რომელიც მოწოდებული იქნება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ომის შედეგად ამ მხარეში დამყარებულ მომავალ პოლიტიკურ სისტემაში.

ეს კონფედერაცია ნეიტრალურად გამოცხადდება და სამხედრო თვალსაზრისით საკმაოდ კარგად იქნება მომზადებული იმისათვის, რომ დაიცვას ნეიტრალიტეტი გარეშეთა თავდასხმისაგან.

მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერით, პირველ რიგში, უნდა უზრუნველვყოთ მისი მომავალი. დამოუკიდებელი საქართველო ქვაკუთხედად დაედება კავკასიის კონფედერაციას; საქართველოს გზით გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიკური ზეგავლენაც უფრო ადვილად შეაღწევს მეზობელ ქვეყნებში. ეს — მომავალში. ამიერიდან კი გერმანია მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ნედლეულის დამუშავებაში, რისთვისაც საქართველოს სესხს მისცემს.

ამ წანამძღვრებიდან გამომდინარე ვასკვნიდით, რომ საქართველოსა და გერმანიის ურთიერთობა უნდა აიგოს მოკავშირეობის საწყისებზე, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ცნობით. გერმანიას კი ურთიერთშეთანხმებისა და კონვენციების საფუძველზე, ფაქტიურად, უნდა მიენიჭოს პრივილეგირებული მდგომარეობა, რაც განისაზღვრება, უმთავრესად, მისი მონაწილეობით ეკონომიკურ აღმშენებლობაში, კერძოდ კი, საქართველოს თავდაცვითი ძლიერების ორგანიზაციის საქმეში.

განსაკუთრებით გაესვა ხაზი საქართველოს საერთაშორისო აღიარებაში გერმანიის მხარდაჭერას; ფულის სისტემის შესაქმნელად გერმანიისაგან სესხის მიღებას და ა. შ.

ზემოთ თქმულის საფუძველზე, — ასკვნიდა მემორანდუმი, — შესაძლებელია საქართველოსა და გერმანიას შორის შეიქმნას ნაყოფიერი და ხანგრძლივი თანამშრომლობა. საქართველო, ეკონომიკური გაფურჩქვნის შესაძლებლობასთან ერთად, მიიღებდა

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარანტიას, ეს შეუმ-
სუბუქებდა მას თავისი ინტერესების დაცვისა და განვითარებისა-
მეს აღმოსავლეთში.*

35.

ფოთში ხელმოწერილი დროებითი შეთანხმებიდან (იხ. თავი IX) ჩანს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოსთან ეკონომიკურ კავშირებს გერმანია.

აქ, ბერლინში, საქმის ამ მხარისათვის ისევე უნდა მიგვექცია ყურადღება, როგორც წმინდა დიპლომატიური მოლაპარაკებისათვის. მთავრობასთან მსხვილი მრეწველობისა და ბანკების მჭიდრო კავშირით ეკონომიკური ინტერესების სფეროში მიღწეული შედეგები გზას გვიხსნიდა ჩვენი პოლიტიკური ამოცანების დაჩქარებული განხორციელებისაკენ. მოლაპარაკება ხომ გერმანული სავაჭრო-სამრეწველო სამყაროს ყველაზე მსხვილ და მაშასადამე, ყველაზე გავლენიან დაწესებულებებთან უნდა გვეწარმოებინა.

ამ მოლაპარაკების მთავარი თემა თავისთავად იკვეთებოდა, არც გამოგონება იყო საჭირო და არც თავს მოხვევა. ეს იყო ჭიათურის მარგანეცი, რომლის მიმართაც გერმანიის ფირმებს რა ხანია ჰქონდათ თავისი ინტერესები და რომლის მნიშვნელობა ევროპის მეტალურგიისათვის საერთოდ ძალიან დიდი იყო.**

ამ „შავ ქვაზე" აღიმართება გერმანია-საქართველოს ურთიერთობა, — ვფიქრობდი მე, — და არც უსაფუძვლოდ.

მოლაპარაკებას შევუდექით დაუყოვნებლივ, სახალხო მეურნეობის მინისტრ (Reichwirtschaftsamt) ბარონ ფონ-შტეინთან წინასწარი შეხვედრის შემდეგ და მიმდინარეობდა იგი ამავე სამინისტროს შენობაში, რადგან ეს სამინისტრო მოლაპარაკებაში საკმაოდ

---

* ნ. ი. ნიკოლაძემ შეადგინა განსაკუთრებული მოხსენება გერმანიისათვის საქართველოსთან ეკონომიკური კავშირის სარგებლიანობისა და საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების შესახებ. ტექსტში მოყვანილ ორ მემორანდუმთან ერთად ეს მოხსენება ეცნობა გერმანიის მთავრობას. შეიძლება ითქვას, რომ ეს სამი საბუთი საფუძვლად დაედო ჩვენს მოლაპარაკებას ბერლინში.

** ყველა ეს ცნობა იხ. წიგნში: D. Ghambashidze, F. R. G. S. Mineral resources of Georgia and Caucasia. Manganese industry of Georgia. London, 1919.

მნიშვნელოვან მონაწილეობას ღებულობდა. რაც შეეხება ჩვენს ვერ-მანელ კონტრაგენტებს, აქ იყო მთელი ე. წ. „მძიმე ინდუსტრიის" ფრიდრიხ კრუპის (ესსენი) აქციონერული საზოგადოება, გელზენ-კირხენის სამთო წარმოების აქციონერული საზოგადოება, Deutsch-Luxemburgische... Aktiengesellschaft (Bochum), Gewerkschaft Deutscher Kaiser და ა. შ., რომელთა მხოლოდ ხსენებაც მაღაროების, ბრძმედების, დივიდენტებისა და ციკლოპური მასშტაბის მუშათა საკითხის ასოციაციას იწვევს. მოლაპარაკებაში იმათ მხრივ მთავარი როლი ფრიც ტისენს* ეკუთვნოდა.

გადაწყდა მარგანეცის საზღვარგარეთ გატანის საქმის მოგვარება (იგი ჩვეულებრივ მთლიანად ევროპასა და ამერიკაში გაჰქონდათ) საგანგებოდ შექმნილი აქციონერული საზოგადოების მეშვეობით (ქართული კანონმდებლობის მიხედვით), რომელსაც მონოპოლია ექნებოდა ამ საქმეში. იმისათვის, რომ ექსპორტი ტექნიკური თვალსაზრისით „უკანასკნელი სიტყვით" აღჭურვილი ყოფილიყო და საერთოდ, ამ საქმეში გარკვეული ერთიანობისა და გეგმაზომიერებისათვის მიგვეღწია, ერთდროულად კიდევ ორი აქციონერული საზოგადოების დაარსება გადაწყდა: ერთი — ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის მისასვლელი ხაზის ექსპლოატაციისათვის, რომელზეც გადაიტანდნენ მარგანეცს შორაპნამდე, საიდანაც მთავარი ხაზი ფოთამდე მიდიოდა; მეორე კი — ფოთის პორტის ექსპლოატაციისათვის.

სამივე საზოგადოების ხელმძღვანელობას უზრუნველყოფდა ზემოთ დასახელებულ დაწესებულებათა ჯგუფი. გერმანიის მხრივ გამოითქმოდა უდიდესი სურვილი მთლიანად აეღოთ თავის ხელში მთელი ეს საქმე, ე. ი. შეექმნათ აქციონერთა შემადგენლობით წმინდა გერმანული საზოგადოება, მაგრამ სამაგიეროდ საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ დაეწესებინათ საკმაოდ დიდი ანარიცხი და საერთოდ ფინანსური მოგება. რეალურად კი, ქართველი დელეგატების დაჟინებული მოთხოვნით, მიიღეს სხვა სქემა, სახელდობრ: გერმანულთან ერთად, საქართველოს ჯგუფის პარიტეტული მონაწილეობა აქციონერულ კაპიტალში; ქართულ ჯგუფს უნდა მისცემოდა ერთ-ერთი (სამიდან) სადირექტორო ვაკანსია მმართველობაში და

---

* როდესაც ფრანგებმა რური დაიკავეს 1923 წლის დასაწყისში, იგი საპატიმროში ჩასვეს ფრანგების მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო, და ამ ამბავმა უდიდეს მრეწველს მთელს გერმანიაში გაუთქვა სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარეობა (საბჭოთა წევრთა თანაბარი რაოდენობის დაცვით) სამი აქციონერული საზოგადოების თითოეულ საბჭოში. ერთი სიტყვით, გერმანულ ჯგუფს უპირატესობა ეძლეოდა აქტიური ადმინისტრაციის მხრივ, ქართულს კი — ზედამხედველობაში, მონაწილეობა თანაბარი რჩებოდა.

ამ საფუძველზე შემდგარი სამი ხელშეკრულება 12 ივლისს იქნა ხელმოწერილი, ისევე როგორც განსაკუთრებული შეთანხმება სახალხო მეურნეობის სამინისტროსთან (მინისტრის ამხანაგის დოქტორ გეპერტის* სახით). გერმანულ სამრეწველო წრეებს, იმავე საფუძველზე, უფლება ეძლეოდათ ჭიათურაში შესდგომოდნენ „მარგანეცის“ ჯერ არარსებული დარგის ექსპლუატაციას, კერძოდ, წყლის ძალის გამოყენებით ფერომანგანუმისა და სხვა შენაერთების გამოდნობას; გათვალისწინებულ იყო აქციების (გერმანელთა ნახევრის) განაწილება დაინტერესებულ ჯგუფთა შორის და სხვა.

ამავე ოქმში შეტანილ იყო შემდეგი (მე-6) პუნქტი: „საქართველოს მთავრობა აღიარებს ამ ხელშეკრულებებს საბოლოოდ მხოლოდ ფინანსური ხელშეკრულებების დადებისა (რომელთა თაობაზე მიმდინარეობს მოლაპარაკება) და საქართველოს რესპუბლიკასა და ჯერმანიის იმპერიას შორის პოლიტიკური დამოკიდებულების გარკვევის შემდეგ“.

ამ ხელშეკრულებების ხელმოწერა (16 ივნისი) აღინიშნა საზეიმო სადილით, სადაც მასპინძელი იყო მინისტრი ბარონი ფონ-შტეინი. მას ესწრებოდნენ ვიცე-კანცლერი von Payer-ი, იმპერიის ფინანსთა მინისტრი და მრავალი სხვა**.

---

* უფროსი ძმა იმ დოქტ. გეპერტისა (საგარეო საქმეთა სამინისტრო), რომლის შესახებ არაერთხელ იყო საუბარი.

** ავადმყოფობის გამო სადილს ჩხენკელი არ დასწრებია. მე დამსვეს ვიცე-კანცლერის გვერდით. ჩემს ნაცვლად მან გადასცა პურის კუპონი (მე არ მქონდა) მეტრ-დ'ოტელს, რომელმაც მხოლოდ ამის შემდეგ დადო ჩემს თეფშზე შავი პურის პატარა ნაჭერი.

ასეთი სიმკაცრე იყო სამხედრო-სასურსათო რეგლამენტში.

ვიცე-კანცლერი, ვიურტემბერგელი სიმპათიური მოხუცი, მეკითხებოდა, სხვათა შორის, თავის თანამემამულეებზე — კოლონისტებზე, რომელნიც ალექსანდრე პირველის დროს გადმოსახლდნენ ვიურტემბერგიდან საქართველოში.

ვისაუბრეთ რუსეთის რევოლუციაზე, რევოლუციებზე, 1848 წლის მარტზე. „ჩვენ თვითონ არ ვიცით რა ბედნიერები ვართ, შენიშნა ფონ-პაიერმა. რუსეთის მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა ვაფასებდეთ სამართლისა და წესრიგის

ფინანსურ ხელშეკრულებას სესხის თაობაზე გერმანიის უმთავრეს ბანკებთან ხელი საკმაოდ მალე მოვაწერეთ (15 აგვისტოს) ამასთან, „მარგანეცის ხელშეკრულების“ გაფორმება დამოკიდებული იყო მხოლოდ ჩვენი დიპლომატიური კამპანიის შედეგებზე — ე. ი. უპირველეს ყოვლისა, გერმანიის მიერ ჩვენს ფორმალურ აღიარებაზე.

ამ ხელშეკრულებებს კი საერთოდ არ ეწერა განხორციელება. თეორიულად იგი, ჩემის აზრით (ამისათვის ვმუშაობდით ამდენს), საქართველოს ნამდვილად უხსნიდა უცხოეთის კულტურულ კაპიტალთან თანამშრომლობის გზას*, რასაც მოჰყვებოდა ბუნებრივი სიმდიდრის ათვისების სწრაფი განვითარება, სამეურნეო ჰორიზონტების გაფართოება, საქმიანი ჩვევების შეთვისება, მუშებისათვის დამატებითი შემოსავლის წყაროს შექმნა, როგორც მუშებისთვის, ასევე „ინტელიგენტური“ პროლეტარიატისათვის, რაც ასევე გამოიწვევდა მეტისმეტად ჭარბი გლეხობის გამეჩხერებას. „ინტელიგენტური“ პროლეტარების პრობლემა მეტისმეტად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, ისევე როგორც აღმოსავლეთის სხვა ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის, სადაც „დასავლეთის იდეურ მიმდინარეობებთან“ ზიარებამ ზედმეტად მოამრავლა პოლიტიკანები, აგიტატორები და სხვ., მაშინ როცა ხალხი უმეცრების ჭაობშია ჩაძირული, არ არსებობენ მეურნეობის ზრდის, განვითარებისა და ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი კადრები.

ბერლინში ყოფნამ იმ დროს მოგვიწია, როცა სამხედრო „ეკონომიკისა“ და მოჭარბებულ საერთო მიმდინარეობათა გამო, გერმანია თითქმის „ნედლეულის“ ფსიქოზს მოეცვა — როგორ უზრუნველვყოთ ქვეყანა საჭირო ნედლეულით არა მარტო ომის პერიოდში, არამედ საერთოდ, მომავალ სამეურნეო კონკურენციაში? შუა ევრო-

---

სიკეთეს. სამოქალაქო თავისუფლების დარღვევა ყოველთვის აღელვებს ჩვენს რაიხსტაგს (პარლამენტი) და ეს მისი ალღო კანონიერების საუკეთესო დარაჯია“.

ბანკეტის შემდეგ დიდხანს ვისხედით ღვინის ჭიქებით. 12 საათზე, ომისდროინდელი წესების თანახმად, მოვიდნენ შუქის ჩასაქრობად. საზოგადოება უსიტყვოდ დაემორჩილა განკარგულებას — აქ იყვნენ სამი მინისტრი და სხვადასხვა უწყების მრავალი უმაღლესი მოხელე.

* ე. ი. იმ „საწარმოო ძალთა განვითარებას“, რომელსაც ქართველი მარქსისტები გულუბრყვილოდ ელოდნენ, როგორც „ისტორიის ობიექტური მსვლელობის შედეგს“.

ვის შემზარავი მრეწველობა განუზომელი რაოდენობით უნდა ფლობდეს მადნებს, შალეულს, პურს, ნავთობს, ტყავეულს და ა. შ. რომ ცა აღმოსავლეთის ფრონტზე ბლოკადის რკალი გაიხსნა, გერმანია ხარბად დაეწაფა ყველა იმ მარაგს, მადნეულს, შესაძლებლობას, რაც კი იქ მისთვის ერთბაშად გაიხსნა...

ასეთი განწყობილება არა პრაქტიკული გეგმების, არამედ ფანტაზიის საფუძველიც იყო. ძალიან ხშირად აქ ანგარება აღძრავდა ხოლმე ოცნებას, ოცნება კი — ფრთას ასხამდა სტატისტიკას! ნედლეულის ამ Wahrheit und Dichtung-ში, ეკონომიკური სივრცეებისკენ ამ მოწოდებაში ჩვენც შევიტანეთ ჩვენი წვლილი, განსაკუთრებით ნ. ი. ნიკოლაძემ. სრულიად ბუნებრივად ზემოთ განხილული მოლაპარაკებების ხელშესახები მარცვალი, მკითხაობის, ვარაუდის, მოსაზრებების საბურველში ეხვეოდა, სადაც რეალური და საეჭვო რესურსების ულეველობა მიღწევისა და დაუფლების წყურვილს ერთვოდა.

კავკასიის მდინარეები და ჩანჩქერები გარდაიქმნებოდნენ მილიონობით ფიცხ ფოლადის ცხენებად (HP), რომლებიც მზად იყვნენ აზიის შუაგულისაკენ დაეძრათ გერმანიის კაპიტალის ეტლი. მთის ხეობებში ფიჭვის, ნაძვისა და სხვა ტყეები ქაღალდად გარდაიქცეოდნენ: სპილენძზე რაღა ვთქვათ! რაღა ვთქვათ ნავთობპროდუქტებზე!

უნდა შევნიშნო, რომ ამ „ნედლეულზე“ ან სხვა რამეზე ლაპარაკს რაღაც საფუძველი მაინც ჰქონდა, მაგრამ ამ საკითხების უფრო პრაქტიკულად დაყენების დრო ჩვენ არ გაგვაჩნდა. თუმცა, ყველაფერი — როგორც „დადებითი“, ასევე „ფანტასტური“ — ხომ ერთნაირად არარსებობისათვის იყო განწირული... და სწორედ ყველაზე „დადებით“ ნაწილში, როგორც აღმოჩნდა, ჩვენ ყველაზე მეტად „ოცნებობდით“ — მართალია, მსოფლიოს ყველაზე გამობრძმედილ მთავრობასთან, ევროპის უძლიერეს საქმის კაცებთან და ყველაზე „თანამედროვე“ ბანკებთან.

36.

რაიხსტაგში საქართველოს საკითხზე ფ.-კიულმანის მიერ გაკეთებული მოხსენებისა და გერმანელ მრეწველებთან ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ბერლინში ჩვენი ჩამოსვლის უახლოესი მიზანი მიღწეულად უნდა ჩაგვეთვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ კი, ადგილობრივ, შინაგან და გარეგან წინააღმდეგობებთან შესაძლებლობისდაგვარად მებრძოლი თავისუფალი საქართველო იმდენად ეწყობოდა, რამდენადაც უნარი და ცოდნა შესწევდა. თბილისში გენერალ კრესისა და მცირე გერმანული რაზმის ყოფნა კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა და გარკვეულ ჩარჩოებში აყენებდა თურქებს.

ივნისის ბოლოს, საქართველოს მთავრობის სათავეში დადგა ნოე ჟორდანია და ამით მიღწეულ იქნა ერთგვარი კოორდინაცია სამთავრობო მანქანას, სხვადასხვა პარტიებსა და რევოლუციურ ორგანიზაციებს შორის, რომელთა ხელმძღვანელად ის ითვლებოდა. შედარებით მცირე მასშტაბის ქართულმა ურთიერთობებმა თავიდან აგვაცილა „მთავრობისა“ და „საბჭოების“ გაორება, რაც ასე დამღუპველი აღმოჩნდა რუსეთისათვის 1917 წ. მაგრამ მხოლოდ ეს „გაერთიანება“ სახელმწიფო მართვის ვერც ხელოვნებას, ვერც სიმტკიცეს, ვერც შორსმჭვრეტელობას ვერ უზრუნველყოფდა.

თბილისის მთავრობის წინაშე რთული, საპასუხისმგებლო, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო ამოცანები წამოიჭრნენ. ნორმალური ურთიერთობა უნდა დამყარებულიყო საქართველოსა და მეზობელ რესპუბლიკებს შორის. ამ გზაზე მრავალი დაბრკოლება ელობებოდათ, მაგრამ არჩევანის საშუალება არ იყო, უნდა მომხდარიყო მეზობლებთან დაახლოება, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი ქვიშაზე აშენებული იქნებოდა. ყოველი თვე ძვირფასი იყო; რთული საკითხების გადადებით მხოლოდ აგვიანებდნენ... საკუთარი თავისადმი განაჩენის გამოტანას.

ამ დროს კი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ბერლინში გული ულონდებოდა უსაქმობისაგან. ოხრავდა, გერმანული დიპლომატიის ფორმალიზმზე და სიზანტეზე წუწუნებდა (ასე ეჩვენებოდა), მაშინ, როცა მისი სიჯიუტე და თავგამოდება ასე სასარგებლო იქნებოდა თბილისში, სადაც ბერლინში მყოფ მინისტრს ცვლიდნენ შემთხვევითი ადამიანები, პარტიის მეთაურთა კრეატურები.

ჩხენკელი ვერასგზით ვერ ურიგდებოდა გერმანული მთავრობის სურვილს ჯერ რუსეთიდან მიეღოთ თანხმობა და მხოლოდ ამის შემდეგ ეცნოთ საქართველოს დამოუკიდებლობა. იგი ჯიუტად იმეორებდა, რომ საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებულია, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა არასოდეს ყოფილა ფორმალურად გაუქმებული და ამიტომ რუსეთის მთავრობა ნებართვის გარეშეც შეუძლია გერმანიას ცნოს იგი. დასასრულს, გადაწყდა ამ საკითხის შესახებ მიგვეღო რომელიმე ცნობილი გერმანელი იურისტის დასკვნა, რომლის აზრიც, ალბათ (როგორი იმედი ჰქონდა ჩ-ს!), გავლენას მოახდენდა გერმანულ მთავრობაზე და გადაალახვინებდა დოქტ. კრიგეს ფორმალიზმს. ასეთი დასკვნა, ჩვენი თხოვნით, მოგვცა ცნობილმა მეცნიერმა, კრიმინალისტმა და საერთაშორისო სამართლის მცოდნემ, ბერლინის პროფესორმა ფრანც ფონ-ლისტმა.* ფონ-ლისტი თავის შესანიშნავად დაწერილ მსჯელობის საფუძვლად, რა თქმა უნდა, იღებს არა საქართველოს მდგომარეობას 1783 წლამდე (როცა დაიდო ხელშეკრულება ერეკლე მეორესა და ეკატერინე მეორეს შორის პროტექტორატის შესახებ), არა რუსეთთან შეერთებას (1801), — „ფაქტის ნორმატული ძალით" გაუქმების პოზიციას, — არამედ 1918 წლის ვითარებას. ის მიდის დასკვნამდე, რომ გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის იურიდიული დაბრკოლება არ არსებობს.**

როდესაც ლისტი თავის დასკვნას წერდა, პოლიტიკური დაბრკოლებები უკვე გადალახული იყო. უკვე 1918 წ. ივლისში ჩვენ ვიცოდით, რომ მოსკოვის მთავრობა მზად იყო დაეშვა გერმანიის მიერ საქართველოს ცნობა. გერმანია-რუსეთის დამატებითი ხელშეკრულება (ბრესტ-ლიტოვსკის), სხვადასხვა დაბრკოლებებისა და საბჭოთა წარმომადგენლის იოფეს ბერლინიდან მოსკოვში გამგზავრების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს ხელმოწერილი იქნა ბერლინში 1918 წლის 27 აგვისტოს. ამ დოკუმენტის მე-13 მუხლში ნათქვამია:

---

* Prof. Dr. Franz v. Liszt. Geheimer Iustizrat. Die völkerrechtliche Stellung der Republik Georgien. Ein Gutachten. Berlin. 1918. დაბეჭდილია ცალკე წიგნაკად.

** აი, სხვათა შორის, აწ გარდაცვლილი პროფ. ფონ-ლისტის (გარდაიცვალა 1919 წ.) დასკვნების თარგმანი: 1) საქართველო ახლა უკვე წარმოადგენს (1918 წ. აგვისტო) თავისთავადს, სრულიად დამოუკიდებელ და ამდენად სუვერენულ სახელმწიფოს და, როგორც ასეთს, საერთაშორისო სამართლის უფლებით შეუძლია მოითხოვოს სხვა სახელმწიფოთა მიერ აღიარება. 2) საქართველოს რესპუბ-

„რუსეთი თანხმობას აცხადებს მასზე, რომ გერმანიამ ცნოს საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანიზმი“.

ახლა, როცა ყველა წესი დაცულია, ეჭვები გაფანტულია, გვეგონა, გერმანია დაუბრკოლებლად, ფორმალურად და „დიპლომატიურად“ აღიარებდა საქართველოს. მაგრამ ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა და დიდის წვალებით მოპოვებული „გერმანული აღიარება“, რომელსაც მოუთმენლად ველოდით — არ შედგა!

თუმცა მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ: 1918 წლის ზაფხულში ჯერ კიდევ გვეგონა, რომ ყველაფერი მზად იყო საქართველო-გერმანიის ურთიერთობათა სრული გარკვევისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებასთან ერთად, მისთვის გარკვეული ფორმის მისაცემად. Wilhelmstrasse-ზე დროდადრო საგანგებო საუბარი იმართებოდა ამ ფორმის შესახებ, მაგრამ აქაც მაინცდამაინც არ ჩქარობდნენ.

37.

მანამდე კი თურქეთთან უნდა გადაგველახა დაბრკოლებები. მე აქ მარტო ქართულ-თურქული ურთიერთობის სირთულეებს არ ვგულისხმობ. ისინი მრავალგვარი იყო. თურქული ფანდები თავს იჩენდნენ ხან აფხაზეთში (ივლისის დასაწყისში თურქებმა ჯარებიც კი გადმოსხეს სოხუმში), ხან ბორჩალოს მაზრაში და ა. შ. ეს შედარებით წვრილმანი მუქარები ზოგიერთ ნაკლებად დინჯსა და თავშეუკავებელ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეში აუწერელ მღელვარებას იწვევდა, მაგრამ ამ მუქარებს ადვილად იცილებდნენ თავიდან ქართული მთავრობის წინააღმდეგობისა და განსაკუთრებით თბილისში მყოფი გერმანული მისიის გავლენის წყალობით. უფრო

ლიკა უკვე ცნობილია, როგორც არსებული de facto ახალი წევრი სახელმწიფოთა ჯგუფისა — გერმანიის იმპერიის და მისი მოკავშირეების მიერ ან აშკარად და ან კონკლიუდენტური მოქმედებით. 3) ფორმალურად ცნობის საწინააღმდეგო მოსაზრება არ არსებობს. ცნობა არ იქნებოდა „არამეგობრული მოქმედება“ რუსეთის მიმართ, რომელმაც აშკარად და ზეიმით გამოაცხადა ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება, „სრულად გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ჩათვლით“.

* ამ ხელშეკრულებას, რომელიც მცირე ხნის შემდეგ იყო რატიფიცირებული, ხელს აწერენ: გერმანიის მხრიდან ბ-ნი ფონ-გინცე (რომელმაც ფონ-კიულმანის ადგილი დაიკავა საგარეო საქმეთა სამინისტროში) და დოქტ. კრიგე; რუსეთის მხრიდან — იოფე.

შნიშვნელოვანი იყო მომავალ კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე თურქეთსა და საქართველოს შორის საზღვრების დადგენა. ამ საქმეში გერმანიის ოფიციალურ შუამავლობამდე საქმე არ მისულა და არ ვიცი სინამდვილეში რა დათმობებს ითხოვდა თურქეთისაგან გერმანია საქართველოს სასარგებლოდ, მაგრამ უეჭველია, რომ ისინი ერთმანეთს აზრებს უზიარებდნენ.

ბერლინში ამ თემაზე საუბრებისას ისახებოდა კომპრომისული საზღვარი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებისა (მაშინდელი ქართული მოთხოვნები) და 1918 წლის 4 ივნისის ბათუმის ტრაქტატის (თურქული თვალსაზრისი) საზღვარს შორის. ეს საშუალო ხაზი დაუბრუნებდა საქართველოს ახალციხესა და არტაანის ოლქის ფოცხოვის ნაწილს.*

გერმანია, თავის მხრივ, აპირებდა დაჟინებით მოეთხოვა ბათუმის (თურქებისაგან მის წაგლეჯას საქართველოს სასარგებლოდ იგი არ კისრულობდა) გადაქცევა თავისუფალ ნავსადგურად და საქართველოსთან მისი კავშირის გაადვილება.

მაგრამ მთავარ სირთულეს მოკავშირეებს — გერმანიასა და თურქეთს — შორის კავკასიაში, როგორც ჩანს, წარმოადგენდა არა საქართველო, არამედ აღმოსავლეთ ამიერკავკასია. თურქებს აშკარად გადაჰქონდათ ყურადღება სამხედრო ამოცანებიდან სირიასა და მესოპოტამიაში თავის დივერსიაზე აზერბაიჯანში, სადაც მათი გავლენა, როგორც ვნახეთ, იზრდებოდა საქართველოში გერმანიის გავლენის ზრდის პარალელურად. მაგრამ ბაქო, აზერბაიჯანის მთავარი ქალაქი და ნავთობის საგანძური, მისი მრავალი უბედურების წყარო, ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის კუთვნილებას. მრავალი და სავსებით გასაგები მიზეზების გამო თურქები მიისწრაფოდნენ ამ ნადავლისაკენ. მოსკოვის მთავრობა კი, 1918 წ. ზაფხულში გერმანიასთან გამართულ მოლაპარაკებისას, მოი-

---

* მოახერხებდა კი გერმანია ასეთი საზღვარი თავს მოეხვია თურქეთისათვის, კონფერენცია რომ შემდგარიყო? ყოველ შემთხვევაში, გაუჭირდებოდა, რადგან ჯერ კიდევ 1918 წლის აგვისტოში ენვერ-ფაშა კონსტანტინოპოლში ერთ-ერთ ქართველ დელეგატს პირდებოდა ტერიტორიულ დათმობას სხვა რაიონში, ოღონდ საქართველოს უარი ეთქვა აბასთუმანზე და აწყურზე, ე. ი. ახალციხის მაზრის იმ პუნქტზე, რომელიც 4 ივნისს ბათუმის ტრაქტატით დარჩა საქართველოს (იხ. ზემოთ გვ. 118).

თხოვდა ამიერკავკასიაში (ე. ი. აზერბაიჯანში) გამმიჯნავი ზონის შექმნას, რომლის აღმოსავლეთითაც თურქებს ეკრძალებოდათ [illegible] მოქმედებანი, ეს კი სწორედ ბაქოს გამორიცხავდა თურქეთის ოკუპაციის სფეროდან. ამგვარად, გერმანიას ქვეშოში ხელის წავლებით უნდა შეეჩერებინა თურქეთი — რაც იოლ ამოცანას არ წარმოადგენდა, რადგან საქმე ბაქოს დაპატრონებას ეხებოდა.

ასეთი ვალდებულება, მართლაც, აიღო თავის თავზე გერმანიამ 27 აგვისტოს ხელშეკრულების მე-14 მუხლით. თუ მე-13 მუხლში მოსკოვის მთავრობა ამბობდა: „რამდენიც გნებავთ, აღიარეთ საქართველოს დამოუკიდებლობაო“, მე-14 მუხლში უმატებდა: „მხოლოდ თურქები ბაქოში არ შეუშვათო“.

მაგრამ თურქების ბაქოში შესვლას, გერმანელებზე მეტად... ინგლისელები ეწინააღმდეგებოდნენ, რომლებიც სწორედ ამ დროს, ე. ი. 1918 წლის აგვისტოს ბოლოს გადმოსხდნენ ბაქოში, თუმცა უშედეგოდ (იხ. ზემოთ გვ. 97). თურქები კი აზერბაიჯანელ მოხალისეებს შემოჰყვნენ ბაქოში 1918 წლის 15 სექტემბერს!

მოკავშირეების წინაშე მდგარი ყველა ეს სირთულე და გადაუჭრელი საკითხი* გახლდათ კონსტანტინოპოლის კონფერენციის მუდმივი გადადების მიზეზი. სხვადასხვა ხალხისა და სხვადასხვა რესპუბლიკების დელეგატები კონსტანტინოპოლში ისხდნენ ზღვის სანაპიროზე და ელოდნენ „უკეთეს ამინდს“.

„ამინდი“ კი არ იცვლებოდა.

---

* აღვნიშნავ აგრეთვე თურქების მიერ 1918 წ. ივლისში ბათუმის ოლქში ჩატარებულ რეფერენდუმს. ამ რეფერენდუმის და თურქების ზოგ სხვა მოქმედებების წინააღმდეგ მრავალგზისსენებულ სამ სანჯაყში ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ ბერლინში და საქართველოს მთავრობამ თავის მხრივ — თბილისში. აგვისტოს ბოლოს ბერლინში ქართველ მუსლიმთა საგანგებო დეპუტატებიც კი ჩამოვიდნენ — ზია-ბეგ აბაშიძე და ყადირ-ბეგ შერვაშიძე. ისინი აპირებდნენ კონსტანტინოპოლის კონფერენციისათვის რეფერენდუმის გამო შეეჩივლათ. ცხადია, თურქები მოიყვანდნენ თავიანთ დეპუტატებს, რომელნიც სხვა რამეს იტყოდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XIV

სიფრთხილეს თავი არ სტკივა

38.

გერმანიის მთავრობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალური ცნობის დრო ახლოვდებოდა. საქართველო-გერმანიის მომავალი ურთიერთკავშირი საკმაო გულახდილობით განიხილებოდა მოლაპარაკებებზე, ხოლო უკვე ხელმოწერილი საქმიანი შეთანხმებები, კიდევ უფრო აჩქარებდა მას. მართალია, კონსტანტინოპოლის კონფერენცია გაურკვევლად „შემოდგომისათვის“ იდებოდა, მაგრამ 1918 წ. სექტემბრისათვის ბერლინში დიდი ვეზირის თალაათ-ფაშას მოსალოდნელი ჩამოსვლა თურქებთან ჩვენი სადავო საკითხების მოგვარების იმედს იძლეოდა. მიმდინარე დროის საზრუნავი კი არც ისე მძიმე გახდა: გერმანიის პოლიტიკური მხარდაჭერისა და საკუთარი ძალების წყალობით საქართველოს რესპუბლიკა, მართლაც, ყალიბდებოდა.

მუშაობაში პაუზით ვისარგებლე და გერმანიასთან მებრძოლ დიდ სახელმწიფოთა მთავრობებთან კავშირის დამყარება ვცადე.

ამ დროს საქართველო მოწყვეტილი იყო დასავლეთის სახელმწიფოებისაგან არა მარტო მთელ ევროპასა და წინა აზიაში გაშლილი მსოფლიო ომის ფრონტით, არამედ რევოლუციური რუსეთის, უკრაინის და სხვა უზარმაზარი, შეუღწევადი სივრცეებით. თბილისს, ბაქოსა და თავრიზის გზაც მოჭრილი ჰქონდა, რაც საშუალებას არ იძლეოდა როგორმე დავკავშირებოდით ინგლისს ჩრდილო სპარსეთში. თუმცა იყო კი ამის მცდელობა თბილისიდან? ბერლინში ამის თაობაზე ჩვენ არა გაგვიგია რა.

დადგა დრო სერიოზულად გვეფიქრა ასეთ კავშირზე, განსაკუთრებით იმ საერთაშორისო პოლიტიკის ზოგადი პერსპექტივების ფონზე, რომელიც ისახებოდა 1918 წლის მეორე ნახევარში.

ბერლინში ჩვენ იმ დროს ჩავედით, როცა საფრანგეთში გერმანიის სამხედრო შეტევის შედეგები, გერმანიასა და სხვა მრავალ ქვეყანაში გავრცელებული საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, მოასწავებდნენ ომის სწრაფ დამთავრებას გერმანიის გამარჯვებით.* ბიულეტენებში ისევ გამოჩნდა მარნა. პარიზს შორსმსროლელი ქვემეხებიდან უშენდნენ. რწმენა, — თავდაჭერილი, გამარჯვების მტკიცე რწმენა იგრძნობოდა ყველგან.

ახლა, როცა რუსული ფრონტი გერმანიის ძალისხმევით დაეცა და „შუა ევროპა“ მრავალრიცხოვანი ტრაქტატებით და შეთანხმებებით ამაგრებდა თავის პოზიციებს უზარმაზარ სივრცეებზე, ფინეთიდან სპარსეთამდე, გერმანია პრობლემის გადაწყვეტას დასავლეთში ეძიებდა.**

ვფიქრობ, ზაფხულის მიწურულამდე, შეიძლება 1918 წლის სექტემბრის შუა რიცხვებამდეც, გერმანელთა დიდ უმრავლესობაში გამარჯვების რწმენა არ შერყეულა. ყველაზე უარესი, რაც კი მათ შეიძლებოდა დაეშვათ, ეს იყო საპატიო ზავი, გერმანიის სხვადასხვა ახალი მონაგებისა და შენაძენის შენარჩუნებით. აი, ამგვარ ატმოსფეროში გვიხდებოდა მუშაობა.

კატასტროფა მოვიდა ყველასათვის მოულოდნელად. საკითხავია, როდის გამოაშკარავდა ბედის ჩარხის ეს უკუტრიალი.

პირადად ჩემთვის ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 24 ივნისს, კიულმანის სიტყვის შემდეგ („ომის ბედი ვერ გადაწყდება მხოლოდ იარაღის ძალით“).

ივლისის განმავლობაში თანდათან სულ უფრო მტკიცდებოდა აზრი, რომ გერმანია ომს ვერ მოიგებდა, და არასასურველი იყო გერმანულ-ქართული ტრაქტატის... დაჩქარება, რომ საჭირო იყო დაცდა და ამავე დროს შუა ევროპის ფარგლებს გარეთ დიპლომატიური კავშირების წრის გაფართოების დაჩქარება. მაგრამ რა უნდა გაგვეკეთებინა ამისათვის? ჩემთვის, როგორც ქართული დელეგაციის წევრისათვის ბერლინში, ამ ამოცანის პრაქტიკულად გან-

---

* 1918 წლის 27 მაისს გერმანელებმა დაიწყეს ცნობილი იერიში Chemin des Dames-ზე. 30 მაისს მიაღწიეს მარნას.

** ეს მუშაობა ინერციით გრძელდებოდა მაშინაც კი, როდესაც გერმანიას აშკარად ხელიდან უსხლტებოდა წარმატება; მხოლოდ კატასტროფამ დაუდო ზღვარი ამ მუშაობას, მყის ცხადყო რა მისი ამაოება...

ხორციელება იოლი საქმე არ იყო. საბედნიეროდ, ივლისის ბოლოს
მე მომეცა ფორმალური საბაბი (კერძო ხასიათისა) ნეიტრალურ ად-
გილას — ქრისტიანიაში — გამგზავრებისა და მეც გადავწყვიტე მე-
სარგებლა ხელსაყრელი შემთხვევით, რათა ნორვეგიის დედაქალაქ-
ში მეუწყებინა დასავლეთის მთავრობებისთვის მათი წარმომადგენ-
ლების მეშვეობით ჩვენი საქმეების შესახებ.

ბერლინში სხვადასხვა საქმეების გამო, ამ გეგმის განხორციელე-
ბა გადაიდო. გარდა ამისა, ჩვენი დელეგაციის თავკაცი ჩხენკელი
ჩემი გამგზავრების წინააღმდეგი იყო, თვლიდა მას ნაადრევად, გერ-
მანიის მთავრობის მიმართ უხერხულ ნაბიჯად (!) და ა. შ. გერმანუ-
ლი წრეების ზეგავლენით ჩხენკელისა და ნიკოლაძის რწმენა გერ-
მანიის წარმატებაში შეურყეველი იყო. ფრანგი მინისტრის მალვის
ომის შესახებ საანგარიშო მოხსენებაზე დაყრდნობით, ნიკოლაძე
გვარწმუნებდა კიდეც, რომ საფრანგეთი ეს-ესაა დაეცემა. იმის
მტკიცებაც, რომ ახლა საქმე ეხება არა მალვის, არამედ ფოშს, ერ-
თიან სარდლობას, რომ განსაცვიფრებლად იზრდება ამერიკის მო-
ნაწილეობა ომში — არ მოქმედებდა. მაგრამ ნიკოლაძე მაინც იწო-
ნებდა ამ ნაბიჯს; ბოლოს ჩხენკელმაც დამილოცა გზა და პასპორტი-
სა და ვიზის მიღებასთან დაკავშირებული ერთკვირიანი ფაცი-ფუცის
შემდეგ, 28 აგვისტოს ნორვეგიაში გავემგზავრე. ეს მოხდა ბერლინ-
ში იმ გერმანულ-რუსული დამატებითი ხელშეკრულების ხელმო-
წერის მეორე დღეს, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას
ეხებოდა.

39.

მატარებელი ზღვისაკენ მიჰქროდა. ყველგან კალოობაა გაჩაღე-
ბული — მარცვალსაც კი არ კარგავენ. Sassnitz-ში საფუძვლიან,
ჩემთვის შემსუბუქებულ შემოწმებას გავდივარ. გემზე უკვე შვე-
ციაა — კრონები, პური, შაქარი და ა. შ. ყველაფერი საუკეთესოა.
გემს ჰქვია „მეფე გუსტავ V“, აქ „სეფე ოთახიცაა“.

ვათვალიერებ ჩემს გარშემო შვედებს — გამძლე, ძარღვიანი
ხალხია. თითოეული სახე თავისებურად განუმეორებელია. აქ ვერ
შეხვდებით, როგორც ზოგიერთ ქვეყნებში, ჩამოუყალიბებელ, უსა-
ხურ ფიზიონომიებს.

29 აგვისტოს მივაღწიე ქრისტიანიას, მაგრამ ჯერ გზა უნდა გა-
მეგრძელებინა ლილეჰამერამდე. მიმზიდველი ადგილია: განთქმული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი ჰავით და კეთილმოწყობილი დასახლებით; ბუნება ეკალ-ცხალი, მწვანე, მდელოიანი, ტყიანი და ბორცვიანი, პურის ძნები ყანებში — მთებსა და წიწვოვან ხეებს მოუჩარჩოებიათ, გვერდით კი — ტბა და მძლავრი ჩანჩქერებით დამშვენებული მდინარეა.

არც აქ და, მოგვიანებით, არც ქრისტიანიაში პასპორტი არავის უკითხავს. ასეთი ადგილებიც შემორჩა მეომარ ევროპას! როცა შემოდგომის სისხამ დილით ჰოლმენკოლენის მაღლობიდან იყურები, ომი ძალიან შორს გეჩვენება. ფიორდი ოდნავ დანისლულია, მაგრამ აივანთან ჩამწკრივებული ნაძვების მოაჯირს შორის ყოველი მისი ნაკვთი ნათლად ჩანს.

---

7 სექტემბერს საფრანგეთის ელჩს ბატონ ბაპსტს* გადავეცი ნოტა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. იგი ნამყოფია კავკასიაში, ისეთ მიყრუებულ ადგილებშიც კი, როგორიც სიღნაღია!

გავაცანი კავკასიის ფრონტის დაშლის შემდეგდროინდელი მოვლენები და ავუხსენი ის აუცილებლობა, რამაც გვაიძულა მიგვემართა გერმანიისათვის. ელჩი მიიჩქაროდა ინგლისის საელჩოში და მე ვთხოვე გადაეცა ბატონ მანსფელდტ კ. ფინდლეისთვის ჩემი განზრახვა მასთან ვიზიტის თაობაზე. ბ-ნ ბაპსტთან შევთანხმდით მეორე დღეს შეხვედრაზე. მან მთხოვა, „არ წავსულიყავი ინგლისის საელჩოში მასთან განმეორებით შეხვედრამდე“.

ჩემი შემდეგი ვიზიტი საფრანგეთის ელჩთან მეტად საფუძვლიანი გამოდგა. მომიხდა სხვადასხვა კითხვებზე პასუხის გაცემა. საუბარი შეეხო აგრეთვე ჩრდ. კავკასიის, დონის და სხვ. პროვინციებს. ეს იყო არხანგელსკში, მურმანსკის სანაპიროზე ჯარის გადმოსხმის პერიოდი, და მე, არცთუ უმართებულოდ, ვუმტკიცებდი ბ-ნ ბაპსტს, რომ სამხრეთში გერმანია, ხოლო ჩრდილოეთში მასთან მეომარი მოკავშირეები, არსებითად, ერთსა და იგივე საქმეს აკეთებენ: ხელს უწყობენ ბოლშევიზმის ლოკალიზაციას მოსკოვის რუსეთის საზღვრებში და სახელმწიფოებრივი წყობის აღდგენას ყოფილი იმპერიის ცალკეულ ნაწილებში. ჩემი თანამოსაუბრე დამეთანხმა, რომ საქარ-

---

* ამის შემდეგ ძალიან მალე იგი დანიშნეს ელჩად ტოკიოში.

თველოს არც შეეძლო სხვაგვარად ემოქმედა და რომ არ იქნებოდა სწორი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში „გერმანიის ხრიკები“ დაგვენახა.

9 სექტემბერს, საელჩოში მრჩევლის ბ-ნ Esmond Ovey-ს თანდასწრებით, მიმიღო ინგლისის ელჩმა.

უჩვეულო დრო იყო, და ელჩიც ძალიან მშვიდად და ალერსიანად შემხვდა პირდაპირ მტრული ბერლინიდან ჩამოსულ კაცს, რომელიც ოფიციალური ტონით, როგორც სრულიად ბუნებრივ ამბებს, აუწყებდა მას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და ამ რესპუბლიკის იმედზე მიეღო დიდი ბრიტანეთის აღიარება, საზელმწიფოსი, რომელიც და ა. შ. რომ ფაქტიურმა გარემოებებმა — გეოგრაფიამ და პოლიტიკამ — გვაიძულა ბერლინიდან მუშაობის დაწყება — გერმანიის დახმარებით ვცდილობთ კავკასიაზე თურქეთის თავდასხმის მოგერიებას, თორემ, არსებითად, ინგლისის საქმე და მოწოდებაა ჩვენი დახმარება და ა. შ.

ფინდლეიმ რწმენა გამოთქვა საქართველოსადმი ინგლისის მეგობრული დამოკიდებულების თაობაზე. პირადად მას ძალიან ბევრი სმენია ამ ქვეყნის შესახებ ოლივერ უორდროპისაგან...* მაგრამ საეჭვოა გერმანიამ, თურქეთის მოკავშირემ, შეძლოს დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს მისი საუკუნოვანი მტრის წინააღმდეგ! — დასძინა ელჩმა.

პასუხი: რა თქმა უნდა, გადაჭარბებით არ უნდა შეფასდეს თურქეთის ვასალური მდგომარეობაც. ამ უკანასკნელის პოლიტიკას კავკასიაში თავისი საფუძველი აქვს... თუმცა, ფაქტიურად, თურქების თბილისისაკენ მსვლელობის შეჩერება მოხერხდა.

ფინდლეი: და მაინც, თქვენი ცნობიდან, ბათუმის 4 ივნისის შეთანხმების შესახებ, ჩანს, რომ თურქები იჭერენ პოზიციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მათ გაბატონებულ მდგომარეობას საქართველოსა და დანარჩენ ამიერკავკასიაში!

პასუხი: სამწუხაროდ, ეს ასეა. მაგრამ ჩვენ ამ მდგომარეობას ვთვლით დროებითად. 4 ივნისის ხელშეკრულებას არ მიუღია რატიფიკაცია. ჩვენი უახლოესი მიზანი იყო არ დაგვეშვა თურქეთის ოკუ-

---

* ო. უორდროპი (ამჟამად სერ ო. უ.) სწორედ იმ დროს ბრიტანეთის გენერალური კონსული იყო ბერგენში. ეს დამთხვევა ჩვენთვის ძლიერ ხელსაყრელი გამოდგა!

პაცია. იგი მიღწეულია. ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება ბერლინის, კონსტანტინოპოლის და მოსკოვის მიერ ჩვენ გვჭირდებოდა ქვეყნის შიგნით მთავრობის კონსოლიდაციის დაჩქარებისათვის და აგრეთვე პრინციპული ხასიათის მოსაზრებით: საქართველოს დამოუკიდებლობა არის მიზანი, რომელიც არ თავსდება დროებით სამხედრო მოქმედებათა ჩარჩოებში.

ფინდლეი: მაგრამ თვით რუსეთის მთავრობა არ წარმოადგენს რუს ხალხს და რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მის აღიარებას!

საუბარი ჩამოვარდა ბაქოზე. სერ მ. ფინდლეის აზრით, „აშკარად გერმანიამ უბიძგა თურქეთს ბაქოსკენ“.

— საეჭვოა. გერმანია ეს-ეს არის დაპირდა საბჭოთა მთავრობას, რომ ხელს ააღებინებს თურქებს ბაქოს დაკავებისაგან. გერმანია მაინც იძულებულია ანგარიში გაუწიოს რუსეთის სურვილებს, რომ არ გაამწვავოს მდგომარეობა აღმოსავლეთის ფრონტზე! ბაქოსაკენ თურქების ლტოლვა საკმაოდ კარგად აიხსნება ამ უახლოესი ნადავლის მიმზიდველობითა და თურქული სოლიდარობის ნიადაგზე თურქეთისა და აზერბაიჯანის დაახლოებით... საერთოდ, დავუმატე მე, ამიერკავკასიის საქმეებმა, ინტრიგებმა და გატაცებამ მიიზიდა ჩვენი მხარეებისკენ თურქეთის დიდძალი ჯარები და ყურადღება. ამის შედეგად თქვენ მხოლოდ მოიგეთ პალესტინაშიც და მესოპოტამიაშიც.

ფინდლეი: დიდი მნიშვნელობა ექნებოდა თქვენს მიერ შედგენილ ყველა ამ საკითხზე წერილობით მიმოხილვას. და გთხოვთ, როცა თქვენს მემუარს შევისწავლი, ისევ მოვისაუბროთ... პასუხი: სიამოვნებით შევასრულებ თქვენს სურვილს. მაგრამ ამასთანავე ხომ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მე, საქართველოს მთავრობის სახელით, უკვე ოფიციალურად განვაცხადე ინგლისის მთავრობის წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ... ფინდლეი: დიახ, თქვენ მიერ წაკითხულ ნოტას მე ვთვლი ოფიციალურ დოკუმენტად. მე ახლავე ვაცნობებ ლონდონს თქვენი ნაბიჯის შესახებ.

ასეთი იყო ბრიტანეთის ოფიციალურ დიპლომატიასთან საქართველოს პირველი ურთიერთშეხება.

მეორე დღეს მე მივიღე ფრანგი ელჩის ბარათი, რომელიც მთხოვდა მეცნობებინა მისთვის რუსეთ-გერმანიის დამატებითი შეთანხმების მონაცემები; იგი მატყობინებდა, რომ ჩემი ვიზიტისა და განცხა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დების შესახებ მან ტელეგრაფით უკვე აცნობა პარიზში საგარეო საქმეთა მინისტრს პიშონს. მე, რა თქმა უნდა, შევეცადე ბ-ნ ბაპ-სტის ცნობისმოყვარეობა ყველანაირად დამეკმაყოფილებინა.

სკანდინავიის დედაქალაქები ომის დროს მეომარ სახელმწიფოთა დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ცენტრები იყვნენ. ისეთ პატარა ქალაქში, როგორც ქრისტიანია იყო, დიდი სიფრთხილე მმართებდა, რადგან ძალიან მალე მომიხდებოდა უკან, ბერლინში დაბრუნება.

აუცილებელი ფორმალური საქმეებისათვის მომიწია გერმანიის საკონსულოში მისვლა. როცა მეორედ მივედი, კონსულმა გერმანიის ელჩის თხოვნა გადმომცა — მივსულიყავი მასთან.

ბ-ნმა მუციუსმა ახლახან დაიკავა ქრისტიანიაში პოსტი, რომელიც განთავისუფლდა ზაფხულში ბ-ნ ფონ-გინცეს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შემდეგ. იგი მსახურობდა რუსეთში (იაპონიის ომის დროს), თურქეთში — პირველ მსოფლიო ომში და მჭიდროდ იყო დაკავშირებული ყველასთან, ვისაც კი რაიმე კავშირი ჰქონდა Wilhelmstrasse-ზე ჩვენს საქმეებთან. ძალიან თავაზიანად მან გამოთქვა სურვილი, გერმანიისადმი ნორვეგიის მტრული დამოკიდებულების გამო, დამეწერა ნორვეგიული პრესისათვის სტატია, სადაც გავაშუქებდი გერმანიის უანგარო დახმარებას საქართველოს თავისუფლების საქმეში და ა. შ. სრულიად ბუნებრივი სურვილია! მაგრამ როგორ განვახორციელო? გამოსავალი მოინახა: წინა დღეს მე ერთ-ერთი ძველი ნაცნობი (ჯერ კიდევ პეტერბურგიდან, სადაც იგი ინგლისური გაზეთების კორესპონდენტი იყო), ცნობილი ნორვეგიელი სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ნორეგორი, რომლის სტატიების ციტირება ძალიან ხშირი იყო ევროპულ ბეჭდვით ორგანოებში, მოვამარაგე თურქულ-კავკასიური ფრონტის ფაქტიური მასალებით. იგი უფრო „შუა ევროპის“ ბანაკს ემხობოდა და დარწმუნებული ვიყავი, შემთხვევას არ გაუშვებდა შეექო გერმანია. მაგრამ ეს უკვე მისი საქმე იყო.

მემორანდუმი, რასაც ინგლისის ელჩი ითხოვდა ჩემგან, მზად იყო და ამის შესახებ ეცნობა თანხმობის დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს: ახლა ისღა დამრჩენოდა სასწრაფოდ დავბრუნებულიყავი გერმანიაში, საითაც ტელეგრაფით მაჩქარებდა ვადაზე მეტ ხანს იქ ჩარჩენილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XV

მოსახვევში

40.

სამი კვირის შემდეგ გერმანიაში დაბრუნებულს, დიდი ცვლილებები არ შემიმჩნევია მათ განწყობილებაში, ვისთანაც შეხვედრა მიხდებოდა. ინერციით, ყველაფერს ისე აკეთებდნენ, თითქოს გულის გატეხვისთვის არავითარი საფუძველი არ არსებობდა; და თუმც საომარი მდგომარეობა აშკარად უარესდებოდა, მე ვფიქრობ, მაინც არსებობდა რწმენა იმისა, რომ თავდაცვაზე გადასული გერმანია კიდევ დიდხანს გაუძლებდა შემოტევებს და ყოველ შემთხვევაში ღირსეულად მაინც გამოვიდოდა ომიდან, არ დაკარგავდა თავის სახეს.

საკუთრივ, ჩვენი მდგომარეობა ასეთი იყო: ჩემს მიერ აგვისტოში წარდგენილი საქართველო-გერმანიის ხელშეკრულების სქემატური პროექტის საფუძველზე გერმანიის სამინისტროებს შეემუშავებინათ პროექტი, რომელიც ამჯერად ჩვენ უნდა განგვეხილა. რაც შეეხება საქართველოსა და თურქეთის საზღვრებს, ეს თემა, მრავალ სხვა საკითხთან ერთად, მსჯელობის საგანი გახდა საგარეო საქმეთა უწყების თათბირებზე, რომელშიც გერმანიაში ახლახან ჩამოსული თურქეთის დიდი ვეზირი თალაათ-ფაშა მონაწილეობდა.

ამ ჩამოსვლის მიზანი, რა თქმა უნდა, იყო არა მარტო მიმდინარე საკითხების გადაწყვეტა, არამედ იმის გარკვევაც, თუ რამდენად შეძლებდა გერმანია ამ მძიმე მომენტში დაეხსნა თურქეთი, როდესაც ინგლისელებმა დაიწყეს თურქების ძლიერი შევიწროვება მათთვის ამჯერად მთავარ — პალესტინის ფრონტზე. გერმანია კი, მაინცადამაინც ახლა, თურქეთისაგან შეუდრეკელობას მოითხოვდა, რადგან ომის ბედი სიმტკიცეზე და გამძლეობაზე იყო დამოკიდებული.

15 სექტემბერს თურქებმა და აზერბაიჯანელებმა აიძულეს ინგ-
ლისის დესანტი დაბრუნებულიყო სპარსეთში და დაიკავეს ბაქო.
ინგლისელების ეს წარუმატებელი ცდა, არსებითად, ამართლებდა
თურქეთის ოპერაციას და უადვილებდა მდგომარეობას გერმანიას
საბჭოთა მთავრობის მიმართ. საბჭოთა რუსეთი, ცხადია, ვერც წარ-
მოიდგენდა, რომ გერმანია, რომელიც ეომებოდა ინგლისს, ისევე
როგორც თურქეთი, შეაჩერებდა ამ უკანასკნელის საომარ მოქმე-
დებას საერთო (თურქებისა და გერმანელებისათვის) მტრის წინა-
აღმდეგ, რომელმაც ბაქო დაიკავა.

პალესტინაში კი საქმე ცუდად შემოტრიალდა. ბაქოში თურქე-
ბის წარმატებასთან თითქმის ერთდროულად, მათი მთავარი ძალები,
გენ. ლიმან-ფონ-სანდერსის მეთაურობით, იგერიებდნენ გენ. ალენ-
ბის შემოტევებს იერუსალიმის ჩრდილოეთით. 20 სექტემბერს და-
კავებული იქნა ნაზარეთი, თურქების მთავარი ბანაკი. მეტროპო-
ლიიდან და კოლონიებიდან გაწვეული ინგლისელი ცხენოსნები აქ
ბიბლიური გეოგრაფიის პრაქტიკულ კურსს გადიოდნენ. თურქები
თანდათან უიმედოდ სუსტდებოდნენ.

ასეთ მომენტში, ბუნებრივია, მოსალოდნელი იყო, რომ თურქე-
თი უფრო დიდის მონდომებით მიუგდებდა ყურს გერმანიის რჩე-
ვას — არ მოეთხოვა კავკასიაში იმაზე მეტი, რაც მას ბრესტ-ლი-
ტოვსკის ხელშეკრულებით მიეცა. სამინისტროში ამბობდ-
ნენ, რომ ამის იმედები არის, მაგრამ მთლად დარწმუნებულნი არა
ვართო. თურქები იმასაც პირდებოდნენ, რომ აზერბაიჯანსაც და-
ცლიდნენ, სადაც მხოლოდ ადგილობრივი თათრების ნაწილები და-
რჩებოდნენ, მართალია, თურქი ოფიცრების მეთაურობით.

მეორე მხრივ, გერმანული წრეებიდანვე გახდა ჩვენთვის ცნო-
ბილი, რომ თალაათი საყვედურობდა გერმანიას საქართველოსადმი
„უპირატესობის მიცემის“ გამო, რის შედეგადაც რუსეთ-გერმანიის
27 აგვისტოს დამატებით ხელშეკრულებაში მოხსენიებული იყო მხო-
ლოდ საქართველო (იხ. ზემოთ გვ. 137). გერმანია თითქოს იძულებუ-
ლი გახდა პირობაც კი მიეცა დიდი ვეზირისათვის, რომ აზერბაი-
ჯანსა და სომხეთშიც დაუყოვნებლივ დანიშნავდა კონსულებს.

24 სექტემბერს შედგა ჩვენი შეხვედრა თალაათთან. ამისათვის
მხოლოდ სასტუმრო „ადლონის“ ერთი სართულიდან მეორეზე გა-
დაადგილება აღმოჩნდა საკმარისი. დიდი ვეზირის კაბინეტში იმყო-

ფებოდა აგრეთვე კავკასიურ-თურქული იერსახის ახალგაზრდა კაცი, ფაქიზად ჩაცმული, პეწიანი, რომელსაც კრემწასმული თმა ბიდან დაწყებული და ლაიკის ფეხსაცმელებით დამთავრებული, ყველაფერი უბრწყინავდა. იგი თურქეთის ტახტის მემკვიდრის ვაჟი გახლდათ, მაშასადამე, სულთან ფარრუხ-ეფენდის ძმისწული. ყმაწვილი უსიტყვოდ ისმენდა ჩვენს საუბარს.

სახელგანთქმულმა ტრიუმვირმა, რომელმაც ფოსტის წვრილი მოხელის თანამდებობიდან ვეზირობას მიაღწია, და ამით „უმაღლესობაც“ შეიქნა, ხაზგასმული თავაზიანობით მიგვიღო. ეს მოსული, შავგვრემანი, ელვარეთვალებიანი პომაკი (გათურქებული ბულგარელი), არასენტიმენტალური გამომეტყველებით სხვადასხვანაირად გამუდმებით იმეორებდა: „ჩვენ ყველაფერს მოვაგვარებთ, ყველა სადავო საკითხს გადავჭრით ორივე მხარისათვის სასარგებლოდ... ჩვენ ერთმანეთს მხარში უნდა ვუდგეთ კავკასიაში. აი, დღეს რუსმა ელჩმა იოფემ მითხრა, რომ ისინი, რუსები, თვით საქართველოსაც კი არ ცნობენ, თუმცა დათანხმდნენ გერმანიის მიერ მის აღიარებაზე! ხედავთ თუ არა, რომ ჩვენ მოკავშირეები უნდა ვიყოთ: შემდეგ კი ერთად წარვმართავთ იქ, აღმოსავლეთში დიდ პოლიტიკას... ამაზე ადრე ბ-ნ ნიკოლაძესთან ვისაუბრე“.

ამ „დიდ პოლიტიკაში“ იგულისხმებოდა, რა თქმა უნდა, კავკასიის კონფედერაცია, განსაკუთრებით კი — თურანული აღმოსავლეთის პოლიტიკური ორგანიზაცია, ანატოლიიდან თურქესტანამდე.

„თავი დაანებეთ გერმანიას — ჩვენთან იყავით“ — ასე უნდა გაგვეგო თალაათის შემოთავაზებული წინადადება.

— თქვენო უმაღლესობავ, ხომ არ მიგაჩნიათ შესაძლებლად დაადასტუროთ, რომ ჩვენი საზღვრების საკითხში მიღებულია რომელიმე გარკვეული ფორმულა, მაგალითად, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება? — „მე არ შემიძლია ახლა წვრილმანებს გამოვედევხო, მაგრამ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ყველაფერი გაკეთდება... ჩამობრძანდით კონსტანტინოპოლში და ყველაფერი მოგვარდება“.

„ჩვენ ვერ გავემგზავრებით კონსტანტინოპოლში, თუ არ გვეცოდინება, რა გველოდება იქ. ბ-ნ ჩხენკელს შეუძლია თავის თავზე აიღოს მხოლოდ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არ დაარღვევს ჩვენს სასიცოცხლო ინტერესებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, უმჯობესი იქნება, თუ საკითხს ღიად დავტოვებთ“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „შევეცდები დავარწმუნო ჩემი ამხანაგები კონსტანტინოპოლში. მე მოვახსენებ სულთანს. ჩემი ცდის შესახებ მოგაწვდით ცნობებს და კონსტანტინოპოლში გამგზავრების წინ თქვენ გეცოდინებათ შედეგი“.

გამომშვიდობების წინ კვლავ მივიღეთ ურთიერთთავაზიანობის კიდევ ერთი ულუფა; გახსენება მეზობლობისა, ძმობისა აღმოსავლეთში და თითქმის ნათესაობისა და მოყვრობისაც კი...

იმავე საღამოს ჩვენ (ჩხენკელი, ნიკოლაძე და მე), სომეხ დელეგატ დოქტორ ა. ოჰანჯანიანთან ერთად, Anhalter Bahnhof-ზე თალაათის გამცილებელთა შორის ვიყავით. მთელი Wilhelmstrasse იქ იყო, მბრწყინავ ცილინდრებში, დაძაბული, სერიოზული გამომეტყველებით.

„არ გვიღალატებ... ხომ მართალია, რომ არ გვიღალატებ?“ — იკითხებოდა მათ სახეებზე. პირობითი თავაზიანობის ნიღაბი ფარავდა იმედებსა და ეჭვებს.

დიდმა ვეზირმა კიდევ ერთხელ გაგვიმეორა თავისი დაპირება. ის ისე გვეპყრობოდა, როგორც „თავისიანებს“. „აქ, ბერლინში, ცივა, — ამბობდა იგი, — ჩვენთან კონსტანტინოპოლში თბილა, კარგია“... „დიახ, ჩვენ იქ თავს შინ, საკუთარ სახლში ვიგრძნობთ“.

„რა თქმა უნდა... ჩვენ ხომ ერთი აღმოსავლეთის შვილები ვართ“.

— ბალკანეთის მატარებელი დაიძრა.

მეორე დღეს სამინისტროში გავიგეთ, რომ თალაათს ხელი არაფერზე მოეწერა ბერლინში. მაგრამ არსებობს ოქმი, რომელიც შეადგინეს და წაიკითხეს მისი თანდასწრებით. მასში შეტანილია, სხვათა შორის, დიდი ვეზირის თანხმობა თურქეთის მხრიდან კავკასიაში ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრების დაცვის აუცილებლობაზე.

დოქტ. გეპერტის სიტყვით, თალაათი აქეთობისას სრულიად დარწმუნებული იყო, რომ მიიღებდა გერმანიის თანხმობას ბათუმის 1918 წლის 4 ივნისის ხელშეკრულების ყველა პუნქტზე, უკან კი გაბრუნდა იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რაც შეიძლება მეტად დაკმაყოფილებულიყო საქართველოსა და კავკასიის სხვა რესპუბლიკების სურვილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ განზრახვა და დაპირება ბერლინის... ან პალესტინის ზემოქმედების გამო. პოზიცია მკაფიოდ გამოკვეთილი უნდა ყოფილიყო. ჩვენ აღგვითქვეს, რომ გერმანიის მთავრობა შემდეგშიც დაგვიჭერდა მხარს კავკასიაში საქართველო-თურქეთის საზღვრების გამიჯვნაში. გადაწყდა, რომ მე მარტო გავემგზავრებოდი კონსტანტინოპოლში: დადებითი შედეგის შემთხვევაში, „ხელმოსაწერად" ჩხენკელი ჩამოვიდოდა.

ხელმოწერა, ხელმოწერა! ახლა, როცა საქმე ხელმოწერამდე მივიდა, ნიადაგი რყევას იწყებს.

41.

კონსტანტინოპოლში გამგზავრებამდე ბერლინში უნდა მოგვემზადებინა „ხელმოსაწერად" უფრო მნიშვნელოვანი — გერმანია-საქართველოს ხელშეკრულების პროექტი. ამ საქმესთან დაკავშირებით, 23 სექტემბერს მე ვიყავი დოქტ. კრიგესთან. ის ძალიან კმაყოფილი ჩანდა: მისი, როგორც ფორმალისტის, თვალსაზრისით, მას შემდეგ, რაც რუსეთმა თანხმობა განაცხადა გერმანიის მიერ საქართველოს აღიარებაზე, ვერაფერი შეუშლიდა ხელს ამ აღიარებას. მან წარმატება მომილოცა და გადმომცა, ჩემი პირვანდელი პროექტის საფუძველზე, მის მიერ შემუშავებული საქართველო-გერმანიის ხელშეკრულების ტექსტი.

ჩვენს მიერ წამოყენებული შენიშვნების მოსმენისა და მცირე დავის შემდეგ გადაწყდა, რომ 3 ოქტომბერს პროექტი საბოლოო სახით დადგენილი და პარაფირებული იქნებოდა.

შესავალში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო, მხარეებს სურთ დაამყარონ მეგობრული ერთიერთობა მყარ ნიადაგზე და ამგვარად, ხელი შეუწყონ საქართველოს პოლიტიკურსა და სამეურნეო განვითარებას.

პროექტის რვა თავიდან პირველი („მეგობრული ურთიერთობა გერმანიასა და საქართველოს შორის") შეიცავდა, პირველყოვლისა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებასა და დაპირებას, ხელი შეეწყო სხვა სახელმწიფოების მიერ მისი ცნობისათვის (მუხ. 1). შემდგომ, აქვე ლაპარაკი იყო მხარეთა სურვილზე ჰქონოდათ მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობანი (მუხ. 2) და თავიანთ ურთიერთკავშირში გამოეყენებინათ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულე-

ბის დებულებანი, ვინაიდან რაიმე სხვა ამ ხელშეკრულებაში არ იყო დადგენილი (მუხ. 3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე თავი ეხებოდა დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობის დამყარებას (მუხ. 4-6). მესამე თავი—გერმანია-რუსეთის სახელმწიფოებრივ ხელშეკრულებების გამოყენებას (რომელიც ძალაში იყო 1914 წლის ომამდე). აქვე გათვალისწინებული იყო მათი შეცვლა ახალი ხელშეკრულებებით, „რომლებიც პასუხობდნენ შეცვლილ შეხედულებებსა და ურთიერთობებს" (მუხ. 7-8).

მეოთხე თავი შეიცავს რამდენიმე ზოგად დადგენილებას საქართველოსა და გერმანიის სამეურნეო ურთიერთობის შესახებ. გათვალისწინებულია განსაკუთრებული სავაჭრო ხელშეკრულების დადება (მუხ. 9-10).

მეხუთე თავში ლაპარაკია სამხედრო ტყვეთა და ინტერნირებულ სამოქალაქო პირთა გაცვლაზე (მუხ. 11-12).

მეექვსე თავი მიეძღვნა საქართველოში მცხოვრები გერმანული წარმოშობის კოლონისტებს. თუ მათ მიღებული აქვთ გერმანიის ქვეშევრდომობა 1920 წლის 31 დეკემბრამდე, მაშინ ისინი უნდა განთავისუფლდნენ საქართველოს ქვეშევრდომობისაგან, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოში დარჩებიან (მუხ. 13). მათ უნდა დაუბრუნდეს რუსული კანონის ძალით ჩამორთმეული უძრავი ქონება, სამთამადნო უფლებები და სხვა (მუხ. 14). მათთვის უზრუნველყოფილი იქნება ისეთივე უფლებები, როგორიც აქვთ ყველა სხვა მცხოვრებს შრომასა, რეწვასა და სხვ., ასევე გადასახადებისა და ვალდებულებების მიმართ (მუხ. 15).

მეშვიდე თავი ითვალისწინებს გერმანული საეკლესიო მრევლის, სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა უფლებების ზოგიერთ გარანტიებს (მუხ. 16-18). გერმანელ მეცნიერებს უფლება ეძლევათ აწარმოონ გათხრები საქართველოში. მათ განკარგულებაში იქნება გათხრებით მოპოვებული ნივთების ნახევარი. გათხრები იწარმოებს ადგილობრივ დაწესებულებებთან შეთანხმებით (მუხ. 19).

დასასრულ, მერვე თავის „დასკვნით დადგენილებაში" ლაპარაკია ხელშეკრულების რატიფიკაციის წესების შესახებ (მუხ. 20).

ამ ხელშეკრულებას ავსებდა განსაკუთრებულ ნოტებში გადმოცემული შემდეგი უფრო სპეციალური ურთიერთვალდებულებები, რომელთა გაცვლა ხელშეკრულების ხელმოწერის დროს უნდა მომხდარიყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია უნდა დახმარებოდა საქართველოს მთავრობას, მისი სურვილისამებრ, თავისი მრჩევლების ხელშეწყობით სხვადასხვა დარგების მართვის ორგანიზაციაში. კერძოდ, პირდებოდა შეემსუბუქებინა ქართული ჯარისა და რკინიგზისათვის აუცილებელი მასალით მომარაგების პირობები.

თავის მხრივ, საქართველოს მთავრობა აღუთქვამდა გერმანიას სახელმწიფოებრივი ზედამხედველობის ზოგად ფარგლებში ეცნო გერმანული ეკლესიის მრევლის, სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების თვითმმართველობის სრული უფლება, არ შეევიწროებინა ისინი ენისა და სასწავლო გეგმების მხრივ და ა. შ.

ასეთი იყო დებულებების არსი, რომლებსაც, ადრე აღნიშნულ დადგენილებებთან ერთად შავი ქვის გაზიდვის მონოპოლიის, „შავი ქვის“ რკინიგზის, ფოთის პორტის და სესხის შესახებ, ხელი უნდა შეეწყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და მისი ეკონომიკური განვითარებისათვის.

1918 წლის 3 ოქტომბერს ყველაფერი მზად იყო. „ხელმოწერალა“ აკლდა. ჩხენკელსაც მხოლოდ ეს სწყუროდა და ლოდინით იტანჯებოდა გერმანიაში 2 ივნისიდან. მაგრამ, საუბედუროდ, „მეორე მხარეს“ აღარ შეეძლო ამის გაკეთება. კანცლერი (გრაფი გერტლინგი) და საგარეო უწყების სტატს-მდივანი (ფონ-გინცე) გადადგნენ. ახლები ჯერ არ აერჩიათ. და საერთოდ, გერმანიას საქართველოსთვის აღარ ეცალა!

კაბინეტის კრიზისიდან გერმანია პარლამენტარული კრიზისისაკენ მიექანებოდა, პარლამენტარული კრიზისიდან — რევოლუციისაკენ. აღმოჩნდა, რომ არც ასე ადვილი იყო „მოკლე ფრონტზე“ გადასვლა და იქ თავდაცვის მოწყობა. გერმანული ნებისყოფა — გერმანული სახელმწიფოებრიობის ეს მძლავრი ფოლადისებური ზამბარა, ნაცვლად იმისა, რომ ჯიუტად შეკუმშულიყო — მოულოდნელად გატყდა.

42.

თუ არ ვცდები, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პირველი გარკვეული ცნობა ბულგარეთის მოსალოდნელი განდგომის შესახებ 25 სექტემბერს, ე. ი. თალაათ-ფაშას გერმანიიდან გამგზავრების წინადღეს მიიღო. უახლოეს დღეებში, როდესაც ყველა ალაპარაკდა ამის შესახებ, მიუხედავად სოფიიდან მიღებული ცნობით გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწვეული მღელვარებისა, ბერლინში მაინც არ იგრძნობოდა გულგატეხილობა; მხედველობაში მყავს არა ხალხის მასა, რომელსაც ამ ხასიათის ცნობები, ვფიქრობ, სულაც არ აინტერესებდა, არამედ მაღალი რანგის მოსამსახურე და საქმიანი წრეები, რომელთანაც ასე ხშირად გვიხდებოდა საუბარი სექტემბრის ბოლო რიცხვებსა და 1918 წლის ოქტომბრის პირველ დღეებში.

იმდენად ღრმა იყო გერმანიის სამხედრო ძლევამოსილების რწმენა, რომ ბულგარეთის ფრონტის გარღვევის საკითხი სულ უბრალოდ წყდებოდა: იქით გაიგზავნება... უკვე გაიგზავნა ამდენი და ამდენი დივიზია! მორჩა და გათავდა. დასავლეთის ფრონტზე — თავდაცვა მოკლე ფრონტზე; ერთდროულად — შინ, „პარლამენტარიზმის“ ფრონტზე უკან დახევა.

ეს ორი უკანდახევა საშუალებას იძლევა ველოდოთ და მივაღწიოთ მისაღებ ზავს.

ვიმეორებ: ყველა ელოდა, რომ ზამბარა შეიკუმშებოდა, ის კი — გატყდა.

მაგრამ ეს მაინც მოხდა — ყოველ შემთხვევაში აშკარა გახდა ერთი თვის შემდეგ. ჯერჯერობით კი მხოლოდ მასიური ფსიქოლოგიის გარდაქმნა იწყებოდა, იწყებოდა პოლიტიკური მერყეობა, უმთავრესად დასავლეთის ფრონტზე შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო. რა თქმა უნდა, ბულგარეთის ამბები ნათელს ფენდა ყველა იმ ცვლილებას, რაც მოხდა ივნისის შემდეგ, მას აქეთ, რაც ჩვენ ჩამოვედით!

29 სექტემბერი

როგორი გამოცოცხლებაა, რამდენი ხალხია ბერლინში ამ გრილ შემოდგომის კვირას! ყველა დამშვიდებულია, ყველაფერი ჩვეულებრივად გამოიყურება, ამ დროს კი... „შუა ევროპას“, უეჭველია, ბზარი გაუჩნდა! შედრკა ბულგარეთი — და ამ კარებში შემოვარდება გამარჯვებას მოწყურებული რკინის ლაშქარი!

აქ კიდევ იმედოვნებენ, რომ ბზარი გამთელდება. და მაინც იწყება ხანა განსაცვიფრებელი ცვლილებებისა და მოულოდნელობებისა.

ჩვენ აქ მოწყვეტილი აღმოვჩნდებით ჩვენი ქვეყნისაგან. შესაძლებელია გერმანელების საქართველოდან წასვლაც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 სექტემბერი

„ბალკანეთის მატარებლით“ კონსტანტინოპოლში გასამგზავრებლად ყველა ნებართვა და ვიზა მიღებულია. მთავარია ახლა, რომ მატარებელი წავიდეს, და სოფიის გვერდის ავლით ჩავიდეს კონსტანტინოპოლში. ვინ მოგვცემს ამის პირობას?

ვილჰელმი დასთანხმდა „სახალხო მთავრობაზე“ — ბულგარელი დელეგატები სოლონიკებში არიან, სერბები — უსკიუბთან, ინგლისელები — კამბრეში...!!!

ნუთუ თვით ფინიშთან წავიბორძიკებთ ჩვენი „აღიარებით“. Auswärtiges Amt-ის პედანტები აჭიანურებდნენ, ყოყმანობდნენ — და ახლა კი „გერმანული აღიარების“ ეფექტი სულ სხვა იქნება.

გარემოება სავსებით იცვლება. მაგრამ ჩვენთვის საშიში არაფერია, უარსაყოფელიც არაფერი გვაქვს: სხვებიც „გვაღიარებენ“, ოღონდ მტკიცედ გვსურდეს დამოუკიდებლობა და დავიცვათ იგი შინ.

3 ოქტომბერი

უკანასკნელი შეხვედრა დოქტ. კროგეს ერთ-ერთ თანაშემწესთან: საბოლოოდ დადგენილია ჩვენი ხელშეკრულების, ოქმისა და ნოტების ტექსტი...

ჩვენი სასტუმროს დერეფანში წავაწყდი... ფელდმარშალ ფონ-ჰინდენბურგის სკივრებს. ის ქალაქშია, ისევე როგორც იმპერატორი.

შეიდემანი (ს.-დ.) იმპერიის სტატს-მდივანია. ო, Umsturzgesetz!*

---

* 1878 წელს, ბისმარკის დროს სოციალისტების წინააღმდეგ გამოცემული ცნობილი განსაკუთრებული კანონი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XVI

ნგრევის შუაგულში

43.

1918 წლის 4 ოქტომბერს, პარასკევს, როგორც იქნა, გავემგზავრე ბალკანეთის მატარებლით* კონსტანტინოპოლისაკენ. ამ მკვეთრად შეცვლილ პირობებში მოგზაურობისაგან სასიკეთოს არაფერს ველოდი. თუმც, გარემოების შეფასება ახალი სამეთვალყურეო პუნქტიდან საინტერესოც კი იყო.

კუპეში ჩემი მეზობელი, გადამდგარი თურქი გენერალი მეჰმედ-ფაშა შეშინებული ლაპარაკობდა პოლიტიკურ მდგომარეობაზე; მილოცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას; მთავაზობდა შაქარსა და პურს; აქვე მატარებელში გამაცნო ახლახან გარდაცვლილი სულთან მაჰმედ-რეშადის გენერალ-ადიუტანტი სალეხ-ფაშა; ეს უკანასკნელიც სასოწარკვეთილებით აქნევდა თავს.

საერთოდ, მატარებელში სჭარბობდნენ სხვადასხვა რანგის თურქი ოფიცრები, სამოქალაქო თურქები (უმაღლესი მარკის ლევანტინელები), ასევე თურქეთის სამსახურში მყოფი გერმანელი ოფიცრები.

ბელგრადამდე ზუსტად განრიგის მიხედვით ვიმგზავრეთ. აქ კი კვირა ღამეს რამდენიმე საათით შევჩერდით. სამხედრო მატარებლებით გზის გადატვირთვის გამო, სულ უფრო და უფრო ვიგვიანებდით. ნიშში დღის 5 საათზე ჩავედით, დილის 5 საათის ნაცვლად.

---

* „ბალკანეთის მატარებელი", რომელიც ომის დროს ოთხთა კავშირის დედაქალაქებს აკავშირებდა სწრაფი მიმოსვლით (კვირაში ორჯერ), თავისი ორგანიზაციით და პუნქტუალობით მართლაც საოცრებას წარმოადგენდა. მისი მარშრუტი იყო: ბერლინი — პრაღა — ვენა — ბუდაპეშტი — ბელგრადი — სოფია — კონსტანტინოპოლი. მე წილად მხვდა პატივი ვყოფილიყავი „ბალკანეთის მატარებლის" უკანასკნელი რეისის მგზავრი. 1919 წლის შუა ევროპის გარდაქმნის შემდეგ „ბალკანეთის მატარებელი" უკვე ვეღარ შეასრულებდა თავის დანიშნულებას. მის ნაცვლად აღადგინეს „აღმოსავლეთის ექსპრესი" (პარიზი — კონსტანტინოპოლი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგურთან ვეებერთელა შენობაში — ვერ გაიგებ არსებობს
თუ ყაზარმა — ჰოსპიტალია მოთავსებული. პატარ-პატარა რაზმები,
დატვირთული ურიკები მიდი-მოდიან. მოღუშული ნაცრისფერი ცა,
გადაუღებლად წვიმს. რაღაც ტყვიისფერი გადაჰკვრია მთელ ქვეყა-
ნას, იმავდროს კი მოქალაქეთა გულებში აკიაფებული იმედის მცი-
რე ნაპერწკალიც იგრძნობა: თითქოს გამხნევდნენ, ერთმანეთს ეჩურ-
ჩულებიან იმის შესახებ, რაც ასე დიდხანს შეუძლებლად მიაჩნდათ;
დროებითი მბრძანებლები კი თანდათან კარგავენ რწმენას და სადა-
ცაა გუდანაბადს აიკრავენ.

მტერი ნიშიდან 80 კილომეტრშია — საიდუმლოდ გაგვანდო მა-
ტარებლის გამყოლმა.

რას უნდა გრძნობდნენ სერბები, რომელთაც სამშობლოში შე-
მოაბიჯეს?

...მაგრამ ჩვენ კი საფუძვლიანად ჩავრჩით ნიშში! ვაგონ-რეს-
ტორანში გავიგეთ ფერდინანდ ბულგარელის ტახტიდან გადადგო-
მის, მისი შვილის ბორისის ტახტზე ასვლისა და ბულგარეთის დროე-
ბითი ზავის პირობების შესახებ! ასე გაჩნდა ბზარი!

საკმაოდ გვიან გვეუბნებიან, რომ ბალკანეთის მატარებელი წინ
აღარ წავა, და რომ სოფიაში გამგზავრების და უკან, ბელგრადში
დაბრუნების მსურველთათვის ხვალ დილით იქნება მატარებლები.
უნდა გენახათ ასეთი „უწესრიგობის“ ცნობით გამოწვეული საყო-
ველთაო მღელვარება. ყველა გერმანელი ოფიცერი კომენდატურა-
ში მიიმალა; თურქები ცალკე თათბირობდნენ, თუ როგორ მოქცეუ-
ლიყვნენ; სამოქალაქო პირნი ითხოვდნენ ბილეთებისა და ბარგის
უკან დაბრუნებას, უაზროდ მიმორბოდნენ.

მე სოფიაში გამგზავრება გადავწყვიტე და სრულიად დამშვი-
დებული მივწექი დასაძინებლად. ჩემმა თურქმა მითხრა, რომ ისინი,
ყველანი ბუდაპეშტში ბრუნდებოდნენ, საიდანაც კონსტანცაში გა-
ემგზავრებოდნენ. ბულგარეთში დაკავების შიშით შეპყრობილი გერ-
მანელები, და საერთოდ თითქმის ყველა მგზავრი, უკან ბრუნდე-
ბოდნენ.

მეორე დილით (7 ოქტომბერს) გამოვეთხოვე კეთილმოწყობილ
ექსპრესს (უკვე აღარ არსებობს „ბალკანეთის მატარებელი“) და
რამდენიმე გაბედულ მგზავრთან ერთად, გაურკვეველი უწყების რა-
ღაც საეჭვო მატარებლით გავემგზავრე სოფიისაკენ. მოგვიანებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოგვიერთდა მრავალი დემობილიზებული ბულგარელი ჯარისკაცი. რუსეთი მომაგონდა.*

გზატკეცილზე უსასრულოდ გამწკრივებულიყვნენ თივით, ძნით, ბარგი-ბარხანით, შეშით, რითაც გნებავთ დატვირთული აღალები. როგორც ჩანს, ბულგარელებს არ სურდათ სერბიიდან შინ ხელცარიელი გაბრუნება! აი, „ყაირათიანი გლეხკაცების“ ჭეშმარიტი ომი!

შვიდი საათის შემდეგ ჩავედით სოფიაში. იგი ჩამოჰგავს რუსეთის საგუბერნიო ცენტრებს, მაგ., ხარკოვს, მსგავსებას ხელს უწყობს აბრების შრიფტიც. ვაგზლის გარშემო ენით აუწერელი თოვლჭყაპია. შედარებით მორთულია სასახლის უბანი, სადაც ამ დღეებში საკმაოდ უსახელოდ დასრულდა XIX საუკუნის მიწურულის ერთი ყველაზე უჩვეულო პოლიტიკური კარიერა.

სასტუმრო Gd Hôtel de Bulgarie-ში საკმაოდ კარგად გვეცხოვრება. ეს უკვე ის ქვეყნებია, რომელთაც არ ძალუძთ თავდადება და გერმანული პედანტური მარხულობა!

მყარი ფაქტურის ტლანქი, უხეში სახეები, არავითარი სიფაქიზე. „სიფაქიზე“ ვერც გაუძლებდა თურქეთის საუკუნოვანი ბატონობის უხეშობას.

სოფია ახლა ჩიხია, საიდანაც ვერსაც გაძვრები და სადაც გასაკეთებელიც არაფერია. თუმცა თურქეთ-საქართველოს საზღვრების საკითხი ახლა არც ისე... საჭირბოროტოა. და მისი გადაწყვეტაც არ იქნება თურქეთსა და საქართველოზე დამოკიდებული; მაინც სჯობს გავაგრძელო გზა კონსტანტინოპოლისაკენ.

ოსმალეთი ჯერ ომშია ჩაბმული: ყოველ წუთს მოსალოდნელია ბულგარეთ-თურქეთის საზღვრის გადაკეტვა, ამიტომ უნდა ვიჩქარო.

8 ოქტომბერი

5 საათზე მატარებელი გავა ფილიპოპოლისა (ბულგარეთის პლოვდივი) და კულელი-ბურგასისაკენ. კომისიონერის დახმარებით,

---

* 1918 წლის 30 სექტემბერს დადებული ზავი ძალაში შედიოდა 10 ოქტომბერს. მაშინვე დაითხოვეს ბულგარეთის გენერალისიმუსი ჟეკოვი. მაგრამ, როგორც ჩანს, დემობილიზაცია თვითნებურად დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდის გაჭირვებით, ვლებულობ საშვს და ოფიცრების კუპეში ვეწყობი (!) ვაგონი გაჭედილია ჯარისკაცებით.

დემობილიზაციამ და ფერდინანდის გადადგომამ ხალხი დაამშვიდა. ამბობენ, რომ ბოლშევიკური მოძრაობა ჩანასახშივე ჩაახშეს. ამაზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ვხედავ — ჯარისკაცები სიმღერით რომ ბრუნდებიან შინ, მატარებლების სადგურიდან დაძვრისას „ვაშას“ ძახილი აყრუებს გარემოს. ერთი ცხადია, ადამიანები აღფრთოვანებით შეხვდნენ ომის დამთავრებას.

ჩემი თანამგზავრი ოფიცრები ამას ომისაგან ხალხის გადაღლით ხსნიან. „როგორ უნდა გადაგვეტანა ამდენი წლის ომის სიმძიმე ჩვენ, პრიმიტიულ მიწათმოქმედ ხალხს, რომელსაც არავითარი მრეწველობა არ გააჩნია და თანაც თავს მთელი ფრონტი მოახვიეს! ამასთან, აღრინდელ მტრებს საბერძნეთიც დაემატა! რა ვუყოთ ახლა ჩვენს მილიარდობით სამხედრო ვალს?!“

ღამე უშუქოდ ვმგზავრობდით, ამბობდნენ — თვითმფრინავების შიშითო. სოფიაში გერმანელები ჯერ კიდევ მრავლად იყვნენ, მაგრამ, ეტყობოდა, წასასვლელად ემზადებოდნენ. სასტუმროს მსახურმა ქალმაც მრავალმნიშვნელოვნად გაგვანდო — „ჩვენთან ფრანგი მაიორი დადგაო“ (!)

გავიარეთ ფილიპოპოლი. მატარებელში ხალხი შეთხელდა; მხოლოდ ისინი დარჩნენ, ვინც დედეაგაჩში, გიუმურჯინში და მის მსგავს მშვენიერ ადგილებში მიდიოდა*.

9 ოქტომბერი

ადრიანოპოლში დილითღა მივღოღდით. ველზე კამეჩები ძოვენ ბალახს, მათ უკან, შორს, ცნობილი მეჩეთის მინარეთები მოჩანს... და ბოლოსდაბოლოს მივაღწიეთ კულელი-ბურგასს. აქ გადავჯექი ძალიან მოხერხებულ თურქულ ვაგონში, მგზავრობა კი საშინელი იყო. არავითარი საჭმელი! გეგონება ყველაფერი კალიას მოუსპიაო. ჩვენმა თავშენახულმა თანამგზავრებმაღა გვიხსნეს, ჩვენი სევდით მოსაგონარი ექსპრესის შემადგენლობიდან ერთადერთნი რომ გამოგვყვნენ კონსტანტინოპოლში. ესენი იყვნენ სოლონიკელი ვაჭარი, უნგრელი ოფიცერი თავის დენშჩიკით („თუ გნებავთ, თქვენც

* ბულგარეთის ცენტრს ამ. მაშინ (1918 წ.) ბულგარულ ქალაქებთან აკავშირებდა სარკინიგზო ხაზი თურქეთის გავლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგიწმენდთ ტანსაცმელს"), და ავსტრიელი, კონსტანტინოპოლში ვენის სამოკავშირეო ბანკის დირექტორი. ეს ავსტრიელი ბ-ნი შ. ზაფხულში თბილისში ყოფილა ავსტრო-უნგრეთის მისიის „ეკონომიკურ" მრჩევლად. იგი აზრიანად და სიმპათიებით მსჯელობდა ჩვენს საქმეებზე, გამოთქვამდა სურვილს, დაბრუნებულიყო იქ და საფუძვლიანად ემუშავა (დიდებული ხალხია ზოგიერთი თქვენი მინისტრები, გენერლები და სხვ., მაგრამ რომანტიკოსები და აზნაურულად არასაქმიანნი; ზუსტად ისევე როგორც ჩვენთან უნგრეთში 50—60 წლის წინ"!). რაც შეეხება „როძანტიზმს", იგი ცდებოდა.

სპანიოლი თავის საქმეებზე გვიამბობდა; მეკითხებოდა, შეიძლება თუ არა საქართველოში აბრეშუმის (მისი სპეციალობაა) ნარჩენების შოვნაო! — რომ იცოდეს რამდენი სხვადასხვა „ნარჩენია" იქ! — და აგინებდა სიონისტებს: ებრაელებს პალესტინა კი არა, არამედ სივრცე და ყველგან შრომის შესაძლებლობა სჭირდებათო!

ერთ-ერთ სადგურზე ჟანდარმმა გვამცნო თალაათ-ფაშას* მთავრობის დაცემისა და თევფიკ-ფაშას დიდ ვეზირად მოსალოდნელი დანიშვნის ამბავი (ეს ზავია!). ბედი არ გვწყალობს მინისტრებში — თოვლის გუნდასავით გვადნებიან ხელში. ჯერჯერობით ნოე ჟორდანია კიულმანზე, გინცეზე და თალაათზე მტკიცე გამოდგა! თუმცა რატომ უნდა დაეცეს, როცა ხელს არავინა კრავს.

თბილ, სამხრეთულ გვიან ღამით ჩავედით კონსტანტინოპოლში. „ფაეტონი" — და ჰაიდა პერასკენ! აქა-იქ ჯერ კიდევ ღიაა ხილის შალაზიები — ვაშლებისა და ყურძნის გვერდით თბილად მოკალათებულა ნარინჯისფერი ნესვი. ახლადგამომცხვარი პურის სუნი დგას. მკვეთრად იგრძნობა რბილი, ხილითა და ბოსტნეულით მდიდარი, ნახევრად ქუჩაში მცხოვრები უდარდელი სამხრეთი. ფეხმაგარი ცხენების წყვილი მარდად ადის პერაზე — და აი, Pera-Palace-ც. მაინც მივაღწიე კონსტანტინოპოლს.

---

* იგი გადადგა 8 ოქტომბერს, ბერლინიდან მისი წასვლის ორი კვირის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

44.

10 ოქტომბერ

64 საათის დაგვიანებით ჩამოვედი! ისევ უნდა გადავეჩვიო სიზუსტეს. ჩვენი კონსტანტინოპოლელი დელეგატი გ. გვაზავა* აქ თავს ისე გრძნობს, როგორც აგარაკზე. მარტო დარჩენილა, დანარჩენები ჯერ კიდევ ზაფხულში დაბრუნებულან შინ (!).

აქედან იშლება ხედი ოქროს რქაზე, პირდაპირ სულთან დამპყრობლის მეჩეთია; მარცხნივ—ბელღარი (აქვედუკი); მარჯვნივ—ბიზანტიური ციხის კედელი, ეიუბის მეჩეთი. ლურჯი ცა და კამკამა მზე თვალს ახარებენ ბერლინური შემოდგომისა და ბალკანეთის თოვლ-ჭყაპის შემდეგ! გუმბათების გადაბრუნებული თასები, მინარეთების ქიმები, კვიპაროსთა თითისტარები, ნანგრევების ხროვა და მჭიდროდ დასახლებულ უბნებში, ალაგ-ალაგ, მოშიშვლებული ადგილები; შენობებისა და ქუჩების ეს ნაცნობი ალიაქოთი, ღვთიური მზის ქვეშ, სამ ზღვასა და ორ ხმელეთს შორის უძველეს გორაკებზე უზარმაზარი ქალაქის დასრულებულ ფორმად რომ გამოკვეთილა. აი, ის, დიდხანს მრისხანე, დიდხანს ცბიერი, ახლა კი დასუსტებული, სიბერით გაგულუბრყვილოვებული კონსტანტინოპოლი!

ჩემი ოთახის ფანჯრიდან მოჩანს ქალაქის ბაღი, „მცირე ველები“, ინგლისის საელჩოს დაქვრივებული ბაირაღის ტარი, ბოსფორსა და ოქროს რქას შორის წყალგამყოფი ქედი.

...ქვემოთ, ყველა ნაცნობი სახეა ბათუმის კონფერენციიდან; აი, რასულ-ზადე; აი პ. — გათურქებული ქართველი, რომელიც ახლა აზერბაიჯანლებს მიტმასნებია (ღმერთმა შეარგოს!); აი, ჰაიდარ-ბეი ბამატი და სხვ. მაგრამ იქით და იქით—ყაზანელი თათრები, თურქმენები, სარტები და სხვა თურქესტანელები — თავისებური დომხალი! აი, ამ ხსნარში მწნილდებოდა ამდენ ხანს ჩვენი დელეგაცია!

გავიცანი „მეჰმანდარი“, ე. ი. კავკასიელთა დელეგაციის თავი, მართლაც რომ წარჩინებული გვამია! მაგრამ ყოველ დელეგაციას ჰყავს თავისი „მეჰმანდარუკა“.

---

* თბილისელი ვექილი, ამიერკავკასიის სეიმის ყოფილი წევრი, საქართველოს ეროვნული საბჭოს, დამფუძნებელი კრებისა და სხვ. წევრი, ეროვნულ-დემოკრატი. ტრაპიზონის კონფერენციაზე ამიერკავკასიის დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა.

...სამაგიეროდ აქ დიდებულად გვიმასპინძლდებიან. შაქარი, ყავა, თეთრი პური, კარაქი — ყველაფერი, რაც ბერლინში იშვიათობად და ფუფუნებად ითვლებოდა, აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზეა. საკმაო სიძვირეა, მაგრამ ყოველი მოსახვევი აჭრელებულია ნაირფერი ბოსტნეულით, ყველის მორგვებით, ხილითა და საქონლის ხორცით; საკონდიტროების ვიტრინები ხომ ნაირნაირი ტკბილეულითაა ამოტენილი.

გერმანია ცდილობდა ამ წლების სამხედრო მარხვაშიც კი შეეტანა კანტის „კატეგორიული იმპერატივის" მთელი სიმკაცრე, მაგრამ ტკბილეულზე უარის თქმა კონსტანტინოპოლელთა ძალას აღემატებოდა. თუმცა, უკვე უნგრეთშიც იგრძნობოდა ხორაგეულობის მხრივ მეტისმეტი თავისუფლება — აქა-იქ მოჩანდა ჰაეროვანი ფუნთუშები და სხვ.

ბერლინში თითქმის ყოველ ვაშლს ისე ჭამენ, თითქოს რაღაც ცოდვას სჩადიოდნენ, აქ კი ნესვიც, ატამიც, ლეღვიც და ყურძენიც ყოველდღე აქვთ.

სომხეთის დელეგაცია ტოკატლიანის სასტუმროში ცხოვრობს, ვნახე იქ ავეტის აგარონიანი,* პაპაჯანოვი და სხვები.

12 სექტემბერი

გვესტუმრნენ აქაური ქართულ-კათოლიკური კონგრეგაციის წევრები პიოს მეთაურობით. ეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცია, შავგვრემანი, განსაცვიფრებელი სიშავის. ისინი ყველანი მესხეთის მკვიდრნი არიან, უბრალონი, კეთილნი, მორწმუნენი, დიდი პატრიოტები.

მოგვიანებით ვიყავი გერმანიის საელჩოში ფონ-ლოსოვთან. მისაღებიდან სკუტარისა და ბოსფორის ხედი იშლება. სხვათა შორის, კედელზე იმპერატორ ვილჰელმის ესკიზის მიხედვით შესრულებული გრავიურაა — „ბრწყინვალედ შეიარაღებული" უცნობი უხმოდ იცავს დარბაზის შესასვლელს, სადაც მშვიდად თამაშობენ ბავშვები და საქმიანობენ ცოლები; გარეთ კი ყოველგვარი უწმინდურება დაცოცავს. კაიზერის ავტოგრაფი იერუსალიმში.

ლოსოვი ელაპარაკა იზზეთ-ფაშას ჩვენი მაზრების შესახებ და გვირჩევს სასწრაფოდ დავამთავროთ ეს საქმე. მაგრამ ყოველივე ეს უკვე ძალიან მოძველდა!

---

* ნიჭიერი სომეხი მწერალი, შემდეგ პარიზის დელეგაციის თავმჯდომარე.

13 ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ჯერ კიდევ არ არის მთავრობა; მაგრამ ვეზირი, როგორც ჩანს, იზზეთ-ფაშა იქნება. დრო კი როგორი დადგა! როგორი მდგომარეობაა! ჭეშმარიტად, ისტორია ჭენებით მიქრის! სად არის ის დრო, როცა პეტროგრადში დამცინავად კითხულობდნენ (გაჭიანურებული სასანგრო ომის გამო): ოჰ, messieurs, ხომ არ assez ლაბასესთან ჯდომა? ან კიდევ რაღაც ამდაგვარს.

ენამოსწრებულებს დიდიხანია უკვე ფრთები შეაკვეცეს ბოლშევიკებმა, რუსეთი აღარ მონაწილეობს ომში, ხოლო ლაბასესთან ჩამჯდარნი ახლა გერმანიას თითქმის კაპიტულაციას უმზადებენ და აიძულეს ცენტრალური სახელმწიფოები, დემოკრატიის ბაირაღქვეშ დამდგარიყვნენ.

სოფიასთან კავშირი გაწყვეტილია: იქ უკვე ფრანგები არიან; ნიშში — სერბები. გერმანია კი დათანხმდა გაეთავისუფლებინა ბელგიისა და საფრანგეთის დაკავებული ნაწილები. ზავი ახლოვდება.

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი ალი-მარდან-ბეგ თოფჩიბაშევი* გერმანიასა და საერთოდ, ევროპაში გამგზავრებას აპირებს. იგი აზერბაიჯანის სრული დამოუკიდებლობის და საქართველოსთან მისი კავშირის მომხრეა. აქ არის იუსტიციის მინისტრი ხასმამედოვიც (ესეც სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი). მისი თქმით, აზერბაიჯანში, მას შემდეგ, რაც ნური-ფაშა (ენვერის ძმა) განჯაში (ელისავეტპოლი) გამოჩნდა, სანიმუშო წესრიგია. თურქეთმა საერთოდ დიდი დახმარება გაუწია მათ. ახლა 20 000-კაციანი არმია (საკუთარი) ჰყავთ, მალე 100 000-იანი ეყოლებათ. რუსეთთან და საქართველოსთან განახლდა საქონელგაცვლა, ხალხში დისციპლინა უფრო მკაცრია, ვიდრე, მაგალითად, საქართველოში, მალე პარლამენტს მოიწვევენ და ა. შ.

თუ ხ-ს დავუჯერებთ, მეტისმეტად კარგად არის ყველაფერი მოგვარებული იქ. ამ დროს კი, რამდენ სირთულეს უქმნის მათ თუნ-

---

* ყოფილი პირველი სათათბიროს წევრი, ცნობილი მოღვაწე, შემდეგ პარიზში აზერბაიჯანის რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც მმართველობის ფორმის საკითხი...* ორივე ჩემი თანამოსაუბრე რუსეთის უნივერსიტეტის ბეჯითი შეგირდები არიან.

სხვაგვარი პიროვნებაა რასულ-ზადე. სპარსელი მოღვაწეები, რომელთან ბერლინში მოვკარი თვალი მისი ძველი მეგობრები ყოფილან თურმე. მათთან ერთად უმუშავია თეირანში სპარსულ ენაზე გაზეთის გამოსაცემად. მოგვიანებით რასულ-ზადემ თავისი მოღვაწეობა კონსტანტინოპოლში გადაიტანა, შემდეგ — ბაქოში. მან ერთნაირად კარგად იცის თავისი კილოკავი, თურქული და სპარსული ენები. მას აქვს ფართო თვალთახედვა აღმოსავლეთში კულტურის ნაციონალიზაციისა და დემოკრატიის აუცილებლობაზე. მაგალითად, სპარსეთის უბედურებას იგი (და არა მხოლოდ იგი) ხედავს იმაში, რომ გადაგვარებული ირანის სამხრეთი ებღაუჭება ხელუხლებელ, სიცოცხლით სავსე თურქულ ჩრდილოეთს, როელსაც ძალით თავს მოახვიეს მაღალი წრეებისა და ხალხის გამთიშველი, უცხო სპარსული ენა. რ-ს აზრით, სპარსეთი ორად უნდა გაიყოს, თანაც ჩრდილოეთი, ამიერკავკასიის აზერბაიჯანთან ერთად, შეადგენს ერთ ერთეულს, ხოლო ირანის სამხრეთი — მეორეს, რომელსაც შესწევს უნარი ავღანეთის, ბელუჯისტანის, ინდოეთის მიმართულებით განვითარდეს. შესაძლებელია ეს ორი ერთეული გაერთიანდეს უნიად, შემდეგ კი შევიდეს უფრო რთულ სისტემაში, წინა აზიის სხვა სახელმწიფოებთან ერთად!

ყველაფერი ეს ძალიან საინტერესოა. მაგრამ ამ განსხვავებამ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის შეიძლება ირანი მიიყვანოს უბრალოდ გავლენის სფეროთა სხვადასხვაობამდე, როგორც ეს მოხდა

---

* 1918 წელს აზერბაიჯანში საკმაოდ კარგი ნიადაგი იყო საამიროს დასაარსებლად. ეს, ალბათ, სავსებით შეესიტყვებოდა მოსახლეობის უმრავლესობის შეხედულებებს და გრძნობებს. მე არ ვგულისხმობ, რასაკვირველია, სამრეწველო, მუშათა ბაქოს.

ამ საამიროზე პრეტენზიებს აცხადებდნენ, როგორც ჩანს, თურქი პრეტენდენტებიც (სრული ანალოგიით გერმანული პრეტენზიებისა ფინეთის, უნგრეთის, ბალტიკუმისა და სხვათა გვირგვინებზე). მახსენდება, როგორღაც ვურჩევდი აზერბაიჯანლებს, რათა მოეძიათ მუსულმანური დინასტიების ცნობილ კატალოგში „წინაპრები" მათთვის საჭირო „მემკვიდრის" დასადგენად Stanley Lane-Poole (Mahommedan Dynasties. 1894) თუმცა, მათ უჩემოდაც იცოდნენ, რომ ოსტ-ინდოეთში მოიპოვებიან სისხლითა და ტრადიციებით მათთვის ახლობელი თიმურიდები.

ახლო წარსულში! უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სანიმუშოდ სიცოცხლისუნარიანი დამოუკიდებელი მუსლიმური სახელმწიფოს შექმნა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ, ჩვენს თათრებს საუკეთესო იმედები აქვთ. აქ ჩამოსულები უეცრად მოხვდნენ დიდ მონათესავე სახელმწიფოს ბრწყინვალე დედაქალაქში და თავი ამ დიდი თურქული ოჯახის წევრებად იგრძნეს; ამ კავშირის შეგნება სულიერად ამხნევებდა, თვითდაჯერებულობას მატებდა მათ. თურქეთის უკანასკნელმა წარუმატებლობამ ფრთები შეუკვეცა თათრების ზრახვებს, მაგრამ ვერაფერი დააკლო მათ ოპტიმიზმსა და იმედებს.

დიახ, თურქეთ-აზერბაიჯანის დაახლოება — ეს ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია და მისი შედეგებიც მრავალგვარი იქნება. რა ამოიზრდება 1918 წლის ამ თესლიდან — ჯერ ძნელი სათქმელია.

რა თქმა უნდა, სულ სხვა მდგომარეობაში არიან აქ ჩვენი მთიელები. მაგრამ ნაცნობების წრე ძალიან ფართო აქვთ — თურქეთში ყოველ ნაბიჯზე თვისტომნი ჰყავთ. ვინ არ იცის ეს?

როგორ გაუკვირდებოდა შამილს, რომ ენახა 1918 წელს ევროპულად აღზრდილი და ფრანგულად მოლაპარაკე მთიელთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბამატი!

როცა კალუგიდან მექაში მიმავალი შამილი გზად კონსტანტინოპოლში გაჩერდა, სულთანი აბდულ-აზიზი მიღებაზე მას ხელზე ეამბორა, სახელგანთქმული იმამის მიმართ მუსლიმური სამყაროს განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად. ნახევარი საუკუნის შემდეგ მთის ხალხთა დამოუკიდებლობის გამოცხადებას დიდი სიხარულით შეხვდნენ მთელს აღმოსავლეთში, კავკასიიდან დიდი ხნის წასული ეგვიპტის ჩერქეზი დიდგვაროვნებიც კი.

მაგრამ მიუხედავად ყველა ამ გრძნობისა და ტრადიციისა, ჩემის აზრით, ჩვენს მთიელებს თურქეთიდან პრაქტიკული დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეთ. თუმცა ამ თემის გაღრმავების დრო ახლა არა გვაქვს.

...სახიფათო გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად ჩრდილოკავკასიელი მთიელები იქ მაინც თავის სამშობლოში არიან.

რამდენადმე უფრო მძიმეა იმათი მდგომარეობა, ვინც აქ, თურქეთშიც ვერ განუდგა თავის ჯიშობრივ შეგნებას, და ამავე დროს

ხედავს, რომ აქ მომავალი არა აქვს. ასეთები კიდევ გვხვდებიან ბევ-
სული საუკუნის 60-70-იანი წლების მასობრივი ემიგრაციის შთა-
მომავალთა შორის, ემიგრაციისა, რაც დასავლეთ კავკასიის ე. წ.
დაწყნარებამ და დამორჩილებამ გამოიწვია. სევდისა და უკმაყოფი-
ლების გარდა, მათ შემორჩათ მხოლოდ ჩოხა, მედიდური მიხვრა-
მოხვრა და ხორხისმიერი და სისინა ბგერები, ისიც მარტო იმათ,
ვინც ჯერ კიდევ ებრძვის ისტორიის წამლეკავ ტალღას.

14 ოქტომბერი

ვეწვიეთ მაჰმუდ-ფაშას, წარმოშობით ქართველ თავდგირიძეს,
ე. წ. ჩურუქსულის. თოფ-ხანის მოედნის ზემოთ ერთ-ერთ აღმართ-
ზე მდებარე ნახევრად ევროპულად მორთულ სახლში ძალიან თბი-
ლი შეხვედრა მოგვიწყვეს.

ფაშა ადრეც ყოფილა მინისტრი, და ახლაც უნდა შესულიყო
თევფიკ-ფაშას მთავრობაში, თუ იგი შედგებოდა. მისი სიტყვებით,
იგი მზად იყო გაეკეთებინა საქართველოსათვის ყველაფერი, რაც არ
ეწინააღმდეგებოდა თურქეთის ინტერესებს. თურქეთის მხრივ ახლა
უნდა ველოდეთ უფრო თავშეკავებულსა და ზომიერ პოლიტიკას.
თვითონ მას არაერთხელ უცდია დაერწმუნებინა ისინი, ვისაც ეს სა-
კითხი ეხებოდა, ბათუმსა და საქართველოს შორის კავშირის შენარ-
ჩუნების აუცილებლობაში. იგი დაგვპირდა მოლაპარაკებოდა ახალ
ვეზირს, რომ სასურველი იყო დაუყოვნებლივ, ახლავე გადაწყვეტი-
ლიყო ყველა სადავო საკითხი საქართველოსა და თურქეთს შორის.
მსახური-მეზღვაურის მიერ მორთმეული ტრადიციული ფინჯანი ყა-
ვის შემდეგ, ჩვენ გამოვეთხოვეთ თავაზიან მასპინძელს. საუბრის
თავი და კუდი ქართული იყო, ტანი კი — ფრანგული.

უცნაურია, პერაზე სეირნობის დროს მოაჯირების უკან მიმალულ-
სა და მიტოვებულ საელჩოებს რომ ხედავ. აი, მაგალითად, საფრან-
გეთის ძველი სამფლობელო; საინტერესოა „პოლონეთის ქუჩა“,
რომელიც მას ერთი მხრიდან აკრავს; აგერ, რუსეთის სასახლის კე-
თილშობილური ფასადი — ამჟამად შენობაზე მის სახელმწიფო ემ-
ბლემებს შავი მარმარში ფარავს.

თურქეთი იჩოქებს — იგი უკვე დაჩოქილია „დასავლეთის დე-
მოკრატიების“ წინაშე; მას აუცილებლად გააძევებენ ბათუმიდან.

მაგრამ ვაი თუ ამ დროს რაღაც გაუგებრობა მოხდეს! და როგორ ვამცნოთ ამ დემოკრატიებს ჩვენი სურვილების შესახებ? გავუგზავნოთ ჯერ ნიდერლანდების, შემდეგ — შვედების ელჩთან. ორივე საელჩო, როგორც წესი, მიმალულია ეზოებსა და ბაღებში; მოსამსახურეთა შემადგენლობა მრავალრიცხოვანია. ნიდერლანდელი აქ საფრანგეთისა და ინგლისის ინტერესებს იცავს, შვედი — აშშ-ისას. ორივე საგონებელში ჩავარდა, როცა ჩვენი თხოვნა მოიხმინეს: არ შეიძლება აცნობოთ დასავლეთის სახელმწიფოებს, რომ თურქებისაგან ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით მიტაცებული ტერიტორიის გაწმენდისას — ასეთ გაწმენდას კი მათგან უეჭველად მოითხოვენ — ბათუმისა და ბათუმის ოლქის დაუყოვნებლივ დაკავების საშუალება მიეცეს საქართველოს მთავრობას?

საფიქრებელია, რომ ეს სახელმწიფოები თვითონ ინებებენ ბათუმის დაკავებას, მაგრამ მაინც ხელსაყრელია ვაცნობოთ მათ, რომ ჩვენ ამ სიკეთეს ჩვენად ვთვლით და მისი მართვაც გვძალუძს.

ელჩები დაგვპირდნენ, რომ დაფიქრდებოდნენ... ჩვენი თხოვნის შესრულების საშუალებებზე. მაგრამ ისინი, ჩანს, ასეთ თხოვნას ექსცენტრულად თვლიდნენ.

„როგორ შემიძლია მე, — აღნიშნა ერთ-ერთმა მათგანმა, — გამოვიდე იმ მთავრობის ინტერესების წინააღმდეგ, რომელთანაც ნდობით აღჭურვილი ვარ?“ „მაგრამ თქვენი აღმატებულება ახლა ნდობით აღჭურვილია ყველა ხალხთან, ვინც მსოფლიოს კეთილდღეობისაკენ მიისწრაფვის!“ და ა. შ.

ხედავთ, — ვეუბნები მე ჩემს ძვირფას თანამგზავრს გ-ს უკან დაბრუნებისას, — როგორი საპატიო ხალხია, საპატიო სახელმწიფოები, მაგრამ რა მოკრძალება იგრძნობა! როგორი კილოთი ვილაპარაკებთ ჩვენ, შეიძლება ითქვას, შარვალგამოხეულები, შვეიცასთან და ნიდერლანდებთან შედარებით? მაგრამ ყველა ეს „დამოუკიდებლობანი“ მათთვის რაღაც გაუთვალისწინებელი რამ არის და გოთური ალმანახი ჯერ კიდევ დუმს ჩვენს შესახებ! და აი, ისინიც დაბნეულები არიან.

15 ოქტომბერი

იმავე თხოვნით ვესტუმრეთ ბულგარეთის ელჩს გოლუშევს. ის იცნობდა საქმის ვითარებას და დაგვპირდა დეპეშით ეცნობებინა თავისი მთავრობისათვის სოფიაში ამერიკის წარმომადგენლისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასაცემად, რომ ასეა და ასეა საქმე, საქართველო იბრძვის, ბრძოლ და ა. შ. დიდხანს ვსხედვართ მასთან, ვარკვევთ ზავის შესაძლებლობას. ბულგარელს არ სჯერა არც ერთა ლიგის, არც ომის ამოძირკვის, მაგრამ მზადაა ყველაფერი ეს „მოსინჯოს“.

სასტუმროში, სრულიად შემთხვევით, წარმადგინეს ახალ დიდ ვეზირთან, იზზეთ-ფაშასთან. ხვალ მიგვიღებს იგი.

სომხეთის დელეგატებთან ვართ. ვარჩევთ ჩვენს საერთო საქმეებს. ახლა მათ ყოვლისმომცველი იმედი უჩნდებათ და მალე დავიწყებას მიეცემა „ალექსანდროპოლური“, თუ სხვა შავი დღეები ადრე თუ გვიან, თურქები დატოვებენ საქართველოსა და სომხეთში დაკავებულ ყველა ადგილს. მაგრამ სად მთავრდება ერთი და სად იწყება მეორე? ნუთუ გამიჯვნა კიდევ არ მოუმზადებიათ თბილისისა და ერევნის მთავრობებს?

16 ოქტომბერი

პატრები თითქმის ყოველ დღე შემოდიან ჩვენთან, გადმოგვცემენ ქალაქის ამბებს: ყველა უკმაყოფილოა მთავრობით, თურქებს ყველა წყევლის, შაბათს აქ ინგლისელებს ელიან (!) ... თურქული პრესა ალერსიანად ალაპარაკდა „დეცენტრალიზაციაზე“, „ავტონომიებზე“ და ა. შ. შიშით ემზადებიან სამსჯავროსათვის, რომ:

Quidquid latet adperabit
Nil inultum remanebit...

მოგვიანებით, გალატიდან, ყოფილი ტყვეები გავამგზავრეთ უკან, საქართველოში, შემდეგ მაღალ პორტაში წავედით. იზზეთ-ფაშამ პირდაპირ განაცხადა, — ახლა სხვაგვარად აღარც შეიძლებოდა — რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით გათვალისწინებულს გარდა, საქართველოში მათ მიერ დაკავებული ყველა ტერიტორია განთავისუფლდება. რაც შეეხება ამ ხელშეკრულებით მიღებულ პროვინციებს (ბათუმი), თუ მისი დაბრუნება აუცილებელი გახდა (ე. წ. პრეზიდენტ ვილსონის პრინციპის მიხედვით), თურქები ამაზეც თანახმა იქნებიან. ამასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წვრილმან საკითხებზე საგარეო საქმეთა მინისტრ ნაბი-ბეისთან უნდა შევთანხმდეთ (იგი დიდი ვეზირის მოწვევით ესწრებოდა ჩვენს საუბარს).

მეორე დღეს, 17 ოქტომბერს, ჩვენ განვაგრძეთ მოლაპარაკება მინისტრთან და მინისტრის ამხანაგ რეშად-ხიქმეტ-ბეისთან.* ამან დაადასტურეს, რომ თანახმანი არიან დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ ახალციხისა და სხვა მაზრები (ე. ი. ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მიღებულს გარდა), თუმცა აღნიშნეს „ახასკის“ მუსულმანური ხასიათი, მოსახლეობის ჭეშმარიტი მისწრაფება და სხვ. „მიუხედავად ამისა, განაცხადა რეშად-ხიქმეტმა, ჩვენ უარს ვამბობთ იმაზე, რაც სცილდება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ხაზს და სურვილს გამოვთქვამთ საუკეთესო მეზობლური ურთიერთობა გვქონდეს ქართველებთან, რომელნიც კავკასიაში წარმოადგენენ ყველაზე უფრო...“ და ა. შ. ამას მოჰყვა „დათაფლული“ სიტყვები. შემდეგ დაწვრილებით განვიხილეთ ამ ტერიტორიების გაწმენდის საკითხი და მივიღეთ დაპირება, რომ ამის შესახებ დეპეშით გაიცემოდა განკარგულება.**

შემდეგ გადავედით ბათუმის საკითხზე და ყურადღება გავამახვილეთ იზზეთ-ფაშას მიერ გამოხატულ გუშინდელ, ძალიან პიროვნით თეზისზე, რომ „თუ თურქეთი იძულებული გახდება გაანთავისუფლოს სამი სანჯაყი (ბათუმი, არდაგანი, ყარსი), მაშინ იგი მზად არის საქართველოს დაუთმოს ამ ტერიტორიის ქართული ნაწილი“. ამ თემას ჩვენი თანამოსაუბრენი თავს არიდებდნენ და რაღაც პირქუშად ლაპარაკობდნენ. ისინი, მგონია, იმედს არ კარგავდნენ „ვილსონის თანახმად“ შეენარჩუნებიათ ის, რაც მიიღეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით.

იქიდან, ოქტომბრის გულუხვი მზის ქვეშ, მივქრით გერმანიის საელჩოსაკენ, გენერალ ფონ-ლოსოვთან, მისივე თხოვნით. აქაა ა. აგარონიანიც. ლოსოვიც შეხვდა იზზეთ-ფაშას და იგივე დაპირება მიიღო, რაც ჩვენ. ახლა იგი გვირჩევს, სომხებთან ერთად, წავიდეთ დიდ ვეზირთან და დავუდასტუროთ, სხვათა შორის, რომ განთავისუფლებული ტერიტორიების შინაგან გამიჯვნას საქართველოსა და

---

* ამ დიპლომატს, აწ გარდაცვლილს, დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი.

** მართლაც, იმ ტერიტორიების დაცლა, რომელთა შესახებ აქ არის ლაპარაკი, დაიწყო 1918 წლის 18 ოქტომბერს. იმავე დროს მოხდა ქართველ-სომეხთა პირველი შეტაკება საერთო საზღვრების გაურკვევლობის გამო. იხ. საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული კრებული: სომეხ-ქართველთა ურთიერთობის ისტორიიდან. 1918 წ. ტფილისი, 1919 (რუსულ ენაზე).

სომხეთს შორის ჩვენ თვითონვე მოვახდენთ. სიამოვნებით მივიღეთ ეს რჩევა.

... გენერალთან მარტო დარჩენილები განვაგრძობთ საუბარს. მას მიაჩნია, რომ უნდა დავზოგოთ თურქების თავმოყვარეობა. ამიტომ არ ღირს მეტისმეტად დაჩქარება ბათუმის საკითხისა, რომელიც თავის დროზე გადაწყდება.

ბოლოს, ფ.-ლოსოვმა გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოსა და სომხეთის დამოუკიდებლობის საქმე მყარ ნიადაგზე დგას, ჩრდილო კავკასიისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის განხორციელება კი — საეჭვოა.

ეს მისი შეხედულებაა. მართებულია თუ არა იგი და რომელ ნაწილში კერძოდ — ეს სხვა საკითხია.

შოგვიანებით სომხებთან წავედით საერთო საქმეზე მოსალაპარაკებლად, რაც გვირჩიეს აგარონიანის თანდასწრებით. მაგრამ როგორც მათმა მდივანმა გვითხრა, ისინი უკვე გაემგზავრნენ... დიდ ვეზირთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან.

18 ოქტომბერი

დღეს, სელიამლიკის მუსლიმურ დღესასწაულზე, როცა მზე მხიარულად ანათებდა და ქუჩები ხალხით იყო სავსე, შუადღით, უეცრად დაიგრიალა ზარბაზნებმა, აკაკანდა ტყვიამფრქვევები. „აეროპლანი, აეროპლანი“ — გაისმა ყოველმხრივ. ოქროს რქის თავზე მოჩანდა გამსკდარი ყუმბარების შავი და თეთრი ფანტელები, შემდეგ გავარჩიეთ ექვსამდე თვითმფრინავი, რომელნიც სტამბოლის თავზე მიჰქროდენ. ისმოდა გრუხუნი და გორაკის წვერზე აფეთქებისაგან კვამლის უზარმაზარი შავ-თეთრი სვეტი ავარდა. მოულოდნელი თავდასხმა, საჰაერო მხედართა გამბედაობა, რომლებიც სანამ მაღლა ავარდებოდნენ, ჯერ დაბლა დაეშვნენ, ზოგიერთის დაბნეულობა, სხვების — ცნობისმოყვარეობა. და ყველაფერ ამასთან ერთად, სროლა, გრუხუნი ზევიდან, ქვევიდან, ყველგან...

ორი-სამი საათის შემდეგ თავდასხმა განმეორდა — ისროდნენ პროკლამაციებს, რომლებიც თეთრ წერტილებად, ფერმკრთალი ნაპერწკლების შადრევანის დარად, მაღლა ჰაერში დაჰქროდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 ოქტომბერი

თამაშდება რაღაც კომედია: უკვე რამდენიმე დღეა, ყველანაირად იმეორებენ და ადასტურებენ, რომ ინგლისთან მოლაპარაკებას რაუფ-ბეის* მონაწილეობით სმირნის ვალი რახმი-ბეი აწარმოებს. ოფიციოზის ცნობები ამას უარყოფს, მაგრამ ისეთი ფორმით, რომ ეს უფრო დადასტურებას მიანიშნებს.

ლილი, რუბე, დუე, — აღების მეოთხე წლისთავზე დაცალეს გერმანელებმა.

თურქეთი მარცხდება, და ჩვენი მუსლიმები, ბუნებრივია, „კავკასიური კონფედერაციის“ ორბიტას უბრუნდებიან.

მთიელებისათვის კავკასიის ერთიანობა ახლა ყველაფერია. მართებული აზრია — საჭიროა მხოლოდ ყველაფერი დაზუსტდეს მთიელთა რესპუბლიკაზე და ამაზე იქ, ადგილზე უნდა ვილაპარაკოთ.

თათრებმაც ყურები ჩამოყარეს. ჩივიან გერმანიაზე, რომელმაც, თითქოს, ბოლშევიკებს დაუთმო აზერბაიჯანი (დამოუკიდებლობის აღიარების საკითხში), დაარღვია თურქეთის ინტერესები და ა. შ. სრულიად გასაგები რეაქციაა!

21 ოქტომბერი

აქ აღარაფერია გასაკეთებელი. შემდგომი მოლაპარაკება აშკარად უნაყოფოა. არც თბილისიდან, არც ბერლინიდან — ჩხენკელისაგან არავითარი ცნობა არ მომდის. კავკასიის დელეგაცია უკან ბრუნდება, ბათუმში. წავიდე მათთან ერთად თუ ბრაილაში გავემგზავრო?

ორი კვირაც არა ვარ აქ და უკვე გაუსაძლისი გახდა. სხვა ყველა „მურახასლარი“ კი უკვე ოთხი თვეა კონსტანტინოპოლში იმყოფება!

ჩვენი „პატარა მეჰმანდარი“ მირჩევს წავიდე არა ხვალ, არამედ 26-ში, უფრო სწრაფმავალი გემით — „რეშად-ფაშა“-თი.

22 ოქტომბერი

გემით, რომელიც ღმერთმა იცის, როდის ჩავა ბათუმში, დღეს აზერბაიჯანლებისა და მთიელების უმრავლესობა გაემგზავრა.

---

* რაუფ-ბეი, გამოჩენილი მეზღვაური, 1918 წლის ტრაპიზონის კონფერენციაზე თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარე იყო, შემდეგ ანატოლიის მოძრაობის ერთი მთავარი მოღვაწეთაგანი. წარმოშობით აფხაზი, სოხუმის ოლქიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 ოქტომბერი

ნუთუ ბერლინს გაწეული მთელი ჩვენი ნაშრომი წყალში უნდა გადაიყაროს? გენერალი ფონ-ლოსოვი ასე არ ფიქრობს: მას მიაჩნია, რომ რომელიმე ჩვენთაგანი საჩქაროდ უნდა გაემგზავროს ჰაგაში და „იმ“ ბანკის სახელმწიფოები მოამზადოს ბერლინის ჩვენ ხელშეკრულებათა დასადასტურებლად.*

მაგრამ ეს ხომ ჩხენკელს უფრო ადვილად შეუძლია გააკეთოს ბერლინიდან, ვიდრე მე — აქედან. კონსტანტინოპოლი ახლა ყოველი მხრიდან მოწყვეტილია, და უმჯობესია თბილისში დავბრუნდე. ძველებურად — არავითარი ინფორმაცია არა მაქვს.

ქართული კონგრეგაციის წევრის, ძმა პეტრეს თანხლებით პანკალდიში, პაპის დელეგატ მონსინიორ ანჯელო დოლჩისთან გავემგზავრე. კეთილშობილური იტალიური ტიპის სახლი ერთ-ერთი შესახვევის დაღმართშია.

მონსინიორი ძალიან გულთბილად შეგვეგება მდიდრულ სალონში — სისხლსავსე, ჯან-ღონით აღსავსე პრელაცო მართლაც სიჯანსაღის განსახიერებაა. ვსაუბრობდით საქართველოზე, კათოლიკობაზე საქართველოში, პაპის ტახტის ინტერესებზე მის მიმართ, ომზე, გერმანიაზე. რა განსხვავებაა მართლმადიდებლობასა და კათოლიკობას შორის? Filioque etc.? ეს განსხვავება თეოლოგებმაც კი ვერ დაიჭირეს. კიდევ ერთი საათი და გარეთ კათოლიკებად გამოვიდოდით.

24 ოქტომბერი

შემხვდა ფარუხ-ბეგ ვიზიროვი,** რომელიც გუშინ გემით გაემგზავრა სხვებთან ერთად. ძლიერი ღელვის გამო ისინი ღია ზღვაში ვერ გასულან და ბოსფორში დაბრუნებულან. ნაპირამდე ძლივს გამოაღწია და ძალიან გახარებულია. აუწერელი რყევა იყო! დელეგაციების დაშლა მართლაც მოუხერხებელ პირობებში დაიწყო.

---

* ახლა (1923 წ.) წარმოუდგენელია, რომ სერიოზულ ადამიანს შეიძლებოდა ასეთი იმედები ჰქონოდა!

** აწ გარდაცვლილი მსხვილი თათარი მრეწველი და მებამბე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინოპოლმა საბოლოოდ მუხლი მოიყარა დასავლეთის დემოკრატიების წინაშე. პრესა გამუდმებით ლაპარაკობს თურქეთის განსაკუთრებულ მოწოდებაზე — შეითვისოს და განახორციელოს „პრეზიდენტ ვილსონის პრინციპები“ და ა. შ.

25 ოქტომბერი

ზავი ახლოვდება. აქედან სასწრაფოდ იგზავნება გერმანული და ავსტრიული ნაწილები. ეტყობა, სრუტეები დღეს-ხვალ გაიხსნება; ინგლისის ფლოტი შავ ზღვაში შემოვა. გერმანელები, ალბათ, წავლენ საქართველოდან; მაგრამ, მე ვფიქრობ, ამჟამინდელ პირობებში ეს საშიში არ არის.

„რეშიდ-ფაშა“ ისევ იგვიანებს. კარდიფის ქვანახშირს ხომ არ ელიან მისთვის? დღეს თვითმფრინავების ახალი თავდასხმა იყო. მათ სროლა აუტეხეს; აფეთქებისაგან მთელი ცა ფანტელებით დაიფარა.

26 ოქტომბერი

გემების გასვლა გაურკვეველი დროით გადაიდო. ასწლეულების მანძილზე ფლობდე ზღვებს და ახლა ვერ შეძლო კონსტანტინოპოლსა და ბათუმს შორის კავშირის მოგვარება! ნუთუ ეს ომიც ვერ გამოასწორებს მათ?

...გერმანიის საელჩო მატყობინებს ჩხენკელის დეპეშას ბერლინიდან (18 რიცხვისას!). მთხოვს ბერლინში სასწრაფოდ დაბრუნებას. თან ურთავს თავის ჩვეულებრივ სენტენციებს იმის შესახებ, რომ „ახლა ენერგიულად უნდა ვიმუშაოთ“ და ა. შ.

სიმართლე რომ ვთქვა, თბილისისაკენ როგორადაც არ უნდა მომიწევდეს გული, მაინც მომიხდება ბერლინში დაბრუნება და იქიდან დასავლეთს გავეშურები. ზაფხულში ქრისტიანიაში ჩემი მოგზაურობის შემდეგ, ჩემთვის ეს უფრო ადვილი იქნება. ჩხენკელისაგან ასეთ გადაადგილებას ვერ ეღირსები! ახლა ყველაფერი უნდა გადაკეთდეს. მოკლედ, ბათუმში ვაპირებდი და ბერლინში მივდივარ!

28 ოქტომბერი

ვილჰელმ II-ის ტახტი შეირყა; გადადგა გენ. ლიუდენდორფი. ომის დასასრულია?

29 ოქტომბერი

ხვალ ბრაილაში მივცურავ Tigris-ით: დღეს ჩემი ბოლო საღამოა ამ საოცარ ქალაქში, ამ არაჩვეულებრივ დროს. გ-მ გადაწყვიტა ჩემთან ერთად გამგზავრება — მას შეატყობინეს, რომ „რეშიდ-ფაშა“ არ გავა. დროებით ზავზე ხელისმოწერას ელიან და ყველა თავგზააბნეულია.

45.

30 ოქტომბერი

და აი, მე Tigris-ზე ვარ. საძაგელი გემია, მაგრამ ახლა არჩევანი არ არსებობს! აქაც კი დიდი „პროტექციით“ მოვხვდით. ჩვენთვის კაიუტები არ არის. იძულებული გავხდით ბარგი ზემო გემბანზე დაგვეწყო. ცივა, წვიმს, ავდარია. ჩემ გ-ს ხასიათი გაუფუჭდა და ასეთ პირობებში მგზავრობაზე უარი თქვა. აქ შეიძლება ავადაც კი გახდეო! და ნაპირზე გადავიდა. კეთილმა პატერმა პიომ ჩემს მაგიერ შეასრულა ყველა ის აუცილებელი ფორმალურობანი, რომელთა გარეშეც ვერ გავემგზავრებოდი, მოიტანა ქაღალდები და გამომეთხოვა.

გავედით ძალიან გვიან, მაგრამ მალე ჩამობნელდა, და... ღუზა ბოსფორში ჩავუშვით.

განუწყვეტლივ წვიმდა. ეს ნამდვილად არ არის Pera-Palace!

1 ნოემბერი

გემის მზარეულმა, საკმაოდ კარგ ფასად, დამითმო თავისი კაიუტა, მაგრამ საჭმელს ვერ მომცემს, რადგან ნამცეციც არა აქვს ზედმეტი. ბორტზე რამდენიმე ოფიცერია, რამდენიმე ათეული ჯარისკაცი — ყველანი ავიატორები დარდანელიდან, 5-6 — „თავისუფალი“. კაპიტანი და მისი თანაშემწე გერმანელები არიან; ეკიპაჟი — ბერძნები.

გუშინ მთელი დღე წვიმდა. დღეს მზემ გამოანათა — და ისევ გაწვიმდა. საღამოს დუნაის შესართავს მივუახლოვდით — რა სამწუხარო სურათია! სულინში დავრჩები მთელი ღამე და ხვალ აღმა ავყვებით დუნაის.

ცისარტყელას დანახვაზე ჯარისკაცები ამბობდნენ: აი, მშვიდობის მოციქული! საცოდავები: ძნელია გამუდმებით დისციპლინისა და მოვალეობის შემსრულებლის ნიმუში იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაილა, 3 ნოემბერი

Tigris-ად წოდებული ამ კალოშით მგზავრობამ არა სამ, არამედ ხუთ დღეს გასტანა, და ჩემს შემთხვევით კაიუტაში, ორის ნაცვლად, ოთხი ღამე გავატარე.

2 ნოემბერს, დილით, გამოიდარა. შესართავში შევყევით „მინნა ჰორნს“, რომელმაც დიდი სისწრაფით ჩაგვიქროლა. მივლოლავთ დინების საწინააღმდეგოდ. მზიანი დარია, გარემო საკმაოდ უკაცრიელია. ჩვენი მანქანა რაღაც ჭირვეულობს და უეცრად დამბლადაცემულივით ჩერდებოდა. მოგვიანებით, დავეწიეთ „მინნა ჰორნს“, რომელიც, რატომღაც, ღუზაჩაშვებული იდგა. გვერდი ავუარეთ, მაგრამ უკან დაგვაბრუნეს: ნაცნობმა კაპიტანმა ფოთი-კონსტანცას რეისიდან რუპორით გადმოგვძახა, რომ ჩვენს სახელზე დეპეშაა. აღმოჩნდა ბრძანება — ყველანი გადავმსხდარიყავით „მინნა ჰორნზე“, „ტიგრისი“ კი — სადღაც უნდა დაბრუნებულიყო. საყოველთაო გაკვირვება, საჩქარო სამზადისი, ბარგის გადატანა...

ბორტით „მინნა ჰორნის“ ბორტს მივადექით, მისი ყველა გემბანი სავსეა ჯარისკაცებით. ისინი ფოთიდან მოჰყავთ (ე. ი. საქართველოდან მიდიან!). უეცრად — ახალი განკარგულება: ყველანი დარჩნენ Tigris-ზე, რომელსაც ცუდი მდგომარეობისა და ნახშირის უქონლობის გამო, არ შეუძლია ახალი რეისის დაწყება. დიდი დრო დავკარგეთ. განვაგრძეთ გზა. დილით, გამთენიისას, ჩავუარეთ ტულჩას, საკმაოდ ლამაზი მდებარეობა აქვს. შესანიშნავი დღე დადგა. უცნაურია უცქეროდე ბესარაბიის ნაპირებს და არ იცოდე, რა სახელმწიფოა იქ. ჩაგვიარა გემმა — „Луч“ — უკრაინული დროშით. რენიში ცეცხლისაგან დანგრეული რამდენიმე ნაგებობაა; სადგურთან ბევრი რონოდა დგას.

გალაცაში უზარმაზარი სამდინარო ფლოტილიაა. ბევრია კარჭაპი ბერძნული სახელწოდებითა თუ ასოებით. იქვეა, ალბათ, სერბიიდან ჩამოყვანილი, რაღაც ბორბლიანი გემები და ახალი ავსტრიული მონიტორი. ბრაილაში გემს ერთი საათი დასჭირდა ნაპირთან მისასვლელად, ამასობაში სრულიად ჩამობნელდა. ნაპირიდან გაიცა ბრძანება: „სამოქალაქონი“ ნაპირზე გადმოსულიყვნენ, ხოლო სამხედრო პირნი გემზე დარჩენილიყვნენ — ხვალ მათ ნიკოლაევში გაამგზავრებენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოძრაობა ბუდაპეშტ-ბერლინის მიმართულებით შეწყდა. ჩემი ჩამოსვლის შესახებ მიღე-

ბული იყო ცნობა კონსტანტინოპოლიდან და მე მაშინვე მოვიტანე Hôtel Français-ის ოთახის ბილეთი.

აქ, სადილად, რუმინული ორკესტრის თანხლებით, შევიტყვე ბუდაპეშტის რევოლუციის, გრაფ ტისის მკვლელობის ამბები. აი, კიდევ ერთმა ძველმა მონარქიამაც წაიბორძიკა, და მერე როგორ!

ბრაილა, 4 ნოემბერი

არ არის ცუდი ქალაქი, ბევრი სიმწვანეა, შესამჩნევია სიმდიდრე, რომელიც დუნაიმ მოიტანა. „მსხვილბურჟუაზიული" მდინარეა! ამ ზაფხულისათვის ჩვეულებრივი მიმოსვლა — ბრაილა-ფოთი — შეწყვეტილია. შევხვდი აქ ჩარჩენილ ნაცნობებს — ისინი საქართველოში დაბრუნებას ოდესის გავლით აპირებენ. ამავე გზით ბრუნდება სამხედრო ტყვეთა დიდი ნაწილი.

კიდევ ერთი შეხვედრა — „მინნა ჰორნის" კაპიტანთან. მისგან გავიგე, რომ გენ. კრესი და მასთან ერთად ჯარის მცირე ნაწილი ჯერ კიდევ თბილისში იმყოფებიან. „რამდენი რამ შეიცვალა იმ ჩვენი მგზავრობის შემდეგ!" — ამბობს კაპიტანი. ნამდვილად შეიცვალა.

იქნებ, მეც ოდესისა და კიევის გავლით უნდა წავსულიყავი? რატომღაც გადავწყვიტე ბუქარესტში გამგზავრება, რომ ბერლინში უნგრეთიდან მოვხვედრილიყავი.

5 ნოემბერი

დიდი წვალებით წამოვედი ბრაილადან: მეტისმეტი ხალხმრავლობაა. მაგრამ გერმანიის სამხედრო მმართველობის წყალობით, მატარებლები ჯერჯერობით ზუსტად განრიგით მოძრაობენ. ბუქარესტში ღამე ჩავედით. ხშირ ნისლში ვეძებდი თავშესაფარს, ყველა სასტუმრო მოვიარე ოთხთვალათი, მაგრამ უშედეგოდ. ერთ-ერთი სასტუმროს მოსაცდელში დილამდე ჩავთვლიმე, მერე დიდის წვალებით მოვიპოვე რაღაც ბუნაგი სასტუმრო Calea Victoriei-ში.

ყოველ ნაბიჯზე გერმანული სამხედრო დაწესებულებებია. ათენეუმ-პალასში მაკენზენის შტაბია. თუმცა რუმინელები მხიარულები ჩანან. იომეს და ახლა პირში მზამზარეული ლუკმა ჩაუვარდებათ. სრულიად რუმინეთის გაერთიანება — აი, საითკენ მიდიან.

მრავალრიცხოვანი ქალაქური „რიგიანი საზოგადოების" ფენის პარიზულ პეწთან ერთად, თვალში მოგხვდებათ კრაველის და ნაჭრის ქუდები და სხვა მისთანანი, „უბრალო ხალხის" არა „ლათინური", არამედ რუსული (უკრაინული) ატრიბუტები. და ამ უკიდურესო-

ბებს შორის — უბრალოდ შავგვრემანი, ულვაშებიანი რუმინელები.

სიმბოლურია პარიზისა და მოლდავურის შერწყმა თამბაქოს ბიბლიოთეკა ხურების სახელწოდებებში — débit de tutun.

გაზეთები იტყობინებიან უნგრეთის მიერ ომის შეწყვეტისა და ავსტრო-უნგრული ფლოტის სამხრეთ სლავებისთვის გადაცემის შესახებ (!) და ა. შ.

პირდაპირ საოცარია. თურქეთმა დროებით ზავს ხელი მოაწერა 30 ნოემბერს: ბათუმი და ბაქო გამარჯვებულ სახელმწიფოთა „განკარგულებაში" გადადიან.

მაგრამ ახლა როგორღა მივაღწიოთ ინგლისელებსა და ფრანგებამდე? ბერლინში გასაგზავნ კერძო დეპეშებს არ ღებულობენ. მაკენზენის შტაბის პოლიტიკურ განყოფილებაში ითავეს ჩემი დეპეშის გაგზავნა. დამპირდნენ აგრეთვე, რომ შეეკითხებიან, წავა თუ არა ფოთში გემი საქართველოში დარჩენილი ნაწილების ჩამოსაყვანად, და თუ უნგრეთიდან ვერ გავიდოდი, იქნებ, ამ გემს გავყოლოდი.

„ამას კი ვერ ვიფიქრებდი, — ვეუბნები მორიგე ოფიცრებს, — რომ ჩავრჩებოდი აქ, Calea Victoriei"-ში! „ჩვენ ხომ ყველანი აქ ჩავრჩით".

6 ნოემბერი

წესრიგში მომყავს საბუთები გერმანიაში შესასვლელად. პუნქტუალურად იცავენ ყველა სამხედრო წესს. „Pester Lloyd"-ის ერთერთ ნომერში სრულად წავიკითხე თურქეთთან დროებითი ზავის პირობები. სომხეთისთვის მართლაც სასიამოვნოა; საქართველოსთვისაც ხელსაყრელია. აზერბაიჯანს კი მოენატრება თურქები!

პათეტური ცნობები უნგრეთის რევოლუციაზე. კოშუტის სული — მაგრამ, ამასთან, სადგურების, ციხეების ნგრევა; სადღაც ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები შეუქმნიათ. ეს უკვე სხვა ოპერიდანაა.

მთელი სერბია განთავისუფლდა. გენერალი დ'ესპერე, მგონი, უკვე ბელგრადშია.

7 ნოემბერი

თავს უნდა ვუშველო! დღეს თუ არა ხვალ მოძრაობა შეწყდება — უნგრეთით აღარ ეზიდებიან ქვანახშირს. საღამოს 9 საათზე მატარებელი გადის ორშოვისკენ უნგრეთის საზღვრამდე. საბუთები წესრიგშია. მივემგზავრები.

...სადგურზე აუწერელი ხალხმრავლობაა. გერმანელი გუშაგები და რუმინელი პოლიციელები ძლივს ახერხებენ წესრიგის დამყარებას. მატარებლის გასვლამდე სამი საათით ადრე სალაროებთან უკვე უამრავი ხალხია, ამბობენ, ბილეთებიც გათავდაო. ბარგს შესანახად აღარ ღებულობენ — ადგილი არ არისო! როგორ უნდა იმოქმედო, რა უნდა ქნა? ვისიმე დახმარების იმედი ფუჭია.

...ტყუილია, თითქოს სასწაულები არ არსებობდეს. სასწაულები ხდება. მე მივიღე ბილეთი და გადატენილ კუპეში დავიკავე ადგილი. ვერაფერს გააწყობ — განგება ან წმინდა გიორგი აშკარად მეხმარება.

...აქ არის რუმინული საზოგადოება: თავაზიანი ქალბატონი და ასეთივე ჯენტლმენი ფრანგულად საუბრობენ იმაზე, თუ პირველი შემთხვევისთანავე როგორ გაემგზავრებიან პარიზს; რუმინეთში დარჩენა შეუძლებელია. აქაური წარმოშობის ვენელი მომღერალი ქალები ყველას უმასპინძლდებიან ღვინითა და ბუტერბროდებით — ძალიან ხელსაყრელია. ახალგაზრდა გერმანელი ოფიცერი, ჩვეულებისამებრ, დიქტატორულად, ენერგიულად რომ ირჯება, სულ მალე შაქარივით დნება. მოგვიანებით შემოვარდება რუმინელი ინჟინერი, დემობილიზებული კაპიტანი და ახალ ამბებს გვიყვება, რაც მგზავრების გაცხარებულ სჯა-ბაასს იწვევს. მარგილომანის მთავრობა დაეცა; ახალი მთავრობის სათავეშია გენერალი კოანდა (სხვათა შორის, რუმინულად ომი „რაზბოია“!). ბუკოვინა უკვე დაიკავეს რუმინელებმა, მალე ტრანსილვანიაშიც შევლენ. „ბესარაბიასთან ერთად რუმინეთი 18-მილიონიან სახელმწიფოდ იქცევა. ეს ჩვენს ყველაზე თავხედურ ოცნებასაც კი აღემატებაო“ და ა. შ.

გერმანული ოკუპაცია, რა თქმა უნდა, უკმაყოფილებას იწვევს, მაგრამ მათ ბატონობას მალე ბოლო მოეღება. რუმინეთი მართლაც ოქროს საბადოა და გერმანელები არაერთხელ მოიგონებენ მას დანანებით. „მაგრამ რა დაგვავიწყებს მათ უხეშობას, — ამბობს ინჟინერი, დარმშტადტის ტექნიკუმის ყოფილი მსმენელი, — მათ აქედან ნელდეულიც წაიღეს და ყველაფერი, რაც სურდათ, უამრავი ჩარხი, ძრავა ბულგარელებს გადასცეს — „ჩვენს ერთგულ მოკავშირეებს“, ჰა, ჰა! რაღა ითქმის იმ ოფიცერზე, ჩემს სახლში, ჩემს სურათებს მოკლული მგლებისა და მელიების ტყავები რომ მიაჭედა გასაშრობად“... ამ ლაპარაკში უძილოდ, მოუსვენრად გადის ღამე. გავიარეთ პიტეშტი, კრაიოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8 ნოემბერი

გაზეთებიდან დაწვრილებით ვგებულობ უნგრეთის რევოლუციის ამბებს. როგორ მიუღია ბელგრადში გენერალ Franchet d' Esperay-ს კაროლი და სხვები! ეს ფიზიკურ სასჯელზე უარესია.

...აი, დუნაი, რკინის ჭიშკარი, ადა-ყალეს კუნძული — თურქეთის ნაგლეჯი, ოთომანთა იმპერიის დიდების დღეების ცოცხალი და მშვენიერი მოწმე... რუმინეთის საზღვარი (ვერჩიოროვა) — შემდეგ კი უნგრეთი, ორშოვა.

პასპორტების შემოწმება; უნგრელი ოფიცერი თავაზიანად ესაუბრება საქართველოს მკვიდრს, მეკითხება — ხომ მოხერხებულად ვზივარ.

მივუყვებით ახალი რესპუბლიკის ტერიტორიას. ჩემი თანამგზავრი უნგრელი ჩინოვნიკები მშვენიერ გუნება-განწყობაზე არიან. „ბოლო მოეღო ომს, ყოველგვარ ომს — ამბობს დუნაის ნაოსნობის ინსპექტორი, დიდებული მოხუცი. თავისუფლება ყველა ხალხს! მიწაც ყველას! უნგრეთში აღარ იქნება მსხვილი საკუთრება“ და ა. შ.

ვენელი მოწყალების დები (უფრო სწორად „სწავლადაუმთავრებელი ფერშალი ქალები“, რუსეთში ვიღაცის წინადადება იყო ასე ეწოდებინათ მათთვის) — უნივერსალური ტიპი ქალიშვილებისა, რომელნიც ომის ახლოს მოეწყვნენ. მათთვის ომი იყო დიდი, ხანგრძლივი გართობა. მათთან არის ვიღაც სამხედრო ჩინოვნიკი, რომელმაც ჯერ კიდევ რუმინეთის უკანასკნელ სადგურებზე დაყიდა თავისი აღჭურვილობის ნაწილი.

ახალ-ახალი ხალხი შემოდის. აი, ჰუსარული გარეგნობის უნგრელი ოფიცერი, როგორც შემდეგ გაირკვა, ექიმი.

დაღამდა. მჯდომარეს მძინავს — ჩამოსავარდნად გამზადებული მერყევი, მოქანავე ლოდივით.

9 ნოემბერი

ყველგან დემობილიზაციის სურნელი ტრიალებს. უმოწყალოდ ვაგვიანებთ. ყოველ სადგურზე სამშობლოსაკენ მიმავალი განიარაღებული ჯარისკაცები გვხვდებიან. წარმომიდგენია, რა არეულობაა ყოფილ იტალიურ ფრონტზე, საიდანაც სხვადასხვა მხარეს მიაწყდნენ სხვადასხვა მოდგმის ჯარისკაცები, ახლა რომ შინისაკენ მიიჩქარიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ყველას ნაციონალური ფერებითა და კოკარდებით მოურთავს ქუდები.

...გვიან ღამით ბუდაპეშტში ჩავედი. მთელ ქალაქში არც ერთი თავისუფალი ოთახი არაა — ოც ადგილას ვიყავი და ყველგან ერთნაირად მპასუხობდნენ. გადაუღებლად წვიმს, ვბრუნდები სადგურში (უკვე სხვა). მითხრეს, რომ ღამის 12 საათზე მატარებელი გადის ოდერბერგისაკენ. მატარებელი 3 საათზე ჩამოდგა. მოვეწყვე ბნელ, მესამე კლასის მინებჩამსხვრეულ ვაგონში. ჩემი თანამგზავრია მაკედონიიდან მომავალი გერმანული სანიტარული რაზმი. ფანჯრებზე საბნები ჩამოვაფარეთ. ვცდილობთ დავიძინოთ გაყინულ ვაგონში.

10 ნოემბერი

მატარებელი სასიამოვნოდ მიერეკება მთაში, ტატრებსა და ბესკიდის ქედებს შორის. ოთხი საათისათვის ჩავედით რუტკუში, სადაც მთავრდება უნგრეთი. ვერ მოვასწარი ზუსტად დამედგინა, რომელი სახელმწიფო იწყებოდა საზღვრის იქით, რადგან განთავისუფლებული „ცოცხალი ძალის“ მასის გარდა, სადგურზე აღმოვაჩინე ბუფეტი, რომლის მიმართაც განსაკუთრებული ლტოლვა აღმეძრა — ბუქარესტში, Hôtel de Boulevard-ში ჩემი უკანასკნელი სადილობის შემდეგ სამი დღე-ღამე გავიდა.

...მატარებელი მაშინვე იერიშით აიღეს ჯარისკაცებმა, რომლებიც გერმანიაში თუ გალიციაში (კრაკოვის გავლით) ბრუნდებოდნენ. მე ძალიან მოხერხებული პოზიცია დავიჭირე და აღმოვჩნდი ახალგაზრდა გერმანელი ქვეითებისა და პოლონელი ჯარისკაცის საზოგადოებაში, რომელიც სასაცილოდ ყვებოდა, როგორ მოკურცხლეს სერბიიდან...

ღამის 3 საათზე გაგვაღვიძეს: „ოდერბერგი“. აბა, ახლა კი ნამდვილად მივაღწევ ბერლინამდე.

11 ნოემბერი

ოდერბერგში სრული წესრიგია. მე ჩამომართვეს წიგნები და ქაღალდები, დამპირდნენ რომ ბერლინში გამომიგზავნიდნენ. დილის 5 საათზე გავემგზავრე ბრესლავლის მატარებლით: ბერლინამდე ბილეთები არ გასცეს — იქ არ უშვებენ, იქ რაღაც საგანგებო ხდება.

...აშკარად დაბნეული ოფიცრების გვერდით ვზივარ. „რა თქმა უნდა, ამბობენ ისინი, დისციპლინის მხრივ იყო გადაჭარბება, მაგ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამ საერთოდ ხომ ყველაფერი კარგად მიდიოდა“. რა ხდება ახლა, მათ არ იციან, მაგრამ აშკარაა, რომ გერმანიაში რევოლუციაა.

ოპელნში გავიგეთ ვილჰელმის გადადგომის, რესპუბლიკისა და უკვე მიღებული დროებითი ზავის პირობების შესახებ.

ბრესლავლი. აქაური სადგური მართლაც თითით საჩვენებელია. აქ ჯერჯერობით, ზუსტად, სუფთად მუშაობენ. საუზმე — ცოტა ტვინი, ისპანახი და პურის თხელი ნაჭერი — დიდი ერის დისციპლინისა და თავშეკავების ნიშანი. ახლა უკვე უშვებენ ბერლინში. გაზეთები მოვიმარაგე და გზა გავაგრძელე. დაგვიანება დავიწყეთ — თანდათან ვერკვევი აქაურ ვითარებაში და აღარ მიკვირს, როცა სადგურ Alexanderplatz-ში შესვლისას ვიღაცამ დაიყვირა: გესმით, ქვემეხების ხმაა! მართლაც, რაღაც წკავწკავებს, მაგრამ — მოკრძალებულად.

ჩამოვედით. სასტუმრო Adlon-ში არ შეიძლება — იქითკენ მიმავალ გზაზე საქმე არ არის კარგად. ბარგის მზიდავთან ერთად, გავემართე Continental-ისაკენ. წითელსამკლაურიანი ჯარისკაცი პასპორტს მთხოვს: მე რევოლუციურ ბერლინში ვარ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი XVII

„გერმანული ორიენტაციის“ დასასრული

46.

ზრდილობისათვის ერთ-ორ დღეს ისროდნენ და მერე კი ზოგი საქმეს შეუდგა, ზოგი ლაპარაკს. ბულვარ „ცაცხვების ქვეშ“ აქა-იქ ტყვიამფრქვევებისაგან მინები ჩამტვრეულა, მრავალი სახლის კედლებზე თეთრი ლაქებია, მაგრამ რევოლუცია აქ, ჯერჯერობით, „უსიხლოა“, ე. ი. ...მცირესისხლიანი. ფლოტის გახრწნა, მორალური კაპიტულაცია მთავარი შტაბ-ბინისა, რომელმაც მტერს დროებითი ზავი შესთავაზა („ნერვებმა ვერ გაუძლო)“, დასავლეთის დემოკრატიების ძალდატანებით იმპერატორის გადადგომა — აი, ამ გადატრიალების ძარღვი. ახლა გერმანიაში უმრავლესობა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორმე აიცდინონ ბოლშევიკური ჭირი.

...სახის გამომეტყველება აქ ბევრად უფრო დამშვიდებული აქვთ, ვიდრე პეტერბურგელებს თებერვალსა თუ 1917 წლის ოქტომბერში. მაგრამ როგორი სასწაულებრივი გარდატეხა მოხდა ისტორიაში — გერმანელები ტოვებენ რეინის მარცხენა ნაპირს, ფრანგები უომრად, გაშლილი დროშებით შედიან ელზასში, მოკავშირეები იკავებენ კელნს, კობლენცსა და მაინცს. ეს ჰოჰენცოლერნების, ჰაბსბურგების, ავსტრია-უნგრეთის, გენერალიტეტებისა და კანცლერების დასასრულია. მაგრამ წინ კიდევ რაღაა?

ბერლინში მე დრო არ მქონდა მეფიქრა იმ „დაცემის“ მთელ სიღრმეზე, რაც ასე უსწრაფესად მიჰყვა შუა ევროპის „სიდიადეს“; უნდა მემოქმედა. ამ მომენტში „მოქმედება“ ჩემთვის ნიშნავდა შესაძლებლობისდაგვარად სწრაფ გადაადგილებას, ოღონდ, ამჯერად გამარჯვებული სახელმწიფოების მიმართულებით. ამ „გადაადგილების“ მიზანი კი ალბათ ამიერიდან ევროპის მთავარ განმკარგულებლებთან — ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებთან — „კონტაქტების დამყარებაში“ მდგომარეობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზის მონაკვეთი, რომელიც მოითხოვდა განსაკუთრებულ სპეციალურ დაძაბვას (1918 წ. ნოემბრის პირობებში), კერძოდ კი კონსტანტინოპოლი — ბერლინი, ასე ვთქვათ, უკვე „გადავლახე". ახლა უნდა ვამემეორებინა ჩემი ზაფხულის მოგზაურობა ქრისტიანიაში, და მომემკო ჩემ მიერ მაშინ დათესილის ნაყოფი, ე. ი. როგორც საქართველოს ემისარს, მიმელო ლონდონში გამგზავრების ვიზა.

რაც შეეხება ა. ჩხენკელს, იგი ახლა — მხოლოდ ახლა დარწმუნდა, რომ მისი ბერლინში ყოფნა... ცოტა არ იყოს გაჭიანურდა. გერმანიის სრული მარცხი და რევოლუცია იყო საჭირო, რომ მიმხვდარიყო და მხოლოდ ანაზდად გასროლილმა რევოლუციურმა ტყვიამ, რომელმაც ქუჩიდან მისი ოთახის ფანჯარა ჩაამტვრია, აიძულა იგი ბოლოს და ბოლოს ოთახი გაენთავისუფლებინა. თუმცაღა მისი გადაადგილების პირველი მარშრუტი რთული არ იყო: ჩ. გადავიდა იმავე სასტუმრო „ადლონის" სხვა ოთახში, რომლის ფანჯრები ეზოში გადიოდა.

გადაწყდა, ლონდონსა და პარიზში მეწინავედ მე გავეგზავნეთ. ამავე დროს, „ფლანგებზე" სამუშაოდ გააგზავნეს: მიხ. წერეთელი — სკანდინავიის ქვეყნების დედაქალაქებში და მ. ა. სუმბათაშვილი — შვეიცარიაში. ამ ნეიტრალურ ქვეყნებში* მათ თავისი პროპაგანდის მეთოდური ცეცხლი გაუხსნეს „თანხმობის" დიპლომატებს, ე. ი. გააგრძელეს ქრისტიანიაში დაწყებული სამუშაო.

რაც შეეხება ჩვენს პოლიტიკურსა და ეკონომიკურ შეთანხმებებს გერმანიასთან, რაზეც ზემოთ დაწვრილებით ვილაპარაკეთ (მუხ. 35 და 41), მათი მთელი ერთობლიობა ასევე დარჩა პროექტში. პოლიტიკური ხელშეკრულება (რომელიც მზად იყო 1918 წლის ოქტომბერში) ხელმოწერილიც არ ყოფილა არასოდეს. ამის შედეგად, არც არასოდეს შესულა ძალაში 1918 წლის 12 ივლისს ჩვენ მიერ ხელმოწერილი საგანგებო ეკონომიკური შეთანხმებანი. გერმანიის მთავრობის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს თვით ფორმალური ცნობაც კი (რუსეთმა წინასწარ განაცხადა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დამატებითი მე-13 მუხლის თანახმად, იგი საქართ-

---

* რამდენიმე ხნის შემდეგ შვეიცარიაში გადავიდა ა. ჩხენკელიც; ნოემბრის დასაწყისში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ე. გეგეჭკორი. სხვა რაიმე ცვლილება საქართველოს მთავრობის პირად შემადგენლობაში „გერმანული ორიენტაციის" დასასრულის გამო არ მომხდარა.

ველოს დამოუკიდებლობის ფორმალური ცნობის წინააღმდეგ
წავიდოდა), მკვეთრად შეცვლილი პოლიტიკური სიტუაციის გამო,
უკვე ვერ შედგებოდა.

თუმც გერმანიის პოლიტიკური დამცირება 1918 წლის 11 ნოემბრის დროებითი ზავის პირობების მიღებისა და რევოლუციის შემდეგ უაღრესად მძიმე იყო, მისი რეალური მასშტაბები ჯერ კიდევ არ იყო ნათელი და თვით ყველაზე დაკვირვებულ ადამიანებსაც კი არ ჰქონდათ იგი შეგნებული. მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტროში სჯეროდათ (ან თავი ისე ეჭირათ, ვითომ სჯეროდათ), რომ ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო საქართველო-გერმანიის პროექტების განხორციელება! „ეცადეთ მალე გადმოიბიროთ „თანხმობის“ სახელმწიფოები. ეს თქვენთვის ძნელი იქნება, რადგან ისინი, როგორც ერთიანი რუსეთის სასწრაფო აღდგენით დაინტერესებულნი, ყოფილ განაპირა მხარეებს არ მიემხრობიან. გარდა ამისა, ბუნებრივია, „ანტანტა“ მფარველობას გაუწევს სომხეთს, ეცდება ცრემლები მოსწმინდოს მას და ამდენად, სომხების პრეტენზიები ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებზე მეტად სახიფათოა თქვენთვის“. ასეთი იყო დოქტ. გეპერტის აზრი ჩვენი უკანასკნელი საუბრისას (1918 წ. 14 ნოემბერი).

გ-ს თქმით, საქართველოს მთავრობამ გერმანიისათვის ამ მძიმე მომენტში გენერალ კრესისადმი თბილისში დიდი სითბო და ყურადღება გამოიჩინა.*

„ჩვენთანაც არეულობაა“ — შენიშნა გ-მა. „დიახ, დავამშვიდე მე, ახლა თქვენ ისეთივე ამოცანის წინაშე დგახართ, რის გადაჭრასაც, მცირე მასშტაბით ცდილობდა საქართველოს მთავრობა: დემოკრატია და სოციალიზმი „უბოლშევიზმოდ“. შეიძლება, მართალია დაგვიანებით, მაგრამ ახლა მაინც დააფასებთ ჯეროვნად საქართველოს“.**

---

* თბილისში, გერმანიის მისიასთან კიდევ რჩებოდა 500 გერმანელი ჯარისკაცი, რომელთაც შემდგომ დატოვეს საქართველო. საქართველოში გერმანელები სულ ხუთ თვემდე იმყოფებოდნენ (1918 წ. ივნის-ნოემბერი).

** 1918 წლის საქართველოს შესახებ გერმანულ ოფიციალურ მსჯელობებში აშკარა სიმპათიას ერთვოდა სანიმუშო ჩინოვნიკთა შიში, რაც გამოწვეული იყო რევოლუციური უწესრიგობითა და საქართველოს მმართველთა სუსტი საქმიანობით. მაგრამ, აბა, სად უნდა შეესწავლათ მათ ეს საქმიანობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მხრივ, საქართველომ უკვე მიაგო პატივი გერმანიასა და მ. სახურებისამებრ. ეჭვგარეშეა, გერმანიის მხარდაჭერამ შეუმსუბუქა საქართველოს დამოუკიდებლობის პირველი თვეები; მაგრამ ევროპის შეცვლილ პოლიტიკურ პირობებში ე. წ. „გერმანულ ორიენტაციას“ ნიადაგი გამოეცალა.

47.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, ყველა მისი დამატებითი შეთანხმებებით, აღიარეს ძალადაკარგულად (1918 წლის 11 ნოემბერს ხელმოწერილი გერმანიასთან დროებითი ზავის პირობების XV პარ.) როგორც მოკავშირეთა, ისე გერმანია-რუსეთის ურთიერთობის თვალსაზრისით (ნოემბერში მოსკოვის მთავრობამ აცნობა გერმანიისას, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას იგი თავისთვის სავალდებულოდ აღარ თვლის). და თუმცა აბით, საქართველოსა და სომხეთისათვის სასიკეთოდ, თურქეთი კარგავდა ახლად მიღებულ უფლებებს სამ სანჯაყზე (ბათუმი, ყარსი, არდაგანი), მაგრამ, მეორე მხრივ, უქმდებოდა გერმანია-რუსეთის 27 აგვისტოს ხელშეკრულების მე-13 დამატებითი მუხლი, რომელიც შეიცავდა საბჭოთა მთავრობის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის შენიღბულ აღიარებას (იხ. ზემოთ პარ. 36). საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო განმტკიცების საქმეში ეს, უდავოდ, უკან გადადგმული ნაბიჯი იყო.

ყოველგვარი აღიარების, გადაწყვეტილების, მხარდაჭერის და წახალისების ცენტრმა დასავლეთში, პარიზში გადაინაცვლა, სადაც გამარჯვებულთა კონგრესი ან კონფერენცია უნდა შეკრებილიყო. ჩვენთვის პარიზისაკენ მიმავალი გზა ლონდონზე გადიოდა, არა მარტო მაშინდელი სამიმოსვლო კავშირების გეოგრაფიული, არამედ პოლიტიკური პირობების გამოც. დროებითი ზავი თურქეთთან, როგორც მთავარ მოწინააღმდეგესთან აზიურ აღმოსავლეთში, დიდი ბრიტანეთის ხელთ იყო; ბრიტანელი ადმირალის არტურ კოლთორპის (Calthorpe) მიერ 1918 წლის 30 ოქტომბერს ხელმოწერილ თურქეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიტანეთის სწორედ ამ დროებითი ზავის კონვენციაში* მხედველობაში მიიღეს ამიერკავკასიის ქვეყნებიც, როგორც დასრულების სტადიაში მყოფი ომის ერთ-ერთი ასპარეზი. გარდა ამისა, მოკავშირეთა ჯარების დისლოკაციის პირობებისა და იმ განსაკუთრებული მდგომარეობის მიხედვით, რომლის დაკავებასაც აშკარად ცდილობდა ინგლისი, საფიქრებელი იყო, რომ ამიერკავკასიას ესტუმრებოდა სწორედ ინგლისი და არა სხვა ვინმე. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნდა რაც შეიძლება მალე დაგვემყარებინა უშუალო კავშირი ბრიტანეთის მთავრობასთან ლონდონში, რათა ამ მხრივ მოგვემზადებინა დამოუკიდებელი საქართველოს „შეგუება“ საერთაშორისი ვითარებასთან, მით უმეტეს თუ ეს „ვითარება“, ინგლისის ჯარების სახით, თვითონ აპირებდა ჩვენს საზღვრებში შემოსვლას.

რა თქმა უნდა, ისინი შემოდიოდნენ, როგორც „მოკავშირე სახელმწიფოების ჯარები“, ნაცვლად გერმანულ-თურქულისა, რომლებიც თავის მხრივ, ტოვებდნენ კავკასიას. მაგრამ რაიმე გარკვეული პოლიტიკა კავკასიის საქმეებში მოკავშირეებთ, რა თქმა უნდა, ჯერ არ ჰქონდათ შემუშავებული. ინგლისელებს შესაძლოა, იგი უკვე ჩამოეყალიბებინათ და ამ პოლიტიკაში გარკვევა, მასთან შეთანხმება, ან უბრალოდ, მისი გამოყენება საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისა და განმტკიცებისათვის გახლდათ ჩვენი მორიგი ძირითადი ამოცანა, მით უმეტეს, რომ მუდროსის კონვენციის თვით ტექსტი სრულიად უგულვებელყოფდა ამიერკავკასიის ახალ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს.

ეს არ ნიშნავს, რომ ეს კონვენცია უგულვებელყოფს ამიერკავკასიას. პირიქით — იგი მას განიხილავს როგორც დოვლათს, რომელიც მოკავშირეთა ზედამხედველობის ქვეშ გადადის. მე-11 მუხლი ეხება ამიერკავკასიის პროვინციების (ისევე როგორც ჩრდილო-დასავლეთ ირანის) გაწმენდას თურქეთის ჯარებისაგან. მე-15 მუხლი ითვალისწინებს ამიერკავკასიის რკინიგზებზე თურქეთის ნაცვლად

---

* ეს კონვენცია ხელმოწერილია კუნძულ ლემნოსზე, მუდროსის ნავსადგურში, გემ „აგამემნონზე“. შედგენილია ინგლისურად და თურქეთის მხრივ ხელს აწერენ ჩემს მიერ ხელმოთ დასახელებული რაუფ-ბეი (ახლა, 1923 წ. ანგორის მთავრობის მეთაური) და რეშად-ხიქმეთი. ტექსტი იხ. I ტომში. A History of the Peace Conference of Paris, ed. by H. W. V. Temperley. L. 1920. P. 495-7.

მოკავშირეთა კონტროლის დაწესებას. გზები გადადის მოკავშირეთა „თავისუფალ და სრულ“ განკარგულებაში (მოსახლეობის საჭიროებათა გათვალისწინებით). ბათუმს დაიკავებენ მოკავშირეები. თურქეთი თანახმაა გადასცეს მათ ბაქოც.* ამასთან, არც საქართველო და არც აზერბაიჯანი ნახსენები არ არის: ოფიციალურად, იმ დროისათვის, მოკავშირეებისათვის ისინი არც არსებობენ. არც კავკასიის სომხეთია ნახსენები. მაგრამ XXIV თავში მრავალმნიშვნელოვნად, გადაკვრით არის ნათქვამი, რომ მოკავშირეებს უფლება ეძლევათ, უწესრიგობის შემთხვევაში, დაიკავონ ექვსი სომხური ვილაიეთის ნაწილები.

როცა თურქეთი წამოჩოქებულია, ხოლო ყოვლისშემძლე გამარჯვებული ასე გადაკვრით ლაპარაკობს, უმრავლესობისათვის აშკარაა: სომხებს ექვს ვილაიეთს დაპირდნენ. „განმარტებას“ გონების მცირე ძალდატანება სჭირდება და დასკვნა ნათელია: „მოკავშირეებმა გადაწყვიტეს შექმნან დამოუკიდებელი სომხეთი და მიაკუთვნონ მას თურქეთის ექვსი ვილაიეთი“.** აბა, როგორ არ გამხნევდებიან სულით ერევნელი სომხები, რომლებიც ასე მოკუნტულნი იყვნენ თურქეთის დაწოლის ქვეშ 1918 წლის ზაფხულში? დასრულდა თურქეთის ოკუპაცია; მის ნაცვლად ბრიტანული ოკუპაცია და „ექვსი ვილაიეთი“. მათ თავისი გაიტანეს... და ახლა მხრების გაშლაც შეუძლიათ: საქართველო თავის თავზე იგრძნობს ამ განწყობილების მთელ ენერგიას, როცა 1918 წლის დეკემბერში ერევნის მთავრობა უბრძანებს თავის ჯარებს დაიკავონ ყოფილი თბილისის გუბერნიის ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრები. მაგრამ ეს შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი ეპიზოდია.

ბევრად უფრო უარესი ის გახლდათ, რომ წმინდა სამხედრო დოკუმენტის ტექსტში გაუფრთხილებლად ჩაქსოვილმა „ექვსი ვილაიე-

---

* თურქეთის „თანხმობა“ მოკავშირეების მიერ ბაქოს დაკავების შესახებ, რომელიც თურქეთს არც ეკუთვნის, როგორც ჩანს, ნახსენები იყო ფარული აზრის გარეშე. შემდეგში ეს მიაწერეს რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ინგლისურ ინტრიგას. იხ. მაგ., ამ საქმეში კარგად გათვითცნობიერებული ავტორის V. M.-ის წერილი Times-ში 1920 წლის 10 აპრილს. (The Future of Baku. Turkey and Azerbaijan).

** ეს შეესატყვისებოდა არა მარტო სომხეთის პოლიტიკური მოღვაწეების ტრადიციებს, არამედ სომხების მომხრე ევროპისა და ამერიკის მრავალი პირის წმინდა კაბინეტურ შეხედულებასაც.

თის“ თეორიამ თურქებშიც შექმნა „სულიერი განწყობილება“ ერთსა და ორ დანას ჩაეჭიდნენ ძარღვიანი ხელები.

ახალი დროის პოლიტიკური დილეტანტიზმის ყველაზე საზიზღარ გამოვლინებას შესაფერისი დასაწყისი ჰქონდა: დასავლეთის დიდი დემოკრატიების მიერ სომხეთის საკითხის გადაწყვეტა.*

---

* მეტად თუ ნაკლებად ოფიციალური, ყოველ შემთხვევაში, მეტად საპასუხისმგებლო განცხადებების კრებული, გაკეთებული 1918 წელს ისეთ სახელმწიფო ხელმძღვანელების მიერ, როგორიც არიან პრეზიდენტი ვილსონი, ლოიდ-ჯორჯი, კლემანსო, ბალფური და სხვები (იმ თვალსაზრისით, რომ სომხეთის განთავისუფლება ომის ერთ-ერთი მიზანი იყო), მოიპოვება სომხური ორგანიზაციების გამოცემებში. მაგალითად, წიგნაკში The Case of Armenia, დაბეჭდილია 1919 წელს ამერიკის სომხური ეროვნული კავშირის მიერ (The Armenian National Union of America). განსაკუთრებით აღვნიშნავთ ცნობილი სენატორის ლაჯის (Lodge) მიერ 1918 წ. 10 დეკემბერს ამერიკის სენატში შეტანილ რეზოლუციას, რომლის მიხედვითაც, მომავალ დამოუკიდებელ სომხეთში უნდა შესულიყო თურქეთის სომხეთი (ექვსი ვილაიეთი და კილიკია), რუსეთის სომხეთი და სპარსეთის აზერბაიჯანის ჩრდილოეთი ნაწილი (სპარსეთის სომხეთი). ციტირებულ გამოცემაზე დართული მომავალი სომხეთის რუკის მიხედვით მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი მტკვარს მიჰყვება (დაახლ. ელისავეტპოლიდან ზღვის შესართავამდე). სომხეთი (ამ რუკის მიხედვით) სამ ზღვაზე გადის: შავსა, ხმელთაშუა და კასპიის ზღვაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

Post-Scriptum-ი წინასიტყვაობის მაგიერ 3
შესავალი 14

თავი I — რუსეთთან ერთად!

1. თავისუფალი საქართველო თავისუფალ რუსეთში 16
2. რუსეთის ფედერალიზმის ისტორიისათვის 18
3. დროებითი მთავრობის დღეებში 19

თავი II — ქართული კომიტეტი პეტროგრადში.

4. ოჯახური საქმეები 23
5. სამხედრო საქმეები 24
6. ზოგი რამ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შესახებ 25

თავი III — სანიტარული მატარებელი № 133.

7. მისი გამარჯვება 29
8. გაჭირვებანი 31
9. შესვენება პიატიგორსკში 36

თავი IV — კავკასიაში.

10. კვლავ გზას ვადგავართ 38
11. საქართველოს სამხედრო გზაზე 40
12. თბილისში 1918 წლის გაზაფხულზე 41

თავი V — ბათუმში თურქებთან.

13. როგორ მოხდა ეს 45
14. „დელეგატების“ მატარებლით 49
15. გრძნობები და პიროვნებანი 51

თავი VI — ბათუმის კონფერენცია.

16. 11 მაისის სხდომა 57
17. თურქეთის წინადადებები 59
18. როგორ მოვიქცეთ? 60
19. მელნით ომი 63

თავი VII — ამიერკავკასიის დაშლა.

20. ისტორიის წნეხი 66
21. ბათუმის დღიურიდან 68
22. რუსეთი სადღაა? 70

თავი VIII — ახალი გზა.

23. საქართველოს დამოუკიდებლობა 73
24. გადაწყვეტილების დღეები 76

თავი IX — გეზი გერმანიაზე!

25. ბათუმიდან ფოთში . . . . . .

26. 28 მაისის 1918 წლის ფოთის შეთანხმება 85

თავი X — Quo vadis Georgia?

27. ფოთიდან ბერლინში 91

28. ჩვენი ამოცანები 95

თავი XI — ბერლინში, 1918 წლის ზაფხულში.

29. პირველი შეხვედრები 99

30. დაბრკოლებანი, მიღწევები 106

თავი XII — თურქეთი ზეიმობს.

31. 4 ივნისის 1918 წლის ბათუმის აქტები 116

32. მათი ძირის გამოთხრა ბერლინში 120

33. სამკუთხედში: ბერლინი — მოსკოვი — კონსტანტინოპოლი . . 123

თავი XIII — გერმანიის იმედით.

34. „გერმანიის ორიენტაციის" საფუძვლები 126

35. „შავ-ქვაზე" 131

36. 1918 წლის 27 აგვისტოს გერმანია-რუსეთის შეთანხმება . . . 135

37. თურქეთის გაწამაწია 138

თავი XIV — სიფრთხილეს თავი არ სტკივა!

38. ლუწი თუ კენტი? 141

39. ქრისტიანიაში 143

თავი XV — მოსახვევში.

40. თალაათ-ფაშა ბერლინში 148

41. საქართველო-გერმანიის ხელშეკრულების პროექტი 152

42. გარდატეხა 154

თავი XVI — ნგრევის შუაგულში.

43. უკანასკნელ „ბალკანეთის მატარებლით" 157

44. კონსტანტინოპოლში, 1918 წლის ოქტომბერი 162

45. „შუა ევროპის" ნანგრევებზე 175

თავი XVII — „გერმანული ორიენტაციის" დასასრული.

46. ბერლინში, ნოემბერი 1918 წელი 183

47. მუდროსის დროებითი ზავი 186

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ დავითის ძე ავალიშვილი

საქართველოს დამოუკიდებლობა 1918—1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში

Зураб Давидович Авалишвили

НЕЗАВИСИМОСТЬ ГРУЗИИ В МЕЖДУНАРОДНОЙ ПОЛИТИКЕ 1918—1921 г. г.

(на грузинском языке)

Союз театральных деятелей Грузии
Тбилиси, Кирова 11а
1990

მეცნიერ-რედაქტორი გ უ რ ა მ მ ა მ უ ლ ი ა
მხატვარი გ ი ო რ გ ი ლ ო მ ი ძ ე
ტექრედაქტორი და საკონტროლო კორექტურა კ. კ ო რ ი ნ თ ე ლ ი
რედაქტორი და კორექტორი ლ. ჯ ვ ე ბ ე ნ ა ვ ა
გადაეცა წარმოებას 29.I.90.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.IV.90.
ქაღალდის ზომა 60×84 1/16.
ნაბეჭდი თაბახი 12.0
შეკვეთა № 314.
ტირაჟი 50000 (1—25000).
ფასი 4 მან. 90 კაპ.

აიწყო საქართველოს თეატრის მოღვაწეთა სტამბაში, თბილისი, კლ. ცეტკინის ქ. № 133.

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში, თბილისი, კუტუზოვის ქ. № 19.

Напечатано в типографии АН Грузинской ССР

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ დავითის ძე ავალიშვილი (1876 — 1944), ცნობილი იურისტი და ისტორიკოსი, 1918 — 1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი იყო. იგი უშუალო მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში. 1924 წელს, პარიზში, ზ. ავალიშვილმა წინამდებარე წიგნი რუსულ ენაზე გამოაქვეყნა, რომელშიც მოგვითხრობს ახალშობილი საქართველოს რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ისტორიას. ეს წიგნი მყისვე ითარგმნა ქართულ ენაზე, შემდგომ კი ინგლისურ ენაზეც დაიბეჭდა.

წინამდებარე გამოცემის პირველი წიგნი ამ ექვსი ათეული წლის წინ შესრულებულ ქართულ თარგმანს ეფუძნება, რომელიც ჩახვეწეს ნ. ებრალიძემ, ვ. შატბერაშვილმა და ლ. ჯვებენავამ, „წინასიტყვაობის მაგიერ“ კი ნ. ებრალიძემ დამოუკიდებლად თარგმნა.

საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირ, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის საკუთრივ იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„ბრაზილ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთორმეტე საუკუნის დასასრულს ეოული მხრით მტრისაგან შეფიწროებული საქართველო თავისი ნებით შეურიდა რუსეთს ის პირობით, რომ რუსეთი ყალდებული იყო საქართველო კარგად მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რეოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი ძირეული ეეოლუციები შეკმნა, რომ მთელი ხალხური ფენები სრულიად დაიმალა და რუსის ჯარშიც დასტოეა ამიერკავკასია.

„დარჩენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თავი იგრძნო თავს საკუთარი სახელმწიფოს ეკმაოლა და პატრონობა და ამ. ხ

ერი ორგანოებიც შეკმნეს; მაგრამ კარგად ძალია ზედეკულენი ამიერკავკასიის ერთა შემადგენელი კაცები დაიდგა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მოლაინობაც დაიმალა.

„ქართველი ეროვნული დეკეოლიდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეკმნას, მისი საუკეთესო კარგად ძალის მიერ დაფარობისაგან თავი ეკადირინოს და დამოუკიდებელ ეანვითარების მტკიცე საფუძველი აეგოს.

„ამისგან თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არსებული საქართველოს ეროვნულ ერილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივ ნეიტრალური სახელმწიფოა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ეკეთი ეკეთი ეკეთ ეკეთ ეკეთ